



თურქულ-ქართული ურთიერთობები –  
ისტორია და თანამედროვეობა

# TÜRK - GÜRCÜ İLİŞKİLERİ: TARİH VE ÇAĞDAŞLIK

**EDİTÖRLER:**

Prof. Dr. İbrahim TELLİOĞLU

Prof. Dr. Roin KAVRELİŞVİLİ

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თურქეთის საისტორიო საზოგადოება  
კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაცია

SAMTSKHE-CAVAKHETİ DEVLET ÜNİVERSİTESİ  
TÜRK TARİH KURUMU  
KAFKASYA ÜNİVERSİTELER BİRLİĞİ

SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY  
TURKISH HISTORICAL SOCIETY  
CAUCASUS UNIVERSITY ASSOCIATION



თურქულ-ქართული ურთიერთობები –  
ისტორია და თანამედროვეობა

ULUSLARARASI BİLİMSEL ÇALIŞTAY  
Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık

INTERNATIONAL SCIENTIFIC SEMINAR  
Turkish-Georgian Relations:  
History and Modernity

კრებულში ძირითადად წარმოდგენილია 2016 წლის 21-24 აპრილს ქალაქ ახალციხეში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო სემინარზე – „თურქულ-ქართული ურთიერთობები (ისტორია და თანამედროვეობა)“, წაკითხული მოხსენებები.

საქართველოს მხრიდან საერთაშორისო სემინარში მონაწილეობას ღებულობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ-ესორები, ხოლო თურქეთის მხარე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორებით.

სტატიები იბეჭდება ქართულ და თურქულ ენებზე.

Kitapta genellikle 21-24 Nisan 2016 tarihinde Akhlsikhe’de gerçekleştirilen “Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık” Uluslararası Bilimsel Çalıştayında sunulan bildiriler yer almıştır.

Çalıştay Gürcistan tarafından Samtskhe-Cavakheti Devlet Üniversitesi, Türkiye tarafından ise çeşitli üniversitelerin öğretim üyelerinin katılımıyla gerçekleştirilmiştir.

Bildiriler Türkçe ve Gürcüce olarak basılmıştır.

რედაქტორები: **როინ ყავრელიშვილი**, პროფესორი  
**იბრაჰიმ თელლიოღლუ**, პროფესორი

**Editörler:** Prof. Dr. **İbrahim Tellioglu**  
Prof. Dr. **Roin Kavrelişvili**

**ISBN:** 978-605-65449-1-0

**Basım Yeri:** Gündüz Ofset, TRABZON  
Tel: 462 321 61 00

**Basım Tarihi:** Ekim 2017

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017  
© Samtskhe-Cavakheti Devlet Üniversitesi, 2017

## İçindekiler

### ÖNSÖZ

Prof. Dr. Refik TURAN  
Türk Tarih Kurumu Başkanı

**BİLİMSEL İLİŞKİLER** ..... 7

Prof. Dr. Merab BERİDZE  
Samteskhe-Javakheti Devlet Üniversitesi Rektörü

**AKHALTSİKHE'DE TARİHÇİLERİN ULUSLARARASI  
ÇALIŞTAYI** ..... 12

Prof. Dr. İbrahim TELLİOĞLU  
**ULUSLARARASI ÇALIŞTAY** ..... 14

Merab BERİDZE

**XVI. ASIRDA UDE KÖYÜ AHALİSİ VE TARİHİ YAZITLARI** ..... 18

Nikoloz AKHALKATSİ

**GÜRCİSTAN'DA URARTU ARAŞTIRMALARI** ..... 45

İbrahim TELLİOĞLU

**TÜRKİYE'DE GÜRCÜ TARİHİ VE KÜLTÜRÜ İLE İLGİLİ  
ARAŞTIRMALAR** ..... 63

Uça BLUAŞVİLİ

**BİRİNCİ DÜNYA SAVAŞI DÖNEMİNDE GÜRCÜ-ALMAN-TÜRK  
ASKERİ İŞBİRLİĞİ GİRİŞİMLERİ ÜZERİNE BİR  
DEĞERLENDİRME** ..... 88

Nedim İPEK

**GÜRCİSTAN'IN SOSYAL TARİHİNDE TÜRK KAYNAKLARININ  
YERİ VE ÖNEMİ** ..... 104

Roman GOGOLAURİ

**XVIII. ASRIN 70'Lİ YILLARINDA KARTL-KAKHETİ VE OSMANLI  
DEVLETİ ARASINDAKİ DİPLOMATİK İLİŞKİLERİ ÜZERİNE BİR  
DEĞERLENDİRME** ..... 122

Serpil SÜRMELİ <b>TÜRKİYE-GÜRCİSTAN İLİŞKİLERİ</b> <b>(23 Ekim 1920'den Günümüze)</b> .....	135
Tina İVELAŞVİLİ <b>SARO KÖYÜ'NDEN RİTÜELLİK BİR TAS</b> .....	168
Enis ŞAHİN <b>RUS İHTİLALLERİNDEN SONRA TÜRK – GÜRCÜ İLİŞKİLERİ</b> <b>(1917-1918)</b> .....	177
Maka KAÇKAÇIŞVİLİ-BERİDZE <b>GÜRCÜ-TÜRK DİL İLİŞKİLERİNE DAİR BİR İNCELEME</b> .....	220
Alpaslan CEYLAN <b>İLKÇAĞDA TÜRKİYE-GÜRCİSTAN COĞRAFYASINDA GÖRÜLEN</b> <b>KÜLTÜRLER</b> .....	235
Tamar MATİAŞVİLİ <b>KAVTİSKHEVİ KÖYÜ TSİKHİAGORA YERLEŞKESİNDE</b> <b>KEŞFEDİLEN KİL ÜZERİNDEKİ DAMGALAR</b> .....	280
Vasili MOSİAŞVİLİ <b>“MATİANE KARTLİSAİS”E GÖRE IV. BAGRAT VE ALP ARSLAN’IN</b> <b>DİPLOMATİK İLİŞKİLERİ ÜZERİNE BİR DEĞERLENDİRME</b> .....	300
Roin KAVRELİŞVİLİ <b>GÜRCİSTAN’DA TÜRK TARİHİ VE TÜRK-GÜRCÜ İLİŞKİLERİ İLE</b> <b>İLGİLİ ARAŞTIRMALAR</b> .....	315

## შინაარსი

### წინასიტყვაობა

პროფესორი რეზიძე თურანო თურქეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე <b>სამეცნიერო კონტაქტები</b> .....	8
პროფესორი მერაბ ბერიძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი <b>ისტორიკოსთა საერთაშორისო სემინარი ახალციხეში</b> .....	10
პროფესორი იბრაჰიმ თელლიოღლუ <b>საერთაშორისო სემინარი</b> .....	15
მერაბ ბერიძე <b>სოფელ უდის მოსახლეობა XVI საუკუნეში და ისტორიული წარწერა სოფელ უდიდან</b> .....	17
ნიკოლოზ ახალკაცი <b>შპართოლოგიური კვლევები საქართველოში</b> .....	43
იბრაჰიმ თელლიოღლუ <b>საქართველოს ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული კვლევები თურქეთში</b> .....	65
შნა ბლუაშვილი <b>ძრთულ-გერმანულ-თურქული სამხედრო თანამშრომლობის მცდელობა პირველი მსოფლიო ომის წლებში</b> .....	86
ნედიმ ივმაძი <b>საქართველოს სოციალურ ისტორიაში თურქული წყაროების აღბილი და მნიშვნელობა</b> .....	106
რომან გოგოლაური <b>ძრთულ-კახეთ-ოსმალეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის 70-იან წლებში</b> .....	120
სერჟილ სურგელი <b>თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები (1920 წლის 23 ოქტომბრიდან დღემდე)</b> .....	139

თინა იველაშვილი რიტუალური თასი სოფელ საროღან .....	166
ენის შაკინო რუხეთში მოგზადარი რევოლუციების შემდეგ თურქულ-ქართული შრტიერთობები .....	180
მაკა კაჭკაჭიშვილი-გერიძე ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შესწავლისათვის .....	219
ალფასლან ჯეილანი ადრეული საშუალებების კულტურები საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე .....	237
თამარ მათიაშვილი კავთისხევის ციხიანობრას ანაბეჯდები თიხაზე .....	278
ვასილ მოსიაშვილი ბაბრატ IV-ისა და ალფ-არსლანის დიპლომატიური შრტიერთობის საკითხი „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით .....	299
როინ ყავრელიშვილი თურქეთის ისტორიასა და საქართველო-თურქეთის შრტიერთობებთან დაკავშირებული კვლევები საქართველოში .....	313

## BİLİMSEL İLİŞKİLER

Türk-Gürcü ilişkileri çok eskilere dayanır. Zaman zaman ilişkilerin seyri değişse de genel olarak bakıldığında olumlu olarak yürüdüğünü söylemek mümkündür. XX. yüzyılda belirlenen devlet sınırları Türk-Gürcü ilişkilerine son veremedi. 1991'den sonra bu sınırlar sadece sembolik hal aldılar. Dünyada yeni düzen, yeni bölgesel ve uluslararası ilişkiler kurulduktan sonra Türk-Gürcü ilişkilerinin geliştirilmesi çok değerli oldu. Bunun yolu iki komşunun birbirini çok iyi tanımasından geçer. Bana göre, çalıştığımız gelecek ortak çalışmalarımıza bir temel hazırlayacak ve buna doğru atılan büyük bir adım olarak kabul edilecektir. Çalıştığımızdan anlaşıldığı kadarıyla her iki tarafın niyeti, Akhalsikhe'de başlattığımız işin devam ettirilmesi ve benzeri etkinliklere gerek Türkiye'den, gerekse Gürcistan'dan daha fazla bilim adamının katılmasıdır.

Bu kitap ilk kez düzenlenen Türk-Gürcü ilişkileri üzerine yapılan çalıştayın bildiri kitabıdır. Çalıştaya Türkiye'yi temsilen Ondokuz Mayıs, Sakarya, İnönü, Atatürk ve Ardahan Üniversitelerinden gelen bilim adamları katıldılar. Organizasyon komitesinin kararına göre ele alınan her tarihi dönem için her iki taraftan birer bildiri hazırlandı. Sunulan bildirilerin konuları çok çeşitli ve ilgi çekici idi. Bildiriler Türkiye ve Gürcistan topraklarında eski çağ kültürlerini, Selçuklu-Gürcü ilişkilerini, son dönem Türk-Gürcü ilişkilerini, Türk-Gürcü dil ilişkilerini, Etnoğrafya konularını, Türkiye'de Gürcistan Tarihi ile Türk-Gürcü İlişkileri üzerine yapılan çalışmaların değerlendirilmesini, Gürcistan'da Türkiye Tarihi ile Türk-Gürcü ilişkileri üzerine yapılan çalışmaların tanıtmasını kapsıyordu.

Çalıştayı üç ayrı oturum halinde yapıldı. Meslektaşlar arasında yapılan soru-cevap kısmında tarafları ilgilendiren konular ele alındı. Buradan anlaşılana göre, gerek misafirler, gerekse ev sahipleri birbirinin tarihlerini çok iyi biliyorlardı. Bir çok konu üzerine ileri sürülen düşünceler örtüştü, tartışılan konular da oldu, sorular verildi ve cevaplar alındı.

Değerlendirme toplantısı planlandığından da fazla sürdü ve verimli sonuçlandı. Bilim adamları tarafından ortak bilimsel çalışmalara öncelik



tanındı. Bu çalışmaların planlanması için bir karara varıldı. Her iki tarafın bilimsel çalışmalarını tanıtmak için gereklilik duyuldu.

Tarihçiler olarak, sorumluluğumuz içerisinde Türk-Gürcü ilişkilerinin geliştirilmesine memnuniyetle katkı sağlarız. Bilim adamları tarafından bir sonuç bildirgesi hazırlanarak çalıştayın önemine ve devam edeceğine değinildi.

Prof. Dr. **Refik TURAN**  
Türk Tarih Kurumu Başkanı

## სამეცნიერო კონტაქტები

თურქულ-ქართულ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. დროდადრო ეს ურთიერთობები იცვლებოდა. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში მაინც პოზიტიურ ხასიათს ატარებდა. მეოცე საუკუნეში დადგენილმა თანამედროვე საზღვრებმა ვერ გაწყვიტა თურქულ-ქართული ურთიერთობები. ხოლო 1991 წლის შემდეგ ამ საზღვრებმა მხოლოდ სიმბოლური სახე მიიღო. მსოფლიოში ახალი წესრიგის, ახალი რეგიონული და საერთაშორისო კავშირების დამყარების პერიოდში თურქულ-ქართული ურთიერთობების განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს გზა ორი ახლო მეზობლის მხრიდან ერთმანეთის უკეთ გაცნობაზე გადის. ვფიქრობ, ჩვენმა სემინარმა ახალი საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ერთობლივ საქმიანობას. ამ მიმართულებით იგი დიდ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც გამოჩნდა, არის სურვილი, რომ ახალციხეში დაწყებულმა საქმემ უფრო ფართო მასშტაბი მიიღოს და მსგავს ღონისძიებებში ჩართონ მეცნიერთა ფართო წრეები როგორც თურქეთის, ასევე საქართველოს მხრიდან.

წინამდებარე წიგნი გახლავთ პირველად ისტორიაში ჩატარებული თურქულ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამინარის მონაწილეთა მიერ წაკითხულ მოხსენებათა კრებული. ჩვენს სემინარში თურქეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო ხუთი უნივერსიტეტი. მონაწილეობდნენ პროფესორები 19 მაისის, საქარიას, ათათურქის, ინონუს, არტაანის უნივერსიტეტებიდან. ორგანი-

ზატორთა გადაწყვეტილებით შერჩეულ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს მიეძღვნა თითო-თითო მოხსენება ორივე მხრიდან. მრავალფეროვანი და საინტერესო იყო მოხსენებათა თემატიკა. იგი ეხებოდა ადრეული საუკუნეების კულტურებს საქართველოს და თურქეთის ტერიტორიაზე, სელჩუკების დროინდელ თურქულ-ქართულ ურთიერთობებს, გვიანი შუა საუკუნეების თურქულ-ქართულ ურთიერთობებს, თურქულ-ქართული ენობრივი კონტაქტების შესწავლის ისტორიას, ეთნოგრაფიის საკითხებს, საქართველოს ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებულ კვლევებს თურქეთში, თურქეთსა და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებულ კვლევებს საქართველოში.

სემინარმა სამ სესიად იმუშავა. არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა დისკუსიის ნაწილი. გამოიკვეთა, რომ სტუმრებიცა და მასპინძლებიც კარგად იცნობდნენ ერთმანეთის ისტორიას, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის შეფასებისას აზრები დაემთხვა, წარმოჩინდა საკამათო თემებიც, დაისვა კითხვები. სემინარმა შეიძინა აქტუალური ხასიათი.

საინტერესო აღმოჩნდა შემაჯამებელი სხდომაც, რომელიც დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელდა. მეცნიერთათვის ყველაზე პრიორიტეტული აღმოჩნდა ერთობლივი კვლევების დაგეგმვა, რომელთა დაპროექტებაზე ორივე მხარე შეფთანხმდით. გამოიკვეთა ერთმანეთის სამეცნიერო საქმიანობის უკეთ გაცნობის აუცილებლობა.

როგორც ისტორიკოსები, მოხარული ვიქნებით, რომ ჩვენი პასუხისმგებლობით შევიტანოთ წვლილი თურქულ-ქართული ურთიერთობების განვითარების საქმეში.

საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის ფარგლებში მეცნიერებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, სადაც კიდევ ერთხელ გამოხატეს შეხვედრის მნიშვნელობა.

პროფესორი **რეზიდ თურანი,**  
თურქეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე

## ისტორიკოსთა საერთაშორისო სემინარი ახალციხეში

თურქეთის საისტორიო საზოგადოებისა და ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებული თანამშრომლობა, ქართველი და თურქი მეცნიერების პირველი წარმომადგენლობითი შეხვედრა საქართველოში, ერთმანეთის ნააზრევის გაცნობა, აზრთა გაზიარება, შთაბეჭდილებების გაცვლა, ჯანსაღი დისკუსია და კამათი, რაც მთავარია, ნდობის მოპოვება – ასეთი იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 21-24 აპრილს გამართული საერთაშორისო სამცხიერო სემინარის: „ქართულ-თურქული ურთიერთობები – ისტორია და თანამედროვეობა“, მიზანი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა მეცნიერების განვითარებას, რეგულარულად ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები როგორც საუნივერსიტეტო და რესპუბლიკური მნიშვნელობის, ისე საერთაშორისო მასშტაბისა. სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი თურქულ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო კონტაქტებს, რომელიც გარკვეულ პერიოდში შესუსტდა, მაგრამ, უკანასკნელ ხანს კვლავ სერიოზული ყურადღება დაეთმო. გააქტიურებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 2014 წლიდან, სტატუსის ამადლების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. მეცნიერება და კვლევა მისთვის აუცილებელ და ორგანულ კომპონენტად იქცა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო სემინარის ჩატარებას. ჩვენი ქვეყნების, საქართველოსა და თურქეთის ისტორიაში პირველად გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი. დღეს უნივერსიტეტები მხოლოდ ეროვნული, ადმინისტრაციული ნიშნით უკვე აღარ იმიჯნება. გავიხსენებთ 1999-2000-იან წლებს, როდესაც პირველ ნაბიჯებს ვდგამდით ამ კონტაქტებისათვის. როდესაც ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან გავაფორმეთ პირველი ხელშეკრულება და ორივე მხარემ პატიოსნად შევასრულეთ ხუთ-

წლიანი ვალდებულებები. ჩავატარეთ ორი სიმპოზიუმი, პირველი ყარსში და მეორე – ახალციხეში. შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ პირველი სიმპოზიუმის, ყარსი-ახალციხის კონფერენციის მასალები დაიბეჭდა ბილინგუური სახით. შრომების ეს კრებული გამორჩეული და განსაკუთრებულია იმით, რომ თურქი მეცნიერების შრომები წარმოდგენილია ქართულად და ქართველი მეცნიერებისა – თურქულად. ეს იყო მაშინდელი ჩვენი ურთიერთობების ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომ ერთმანეთი მესამე ენის გარეშე, ერთმანეთის ენაზე გაგვეცნო.

სემინარის მუშაობაში გამოიკვეთა ერთმანეთის სამეცნიერო საქმიანობის უკეთ გაცნობის აუცილებლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმ თემების გამოვლენა, რომელთა შესწავლა უნდა გაგრძელდეს. შეხვედრამ გვაჩვენა, რომ სემინარის მასშტაბების გაზრდა და თემატურად გაფართოებაა საჭირო. უნივერსიტეტი მზად არის, სამომავლოდ ორგანიზება გაუწიოს შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ისტორიკოსებთან ერთად ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ეკონომისტები და სხვა დარგის მკვლევრები. მნიშვნელოვანია სტუდენტთა – მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართვის პერსპექტივაც.

საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის ფარგლებში მეცნიერების მიერ მიიღებული დეკლარაცია კიდევ ერთხელ აფიქსირებს შეხვედრის მნიშვნელობას.

ვფიქრობთ, ქართველი და თურქი მეცნიერების პირველმა შეხვედრამ, რომელსაც შედარებით მოკრძალებული სახელი – სემინარი ეწოდა, კიდევ ერთ ფაქტს გაუსვა ხაზი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოჩნდა საკმარისი სამეცნიერო რესურსი, რომ ღირსეული მასპინძლობა გაეწია თურქეთის რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორისათვის. უნივერსიტეტში არსებობს მასშტაბების გაფართოებისა და ურთიერთობების გაღრმავების მზაობა. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის. ეს ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელებაა იმ მისიისა, რომლის შესასრულებლადაც 26 წლის წინ მესხეთში გაიხსნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, მოგვიანებით კი ჯავახეთის ფილიალი.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში, არნახული ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, ამავდროულად პოლიტიკურად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, კიდევ უფრო ფასდება ურთიერთობები, მათ შორის სამეცნიერო კონტაქტები.

პროფესორი **მერაბ ზერიძე**  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

## **AKHALTSIKHE'DE TARİHÇİLERİN ULUSLARARASI ÇALIŞTAYI**

21-24 Nisan 2016'da Samtskhe-Javakheti Devlet Üniversitesi'nde Türk Tarih Kurumu ile üniversitemiz arasında gerçekleşen ve başarıyla tamamlanan "Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık" adlı uluslararası bilimsel çalıştayımız, Gürcistan'da seçkin Gürcü ve Türk bilim adamlarının bir araya getirilmesi ile fikir teatisini, birbirini tanımalarını, gerekli konular üzerine tartışmalarını, en önemlisi de her iki taraf arasında güvenin sağlanmasını amaçlamıştı.

Samtskhe-Javakheti Devlet Üniversitesi tarafından kurulduğu ilk yıllarından itibaren bilimin geliştirmesine önem verilmektedir. Fakülte-lerce düzenli olarak gerek milli, gerekse uluslararası düzeyde sempozyum ve konferanslar gerçekleştirilmektedir. 1990'da üniversitemiz ve Türkiye üniversiteleri arasında işbirliği protokolleri imzalandı. Daha sonraki yıllarda bu ilişkiler yavaşladı. Ancak, son dönemde yeniden canlandı ve fazlasıyla ciddiye alındı. Bunda en büyük etken 2014'ten itibaren üniversitemizde doktora programların açılması oldu. Bundan sonra üniversitemiz için bilim ve bilimsel araştırmalara fazlasıyla dikkat çekildi ve bütünün bir parçası oldu.

Çalıştayıımızın önemli bir özelliği daha vardı. Bu, Gürcistan ve Türkiye tarihinde ilk defa tarih uzmanlarının ikili uluslararası çalıştay gerçekleştirmiş olmasıydı. Günümüzde üniversiteler tek bir ülkeye ve tek bir millete ait değildir. Bütün dünyada üniversitelerin uluslararasılaştırılması süreci başlatılmıştır. 1999-2000 yıllarına dönersek eğer, bu yıllarda Kars Kafkas Üniversitesi ve üniversitemiz arasında ikili ilişkiler düzeyinde ilk adımlar atıldı. Üniversitemiz arasında ilk ortaklaşa işbirliği protokolü imzalandı ve her iki taraf protokolün bütün maddelerini beş yıllık geçerlilik süresi içerisinde tamamen yerine getirebildi.

Üniversitelerimiz tarafından, birisi Kars'ta, diğeri ise Akhaltsikhe'de olmak üzere iki uluslararası sempozyum düzenlendi. Gururla belirtmek gerekiyor ki, yaptığımız ilk sempozyumun bildirimleri iki dilde; Gürcü bilim adamlarının bildirimleri Gürcüce ve Türkçe, Türk bilim adamlarının bildirimleri ise Türkçe ve Gürcüce olmak üzere basıldı. Ortak çalışmalarımızın esas prensibi, üçüncü bir dil kullanmadan birbirimizi tanımaktı.

Gerçekleştirdiğimiz bu çalışmada her iki taraf bilim adamlarının birbirlerini daha iyi tanımalarına gerek duyulduğu belli oldu ve ortaya konulan meseleler üzerine ortaklaşa çalışmaların devam ettirileceği anlaşıldı. Bu çalıştay, daha sonraki çalıştaylarımızın daha geniş ve tematik olarak çeşitli konular üzerine yapılmasının gerekli olduğunu gösterdi. Büyük bir memnuniyetle şunu da belirtmek isterim ki, önümüzdeki yıllarda da üniversitemiz dilbilimcilerin, edebiyatçıların, iktisatçıların ve bilimin diğer alanlarını araştıran uzmanların katılımıyla benzeri bilimsel toplantılara ev sahipliği yapmak için hazırdır. Ayrıca, benzeri toplantılar ile bilimsel araştırmalara lisans, yüksek lisans ve doktora öğrencilerinin dahil edilmesi de uygun görülmektedir.

Çalışmaya katılan bilim adamları tarafından çalıştay sonunda mutabık kalınan ortak beyanname bu çalıştayın ne kadar önemli olduğunun bir göstergesidir.

Düşünüyoruz ki, Samtskhe-Cavakheti Devlet Üniversitesi'nde Gürcü ve Türk bilim adamları tarafından gerçekleştirilen acizane çalıştayımız Türkiye'nin birkaç üniversitesinden bize misafir olan bilim adamlarına layık ev sahipliğini göstermiştir. Üniversitemiz benzeri ilişkilerin daha da artırması ve pekiştirilmesi için hazırdır. Tabi ki, bütün bu gayretler rastgele değildir. Bütün bunlar 26 yıl önce Meskheti'de açılan İvane Cavakhişvili Devlet Üniversitesi'nin "Akhaltsikhe", daha sonra ise "Cavakheti" Şubelerinin misyonunun mantıksal ve doğal devamıdır.

Günümüzde küreselleşen, hızla gelişen ve aynı zaman siyasi açıdan çabuk değişen dünyada bütün ilişkiler yanında bilimsel ilişkiler de özel değer taşımaktadır.

Prof. Dr. **Merab BERIDZE**  
Samteskhe-Cavakheti Devlet Üniversitesi Rektörü

## ULUSLARARASI ÇALIŞTAY

Kafkasya, tarihin en eski devirlerinden itibaren büyük uygarlıkların ortaya çıktığı bir yerdir. Aynı zamanda doğu ile batının buluşma noktasıdır. Helenistik dönemden itibaren doğuyu keşfetmeye çalışan batılıların ilk uğrak yeri Kafkasya olmuştur. Romalılar sınırlarını doğuya doğru geliştirmeye çalışınca Medlerle ve Perslerle en büyük mücadele alanlarından birisi yine Kafkasya'dır. O zamanlardan günümüze pek çok devletin hakimiyet altına almaya çalıştığı Kafkasya aynı zamanda İlk Çağ'dan itibaren pek çok farklı topluluğun bir arada yaşadığı yerdir. İlk Çağ tarihçileri ve coğrafyacıları Kafkasya'dan bahsederken söz birliği etmişçesine çok uluslu ve kültürlü bir bölge olduğuna özellikle vurgu yaparlar. Kafkasya'da tarihin çeşitli dönemlerinde birbiriyle münasebette bulunan topluluklar arasında Türkler ve Gürcüler de yer alır.

Türk-Gürcü ilişkileri dönemsel olarak bazı kırılmalar gösterse de genel itibariyle olumlu yönde seyretmiştir. Bugün de tarihi, kültürel, coğrafi, siyasî ve ekonomik sebepler iki toplum arasındaki dayanışmayı en üst seviyeye getirmiştir. İki ülke arasındaki sınırın sembolik bir hal aldığı günümüzde Türkiye, Gürcistan'ın dünyaya açılan kapısı haline gelmiştir. Gürcistan ise Türkiye'yi Orta Asya'ya bağlayan köprü konumundadır. Siyasî ve ekonomik işbirliğinin artmasına paralel olarak kültürel iletişimin de hızlanacağı ümidi çoğalmaktadır. Hal böyle olunca taraflar arasındaki ilişkinin tarihi gelişimini ortaya çıkarmak bilim çevrelerinin sorumluluğunu artırmaktadır. İşte bu sorumluluğa katkıda bulunmak isteyen Türk ve Gürcü bilim adamları, bir masanın etrafında bir araya gelerek Türk-Gürcü ilişkilerin tarihi derinliğini konuşmak üzere harekete geçti. Türk Tarih Kurumu ve Kafkasya Üniversiteler Birliği'nin desteği ve Samstke-Javakheti Devlet Üniversitesi'nin ev sahipliğinde düzenlenen I. Türk-Gürcü İlişkileri Çalıştayı'nda taraflar birbirlerine tarihî ve kültürel birikimlerini aktardılar.

I. Türk-Gürcü İlişkileri Çalıştayı'nın düzenlenmesinde büyük katkıları olan Türk Tarih Kurumu Başkanı Prof. Dr. Refik TURAN'a, Kafkasya Üniversiteler Birliği Başkanı Prof. Dr. Ramazan KORKMAZ'a, Samstke-Javakheti Üniversitesi Rektörü Prof. Dr. Merab BERIDZE'ye ve toplantımıza iştirak eden Türk ve Gürcü heyetlerindeki bilim adamlarına şükran borçluyuz. Ayrıca bu toplantının düzenlenmesinde ve bildirilerin kitap haline getirilmesinde büyük

emekleri olan düzenleme kurulundaki mesai arkadaşım Prof. Dr. Roin KAVRELİŞVİLİ'ye katkılarından dolayı teşekkür ederim.

Prof. Dr. İbrahim TELLİOĞLU  
Ondokuz Mayıs Üniversitesi  
Fen-Edebiyat Fakültesi Tarih Bölümü, SAMSUN.

### საერთაშორისო სემინარი

კავკასია, უძველესი დროიდან მოყოლებული, წარმოადგენს დიდი ცივილიზაციების წარმოშობის ადგილს. ასევე გახლავთ დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების გადაკვეთის არეალი. ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული დასავლელებმა აღმოსავლეთის შესწავლა კავკასიიდან დაიწყეს. რომაელებისთვის, რომლებიც აფართოებდნენ თავიანთ საზღვრებს აღმოსავლეთის მიმართულებით და ეწეოდნენ გრანდიოზულ ომებს მიდიელების და სპარსელების წინააღმდეგ, ერთ-ერთი საომარი მოედანი კავკასია იყო. კავკასია, იმ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, რომლის ხელში ჩასაგდებადაც უძველესი დროიდან ბევრი სახელმწიფო იბრძოდა, ასევე, წარმოადგენს სხვადასხვა ცივილიზაციების თანაცხოვრების ადგილს. უძველესი ისტორიის და გეოგრაფიის მკვლევარნი, როდესაც საუბრობენ კავკასიაზე, განსაკუთრებით ამ რეგიონის მრავალკულტურულობასა და მრავალფეროვნულობას უსვამენ ხაზს. კავკასიაში, ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, სხვა ხალხებთან ერთად, ურთიერთობდნენ, ასევე, თურქები და ქართველები.

თურქულ-ქართულ ურთიერთობები, ზოგიერთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ძირითადად პოზიტიურ ხასიათს ატარებდა. დღეს, ისტორიულმა, კულტურულმა, გეოგრაფიულმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა ორ საზოგადოებას შორის არსებული სოლიდარობის განმტკიცება განაპირობეს. ქვეყნებს შორის საზღვარმა სიმბოლური ხასიათი მიიღო, რამაც თურქეთი საქართველოსთვის მსოფლიოში გასასვლელ კარად აქცია. ხოლო, თურქეთისთვის საქართველო შუა აზიის დამაკავშირებელ ხიდად იქცა. პოლიტიკური და ეკონომიკუ-



რი ურთიერთობების ზრდის პარალელურად კულტურული ურთიერთობების გაზრდის იმედიც გაჩნდა. აქედან გამომდინარე, გაიზარდა სამეცნიერო საზოგადოების პასუხისმგებლობის საქმეც. რომელმაც უნდა წარმოაჩინოს მხარეთა ისტორიული ურთიერთობების სურათი. სწორედ, ასეთ საპასუხისმგებლო ურთიერთობებში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილით შეიკრიბნენ თურქი და ქართველი მეცნიერები თურქულ-ქართული ისტორიული ურთიერთობების სიღრმეებზე სასაუბროდ. თურქეთის საისტორიო საზოგადოების, კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის მხარდაჭერით და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასპინძლობით გამართულ სამეცნიერო სემინარზე მხარეებმა ერთმანეთს ისტორიის და კულტურის საკითხებზე საკუთარი ცოდნა გაუზიარეს.

თურქულ-ქართული ურთიერთობების პირველი სემინარის მხარდაჭერისთვის დიდ მადლობას ვუხდით თურქეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარეს პროფესორ რეფიკ თურანს, კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის თავმჯდომარეს პროფესორ რამაზან ქორქმაზს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ მერაბ ბერიძეს, სემინარის მონაწილე თურქ და ქართველ მეცნიერებს. ცალკე მადლობას ვუხდით ჩემს კოლეგას და საორგანიზაციო კომიტეტის წევრს პროფესორ როინ ყავრელიშვილს ამ სემინარის ორგანიზებასა და სემინარზე წაკითხული მოხსენებების შრომების კრებულად მომზადების საქმეში წვლილის შეტანისთვის.

**პროფესორი იბრაჰიმ თელლიოღლუ**

ცხრაშედი მათისის უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო და  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის  
განყოფილება, **სამსუნ**

# სოფელ უდის მოსახლეობა XVI საუკუნეში და ისტორიული წარწერა სოფელ უდიდან\*

პროფესორი მერაბ ბერიძე

## მოკლე შინაარსი

სოფელი უდე უძველესი სოფელია სამხრეთ საქართველოში. მისი სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება ყუდ ფუძეს სახლის, თავშესაფრის, საცხოვრებლის მნიშვნელობით. ოსმალური დოკუმენტის მიხედვით მე-16 საუკუნის ბოლოს სოფელში 135 კომლი ცხოვრობდა. მას ჰქონდა ციხე და რაბათი. მისი მოსახლეობა ქრისტიანი ქართველებისგან შედგებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში უდეში აშენდა დიდი ქრისტიანული ტაძარი, რომელსაც აქვს ორი წარწერა:

1. 1901წ. აღშენდა 1909წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ ქართველებმა უდის 272 მოსახლე. კათოლიკეებმა.

2. უდეს არის კათოლიკეები 2120 სული, მაშენებელნი ამა საყდრის. მაჰმადიანები 520 სული, ორივე ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო, შენ გწირამთ ჩვენ შრომას.

წარწერა-დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო ნაწილი არის მაჰმადიანი, მაგრამ როგორც კათოლიკენი ისე მაჰმადიანნი არიან ქართველები. თვითონ ფაქტი არის უპრეცედენტო, როდესაც ქრისტიანებთან ერთად ქრისტიანულ ტაძარს აშენებენ მაჰმადიანები, ეს არის თანაცხოვრების, ტოლერანტობის შესანიშნავი მაგალითი.

მოხდა სამწუხარო ფაქტი. საბჭოთა პერიოდში, 1944 წელს, სოფლიდან გაასახლეს მუსლიმი მოსახლეობა როგორც თურქები.

**საკვანძო სიტყვები:** სოფელი უდე, სამხრეთი საქართველო, ისტორიული წარწერა. მაჰმადიანები, ქრისტიანები.

---

\* საკითხთან დაკავშირებით იხილეთ წიგნი „ტაძრები და სახელები“, თბ., 2010, გვ. 216-227 და ჟურნალი „არავი“, №9, ახალციხე, 2016, გვ. 125-130.

## XVI. ASIRDA UDE KÖYÜ AHALİSİ VE TARİHİ YAZITLARI

Prof. Dr. Merab BERİDZE

### ÖZ

Ude köyü Güney Gürcistan'da bulunan eski köylerden biridir. Köyün isminin etimolojisi "kud" kökünden türemiş ve bina, konut, dam anlamına gelmektedir. Osmanlı tahrir defterine göre 16. y.y. sonunda bu köyde 135 hanenin oturduğu belli olmaktadır. Köyde kale ve kale önü (rabat kısmı) vardı.

20. y.y. başlarında Ude köyünde inşa edilen büyük bir kilise üzerinde aşağıda belirtilen iki yazıt bulunmaktadır:

**1. 1909 yılında Samtshe-Saatabago'nun Katolik Meskh Gürcüleri olan Ude'nin 27 sakini tarafından inşa edilmiştir.**

**2. Ude'de bu kiliseyi inşa eden 2120 kişi Katolik ve 520 kişi müslüman oturuyor. Her ikisi de Gürcü kökenlidir. Meryem Ana, emeğimizi sana başlıyoruz.**

Yukarıdaki yazıtlardan anlaşıldığına göre, köyün ahalisinin çoğu Hıristiyan, bir kısmı da Müslümandır. Ancak gerek Hıristiyanlar, gerekse Müslümanlar Gürcü kökenlilerdir. Her iki tebaa tarafından, yani Hıristiyanlarla müslümanlar tarafından, bir kilisenin yapılması ortak yaşamın ve hoşgörünün eşi görülmemiş fevkalade bir örneğidir.

Maalesef, SSCB döneminde, 1944'te köyün müslüman ahalisinin Türk olarak algılanıp çok farklı coğrafyalara sürülmesi gibi acı olaylara şahit olunmuştur .

**Anahtar Kelimeler:** Ude Köyü, Güney Gürcistan, Tarihi Yazıtlar, Müslümanlar, Hıristiyanlar.

## UDE VILLAGE HISTORICAL SCRIPTS

Prof. Merab BERİDZE

### ABSTRACT

Ude village is one of the oldest villages in North Georgia. The etymology of the village derives from the word "kud", which means construction, building or roof. According to the Tahrir Defteri (Book

Records) of the Ottomans, 135 families were settled in the village at the time. There was also a castle and the castle entrance in the village.

On the church built in Ude village at the beginning of the 20th century, there are two scrips as below:

**1. This church was built in 1909 by 27 settlers of Ude village, all of whom were Samtshe-Saatabago's Catholic Meskh Georgians.**

**2. In Ude, there were 2120 Catholic people, who built this church, and 529 Moslem settlers. All the residents were Georgians. Mother Mary, we offer all our efforts to you.**

The inscription-document informs us that the majority of the rural population is Christian and part of them are the Muslim, but Catholics and Muslims are Georgians. The fact is itself unprecedented, When they built The church. This is a great example of coexistence and tolerance.

A sad fact occurred. During Soviet times in 1944 The Muslim population was evicted from the village as the Turks.

**Key-Words:** Ude Village, South Georgia, Historical Scripts, Muslims, Christians.

უდე ერთ-ერთი ძველი სახლთაგანია სამხრეთ საქართველოში. სახელი უკავშირდება **ყუდ** ფუძეს სახლის, თავშესაფარის, საცხოვრებლის მნიშვნელობას (ბერიძე, 2008: 138-139). ამ სოფელში მოსახლეობა უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ მცხოვრებთა ყველაზე ძველი ჩამონათვალი, აღწერა, ეკუთვნის მე-16 საუკუნეს, როდესაც ოსმალებმა შექმნა საგადასახადო დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. 1595 წელს უდეში 135 კომლი ცხოვრობს. იმდროისათვის საკმაოდ დიდ სოფლად ითვლება ამ ტიპის დასახლება. უდეს ჰქონდა ციხე და მისი რაბათი (ბერიძე, 2010: 216). დიდ სოფელს დიდი ტრადიციები აქვს. როდესაც ოსმალებმა იგი აირჩიეს „ნაჰიეს“ ცენტრად და მას დაუქვემდებარეს გარშემო ბევრი სოფელი, ამით გააგრძელეს ქართული ადმინისტრაციული ტრადიცია.

XVI საუკუნეში შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით უდე არის ნაჰიეს ცენტრი. უდეში ცხოვრება ნიშნავდა უდის ციხის რაბათში ცხოვრებას. ჩვენთვის ცნობილნი არიან ის ადამიანები, ვინც გადასახადს იხ-

დიდნენ. ოჯახის უფროსები მოხსენებულნი არიან სახელითა და მამის სახელით, ამიტომ შეგვიძლია, წარმოდგენა შევიქმნათ, თუ ვინ ცხოვრობდა მაშინდელ უღეში, რა ერქვათ მათ, როგორი სახელები იყო მაშინ მოდაში და სხვა.

უღეში საკუთარ სახელად გვხვდება **ზურაბი**.

ხ. ჭუმბურიძე წერს, რომ „ზურაბ (ქართლში დამკვიდრებული ფორმაა სპარსული სახელისა (სურხაბ//სუხრაბ), რომელიც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „წითელი წყალი“, მაგრამ ძველად ის ნიშნავდა აგრეთვე წითლად მოღვარე ძვირფას ქვას – ლალს. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად ადამიანის სახელს. ზურაბი ერქვა ლეგენდარული ირანელი გმირის როსტომის ვაჟს. იგი ჩვენში ფართოდ გავრცელდა „შაჰ-ნამეს“ სხვა გმირთა სახელების მსგავსად. მისი კნინობითი ფორმაა: ზურაბა, ზურა, ზურია, ზურიკო. აქედანაა გვარები **ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი, ზურაშვილი, ზურიკაშვილი, ზურაბიანი, ზურაბაული**” (ჭუმბურიძე, 2003: 159-160).

ახალგაზრდებში გავრცელებული სახელია გიორგის მოფერებითი ფორმა **გოგინა: გოგინა** მოღურავის ძე. მაზანა ბუდახას ძეს ჰყავს შვილი **გოგინა**. ერთი **გოგინა** არის სინანას ძე, ხოლო ერთის მამას შავთვალა რქმევი (შდრ. მესხეთში გავრცელებული გვარი შავთვალაძე და მისი თურქული კალკისაგან მომდინარე გვარი ყარაგვეზაშვილი). სინანას ისე ჰყვარებია ეს სახელი, რომ მეორე შვილისთვისაც **გოგინა** დაურქმევი.

გოგინა საერთოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში, რასაც ადასტურებს მისგან მიღებული გვარები: **გოგინაიშვილი, გოგინაშვილი, გოგინაძე, გოგინიძე**.

ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებად ახლო ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები: მამა, პაპა, ძმა, ბიძა და ა.შ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პაპა, რომლისგანაც სამი სუფიქსის დართვით სამი სხვადასხვა სახელი გვაქვს მიღებული. ფირალი უსარის ძეს ჰყავს შვილი **პაპუნა**, რომელიც გაფორმებულია -უნ-ა სუფიქსებით. პაპუნა მთელ საქართველოში გავრცელებული სახელი იყო, რამაც მოგვცა გვარი **პაპუნაშვილი**. იყო მეორე **პაპუნა**, რომლის მამასაც ჯირო ერქვა. როსტევან ტატიკის ძეს ჰყავდა შვილი **პაპუნა**.

ზუბელ კვინიკასძეს ჰყავდა ძმა პაპუნა. ერთისთვის დაურქმე-  
ვიათ **პაპუ**, რომელიც ან პაპუნას შემოკლებული ვარიანტია,  
ან ცალკე სუფიქსია -უ ისევე, როგორც **ბათუ**, **ბუდუ** და  
სხვა სახელებში. **ყანდუას** კი თავისი სახელისათვის დაუმს-  
გავსებია შვილის სახელი და მისთვის **პაპუა** დაურქმევია,  
ისევე როგორც მეორე ყანდუას ჰყოლია ძმა **პაპუ**.

არანაკლებ პოპულარულია მამასთან დაკავშირებული  
საკუთარი სახელი **მამუკა**. იგი გაფორმებულია -უკ-ა სუფიქ-  
სებით. მიჰრანს შვილისთვის დაურქმევია **მამუკა**. მირაზისის  
შვილიშვილს ჰყოლია შვილი **მამუკა**. ასევე შაჰყულას, რომ-  
ლის შვილის სახელიც ამოუკითხავია, ჰყავდა შვილიშვილი  
**მამუკა**. ამ საკუთარი სახელიდან მიღებულია მესხეთში გაფ-  
რცელებული გვარი მამუკაშვილი. შესაძლებელია თვით უდე-  
ში არსებული გვარი მამუკაშვილი მოდიოდეს რომელიმე იმ  
მამუკათაგან, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ.

ღმერთისადმი მიძღვნილი სახელის მატარებელ ერთ  
უდელს, რომელსაც **უფლისა** ერქვა, შვილისთვის დაურქმევია  
**უდულა**. უფლისა ცნობილი სახელია ქართულ ანთროპონიმი-  
კაში. მისგან მოდის გვარი **უფლისაშვილი**, მაგრამ ამ სახე-  
ლის მატარებელმა კაცმა შვილს „მოდური“ აღმოსავლური  
სახელი დაარქვა, თუმცა ქართულ ენობრივ სტრუქტურაში  
მანც მოაქცია და იგი გააფორმა -ა ანთროპომარმობე-  
ლით. ახლო ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმი-  
ნია **ბიძა**, რომელსაც დართული აქვს კინობითობის მწარმო-  
ებელი -ინ-ა და ვლებულობთ საკუთარ სახელს – **ბიძინა**. ეს  
სახელი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული, დღესაც  
არქმევენ ბავშვებს. უდეში ცხოვრობდა ერთი **ბიძინა**, რომ-  
ლის მამისა და პაპის სახელი ამოუკითხავია.

მცენარეთა სახელები შეიძლება შერქმეოდა ადამიანს. ამ  
სახელებიდან ჩვენამდე მოაღწია გვარებმა. მართალია, დღეს  
ადარავინ არქმევს ბავშვს მსხალას, მუხას და სხვა ამგვარ  
სახელებს, მაგრამ ამ სახელთაგან მიღებული გვარები გვა-  
ფიქრებინებს, რომ იყო დრო, როდესაც ასეთი ტიპის სახე-  
ლები ერქმეოდა ადამიანებს. დღეს გავრცელებული გვარები:  
**მსხალაია**, **მსხალაძე**, **მსხალია** (სილაგაძე, თოთაძე, 1997: 145)  
გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ **მსხალა** ადამიანის საკუ-  
თარი სახელი იყო. ასევე გვარების: **მუხაშვილი**, **მუხაძე**, **მუ-**

**ხიაშილის** ამოსავალია საკუთარი სახელი მუხა, რომელიც გვარის დამდებს ერქვა.

უდემი გვყავდა ორი **კაკალა**, რომელთაგან ერთის მამის სახელი არ ვიცით, რადგან ამოუკითხავია, და მეორე იყო **სარგიზის ძე-კაკალა** საქართველოში გავრცელებული სახელი იყო. მისგან მიღებულია გვარები: **კაკალაშილი**, **კაკალაძე**, **კაკალია**, **კაკალიაშილი**, ერთს რუსული დაბოლოებით გადაუკეთებია კიდევ ეს გვარი და კაკალოვი უწერია (სილაგაძე, თოთაძე, 1997: 102).

კაკალამ მოგვცა შემოკლებული ვარიანტი **კაკა**, რომელიც ფრიად გავრცელებული სახელით იყო იმდროინდელ მესხეთში, მაგრამ უდემი მხოლოდ ერთი კაკა ცხოვრობდა, ეს იყო ყანდუა ყარაოღლანის ძის ძმა **კაკა**. **კაკა** გვხვდება საკუთარ სახელად უკვე „ტბეთის სულთა მატთანეში“ (ენუქიძე, 1977: 296).

კაკა ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება ტოპონიმებში. ასპინძაში არის **კაკაველი** (მინდორი, მტკვრის მარცხენა ნაპირი მტკვარსა და ვარნეთს შორის); **კაკაწყარო** (წყარო, ნასოფლარ ღობიეთში, აფნიასა და გოგაშენში) **კაკაური** (ნავენახარი ხიზაბავრაში) (ბერიძე, 1992: 66).

„კაკა საკუთარი სახელი უნდა იგულისხმებოდეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ხიდის სახელწოდებაში – **„კაკას ვიდი“**. ამ ტოპონიმში **კაკა** საკუთარი სახელი უნდა იყოს (ბერიძე, 1992: 66).

კაკა -უნ-ა სუფიქსებითაც გვხვდება გაფორმებული. ორი **კაკუნა** ცხოვრობდა უდემი: ზერეკ მუქაფისძეს ჰყოლია ძმა **კაკუნა** და **კაკუნა** ვართიას ძე.

ტრადიციული ქრისტიანული სახელებიდან, რომლებიც ქართველ მეფეებსაც ერქვათ და, ბუნებრივია, მესხეთშიც იყო გავრცელებული, გვხვდება დავითი. ყუზან ასითასძეს ჰყავდა „**დავით** ძმა მისი“. დავითისგან გვაქვს მიღებული მისი კნინობითი ფორმა **დათუნა**, რომელიც ყუზანისძეა. ორი გიორგი იყო: ერთი - ზურაბის ძმა და მეორე - **ბაქარ შაჰისძე**. გიორგის მოფერებითი ფორმით მიღებულია უკვე ზემოთ დასახელებული რამდენიმე **გოგინა** და გოგინა, რომლის მამის სახელიც ამოუკითხავია.

მესხეთში ოდიტგანვე გავრცელებული იყო სახელი მანვე-ლი, რომლისგანაც გვაქვს მიღებული გვარები: **მანველიშვილი, მანველაშვილი, მანველიძე, მანველიძე** (მაისურაძე, 1990: 101).

უღუღა უფლისასძეს ძმა ჰყავს, რომელსაც **ვასილი** ჰქვია (ბერძნ.) „სამეფო“, „მეფისა“. მესხეთში ეს სახელი ძირითადად „ბასილის“ სახით გვხვდება დღევანდლამდე. თუმცა ბოლოს „ვასილიძე“ გაიმარჯვა. ბასილისა და ვასილის ურთიერთობაზე ზ.ჭუმბურიძე წერს: „ამჟამად უფრო გავრცელებული ფორმა ამ სახელისა არის **ვასილ**. ბ და ვ ბგერები თვით ბერძნულშიც მონაცვლეობდა. ზოგმა ენამ (მათ შორის ქართულმა) ისესხა უფრო ადრინდელი ფორმა, სადაც ბ არის დაცული, ზოგ ენაში კი (მაგალითად, რუსულში) გადაიღეს ვინ-იანი ფორმა. ამიტომ გვაქვს ქართულში ბასილი (ისევე როგორც ბესარიონ, ბიქტორ, იობ, საბა და ა.შ.), რუსულში კი ვასილი (ისევე როგორც ვისარიონ, ვიქტორი, იოვ, სავა). ამჟამად გვაქვს პარალელური ფორმები: **ბასილ** და **ვასილ**, **ბიქტორ** და **ვიქტორ**. უფრო ძველი **ბასილისაგან** მიღებულია გვარები: **ბასილაძე, ბასილაშვილი, ბასილია**. ვასილისაგან კი ქართული გვარი არ იწარმოება” (ჭუმბურიძე, 2002:133). როგორც უღეში მცხოვრები ვასილის მაგალითი გვიჩვენებს, ვასილისა და ბასილის ბრძოლა მესხეთში ადრევე დაწყებულია და იგი ერთ-ერთი ყველაზე ძველი „ვასილია“.

ბერძნული, თურქული, ებრაული, არაბული, სპარსული სახელების გვერდით შემოსულია სომხური სახელები: **ტერაკოფი** არის **აზარიასძე, ასვატურ აღდარისძეს** ჰყავს ძმა **ხანატური**, ხოლო ტერაკოფის ძმა არის ანანია, გავრცელებული სახელი როგორც სომხურ ანთროპონიმიაში, ისე - ქართულში. ორივე ენაში არის ამ სახელისაგან მიღებული გვარები **ანანიაშვილი, ანანიძე** და **ანანიანი**. ანანია ბერძნული სახელია და ნიშნავს „მადლი უფლისა“, „შემწეობა უფლისა“ (ჭუმბურიძე, 2003:125). იყო სხვა ანანიაც, გრიგოლ ზატიკას ძეს ჰყავდა შვილი აზარა და ძმა **ანანია**.

კიდევ ერთი წმინდანის სახელზე უნდა შევჩერდეთ. ეს არის მატათა, მატათია, რომელიც იყო წმ. მოციქული, ერთ-ერთი „თორმეტგანანი“. საეკლესიო და საისტორიო ტრადიციით მატათამ იქადაგა საქართველოში, იმოგზაურა ანდრია მოციქულთან ერთად. ზოგი ვერსიით, აღესრულა კოლხეთში.



უდგეში უცხოვრია ორ **მათათას**. ფეიქრობთ, მათი სახელის ამოსავალი ფორმა არის მატათა. მომდევნო თ-ს გავლენით მოხდა ყრუ მკვეთრი ბგერის გაფშვინვიერება. ერთი მათათა იმდენად ცნობილი პიროვნება ყოფილა უდგეში, რომ მის შვილიშვილს მხოლოდ შვილიშვილობით მოიხსენიებენ და საკუთარი სახელით არა. მეორე **მათათას** ჰყოლია შვილი **ნურაზიზი**.

ქართული ანთროპონიმის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უდის საკუთარი სახელები. უმრავლესობა ამ სახელებისა სათავეს უდებს ქართულ გვარებს. ეს გვარები დღეს მთელ საქართველოშია მიმოფანტული.

ქრისტიანული, მუსლიმური, წარმართული სახელები შემოდირდა ენაში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებით აისახა მის ანთროპონიმიაში, რაც კიდევ ერთხელ კარგად ჩანს უდის მაგალითზე. ქართველი კაცი დანარჩენ მსოფლიოსთან თავის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს ონომასტიკური არსენალით, ამიტომ საინტერესოდ გვეჩვენება იმ სახელების ჩამოთვლა, რომელთაც შესაბამისი გვარები მოგვცეს ქართულ სინამდვილეში.

**აზარა** – აზარაშვილი, აზარიაშვილი; **ალადანი** – ალადაშვილი, ალადოშვილი; **ამირან** – ამირანაშვილი; **ამონ** – ამონიშვილი, ამონაშვილი; **ანანა** – ანანანიაშვილი, ანანიძე; **ანტონ** – ანტონაშვილი; **ადღომელ** – ადღომელაშვილი, ადღომელაძე; **ბაინდურ** – ბაინდურაშვილი, ბაინდურაძე; **ბარათა** – ბარათაშვილი; **ბატატა** – ბატუტაშვილი, ბატატუნაშვილი; **ბენა** – ბენაშვილი, ბენია, ბენიაძე; **ბიძინა** – ბიძინაშვილი; **ბუდასა** – ბუდადაშვილი; **გელაზარ** – გელაზარაშვილი; **გიორგი** – გიორგიშვილი, გიორგიძე; **გრიგოლ** – გრიგოლაშვილი, გრიგოლია; **გოგინა** – გოგინაშვილი, გოგინაძე; **გოგინა** – გოგინაშვილი, გოგინაშვილი; **გულაბა** – გულაბაშვილი, გულბანი; **დავით** – დავითაშვილი, დავითაია, დავითაძე; **დათუნა** – დათუნაშვილი; **დეკანოზი** – დეკანოზიშვილი, დეკანოზიძე; **დემეტრე** – დემეტრაშვილი, დემეტრაძე; **ელია** – ელიაშვილი, ელიავა; **ვარძელი** – ვარძელაშვილი, ვარძელიშვილი; **ბასილ** – ბასილაშვილი, ბასილია, ბასილიაია; **ზაქარა** – ზაქარიაძე, ზაქარეიშვილი, ზაქარაია; **ზერეკ** – ზერეკაძე; **ზოსიმე** – ზოსიძე, ზოსიშვილი; **ზოტიკი** – ზო-

ტიკაშვილი; **ზუბელ** – ზუბელაშვილი, ზუბელაშვილი; **ზურაბ** – ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი; **იაკობ** – იაკობიძე, იაკობაშვილი; **ილარიონი** – ილაშვილი, ილარიონი (გვარი), ილარიშვილი; **კაკა** – კაკიაშვილი, კაკაშვილი; **კაკალა** – კაკალაშვილი, კაკულია; **კაკუნა** – კაკონაშვილი, კაკოშაძე; **კვინიკა** – კვინიკაძე; **მაზანა** – მაზანაშვილი, მაზანიშვილი, მაზაშვილი; **მამუკა** – მამუკაძე, მამუკაშვილი; **მანველ** – მანველიშვილი, მანველაშვილი; **მანასე** – მანასაშვილი, მანასეშვილი; **მასურ** – მასურაშვილი, მასურაძე; **მიძრან** – მირიანაშვილი; **მურად** – მურადაშვილი; **მურვან** – მურვანიშვილი, მურვანიძე; **მღვდელი** – მღვდელიძე, მღვდელაძე; **ნათენა** – ნათენაძე, ნათენაშვილი; **ოთარა** – ოთარაშვილი; **პაპუ** – პაპუნაშვილი; **პაპუნა** – პაპუნაშვილი, პაპიძე, პაპუკაშვილი; **როსტევან** – როსტევანიშვილი; **საგინა** – საგინაძე, საგინაშვილი; **სიმონ** – სიმონაშვილი, სიმონია; **სინანა** – სინანაშვილი, სინაძე; **ტატიკა** – ტატიკაშვილი, ტატიკაძე; **უფლისა** – უფლისაშვილი; **ფირალი** – ფირალიშვილი, ფირალაშვილი; **ქიტესა** – ქიტესაშვილი; **ქრისტესა** – ქრისტესაშვილი, ქრისტესიშვილი; **ღარიბა** – ღარიბაშვილი, ღარიბაძე; **ყაზა** – ყაზაშვილი; **ყადუა** – ყადიძე; **ყანდუა** – ყანდუაშვილი; **ყარა** – ყარაშვილი, ყარაძე; **შავთვალა** – შავთვალაძე; **შაყულა** – შაყულაშვილი; **შერგელ** – შერგილაშვილი; **ჭანი** – ჭანიშვილი, ჭანიძე; **ხახუტა** – ხახუტაშვილი, ხახუტაძე; **ხოჯა** – ხოჯავა, ხოჯაშვილი.

ნაწილი სახელებისა ისეთია, რომელთაც შეიძლება არ აღმოაჩნდეთ შესაბამისი ქართული გვარები, ან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით არ იძებნება, რაც განპირობებულია ან შესაძარებელი მასალის სიმცირით, ან იმით, რომ ეს სახელები ძირითადად აღმოსავლურ-მაჰმადიანურ სამყაროდან არის და ისინი გარკვეული პერიოდის შემდეგ გადის მოდიდან, ამიტომ თუ მანამდე ვერ შექმნეს გვარები, შემდეგ უკვე აღარ არქმევენ მათ ბავშვებს, რომ მათგან შეიქმნას გვარები. ეს სახელებია: როსაფ, უსარ, ყუბად, **იონა**, მირარსლან, გრამტან, ბადირხან, იმარინდო, დოვლათიარ, ასითა, მიქენდერ, ყუზან, ვართია, მასურ, სალა, ნუქაფ, ასვატურ, **საგი (საბა?)**, იოსაფ, ყარაოღლან, შირინ, ბადუნა, ყალამი, ნარინბეგ, აღლამ, ისქენდერ, უღულა, ბაქარშაჰი, შაჰ-მირანი, ტერაკოფ, მოღურავი, ბუდახა, ნურაზიზ, მათათა, **იო-**

**სიტა**, ნურად, ემანეთი, მირაზიზ, შაჰყუბად, აღდარ, ხანატურ, სარგიზ, ატოლი, **სატალა**.

ჩამოთვლილთაგან **იონა**, რომელიც ძვ. ბერძნული სიტყვიდან მოდის და „მტრედს“ ნიშნავს, ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია, სახარების უძველეს, ხანმეტ ძეგლებში გვხვდება. გვარი იონაშიელი გვქონდა და დღეს აღარ დასტურდება (ჭუმბურიძე, 2003: 169).

უღეში დადასტურებული სახელი **სადა** შეიძლება **საღარას** შემოკლებული ვარიანტიცაა. ეს ფორმა კი სათავეს უდებს გვარებს: **საღარაძე**, **საღარაშიელი**, **საღარეშიელი** და დასტურდება ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში (დლონტი, 1986: 185), სახელმწიფო არქივში დადასტურებული ფორმა **ნუქიფი** და უღელი **ნუქაფი** ერთი სახელისანი ჩანან (დლონტი, 1986: 172), ასევე გვხვდება ისტორიულ საბუთებში **ნურალი** (დლონტი, 1986: 172) და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ამგვარად, XVI საუკუნის უღეში მცხოვრებთა ანთროპონიმია ქართულია. თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით ბევრი სახელი, რომელიც შემოსულია მესხურ დიალექტში და სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა აქვს, მოდურია მაშინდელ მცხოვრებთა შორის. ქართულს გარდა აღმოსავლური და ქრისტიანული სახელები გავრცელებული იყო დანარჩენ საქართველოშიც, რასაც ადასტურებს ამ სახელთაგან ქართული გვარების შექმნა.

მესხეთი ყოველთვის გამოირჩეოდა კონფენსიური სიტყვით, რის მაგალითიც არის სწორედ ეს სოფელი. მასში ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი, კათოლიკე და მუსლიმი ქართველები. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თანაცხოვრების იმ შესანიშნავ მაგალითზე, რითაც გამორჩეულია სოფელი უღე.

ქართველთა გამუსლიმება მესხეთში ძირითადად XVIII-XIX საუკუნის დასაწყისში ხდება. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ მხოლოდ მაღალ წრეს აქვს მიღებული მაჰმადიანობა. კონფესური სიახლეები ძირითადად ეკონომიკურ ნიადაგზე ხდებოდა. მაღალ წრეს, რომელსაც პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა და იყო მიწის მფლობელი, ბევრი ჰქონდა დასაკარგი, რის გამოც ხშირად დამპყრობლის

ნებას დაჰყვებოდა და ასრულებდა მის ძირითად მოთხოვნას, იცვლიდა სარწმუნოებას, ამით იგი არა მხოლოდ ინარჩუნებდა მდგომარეობას, ხშირად იუმჯობესებდა კიდევ და თავისუფლდებოდა გადასახადისაგან.

ხდებოდა საწინააღმდეგო პროცესიც, როდესაც დიდ დაწოლას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვებოდა და თუ ოსმალთა მიერ დაწესებულ უმძიმეს გადასახადს ვერ უძლებდა, განსაკუთრებით აქაური გლეხი, აიყრებოდა და საქართველოს სხვა კუთხეში გადასახლდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სამ ძმათაგან ორი შეიცვლიდა სარწმუნოებას, რომ მესამე მაინც „შეენახათ“, ერთად გადაეხადათ მესამის გადასახადები, რომ იგი ქრისტიანად დარჩენილიყო. ამიტომაც, რომ ბიძაშვილობა გვართავც გრძელდებოდა. ერთი და იმავე გვარის კაცები, ძმები, იყვნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. ქართულ ტრადიციას, სისხლით ნათესაობას დედისა და მამის მხრიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მუსლიმთა მეხსიერებაში დიდ ხანს რჩებოდა სსოვნა თავიანთი წინაპრებისა, წარმოშობისა. ამას ემატებოდა აკრძალვა, რომლის მიხედვით არ შეიძლებოდა ქორწინება ბიძაშვილებსა და დეიდაშვილებს შორის არც კათოლიკეებში და არც მუსლიმებში. გრძელდებოდა ქართული მართლმადიდებელი ტრადიცია.


ეს ყველაფერი კარგად დასტურდება დოკუმენტურად. ჩვენ მიერ დასახელებული „დავთარი“, რომელიც ოსმალების მიერ არის შედგენილი კარგად ასახავს არა მხოლოდ უდის, არამედ მთელი მაშინდელი ოსმალეთის გურჯისტანის – სამცხის, ჯავახეთის და არტაანის ეროვნულ-ეთნიკურ შემადგენლობას. მაშინდელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართულია, არიან მცირედ სომეხნი და დაწყებულია სარწმუნოების ნიადაგზე ოსმალური სახელების გაჩენა.

რადიკალურად იცვლება სიტუაცია XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის მიერ გათავისუფლებულ მაშინდელ მესხეთში თითქოს უნდა შეწყვეტილიყო ქართველთა სარწმუნოების შეცვლა, მაგრამ სინამდვილეში ხდება პირიქით, რუსეთმა თავისი აღწერებით არა მხოლოდ დააკანონა ისლამიზაციის პროცესი, არამედ ბევრი რამ დააჩქარა და შეუქცევადი გახადა.

ბევრი სოფელი, რომელთაც აღწერს რუსეთი XIX საუკუნის სამოციან წლებში, დასახლებულია მაჰმადიანი ქართველებით, რომლებიც საუკუნის ბოლოს ფიქსირდებიან ახალ აღწერებში როგორც თათრები და XX საუკუნეში ხდებიან თურქები. კიდევ უფრო უარესდება მდგომარეობა, როდესაც XX საუკუნეში, კერძოდ, 1944 წელს, სამცხე-ჯავახეთიდან ასახლებენ ხალხს, რომელთა დიდ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ენა და გვარი, როგორც თურქებს. ოფიციალურად არც ერთი ქართველი არ გაუსახლება საბჭოთა კავშირს, ყველა მუსლიმი ქართველი აქციეს თურქად და ისე გაასახლეს. ეს იყო დეპორტირებული ხალხის არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილი, ტრაგედია, არამედ მათი სულის ამოგლეჯა, გენეტიკის გაბუნდოვნება და საკუთარ ფესვებთან დაბრუნების პერსპექტივის მოსპობა. საბჭოთა კავშირი აგრძელებს მეფის რუსეთის დაწყებულ საქმეს. რუსეთს ყოველთვის ხელს აძლევდა, რომ დასუსტებულიყო საქართველო, რომელის სიძლიერეს მუდამ განსაზღვრავდა სამხრეთის, სამცხე-ჯავახეთის, სიძლიერე, ქრისტიანობა. მთავარია, რომ ისტორიულად, მას შემდეგ, რაც იქმნება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და რუსული „აღწერები“ საქართველო, როგორც პოლიტიკური მოთამაშე აღარ არის, მის ბედს წყვეტენ რუსეთი და ოსმალეთი.

პოლიტიკა თავისთავად განსაზღვრავდა ბევრ რამეს, მაგრამ იყო აგრეთვე სახალხო პოლიტიკა. ხალხისთვის ისტორიული ხსოვნა გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე. ურთიერთობას, ეროვნული ფესვების სიმტკიცეს განსაზღვრავდა გვარიც. ქართული და თურქული გვარი განსხვავდება თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით. მართალია, ორივეს ეკონომიკურ-ეთნოგრაფიული საფუძვლები განაპირობებდა, მაგრამ ქართული გვარის თაობიდან თაობაზე გადასვლა, ხოლო თურქული გვარის ცვლა თაობებს შორის, რადიკალურად ცვლიდა ეროვნულ-ეთნიკურ თვითშეგნებას. ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლების სარწმუნოებრივი განსხვავება ხშირად თუ დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, გარკვეულ შემთხვევებში ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის საფუძველიც ხდებოდა.


ტოლერანტობის ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება სოფელ უდის მაგალითზე. 1901-1909 წლებში აშენდა უდელში კათოლიკური ტაძარი, რომელსაც აქვს ორი მნიშვნელოვანი წარწერა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე ორივე წარწერა ინფორმაციული ხასიათისაა, მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ტაძრის მშენებლობის, მაშინდელი ისტორიული პირობის შესახებ. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ ტაძრის მშენებლობაში თავისი წვლილი შეუტანია მღვდელ სიმონ ჩილაშვილს. ეპისკოპოსი ყოფილა კესლერი, ხოლო რომის პაპი პიი. ასევე გვამცნობს წარწერა, რომ ეკლესია აშენდა რუსეთში ნიკოლოს მეორის მეფობის უამს და კავკასიაში მთავარმართებული არის ვარანცოვ-დაშკოვი. ეს ინფორმაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ადასტურებს XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილ პიროვნებათა გარემოს, როცა შენდება ტაძარი, რომ ეს გარემო არის რეალური და წარწერა სანდოა, ასახავს მაშინდელ ისტორიულ სინამდვილეს. აქედან გამომდინარე ისტორიული დიკუმენტის ძალა აქვს წარწერის დანარჩენ ნაწილს, რომელიც გვამცნობს უშუალო მშენებლების, ხალხის შესახებ, ვინ იყვნენ ისინი და რა სარწმუნოებისანი. პირველი, ჩრდილოეთის წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი აშენდა 1901-1909 წლებში:



სურათი 1

resim 1

„1901წ. აღშენდა 1909წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ ქართველებმა უღის 272 მოსახლე კათოლიკებმა.“ ეპიგრაფიკული წარწერების ზოგიერთი ქარაგმა-შემოკლებანი თუ პუნქტუაცია ხშირად განპირობებულია მასალით. მოსახ. შემოკლებული სიტყვაა და ნიშნავს მოსახლეს. ასევე ტაძრის მშენებლობის დასაწყისად უნდა მივიღოთ 1901 წ. მიუხედავად წინადადების სინტაქსური გაუმართაობისა. კიდევ უფრო სრულყოფილია მეორე წარწერა:



სურათი 2  
resim 2

„უღეს არის კათოლიკეები 2120 სული, მაშენებელნი ამა საყდრის. მაჰმადიანები 520 სული, ორივე ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო, შენ გწირამთ ჩვენ შრომას“.

წარმოდგენილი წარწერა-დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო ნაწილი არის მაჰმადიანი, მაგრამ, როგორც კათოლიკენი, ისე მაჰმადიანნი არიან ქართველები. რისთვის დასჭირდათ მშენებლებს, სოფელს, საზოგადოებას ამის ხაზგასმა, წარწერაში აღნიშვნა. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მეზობელი ქვეყნები, ზოგიერთი მაშინდელი უცხოელი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებდა როგორც კათოლიკეების ისე მაჰმადიანების ქართველობას. სარწმუნოებრივი თანაცხოვრების ამ შესანიშ-

ნავი დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ქრისტიანულ ტაძარს ქრისტიანებთან ერთად აშენებენ მაჰმადიანები. ღვთის სახლი ყველასთვის საპატივცემულო იყო. ბევრი მაგალითია საიმისოდ, რომ სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა პატივს სცემდა ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს. მოღებული იყო ნათლობა-მეჯვარეობა ქორწილებში.

სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ამ შესანიშნავი ტაძრის მაშენებელი ბიძაშვილები, ქრისტიანები და მაჰმადიანები 1918 წელს ჩაითრიეს სარწმუნოებრივ დაპირისპირებაში, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ სოფლის (და არა მარტო ამ სოფლის, მთელი სამცხე-ჯავახეთის) მაჰმადიანი მოსახლეობა, ქართველები, გაასახლეს შუა აზიაში როგორც თურქები და მათ მოუსპეს სამშობლოში ქართველებად დაბრუნების საშუალება.

ქრისტიანობის დროინდელი ტრადიცია მაჰმადიანურ მოსახლეობაში დიდხანს გრძელდებოდა. ზოგიერთი ოჯახი, რომელიც სასულიერო საქმეს ემსახურებოდა სარწმუნოების შეცვლამდე, გარკვეული ფორმით შემდეგაც აგრძელებდა ამ სამსახურს. შუა აზიის დეპორტირებულ მოსახლეობაში ცნობილია უზბეკეთის მაგალითი, სადაც ტაშკენტის ოლქში ცხოვრობს სოფ. შურდოდან გადასახლებული მოსახლეობა, იქვეა ოჯახი, რომელსაც ებარა ეკლესიის გასაღები. ეს წმინდა საქმედ ითვლებოდა, ამიტომ ოჯახმათან წაიღო გასაღებიც და აღთქმული ვალდებულების ხსოვნაც. ამ ოჯახში დღესაც ინახება წმინდა მოქაარგულ ნაჭერში გახვეული გასაღები, რომელიც დევს სპეციალურ ყუთში. შურდოდ დღეს ნასოფლარია ახალციხის მუნიციპალიტეტში. მე-16 საუკუნეში იგი პატარა სოფელი ყოფილა, მხოლოდ სამ კომლს უცხოვრია, ისიც ერთი ოჯახია თავისი განაყრებით: გიორგი ზარასფას ძე, დავითა ძმა მისი და გოგიჩა ძმა მისი. გიორგი, დავითა და გოგიჩა ძმები არიან (ჯიქია, 1941: 35), ხოლო 1870 წელს აღრიცხულია 14 კომლი (ჯიქია, 1958: 58).

კულტურა, რომელიც სარწმუნოებრივ ნიადაგზე იქმნება, ადვილად არ ქრება და არ იკარგება. დღევანდელ ქრისტიანულ ყოფაში ბევრი წარმართული ელემენტია შემორჩენილი, რომელიც თავად იქცა ქრისტიანული კულტურის



ეს ნაშრომი 1968 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებთან ერთად თურქეთში საქართველოსა და ქართველების შესახებ საინფორმაციო თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ პერიოდში ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ. ითვლებოდა, რომ ერთი ენის, ფესვის და კულტურის ჯგუფს განეკუთვნებოდნენ. თურქულ საზოგადოებას საკმაოდ მწირი ინფორმაცია ჰქონდა საქართველოში სამოქალაქო ომის შესახებ, ან თუ რა საერთო ან განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდათ ქართველებსა და აფხაზებს.

1997 წელს თურქულად ითარგმნა ქართველებთან დაკავშირებით მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომად მიჩნეული დ. მ. ლანგის მონოგრაფია<sup>7</sup>. ამან ხელი შეუწყო ქვეყანაში საქართველოსთან დაკავშირებული სამეცნიერო ინფორმაციის გაზრდას. ამ ნაშრომის წყალობით თურქმა საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცია საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების, ქართული კულტურის ისტორიის, მსოფლიო ისტორიის განვითარებაში კავკასიური ცივილიზაციის როლის შესახებ. ამრიგად, თურქეთის სამეცნიერო საზოგადოებას შეექმნა სათანადო წამოდგენა და განვირცო მისი არეალი საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ ინფორმაციით, 1998 წელს ითარგმნა ქართული ზღაპარი „ჭიამაია“<sup>8</sup>. 1999 წელს ო. მიმინოშვილის ნაშრომის „საკითხავი წიგნი ქართულ ეთნოგრაფიაში“<sup>9</sup> თურქულად თარგმანმა, ამ ქვეყნის კულტურული ტრადიციები საინტერესო კუთხით გამოაჩინა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო დროს თურქეთში მომრავლდა ქართული ენის ან ანბანის მცოდნე მკვლევართა რაოდენობა, მაშინ გასაგებია, რა დიდი სამეცნიერო ინტერესი აქვს ამ თარგმანებს. მათი საშუალებით, რომლებიც ქართული წყაროების გამოყენებითაა შექმნილი, თურქმა საზოგადოებამ კარგად გაიცნო ქართულ-თურქული კავშირების ისტორია. იმავე წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „საქართველო, აჭარა, თურქეთი“<sup>10</sup>. აჭარისა და აჭარლების თემა თურქეთში ძალიან დიდ ინტერესს იწვევს. საქართ-



ველოში ძირითადად გავრცელებულია წარმოდგენა, რომ აჭარლები ეს გამაჰმადიანებული ქართველები არიან. თურქეთში კი მიიჩნევენ, რომ აჭარლები არიან საქართველოს საზღვრებში მოქცეული თურქები. ამ ნაშრომის წყალობით ნათელი გახდა, თუ ვინ არიან აჭარლები ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით. 1999 წელს თურქეთის სავაჭრო პალატის (ITO) მიერ გამოცემული მოცულობითი კვლევა<sup>11</sup> საქართველოს ეკონომიკური მიმართულების შესახებ, თითქმის იმავე ღირებულებისაა, რაც იმავე წელს გამოქვეყნებული შრომები. ეს ნაშრომები ძალიან მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის საზოგადოების ერთმანეთთან დაახლოების თვალსაზრისით.

1990-იან წლებში საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა საკმაოდ იმატა 200-იან წლებში ცატარებული სამუშაოების ხაჯზე.

საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს 2000 წელს დასრულებული სადოქტორო დისერტაცია სათაურით „XVI საუკუნის ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობები“<sup>12</sup>. ეს ნაშრომი მოიცავს დეტალურ მონაცემებს საქართველოს ოსმალური ხელისუფლების ძალაუფლების ქვეშ მოქცევისა და ქვეყანაში ოსმალეთის მმართველობის დაარსების შესახებ. ამ კუთხით ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმავე პერიოდში მომზადებული და 2001 წელს გამოცემული სადოქტორო ნაშრომი „თურქულ-ქართული ურთიერთობები (1918–1921)“<sup>13</sup>. ამ ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში დაწყებული რევოლუციის ზემოქმედება ტრანსკავკასიაზე, მუდროსის ზავის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა. 2002 წელს გამოქვეყნებულ „ტრაპიზონის და ბათუმის საკონფერენციო მასალებში“<sup>14</sup> 1917-1918 წლების თურქულ-ქართული ურთიერთობები საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოდგენილი.

ამგვარად, 2000 წლის დასაწყისიდან გამოქვეყნებული ეს სამი აკადემიური ნაშრომი, თურქულ-ქართული ურთიერთობების შესახებ მოიცავს დეტალური მონაცემების ანალიზს.

თურქულ-ქართული ურთიერთობების შესახებ სხვადასვა დროს დაწერილი სადოქტორო ნაშრომების პარალელურად,

გამოიცა საკმაოდ საინტერესო ნაშრომები სოციალური ანთროპოლოგიის შესახებ<sup>15</sup>. გამოიცა მეორე წიგნი აჭარლები-ბის თემასთან დაკავშირებით<sup>16</sup>. ასევე სტატია შუა საუკუნეების კავკასიაში თურქულ-ქართული წინააღმდეგობების შესახებ<sup>17</sup>. ამ დროისთვის უკვე თურქულად ითარგმნა ნ. ბრეძენიშვილისა და ს. ჯანაშიას ნაშრომი „საქართველოს ისტორია“<sup>18</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი განიცდის ეპოქის პოლიტიკის ზემოქმედებას, იგი თურქი მკითხველისათვის მაინც ძალიან საინტერესოა, რამეთუ დეტალურადაა აღწერილი საქართველოს ისტორია პირველყოფილი ადამიანიდან დაწყებული რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციით დამთავრებული. 2002 წელს ლათინური ასოებით დაბეჭდილი ნაშრომი ქართული სოფლების შესახებ შეიცავს აგრეთვე მეჭმედ არიფის მიერ 1893 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის „ქართული სოფლები თურქეთში“<sup>19</sup> მონაცემებსაც. 2003 წელს თურქეთის ისტორიული საზოგადოების მიერ გამოქვეყნდა 1849 წელს მ. ბროსეს მიერ „ქართლის ცხოვრების“ ის პერიოდი, რომელიც მოიცავდა 1212 წლამდე ეპოქას<sup>20</sup>. ამ კრებულში თურქი მკითხველისათვის პირველად ერთად არის თავმოყრილი საქართველოს ისტორიის პირველადი წყაროები. საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე 2004 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი სახელწოდებით „თურქეთის პოლიტიკა კავკასიაში და საქართველო“<sup>21</sup>. ამავე დროს გამოქვეყნდა საინტერესო კვლევები ახალციხის ხალხური ზეპირსიტყვიერების შესახებ<sup>22</sup>. დაიწყო გამოსვლა ნარკვევებმა თურქეთში ქართული არქიტექტურული ძეგლების შესახებ<sup>23</sup>. რომლებშიც აღწერილია ქართული არქიტექტურით აშენებული ნაგებობი. 2007 წელს გამოქვეყნდა საქართველოში ისლამის გაბატონების პერიოდთან დაკავშირებული სამეცნიერო შრომები<sup>24</sup>. ამავე პერიოდში გამოდის საინტერესო ნაშრომები ქართულ სამზარეულოზე<sup>25</sup>. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კრიზისის ამსახველ სტატიაში საუბარია საქართველოსა და თურქეთს შორის უფრო მტკიცე მეგობრობისა და მოკავშირეობის დაწყების შესახებ<sup>26</sup>. 2009 წელს ქვეყნდება ორი აკადემიური ნაშრომი: XI-XII საუკუნეებში ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე<sup>27</sup> და VII-X საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში ისლამიზაციის პრო-

ცესებზე<sup>28</sup>. პირველ კვლევაში აისახა ქართულ-თურქული ურთიერთობების ყველაზე ინტენსიური პერიოდი (XI-XII საუკუნეები). ქართველების ურთიერთობა: სელჩუკებთან, ხვარაზმელებთან, ყივჩაღებთან და აღმოსავლეთ ანატოლიის სამთავროებთან. მეორე კვლევაში კი, ისლამურ და კავკასიურ წყაროებზე დაყრდნობით, აისახა პირველი დამპყრობლების: ომაიანების, აბასიანების ურთიერთობა ქართველებთან და სამხრეთ კავკასიაში ისლამის გავრცელების პერიოდი.

2010 წელს დაიწყო და დღევანდლამდე სწრაფი ტემპით გრძელდება კვლევები ქართული ისტორიისა და კულტურის შესახებ. 2010 წელს გამოიცა წიგნები შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების შესახებ<sup>29</sup>. ამავე წელს გამოდის ნაშრომი ქართული ენის, მუსიკის, კულტურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ<sup>30</sup>. 2011 წელს საქართველოში არსებული თურქული ფონდების მიერ<sup>31</sup>, ფართო მკითხველისათვის, გამოიცა შრომები მაჭახელას ქართული სოფლების შესახებ<sup>32</sup>. ფონდის მიერ გამოცემულ ნაშრომებში შესწავლილია ოსმალების კვალი საქართველოში და ქართულ-ოსმალური ურთიერთობები. სხვა ნაშრომი ასახავს მაჭახელას ხეობაში საზღვრის გავლების შემდეგ თურქეთისა და საქართველოს საზღვრებში დარჩენილი სოფლების (12 სოფელი საქართველოს საზღვრებში დარჩა, 6 კი თურქეთის ტერიტორიაზეა) საერთო მოტივებს. ერთი წლის შემდეგ ოსმალურ საარქივო მასალაზე დაყრდნობით საქართველოსა და ქართველებზე კიდევ გამოვიდა ნაშრომი<sup>33</sup>. ამგვარად, ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო შრომებით მოხდა ოსმალური პერიოდის ურთიერთობების ხელახალი შეფასება.

ილიას უსთუნერი გახლავთ ის მკვლევარი, რომელიც ბოლო წლებში იკვლევს მასალებს საქართველოსა და ქართველების შესახებ<sup>34</sup>. მის კვლევებში თავმოყრილია მასალები ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე.

აღსანიშნავია 2013 წელს გამოცემული ორი ნაშრომი. პირველი – მონოგრაფიის „ქართველები და ისლამამდელი თურქები“ თარგმანი<sup>35</sup>. ამ ნაშრომმა თურქულ სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ამ ტიპის კვლევა მანამდე არავის ჩაუტარებია. ნაშრომში განხილულია ქართველთა ურთიერთობები ბუნ თურქებთან, ჰუნებთან, ხა-

ზარებთან, ყივჩაღებთან და სხვებთან ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის შემდეგ თურქთა იასლამიზაციამდე. მეორეს მხრივ, ჩატარებულია კვლევები ისეთ პასუხგაუცემელ რთულ კითხვებზე, როგორცაა ორბელიანთა საგვარეულო ოჯახის წარმომადგენლების ურთიერთობა თურქულ სამყაროსთან. ეს შრომები ეჭვქვეშ აყენებს მანამდე არსებულ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს და საჭიროდ მიიჩნევს მის ხელახალ გადასინჯვას. საყურადღებოა ამავე პერიოდში გამოცემული ნაშრომი: 1920-1921 წლებში საქართველოდან თურქეთში დელეგირებული დიმიტრი შალიკაშვილის დღიური<sup>36</sup>. 1921 წლის დეკემბერში ხელისუფლების მიერ თბილისიდან გაგზავნილი დიმიტრი შალიკაშვილის ჩანაწერები იგი შემდეგ კვლავ გახდა განხილვის საგანი. დღიურში გადმოცემულია ქართველი დიპლომატის თვალთ დანახული თურქეთის იმდროინდელი მდგომარეობა. 2014 წელს სავაჭრო პალატის მიერ გამოცემულმა ნაშრომმა<sup>37</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის მუშაობის შესახებ გამოიწვია ბიზნეს გარემოსა და ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი დაინტერესება. ამავე წელს გამოდის წიგნი – „ბათუმი თურქულ-კავკასიურ ურთიერთობებში“<sup>38</sup> და იწერება სამაგისტრო ნაშრომი XX საუკუნის თურქულ-ქართულ ურთიერთობებზე<sup>39</sup>. 2014-2015 წლებში ქართულიდან ნათარგმნმა შრომებმა ხელი შეუწყო თურქეთში ამ მიმართულებით მუშაობის განვითარებას. ამათგან ქართველი ხალხის ისტორიის<sup>40</sup>, განსაკუთრებით ოსმალურ-ქართული ურთიერთობების ახლებური თვალსაზრისით წარმოჩენა, თანამედროვე ქართული ზღაპრების გამოცემა, ხელს უწყობს თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას<sup>41</sup>.

2015 წლის ბოლოს გამოცემული ნაშრომი ქართულ-მონღოლურ ურთიერთობებზე<sup>42</sup> საყურადღებოა, როგორც ამ საკითხის შესახებ გამოცემული ბოლო ნამუშევარი. ის ასახავს მონღოლების კავკასიაში გაბატონებას და დაწერილია ქართულ, სომხურ და ისლამურ წყაროებზე დაყრდნობით. ნაშრომი ითვლება ამ პერიოდისა და მიმართულების ერთ-ერთ სრულყოფილ სამეცნიერო შრომად.

2000-იანი წლებიდან თურქეთში მკვეთრად გაიზარდა წიგნებისა და სტატიების მომზადება-გამოცემა საქართველოს

ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამავე საკითხებს მიეძღვნა არაერთი სიმპოზიუმი. აღსანიშნავია კვლევების რაოდენობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართველების ურთიერთობა სელჩუკებთან, ხვარაზმელებთან, ყივჩაღებთან აღმოსავლეთ ანატოლიის სამთავროებთან და თემურ ლენგთან<sup>43</sup>. დღევანდლამდე საინტერესო კვლევის საგანია ახალციხელი თურქების თემა<sup>44</sup>. რელიგიის ისტორიის სპეციალისტებისათვის პირველი კვლევები ქართველების რელიგიის შესახებ მეტად ყურადსაღებია<sup>45</sup>. აგრეთვე ყურადღებას იპყრობს თურქი მეცნიერების რელიგიურ თემაზე ახლებური ხედვით გამოცემული არაერთი ნაშრომი. ანალოგიურად ახალი შეხედულებები გაჩნდა ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობებისა და ურთიერთ ზეგავლენის შესახებ<sup>46</sup>. კვლევები ჩატარდა თურქეთში ქართველთა საცხოვრისების<sup>47</sup>, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, რელიგიური და მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობების შესახებ<sup>48</sup>. მეორეს მხრივ, ქართველი და ქართული წარმოშობის მკვლევრები აქვეყნებენ აქამდე ნაკლებად ცნობილ ბევრ ფაქტს, რომელიც ეყრდნობა ქართულ წყაროებს. ეს სამუშაოები მნიშვნელოვანია თურქეთში საქართველოს ისტორიის, ენის და კულტურის გაცნობის თვალსაზრისით. საინტერესოა ქართული მხარის კვლევები თურქ მეცნიერთა ნაშრომებში ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე<sup>49</sup>, რუსული ზეწოლით ანატოლიაში გადასახლებულ ქართველებზე<sup>50</sup>, სელჯუკთა სასახლის კარზე მოღვაწე თბილისელ მეცნიერზე<sup>51</sup>, ყარსის ხელშეკრულების შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის პოზიციაზე<sup>52</sup>.

მეტად ღირებულია კვლევები ქართულ-თურქულ ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობებზე<sup>53</sup>.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ეურნალი „ჩვენებურები“ (სულ გამოვიდა 59 ნომერი), რომელმაც დიდი როლი ითამაშა თურქეთში საქართველოს ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ქართველთა ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების გაცნობის საქმეში.

ამრიგად, თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ პირველი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება იწყება XX საუკუნის შუა წლებიდან და დაახლოებით 50 წლის მანძილზე დიდ როლს თამაშობს თურ-

ქეთში საქართველოსა და ქართველების უკეთ გაცნობის საქმეში. ამ პერიოდის მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები, კრებულები ძალზედ მნიშვნელოვანია. მათი საშუალებით ნათლად გამოიკვეთა ქართველი ხალხის როლი და ადგილი კავკასიის მოდემის ხალხებს შორის. ხაზი უნდა გაესვას საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევების ქართულიდან თურქულ თარგმანებს. პირველი სადისერტაციო ნაშრომები საქართველოს ისტორიის შესახებ იწერება 2000-იან წლებში. იწერება ნაშრომები, რომლის თემატიკაა XVI საუკუნის ოსმალეთის იმპერია და XX საუკუნის ქართულ-თურქული ურთიერთობები. მომდევნო ათი წლის განმავლობაში შეინიშნება ინტერესის ზრდა ამ მიმართულებით. 2000-იან წლებში იწერება არაერთი სადოქტორო ნაშრომი. ძალიან მნიშვნელოვანია შრომები ოსმალეთის იმპერიის XVI საუკუნისა და XX საუკუნის ქართულ-თურქული ურთიერთობის შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტთა ინტერესი იზრდება ოსმალეთის იმპერიის დაარსების წინა პერიოდის ურთიერთობების კვლევაზე. იწერება და ითარგმნება ნაშრომები ამ ურთიერთობებზე.

2010 წლიდან ამ საკითხების კვლევამ თურქეთში პიკს მიაღწია. თურქული საზოგადოება გაეცნო მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ქართული კულტურის, ენის, მუსიკისა და ზოგადად ხელოვნების შესახებ.

ანთროპოლოგების, ეკონომისტების, რელიგიათმცოდნეების, საერთაშორისო ექსპერტების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსებისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერთა დამსახურებაა, რომ არ დარჩა არცერთი ბუნდოვანი საკითხი საქართველოს ისტორიისა და კულტურასთან მიმართებაში.

## ქართულ-გერმანულ-თურქული სამხედრო თანამშრომლობის მცდელობა პირველი მსოფლიო ომის წლებში

ასოცირებული პროფესორი შჩა ბლუაშვილი

### მოკლე შინაარსი

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ოსმალეთის სამხედრო ბლოკის საგარეო პოლიტიკის მხედველობის არეალში კავკასიაც მოექცა. ოსმალეთი „თურანის სახელმწიფოს“ შექმნაზე ოცნებობდა, რომელშიც შუა აზიის თურქული წარმოშობის ტომები, ჩრდილოკავკასიელი მუსლიმები, საქართველო და სომხეთიც მოიაზრებოდნენ. თავის მხრივ, კავკასიის ხალხების ანტირუსული აჯანყების მოწყობის გეგმებს ატარებდა გერმანიაც, რომელმაც ამ მიზნით „აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“ შექმნა. სწორედ ამ ბიუროს აქტიური ხელშეწყობით 1914 წლის ნოემბერში საქართველოში ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომლის მიზანი გერმანიისა და ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და მის მიერ ნეიტრალური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების თვალსაზრისის დამკვიდრება იყო. ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ომით შექმნილი ხელსაყრელი ვითარება და მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. ისინი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ გერმანელ და თურქ პოლიტიკოსებთან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარებისა და მისი საზღვრების გარანტირების მიზნით.

1914 წლის დეკემბერში „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტსა“ და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის გაფორმდა შეთანხმება მომავალი საქართველოს საზღვრებისა და ოსმალეთთან მისი დამოკიდებულების შესახებ.

1915 წლის 17 აგვისტოს მემორანდუმში „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობას სთავაზობდა, რომ ამ უკანასკნელს ეცნო საქართველოს

დამოუკიდებლობა ქართული მხარის მიერ მითითებულ საზღვრებში, თავის მხრივ, საქართველო კისრულობდა ვადებულებას მთელი თავისი ძალებითა და საშუალებებით დახმარებოდა თურქეთის არმიას რუსეთ-თურქეთის ომის განმავლობაში, უზრუნველყო თურქეთის არმიის მეგობრული მიღება საქართველოში და სხვ. იმავე წლის 3 სექტემბერს თურქულმა მხარემ საპასუხო წერილში მთლიანად გაიზიარა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შედგენილი შეთანხმების ტექსტში ჩამოყალიბებული დებულებები. 1914 წლის შემოდგომა-ზამთრის საომარი კამპანიის დროს თურქეთის ჯარი საკმაოდ დრმად შეიჭრა ბათუმი-ყარსის ოლქების ტერიტორიებზე, ეს გარემოება ანტირუსული აჯანყების მოწყობისთვის ხელსაყრელ გარემოებად ჩაითვადა.

დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენლები მთელ საქართველოში აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ აჯანყების სასარგებლოდ, მაგრამ აჯანყებისთვის მზადება გართულდა უსახსრობის გამო. იარაღის მიწოდებას აგვიანებდნენ გერმანელებიც. ამან საქართველოში კომიტეტის მიმართ ეჭვები გააჩინა. ამასობაში კი რუსებმა ფრონტზე მდგომარეობა გამოასწორეს და თურქებს უკან დაახევინეს.

სამწუხაროდ, ზემოჩამოთვლილმა მიზეზებმა აჯანყების წარმატება სათუო გახადა. „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ძალისხმევა უშედეგოდ დამთავრდა – აჯანყებისთვის მზადება აჯანყებაში აღარ გადაზრდილა.

**საკვანძო სიტყვები:** პირველი მსოფლიო ომი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი, გერმანია, თურქეთი, საქართველო.



# BİRİNCİ DÜNYA SAVAŞI DÖNEMİNDE GÜRCÜ-ALMAN- TÜRK ASKERİ İŞBİRLİĞİ GİRİŞİMLERİ ÜZERİNE BİR DEĞERLENDİRME

Doç. Dr. Uça BLUAŞVİLİ

## ÖZ

Birinci Dünya Savaşı'nın başlamasıyla Kafkasya Bölgesi Almanya, Avusturya-Macaristan ve Osmanlı Devleti'nin Askeri İttifakı'nın dış siyasetinin bir parçasını oluşturdu. Osmanlı "Turan Devleti"nin kurulmasını ve içinde Orta Asya Türk Boylarını, Kuzey Kafkasya Müslümanlarını, Gürcistan ile Ermenistan'ın bulunmasını hayal ediyordu. Almanya, Kafkas Halkları'nın Rusya'ya karşı isyan politikasını planladı. Almanlar, bu yüzden "Doğu Haberleşme Bürosu'nu" kurdular. 1914 yılı Kasım ayında bu büronun teşvikleriyle Gürcistan'da "Gürcistan'ın Milli Bağımsızlık Komitesi" kuruldu. Bu komitenin asıl amacı Alman ve Türk Siyası Camiası'na Gürcistan'ın bağımsız ve tarafsızlık bir ülke olarak kurulmasına ikna etmektir. Gürcü siyasetçileri savaş dolayısıyla meydana gelen elverişli durumdan istifade ederek Gürcistan'ın bağımsızlığının yeniden kurulması için mücadele veriyorlardı. Kendileri Gürcistan'ın bir müstakil devlet olarak tanınması ve sınırlarının garanti altına alınması için Alman ve Türk Siyasetçileriyle görüşmeler yapıyorlardı.

1914 yılı Aralık ayında "Gürcistan Bağımsızlık Komitesi" ile Osmanlı Hükümeti arasında gelecekte kurulacak olan bağımsız Gürcistan'ın sınırları ve Osmanlı Devleti ile ilişkileri hakkında bir sözleşme imzalandı.

17 Ağustos 1915 yılı Ağustos ayında imzalanan anlaşmaya göre "Bağımsızlık Komitesi" Devlet-i Aliye'ye Gürcistan'ın belirlendiği sınırlara göre tanınmasını teklif ediyordu. Kendisi ise, Türk-Rus Savaşında bütün güç ve imkanlarıyla Türkiye Ordusu'na yardım etmeyi, Gürcistan'da Türk Ordusu'nun dostça kabul edilmesini v.s. vaat ediyordu. 3 Eylül 1915 Tarihinde Türk tarafınca gönderilen cevap mektubunda "Gürcistan Milli Bağımsızlık Komitesi"nin teklifleri tamamen kabul edildi. 1914 yılı Sonbahar-Kış mevsiminde Türk Ordusu Batum ve Kars Vilayet'lerinin bir kısmını ele geçirdi. Bu durum isyan için tam zaman olarak değerlendirildi. Bağımsızlık komitesi üyeleri

bütün Gürcistan'da isyan propagandası yapıyorlardı. Ancak, imkanlar kısıtlı olduğundan yeteri kadar hazırlık yapılamadı. Aynı zamanda Almanlar tarafından temin edilecek silahlar da geç kaldı. Bu durum Gürcistan'da "Komiteye" karşı şüphe uyandırdı. Aynı zaman, Ruslar cephedeki durumu lehlerine çevirdiler ve Türk Ordusunu püskürttüler.

Maalesef, yukarıda bahsedilen sebeplerden dolayı isyanın çıkarılması boşlukta kaldı. "Gürcistan Milli Bağımsızlık Komitesi'nin" bütün teşebbüsleri boşuna gitti. İsyân hazırlıkları sonuçsuz kaldı.

**Anahtar Kelimeler:** Birinci Dünya Savaşı, Gürcistan'ın Milli Bağımsızlık Komitesi, Almanya, Türkiye, Gürcistan.

## **ATTEMPT OF GEORGIAN-GERMAN-TURKISH MILITARY COOPERATION DURING THE FIRST WORLD WAR**

Asoc. Prof. Ucha BLUASHVILI

### **ABSTRACT**

At the very beginning of World War I, the Caucasus was isolated by the military blockade of Germany/Austria-Hungary. Turkey's foreign policy vision was to form "Big Turkey" from the Turkish tribes of Central Asia and North Caucasian Muslims; Georgia and Armenia were considered for this union. Germany also conducted anti-Russian rebellion plans of Caucasus peoples, for this purpose, Germans created "East News Bureau." With the active support of this Bureau the "Georgian National Independence Committee" was formed in Georgia in November of 1914. The aim of the committee was to establish Georgia as an independent state and to pursue its neutral foreign policy among German and Turkish political circles. Georgian figures were trying to exploit the situation created by the war and achieve the restoration of Georgian independence. They held active negotiations with German and Turkish politicians about the recognition of Georgian state in order to guarantee its borders.

In December of 1914, the "Georgian National Independence Committee" and the Turkish government signed an agreement regarding the future borders of Georgia and its relations with the Ottoman Empire.

During the memorandum of August 17, 1915 the “Independence Committee” asked the Ottoman imperial government to recognize the independence of Georgia with its proposed borders. In turn, Georgia took the responsibility to help the Turkish army during the Russian–Turkish war and secured the friendly visits of the Turkish side in Georgia.

On September 3, the Turkish side agreed completely to the proposals of the “National Committee of Independence.” In 1914 during the autumn-winter war campaign, the Turkish army penetrated deeply into the Batumi-Karsi regional district.

These circumstances were appropriate for the anti-Russian rebellion. “National Committee of Independence” held an active work in favor of the rebellion. But lack of funds complicated the preparations. The delivery of arms was delayed from German side. These facts caused doubts regarding the “Georgian Committee”. Meanwhile, the Russian side improved its position and drove the Turks out.

Unfortunately, the above-mentioned facts had a negative influence on the strategy of “The National Committee of Independence.” All their efforts were unsuccessful. Their preparation for the rebellion against the Russian policy failed.

**Key words:** foreign policy, conduct, anti-Russian, achieve the restoration, proposals, war campaign, Independence, rebellion, Russian policy.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა ომში მონაწილე სამხედრო ბლოკების, და საერთოდ, ომის მიმართ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია დაიკავეს. ქართველმა ბოლშევიკებმა ომი ორივე მხრიდან დაპყრობით, უსამართლო ომად გამოაცხადეს და საკუთარი მთავრობის დამარცხების ღონისძიებები წამოაყენეს. ბოლშევიკებისგან განსხვავებით ომში სამშობლოს დაცვის პოზიციებზე დადგა ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა. საკუთარი მთავრობის დამარცხების იდეას უჭერდნენ მხარს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები და მათი მემარჯვენა ფრთის წარმომადგენელი ეროვნულ-დემოკრატებიც. თუმცა, ბოლშევიკებისგან განსხვავებით, მათ ასეთ პოზიციას სხვა მოტივაცია განაპირობებდა: ისინი ფიქრობდნენ, რომ ცარიზმის

დამარცხება გააიოლებდა იმპერიის განაპირა ერების გათავისუფლებას.

ომის დაწყებისთანავე გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-თურქეთის სამხედრო ბლოკის საგარეო პოლიტიკის მხედველობის არეალში კავკასიაც მოექცა. თურქეთი „დიდი თურქეთის“ შექმნაზე ოცნებობდა, რომელშიც შუა აზიის თურქმენული ტომები, ჩრდილოკავკასიელი მუსლიმები, საქართველო და სომხეთიც მოიაზრებოდნენ. თავის მხრივ, კავკასიის ხალხების ანტირუსული აჯანყების მოწყობის გეგმებს ატარებდა გერმანიაც, რომელმაც ამ მიზნით „აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიურო“ შექმნა.

ქართველ ინტელიგენტთა დიდი ნაწილი ომში გერმანიის გამარჯვებას იმედის თვალთ შესცქეროდა. ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ომში მეორე მხარე გაიმარჯვებდა, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გავლენით კი რუსეთი დემოკრატიის გზას დაადგებოდა და საქართველოს ავტონომიას მიანიჭებდა. ოფიციალურად კი ქართველი საზოგადოება რუსეთს ერთგულებას ეფიცებოდა და ქვეყანაში გაჩაღებულ ანტიგერმანულ ისტერიაში ენთუზიაზმის გარეშე მონაწილეობდა.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აღმოსავლელ საზოგადო მოღვაწეებთან პირადი კონტაქტების დამყარებას უთმობდა. ამ მიზნით გერმანიის მთავრობა ხელს უწყობდა აღმოსავლელ მოღვაწეთა პოლიტიკურ საქმიანობას. ასე შეიქმნა „ინდოეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ბერლინში, „ინდოელი ნაციონალისტების ევროპის ცენტრალური კომიტეტი“, „სპარსული კომიტეტი“, „რუსეთის მუსლიმი სტუდენტების მხარდამჭერი საზოგადოება“. 2014 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტიც“ (ზოგჯერ მას „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტადაც“ მოიხსენიებენ). კომიტეტის მოთავე ქართველი პოლიტიკოსების მიზანი გერმანიისა და თურქეთის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და მის მიერ ნეიტრალური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების თვალსაზრისის დამკვიდრება იყო. გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელი-

ძეები და სხვა ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ომით შექმნილი ხელსაყრელი ვითარება და მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარებისა და მისი საზღვრების გარანტირების მიზნით ისინი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ გერმანელ და თურქ პოლიტიკოსებთან.

ქართული პოზიციის იდეოლოგიური დასაბუთების საქმე მიხაკო წერეთელმა იტვირთა. სწორედ მისი ნაშრომები და პუბლიცისტური წერილები წარმოაჩინდა საქართველოს გერმანელებისა და თურქების თვალში არა მხოლოდ რუსეთის აჯანყებულ პროვინციად, არამედ, მათ მოკავშირედ და პარტნიორად. მიხაკო წერეთელი პირველ მსოფლიო ომს განიხილავდა, როგორც მცირე ერების იმედს პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. რუსეთსა და თურქეთს შორის სამხედრო დაპირისპირებას კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საუკეთესო შანსად მიიჩნევდა. 1916 წელს ის წერდა: „...ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ რუსეთის დასუსტება მარტო ამ იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესებში კი არ შედის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის და მთელი ცივილიზებული სამყაროს ინტერესებსაც წარმოადგენს, რადგან ამგვარად ევროპული პროგრესის გზაზე არსებული ძლიერი წინააღმდეგობა გადაღახული იქნება და რეაქციის მარადიული კერა დაინგრევა“ (ბაქრაძე, 2010: 1). მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი თავის ერს გერმანელებს ასე აცნობდნენ: „ქართველი ხალხი არც შეთქმულთაგან და არც მოღალატეთაგან არ შედგება, არც არაორგანიზებული მასაა, არამედ ერთიანი ერი, რომელსაც 23-საუკუნოვანი ისტორია აქვს და, მიუხედავდ ბედის უკუღმართობისა, არსებობა არ შეუწყვეტია“ (ბაქრაძე, 2010: 44).

ამასთან, მიხაკო წერეთელს და სხვა ქართველ მოღვაწეებს სერიოზულად აფიქრებდათ თურქეთის მისწრაფება „დიდი თურანის“ შექმნისკენ. „დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა და მომავალი უსიამოვნებების გამუდმებული წაყრო იქნებოდა ის გარემოება, თუკი თურქეთი რუსულის ნაცვლად საკუთარი ბატონობის დამყარებას და კავკასიის ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციად გადაქცევას შეეცდებო-

და“, – წერდა იგი (პაიჭაძე, 2000: 78). ამიტომაც იყო, რომ ქართული მხარე სიფრთხილით ეკიდებოდა თურქეთის წარმომადგენელთა არა მარტო სიტყვებს, არამედ მათ მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებსაც.

1914 წლის დეკემბერში „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტსა“ და თურქეთის ხელისუფლებას შორის გაფორმდა შეთანხმება მომავალი საქართველოს საზღვრებისა და ოსმალეთთან მისი დამოკიდებულების შესახებ. დოკუმენტს თურქეთის მხრიდან ხელი შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა მოაწერა. ეს გარემოება ოფიციალურად ხელმომწერ მხარეთა რანგების განსხვავებით (დამოუკიდებლობის კომიტეტი არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ სახელმწიფო ორგანოს) იქნა მოტივირებული.

ქართველ პოლიტიკოსებს, ცხადია, ესმოდათ, რომ ამ ბრძოლაში თურქეთს თავისი ინტერესები გააჩნდა. ამიტომ თურქეთის მიერ გაღებული მსხვერპლის საკომპენსაციოდ მას ყარსისა და ერევნის გუბერნიების უპირატესად თურქებით დასახლებულ ნაწილებს სთავაზობდნენ. ქართულ მიწებზე თურქეთის პრეტენზიების აღკვეთას კი ქართველი პოლიტიკოსები მისივე მოკავშირის – გერმანიის მეშვეობით იმედოვნებდნენ. ჯერ კიდევ 1914 წლის 14 სექტემბერს, ანუ თურქეთთან ზემოსხენებული ხელშეკრულების დადებამდე, „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ გერმანიის ელჩისგან კონსტანტინეპოლში – ბარონ ფონ ვანგენჰაიმისგან იღებს წერილობით შეპირებას მასზედ, რომ საქართველოს მიმართ ვერც რუსეთი და ვერც ოსმალეთი ვერ განახორციელებენ სუვერენულ უფლებებს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან სულ მალე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და ქართველ ტყვეთა შორის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა დაიწყო. კომიტეტის ძალისხმევით შედგენად მოხერხდა ტყვეთა კონტინგენტიდან 1500-კაციანი ბატალიონის ჩამოყალიბება (მოგვიანებით ბატალიონის რიგითი შემადგენლობის რიცხვი კიდევ გაიზარდა). დამოუკიდებლობის კომიტეტის ინიციატივით ქუთაისში ჩატარდა ეროვნული ძალების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც ანტირუსული საყოველთაო აჯანყების დაუყოვნებლივ მოწყობა გა-

დაწყდა. ქართველ ტყვეთა ბატალიონი გერმანიიდან ტრაპიზონში გადაიყვანეს, რათა მას აჯანყების დაწყებისთანავე შეძლებოდა ბრძოლაში ჩაბმა.

მიხაკო წერეთელი და გიორგი მანაბელი გერმანიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს განაგრძობდნენ და მათგან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში დახმარების გარანტიებს ითხოვდნენ. გერმანიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამ მოლაპარაკებებზე გრაფმა ჰურტალესმა ქართულ დელეგაციას განუცხადა, რომ თუკი ქართველები რუსეთის წინააღმდეგ იარაღს აღმართავდნენ, გერმანია დაიცავდა მათ ინტერესებს, მხარს დაუჭერდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას და საჭირო იარაღით აღჭურვავდა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ შენაერთებს. ის არწმუნებდა ქართველებს, რომ ამ იარაღის ნაწილი უკვე გადატანილი იყო ტრაპიზონში და აჯანყების დაწყებისთანავე გადაეცემოდა ქართულ მხარეს. მიხაკო წერეთელი ვარაუდობდა, რომ ეროვნული თავისუფლებისთვის მოწოდება თოფქვეშ 50 ათას ქართველს დააყენებდა. ეს მაშინ, როდესაც რუსულ არმიაში უკვე 200 ათასზე მეტი ქართველი იყო გაწვეული. გიორგი მანაბელი გერმანელებისგან 50 ათას შაშხანას, 5 მილიონ ტყვიას, 10 ტყვიამფრქვევს, 10 ათას ხმალს, 20 ათას ხიშტს, 5 ათას რევოლვერს და სხვა სხვა საბრძოლო აღჭურვილობას ითხოვდა (ლაშა ბაქრაძე, 2010, გვ. 53).

ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლაში გერმანელებისა და თურქებისგან თანადგომას რომ ითხოვდნენ, ქართველები იქვე მიუთითებდნენ, რომ არ აპირებდნენ პასიურ პოზაში დგომას და ლოდინს, თუ როდის მოართმევდნენ მათ დამოუკიდებლობას. „...საქართველო არ ითხოვს მის განთავისუფლებას მსხვერპლის გაღების გარეშე. იგი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ბრძოლებში მრისხანე მტრის წინააღმდეგ, რათა ან თავისუფლება დაიმსახუროს, ანდა საბოლოოდ გაქრეს“, – წერდა მიხაკო წერეთელი (პაიჭაძე, 2000: 79).

1915 წლის 17 აგვისტოთი დათარიღებულ თავის მემორანდუმში „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აღნიშნავდა: „რუსეთი თურქეთისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში აღარ იქნებოდა საშიში, თუკი კავკასიაში აღდგებოდა საქართველოს

ძველი სახელმწიფოებრიობა, რაც შექმნიდა ბარიერს, მყარ კედელსა და დაბრკოლებას სლავების შესაძლო გადმოსვლისთვის მის აზიურ ნაწილში. საქართველო ასრულებდა ამ როლს მაშინ, როდესაც იყო დამოუკიდებელი და რუსეთიც არ წარმოადგენდა საშიშროებას და ვერ ახორციელებდა ექსპანსიას სამხრეთით, ვინაიდან მას ხელს უშლიდა საერთაშორისო ინდივიდუმი საქართველოს სახით.

თუკი საქართველო სურვილისამებრ ნეიტრალური გახდებოდა, მეზობელი სახელმწიფოების წუხილსაც ნაკლები საფუძველი ექნებოდა. პირიქით, თავისი საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობითა და ტერიტორიის ხელშეუხებლობით საქართველო მშვიდობის ფაქტორის როლს შეასრულებდა „...რამდენადაც მოშორებულს ხმელთაშუა ზღვის აუზს, მას არ ძალუძს ისაზრდოს ექსპანსიის განზრახვით ... იგი ვერ მიმართავს თავის ენერჯიას იმ მიზნისკენ, რომელიც მის ძალებს ადემატება“, – ნათქვამი იყო მემორანდუმში (პაიჭაძე, 2004: 116-117).

ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობას სთავაზობდა, რომ ამ უკანასკნელს ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა ქართული მხარის მიერ მითითებულ საზღვრებში, ანუ ჩილდირიდან ბაღვანამდე, ბაღვანიდან არტანუჯამდე და მდინარე ჭოროხამდე. თურქეთის ხელისუფლებას უნდა ეკისრა ვალდებულება, რომ რუსეთის ბატონობისგან გათავისუფლებულ რაიონებში არანაირ დაბრკოლებას არ შეუქმნიდა საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას თვით ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მთელ ტერიტორიაზეც, რომელსაც მოგვიანებით საქართველო ნებაცოფლობით დაუთმოდა თურქეთს. ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობას არ უნდა წამოეყენებინა პრეტენზიები საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ რუსეთის ქონებასა და ფასეულობებზე, თურქეთსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე თურქეთს უნდა გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და ა. შ.

თავის მხრივ, საქართველო კისრულობდა ვალდებულებას, მთელი თავისი ძალებითა და საშუალებებით დახმარებოდა თურქეთის არმიას რუსეთ-თურქეთის ომის განმავლო-



ბაში, უზრუნველყოფდა თურქეთის არმიის მეგობრულ მიღებას საქართველოში, მისთვის მეგზურების გამოყოფას, საბრძოლო გადაადგილების გაადვილებას და სხვა. ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტს უფლება უნდა ჰქონოდა, შეექმნა ქართული ლეგიონები თურქეთის ტერიტორიაზე, დაენიშნა ამ ლეგიონების ოფიცრები, სარდალი და სხვა (პაიჭაძე, 2004: 116-117).

შეთანხმების ტექსტს ქართული მხრიდან ხელს აწერდა თავადი მაჩაბელი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. დეტალურად შედგენილი ამ შეთანხმების ტექსტის მიხედვით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ჩვენი ქვეყნის საზღვრებში მოიაზრებოდა. გაუგებარი იყო მხოლოდ არდაგანის (არტაანის) უაპელაციო დათმობა ქართველთა მხრივ.

იმავე წლის 3 სექტემბერს თურქულმა მხარემ საპასუხო წერილში მთლიანად გაიზიარა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შედგენილ შეთანხმების ტექსტში ჩამოყალიბებული დებულებები. „პატივი მაქვს გაცნობთ, რომ საიმპერატორო მთავრობა თანხმდება ზემოთ ფორმულირებულ წინადადებებს და უფლებას აძლევს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტს, განაახლოს მუშაობა თურქეთში იმ მიზნებისთვის, რაც მითითებული გაქვთ. თავისთავად ცხადია, თქვენი კომიტეტის მოქმედების განმავლობაში სამხედრო ხელისუფლება მუდმივად თქვენს ხელთ იქნება. ჩვენი საერთო ძალისხმევის წარმატების შემთხვევაში საზღვარი თურქეთსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის განსაზღვრული იქნება შერეული სამხედრო კომისიის მიერ ზემოთ მითითებული საზღვრების საფუძველზე, სტრატეგიულ აუცილებლობათა გათვალისწინებით“ (პაიჭაძე, 2004: 120-122).

წერილს ხელს აწერდა თურქეთის არმიის მთავარი შტაბის პირველი განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი გეზისმეტი.

დამოუკიდებლობის კომიტეტის ფილიალები მოქმედებდნენ კონსტანტინეპოლში, ქუთაისსა და თბილისში. ჯერ კიდევ 1914 წლის მიწურულს შობა-ახალი წლის არდადეგებზე საქართველოში ჩამოსულმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს და-

მოუკიდებლობის კომიტეტის სტუდენტური ფილიალი და აქტიურად შეუღებენ აჯანყების იდეის პროპაგანდას. 1914 წლის შემოდგომა-ზამთრის საომარი კამპანიის დროს თურქეთის ჯარი საკმაოდ დრმად შეიჭრა ბათუმი-ყარსის ოლქების ტერიტორიებზე, ეს გარემოება ანტირუსული აჯანყების მოწყობისთვის ხელსაყრელ გარემოებად ჩაითვადა. ამის გამო სტუდენტებმა გადაწყვიტეს, აღარ წასულიყვნენ სასწავლებლებში და კარზე მომდგარ აჯანყებაში მიეღოთ მონაწილეობა. დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენლები მთელ საქართველოში აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ აჯანყების სასარგებლოდ. მაგრამ აჯანყებისთვის მზადება გართულდა უსახსრობის გამო. იარაღის მიწოდებას აგვიანებდნენ გერმანელებიც. ამან საქართველოში კომიტეტის მიმართ ეჭვები გააჩინა. ამასობაში კი რუსებმა ფრონტზე მდგომარეობა გამოასწორეს და თურქებს უკან დაახევინეს. რუსეთის მთავრობას ხელში ჩაუვარდა მოწოდება „ქართველნო! ქართველო მამულიშვილნო!“, რომელშიც საუბარი ანტირუსულ აჯანყებაზე და ოსმალეთის ჯართან ერთად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე იყო. ცარიზმის აგენტურამ სხვა წყაროებითაც მიიღო ცნობები ანტირუსული აჯანყების მზადების შესახებ. ცარიზმმა ქართველ ხალხს ბრალი სეპარატიზმისა და მტერთან თანამშრომლობაში დასდო და აღვირა ხსნილი ანტიქართული კამპანია გააჩაღა. ქართული პრესა ყოველივეს უარყოფდა და პროვოკაციულ ჭორად აცხადებდა. თუმცა, დღეს შეიძლება იმის თქმა, რომ აჯანყებისთვის მზადება მაშინ მართლაც სრული ტემპით მიმდინარეობდა და ქართველი მამულიშვილები ქვეყნის გათავისუფლებისთვის ემზადებოდნენ.

სამწუხაროდ, ზემოჩამოთვლილმა მიზეზებმა აჯანყების წარმატება სათუო გახადა. „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ძალისხმევა უშედეგოდ დამთავრდა – აჯანყებისთვის მზადება აჯანყებაში აღარ გადაზრდილა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ბაქრაძე, 2010 – ბაქრაძე ლაშა, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2010.

პაიჭაძე, 2000 – პაიჭაძე დავით, მიხაკო წერეთლის „საქართველო და მსოფლიო ომი“, „ანალები“ 1, 2000.

პაიჭაძე, 2004 – პაიჭაძე დავით, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის“, „ანალები“ 2, 2004.

Birinci Dünya Savaşı başladıktan sonra Gürcistan siyasî partileri savaşa katılan askerî bloklara ve savaşa karşı çok farklı bakış açılarında bulundular. Gürcü Bolşevikleri, bu savaşı her iki tarafça yapılan adaletsiz ve istilacı savaş olarak açıkladılar ve kendi hükümetinin mağlup olacağı fikirlerini ileri sürdüler. Gürcü Sosyal Demokratların Menşevikler kanadı, vatan savunma düşüncesi üzerine yoğunlaştı. Gürcü Sosyalist-Federalistleri ise, onların sağcı kanadını temsil eden milli demokratlarla birlikte kendi vatanlarının aleyhine çalıştılar. Bu tutum Bolşeviklerin tutumunda bir nevi farklıydı ki, onlara göre Çarlığın yıkılması, Rusya İmparatorluğu'nun uç bölgelerinde yaşayan milletlerin daha kolay kurtulmasını sağlayacaktı.

Savaş başladıktan sonra Almanya-Avusturya-Macaristan-Türkiye askerî bloğun dış politikası Kafkasya Bölgesi'ne odaklandı. Türkiye, Orta Asya Türkmen kabileleri ile birlikte Kuzey Kafkasya Müslüman halklarıyla Gürcistan ve Ermenistan'ı kapsayan "Büyük Türkiye"yi kurmayı hayal ediyordu. Almanya, Kafkasya halklarını Rusya'ya karşı ayaklandırmak için kendi planlarını kuruyordu. Bu amaçla, Almanlar "Doğudan Haber Alma İstihbarat Bürosu'nu" kurdular.

Gürcü aydınların büyük bir kısmı, savaşta Almanya'nın galip gelmesini istiyorlardı. Tabii ki, kalan kısmı da diğer tarafın zafer kazanacağına inanıyordu. Onlara göre, Büyük Britanya ile Fransa'nın tesiri altında bulunan Rusya, demokratlaşma istiametine gidecekti ve Gürcistan'a da özerklik tanıyacaktı. Gürcü toplumu, resmi açıdan Rusya'ya sadık kalma sözünü vermişti. Ancak, Almanya aleyhine başlatılan propagandaya soğuk kanlı yaklaşmıştı.

Almanya'nın "Doğudan Haber Alma İstihbarat Bürosu" doğuda faaliyet gösteren siyasetçilere ve müelliflere büyük ilgi gösteriyordu ve onlarla direk ilişkiler kurmak için özel çabada bulunuyordu. Alman

hükümeti, doğulu politikacıların siyasî faaliyetine yardım ediyordu. Bunun doğal sonucu Berlin’de "Hindistan İstiklal Komitesi", "Hindî Milliyetçileri Avrupa Merkezî Komitesi", "Fars Komitesi", "Rusya Müslüman Talebelerini Destekleme Cemiyeti“ ve benzeri teşkilatların kuruluşu idi.

1914 yılının Kasım ayında "Gürcistan’ın Millî Bağımsızlık Komitesi" kuruldu. Söz konusu komitenin ismi "Gürcistan Kurtuluş Komitesi“ olarak da geçmektedir. Adı geçen komitenin liderleri olan Gürcü politikacıların amacı, Almanya ile Türkiye’nin siyasi gruplar arasında Gürcistan’ın bağımsızlığı ile tarafsızlığı hakkında fikirlerini tanıtmak ve benimsetmektir. Giorgi Maçabeli, Mikhako Tsereteli, Petre Surguladze, Leo ve Giorgi Kereselidzeler ve diğer Gürcü siyaset adamları, savaşın başlamasından istifade ederek Gürcistan’ın bağımsızlığını yeniden elde etmeye çalıştılar. Onlar, Gürcistan devletini resmen tanımak ve sınırlarına tespit etmek için Alman ve Türk siyasetçileriyle yoğun bir şekilde görüşmelere başladılar.

İdeoloji açısından Gürcü tutumunun ortaya koyulması işini Mukhako Tsereteli üstlendi. Çalışmaları ile gazete makalelerinde Alman ve Türk taraflarına Gürcistan’ı Rusya’nın yalnız bir ayaklanan bölgesi değil de Almanya ile Türkiye’nin müttefik ile ortağı olarak göstermeye çalışıyordu. Mikhako Tsereteli, Birinci Dünya Savaşını azınlıkları siyasi bağımsızlığa kavuşturan bir ümit olarak görüyordu. Rusya ve Türkiye arasındaki askeri mücadelesini ise Gürcistan’ın bağımsızlığının yeniden kazanılması için iyi bir imkân sağlayacağı kanaatindeydi. 1916 yılında Mikhako Tsereteli: "Biz çok iyi biliyoruz ki, Rusya’nın zayıflanması sadece bu imparatorlukta yaşayan mazlum halkların menfaatlerinde değil, mesele öncelikle Almanya ile bütün uygar dünyanın ilgi dahilindedir. Bunun yerine getirilmesi ise Avrupa ilerlemesi yolunda karşıya çıkan bütün zorlukların kaldırılmasına ve gericiliğin ebedî ocağının yıkılmasına imkan sağlayacaktır" gibi ifadeler kullanmıştır (Bakradze, 2010:1). M. Tsereteli ve G. Maçabeli kendi milletini Almanlara şu şekilde tanıttılar: "Gürcü halkı ne komplocu ve ne hainlerden oluşur, ne de teşkilâtsiz bir kitledir, yirmi üç asırlık tarihe sahip olan tek millettir ve talihsizliğine rağmen hayattadır, varoluşu kesintiye uğramayacak, yine de devam edecektir" (Bakradze, 2010:44).

Bununla birlikte, Türkiye’nin "Büyük Turan" kurma emelleri Mikhako Tsereteli ve diğer Gürcü siyaset adamlarını ciddi fikirlere daldırdı. Tsereteli’ye göre “Kafkasya’da Rusya yerine Türkiye kendi

egemenliğini kurarak bölgeyi kendi taşrasına dönüştürdü. Bu davranış ise büyük ve düzelemez bir hata olur ve gelecekte daimi sorunların kaynağına dönüştürdü" [Paiçadze, 2000:78]. Dolayısıyla, Gürcü tarafı bu ihtimali göz önünde bulundurarak Türk temsilcilerinin sözlerine ve imzaladıkları evraklara fazlasıyla dikkat gösteriyorlardı.

Aralık 1914'te "Gürcistan Milli İstiklâl Komitesi" ve Türk hükümeti arasında gelecek Gürcistan'ın sınırları ile Gürcistan'ın Osmanlı Devletiyle ilişkileri üzerine bir anlaşma yapıldı. Türk tarafından bahsedilen sözleşme İçişleri Bakanı sekreteri tarafından imzalandı. Sözleşmenin bu seviyede imzalanmasının nedeni imza atan tarafların değişik kategorilerde bulunduğundan kaynaklanıyordu (Bağımsızlık Komitesi devletin resmi temsilcisi değildi).

Tabi ki Gürcü siyasetçileri bu savaşta Türkiye'nin kendi menfaatlerinin var olduğunu çok iyi biliyorlardı. Bu yüzden Türkiye'ye, yaptığı uzlaşma karşılığında Türk ahalsinin daha fazla yaşadığı Kars ve Erivan vilayetlerini teklif ediyorlardı. Türkiye'nin Gürcü toprakları üzerindeki iddialarını ise Almanya vasıtasıyla önleyeceklerini düşünüyorlardı. 14 Eylül 1914'te -yani zikredilen anlaşma akdedildikten önce - "Gürcistan Bağımsızlık Komitesi" İstanbul Almanya elçisi Baron Von Vangenhaim'den bir mektup aldı. Bu mektupla birlikte Almanlar, ne Rusya'nın, ne Türkiye'nin Gürcistan üzerine egemenlik sağlayamayacaklarına izin vermeyeceklerini vaat ettiler.

Gürcistan Bağımsızlık Komitesi, Birinci Dünya Şavaşı'nın başlamasından hemen sonra Cenevre'den Berlin'e taşındı ve Gürcü tutsaklar arasında milli bağımsızlık fikrini aşılama çalıştı. Komitenin çabasıyla mevcut tutsaklardan 1500 kişilik bir lejyon kuruldu. Daha sonra ise lejyon askerlerinin sayısı daha arttı. Komitenin teşebbüsleriyle Kutaisi'de millî güçlerin temsilcilerinin toplantısı sağlandı. Katılımcılar, Rusya'ya karşı genel ayaklanmanın geciktirmeden yapılması kararını aldılar. Gürcü tutsaklar lejyonu Almanya'dan Trabzon'a getirildi. Lejyon, ayaklanma başlanır başlanmaz savaşa girecekti.

Mikhako Tsereteli ve Giorgi Maçabeli Almanya hükümetiyle görüşmelere devam edip onlardan Gürcü kimliğinin yeniden kazandırılmasına yardım garantisini istediler. Bu görüşmelerde Almanya'nın yetkili temsilcisi kont Hurtales, Gürcü heyetine Gürcüler Rusya'ya karşı silah çektiği taktirde Almanya'nın Gürcü topraklarını savunacaklarını; Gürcistan'ın bağımsızlık mücadelesini destekleyeceklerini ve Gürcü birlikleri silahlandıracağını bildirdi.

Bununla beraber Hurteles, Gürcü tarafına mühimmatların bir kısmının Trabzon'da bulunduğunu ve isyan başlar başlamaz bu silahların Gürcülere bir an önce teslim edileceğini açıklamaya çalışıyordu. Mikhako Tsereteli'nin tahmin ettiğine göre, millî özgürlük çağrısına 50 bin civarında Gürcü katılacağı mümkündü. Aynı dönemde ise, 200 binden fazla Gürcü Rus ordusuna asker olarak çağrıldığı bilinmektedir. Giorgi Maçabeli, Almanlardan 50 bin tüfek, 5 milyon kurşun, 10 bin makineli tüfek, 10 bin kılıç, 20 bin süngü, 5 bin tabanca ve diğer askeri teçhizatı istedi [Bakradze, 2010:53].

Millî özgürlük savaşında Almanlar ile Türklerden yardım bekleyen Gürcüler, aynı zaman pasif durumda kalmak istemediklerini; bağımsızlığın bir tepsi ile takdim edileceğini bekleyemeyeceklerini açıkladılar. M. Tsereteli'nin dediğine göre "Gürcistan, başkası için fedakârlık yapmadan kendisi için yardım beklemez. Korkunç düşmana karşı savaşmağa hazırdır. Ya hürriyetine kavuşacak ya tamamıyla ortadan kaybolacaktır" [Paicadze, 2000:79].

17 Ağustos 1915'te çıkardığı muhtırasında "Bağımsızlık Komitesi" şunları yazıyordu: "...Kafkasya'da Gürcistan eski devlet kimliğini kazanılabılırsa eğer Rusya, Türkiye için tehlike yaratamayacak ve aynı Gürcistan Asya'ya Slavların geçebilmemesi için sağlam bir duvar olacaktır. Gürcistan, bağımsız devlet iken aynı durumdaydı ve Rusya da bu bölge için tehlikeli değildi. Güneye doğu yayılmacı politikasını yapamıyordu, çünkü Gürcistan bir uluslararası kimliğini taşıyarak ona mâni olurdu. Eğer Gürcistan arzu ettiği gibi tarafsızlığını kazanabilseydi, komşu ülkelerin rahatsızlığına da son verilir. Gürcistan, uluslararası hukukî durumu ve toprakların dokunulmazlığı ile birlikte barışçıl faktörünü sağlayabilirdi... Akdeniz havzasından uzak olan bir ülke yayılmacılık niyetini besleyemezdi. Enerjisini gücünden üstün olan maksada doğru yöneltmezdi." [Paicadze, 2004:116–117].

"Gürcistan Millî Bağımsızlık Komitesi", Osmanlı İmparatorluğu hükümetine Gürcistan'ın bağımsızlığını Gürcüler tarafından gösterilen sınırlar dahilinde, yani Çıldır'dan Balvana'ya kadar, Balvana'dan Andanuc'a ve Çoruh nehrine kadar tanımayı önerdi. Ayrıca yapılan öneriye göre Türkiye hükümeti, Rus işgalinden kurtul bölgelerde yani Çoruh nehrinin sol kıyısındaki tüm topraklarda Gürcistan'ın geçici hükümetinin kurulmasını engellemeyecekti. Daha fazlası, aynı Türk hükümeti Gürcistan tarafından daha sonradan Türkiye'ye gönüllü olarak bırakacağı Çoruh nehrinin sol kıyısındaki topraklarda yine de Geçici

Gürcü Hükümetinin kurulmasına da engel yaratmayacaktı. Türkiye ve Rusya arasında barış anlaşması imzalanır imzalanmaz Türkiye, Gürcistan topraklarından ordusu ve askerî kuvvetlerini geri çekecekti vs.

Gürcistan ise, Türk-Rus Savaşı süresince Türk Ordusuna bütün imkanlar ile yardım edecekti. Gürcistan, Türk ordusunu bir dost olarak kabul edecekti, gerek olduğunda kılavuzluk ve bir yerden diğere aktarılmasını vs. sağlayacaktı. "Gürcistan Millî Bağımsızlık Komitesi", Türkiye toprakları içinde Gürcü askerî birliklerinin kurulması, subayları ve komutanlarının tayin edilmesi hakkına sahip olacaktı [Paizadze, 2004: 116–117]. Anlaşmanın metni Gürcistan adına "Gürcistan Milli İstiklal Komitesi" Başkan yardımcısı prens Maçabeli tarafından imzalandı.

Etrafıca düzenlenen anlaşma metnine göre Gürcistan'ın tarihî topraklarının büyük bir kısmı Gürcistan sınırları içinde kalacaktı. Ancak, Gürcüler tarafından Ardahan'dan itiraz hakkı olmaksızın vazgeçmeleri belirsizdi.

3 Eylül 1915 tarihli mektupta Türk tarafı, "Gürcistan Millî Bağımsız Komitesi" tarafından düzenlediği anlaşmanın maddelerini tamamen kabul etmişti. Mektupta "İmparatorluk hükümeti yukarıda formüle edilmiş teklifleri kabul eder ve Gürcistan Milli Bağımsızlık Komitesi"ne Türkiye'deki çalışmalarının devam etmesine müsaade eder. Tabii ki çalışmalarınız esnada askerî yönetmenlik tamamen elinizde bulunacaktır. Ortak çabalarımız başarıyla sonuçlandığında, Türkiye ve Gürcistan Devletleri arasında devlet sınırı karma askerî komisyon tarafından stratejik gereklikler göz önünde bulundurarak gösterilen sınırlar esas alarak belirlenecektir" [Paizadze, 2004:120–122]. Mektup Türkiye Ordusu Genel Kurmayı I. bölümünün müdürü Yarbay Gez İsmet tarafından imzalanmıştı.

"Komitenin" şubeleri İstanbul, Kutaisi ve Tiflis gibi merkezlerde faaliyet gösteriyorlardı. 1914 sonunda Noel/yılbaşı tatilinde Gürcistan'a gelen öğrenciler tarafından "Bağımsızlık Komitesi'nin Öğrenci Şubeleri" kuruldu ve ayaklanma düşüncelerin aktif propagandası başlatıldı. Türk Ordusu, 1914 yılının sonbahar-kış askerî harekâtı zamanında Batum-Kars bölgeleri içerisine oldukça derin girdi. Bu durum Rusya'ya karşı ayaklanmak için bir fırsat bilindi. Öğrenciler, okula dönmediler ve başlamak üzere olan ayaklanmaya katılmak için karar verdiler. Ama ayaklanma hazırlıkları parasızlık sebebiyle zorlaştı. Almanlar silah göndermeyi geciktirdiler. Halk Gürcistan'da Komiteye şüphe ile

bakmaya başladı. Ruslar cephedeki durumunu düzelttiler. Türkler geri çekilmek zorunda kaldılar. Çarlık ajanlığı, değişik kaynaklardan Rusya'ya karşı silahlı ayaklanma hazırlıklardan haberdar oldu. Çarlık, Gürcü halkını ayrılıkçı ve düşmanla işbirlikle suçladı. Ruslar, Gürcistan'a karşı şiddetli propaganda yapmaya başladılar. Gürcü basını, suçlamaları reddedip ve bütün bunları bir provokasyon olarak değerlendirdi.

Maalesef, yukarıda bahsedilen sebeplerden dolayı ayaklanma başarısız, "Gürcistan Milli Bağımsızlık Komitesinin" teşebbüsleri sonuçsuz kaldı ve ayaklanma hazırlıkları ayaklanmaya dönüşmedi.



# GÜRCİSTAN'IN SOSYAL TARİHİNDE TÜRK KAYNAKLARININ YERİ ve ÖNEMİ

Prof. Dr. Nedim İPEK  
Ondokuz Mayıs Üniversitesi  
Fen-Edebiyat Fakültesi Tarih Bölümü, SAMSUN.

## ÖZ

Bugün Gürcistan'ın siyasi sınırları içerisinde yer alan toprakların bir kısmı 1578-1918 sürecinde Osmanlı idaresinde bulunmuştur. Bu dönemde söz konusu sahadaki toplumun nüfusu, sosyal ilişkileri, ekonomik faaliyetleri ile ilgili verilere Türk kaynaklarından ulaşmak imkan dahilindedir.

Konuyla ilgili Türkçe kaynakların başında arşiv malzemesi gelir. Sosyal kaynakların başında *Tapu tahrir defterleri* gelir. Bu defterler Osmanlı hakimiyeti döneminde idari, iktisadi durumu tespite imkan verir. 1592, 1595 ve 1728 yıllarında gerçekleştirilen tahrirlerle bölgenin söz konusu tarihlerdeki nüfusu ve ekonomisi hakkında oldukça detaylı bilgi elde etmek mümkündür. Osmanlı hakimiyetindeki Batum ve havalisindeki yerleşmelere ait 1830- 1840 yıllarına ait *nüfus defterleri* mevcuttur. Bu defterlerden bölge halkının yaşını, lakabını, erkek çocukların sayısını ve isimlerini, askerlikle yükümlü olanları tespit etmek imkan dahiline girmektedir. Gürcistan ile ilgili önemli kayıtlardan birisini de divan-ı hümayunda müzakere edilen konuların kaydedildiği *Mühimme Defterleri* oluşturmaktadır. Bu defterlerden Osmanlı'nın Gürcistan ile ilgili konularda merkezi idarenin görüşünü de tespit etmek imkanı doğmaktadır. Öte yandan, Gürcü kralları ile yapılan yazışmaları tespit etmek imkan dahilindedir.

Osmanlı dönemi toplumsal ve yerel tarihin önemli kaynaklarından birisi de hiç şüphesiz *kadı sicilleri*dir. Bugünkü Gürcistan sınırları dahilinde kalan yerlerle ilgili tespit edebildiğimiz kadarıyla Ahıska'ya ait kadı sicilleri mevcuttur. Bu siciller akademik boyutta çalışılmıştır. Ancak Batum, Kars ve Erzurum'a ait siciller bugüne kadar tespit edilememiştir. Türkçe kaynaklardan bir kısmı da *vekayinamelerdir*. Osmanlı bürokratlarının bölge ile ilgili raporları da tarihi geçmişe açıklık getirmektedir. Bunlardan birisi Türk- Rus sınırını tespit ile görevli Türk murahhas heyetinin yaptığı tahkikatın neticeleri *Çürüksu Vak'ası* isimli raporda açıklanmaktadır. Bir diğer kaynak gazetelerde tefrika

edilen veya müstakil eser halinde kaleme alınan hatırat ve seyahatnamelerdir. Gezi yazılarının başında Evliya Çelebi'nin seyahatnamesi gelir. Sosyal tarih açısından zikredilecek bir diğer kaynak vilayet salnameleridir. Netice itibarıyla 1580- 1900 yılları arası Türk kaynakları Gürcistan'ın sosyal tarihini aydınlatmak açısından önemli verilere sahiptir.

## **THE PLACE AND IMPORTANCE OF TURKISH SOURCES FOR GEORGIAN SOCIAL HISTORY**

Prof. Nedim IPEK  
Ondokuz Mayıs University, Faculty of Art and Sciences,  
Department of History, SAMSUN

### **ABSTRACT**

Today, some parts of Georgia were governed by Ottomans between 1578 and 1918. Turkish sources about the population, social relationships and economic activities of the society in Ottoman periods can be accessible.

At the start of Turkish sources about the subject are archival materials. Additionally, *tapu tahrirleri*, records of land registrations, is one of the most important social sources. These registrations pave the way for determination of administration and financial condition of those periods. Registrations of land in 1592, 1595 and 1728 contain detailed information about the population and financial situation of those regions. In addition to those registrations, there are also *nüfus defteri*, registration of population, belonging to Batumi and his neighborhoods under the administration of Ottomans in 1830 – 1840s. The ages of population, the nicknames, the number of boys and their names and the number of boys who have compulsory military service can be determined by the help of Registers of Population. In addition to the sources above, another important source is *Mühimme Defterleri*, registers of important matters“ which contain the issues discussed in Imperial Council. By the help of those records, opinions of Imperial Council about Georgia can be confirmed. On the other hand, diplomatic correspondence with Georgian Kings can be ascertained by studying those records.

Another source related to Ottoman social and local history is *kadı sicilleri*, court records. According to our determinations, there are court records belonging to Akhaltsikhe which is today inside the border of Georgia. Those court records have studied academically. However, court records of Batumi, Kars and Erzurum have not been determined yet. Chronicles are another part of Turkish sources. The reports of Ottoman bureaucrats about the region clarify the historical background. One of those reports is named as *The Case of Çürüksu*. That report contains the consequences of investigation which was made by Turkish negotiator committee charged with detection of Turkish – Russian border. Another sources are memories and travel books which are sometimes published in a newspaper and sometimes published independently. One of the well – known travel writings belonged to Evliya Çelebi. In addition to all above mentioned sources, *Vilayet Salnameleri*, Annuals of Provinces, are important for social history. Consequently, Turkish sources recorded between 1580 and 1900 contain considerable information in order to shed light on Georgian social history.

## **საქართველოს სოციალურ ისტორიაში თურქული წყაროების ადგილი და მნიშვნელობა**

პროფესორი **ნაღიმ ივაძე**  
ცხრამეტი მაისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, **სამსუნი**

### **მოკლე შინაარსი**

დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში არსებული ტერიტორიის ერთი ნაწილი 1578-1918 წლებში ოსმალეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ პერიოდში, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ყოფის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ოსმალური წყაროების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საარქივო წყაროებს. სოციალური მდგო-

მარეობის შესასწავლად განსაკუთრებით საინტერესოა საკადასტრო აღწერის დავთრები. ეს დავთრები გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ ოსმალური მმართველობის დროის ადმინისტრაციული და ეკონომიკური სიტუაცია. 1592, 1595 და 1728 წელს ჩატარებული აღწერის დავთრებიდან რეგიონის მოსახლეობის და ეკონომიკის შესახებ საკმაოდ დეტალური ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი. არსებობს ოსმალეთის მმართველობის პერიოდის 1830-1840 წლების ბათუმის მოსახლეობის აღწერის დავთრები. ამ დავთრებიდან შესაძლებელია, დადგინდეს აქ მცხოვრები მოსახლეობის ასაკი, (მეტ)სახელები, ვაჟების რაოდენობა და მათი სახელები, სამხედრო ვალდებულების მქონეთა რაოდენობა. საქართველოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ უავეუსტოეს სასამართლო ინსტანციებში განხილული სასამართლო აღწერის დავთრები. ამ დავთრებიდან ასევე შესაძლებელია საქართველოსთან მიმართებაში ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების პოზიციის დაზუსტება. ცალკე შესაძლებელია, დადგინდეს ქართველ მეფეებთან წარმოებული მიმოწერის ტექსტების შინაარსი.

ოსმალური პერიოდის საზოგადოების ყოფის და ადგილის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროებად ითვლება რელიგიური მოსამართლის (ყადი) მიერ წარმოებული რეესტრები. ჩვენ მიერ მოძიებული და იდენტიფიცირებულია ახალციხის მხარის სასულიერო სასამართლოს რეესტრები, რომლებიც მეცნიერულად დამუშავდა. თუმცა იმავე სახის რეესტრები ბათუმის, ყარსის და ერზრუმის შესახებ ჯერ კიდევ არ არის იდენტიფიცირებული. თურქული წყაროების ერთი ნაწილი წარმოადგენს აქტებს. ოსმალეთის ბიუროკრატიის ანგარიშები რეგიონის შესახებ ნათელს ჰფენს ისტორიულ წარსულს. მათგან ერთ-ერთი არის რუსეთ-თურქეთის საზღვრის დასადგენად მივლინებული ოსმალეთის დელეგაციის ანგარიში. ამ ანგარიშს ჰქვია ჩურუქსუს აქტი, სადაც განმარტებულია ჩატარებული მოკვლევის შედეგები. ცალკე წყაროებად განიხილება გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, მოგზაურობათა წიგნები და მოგონებები. მოგზაურობათა წიგნებიდან, როგორც წყარო, უპირველესია ევლია ჩელების მოგზაურობათა წიგნი.

სოციალური ყოფის აღწერის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეგიონული წვლილდეულები. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თურქული წყაროები შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

Osmanlı'nın Gürcü prenslikleriyle ilgilenmesinin başlangıcı 15. Yüzyıl ortalarına rastlar. Trabzon'un fethini müteakip Acaristan ile de temas kuruldu. Yavuz döneminde hakimiyet sahası Gürcistan'ın doğusuna kadar genişledi. 1578- 1590 yılları arasında Gürcü beylerine bağlı topraklar Osmanlı Devleti tarafından fethedildi. 1590- 1614 arası Osmanlı hakimiyetinde kalan Gürcistan idari açıdan yapılandırıldı. 18 ve 19. yüzyıllarda Safevi ve Rusya ile hakimiyet çatışması oldu. 1828-1829 Savaşı ile Ruslar Batum'a dayandılar. Batum 1878'de Rus hakimiyetine girdi. Netice itibarıyla bugün Gürcistan'ın siyasi sınırları içerisinde yer alan toprakların bir kısmı 1578 -1918 sürecinde Osmanlı idaresinde bulunmuştur. Bu dönemde söz konusu sahadaki toplumun nüfusu, sosyal ilişkileri, ekonomik faaliyetleri ile ilgili verilere Türk kaynaklarından ulaşmak imkan dahilindedir. Bu çalışmanın konu ile ilgili tüm kaynakları tespit etmek ve ortaya koymak gibi bir iddiası bulunmamaktadır. Burada ilgili kaynaklar yer ve tür açısından tasnif edilerek kısaca tanıtılacaktır.

Yerel tarih ile ilgili kaynak tarama ve tespiti işine kaynak özelliği taşıyan ve yazıldığı dönemdeki çağdaş bilgileri de içeren ansiklopedi ve coğrafya kitaplarından başlamak gerekmektedir<sup>1</sup>. Bu eserler aynı zamanda bölgeyle ilgili Türkiye'deki bilgi birikimini de okuyucuya yansıtır.

Konuyla ilgili Türkçe kaynakların başında arşiv malzemesi gelir. Türkiye'deki arşivleri genel ve yerel arşivler olmak üzere iki gruba ayırabiliriz. Genel arşivleri Osmanlı, Cumhuriyet, Topkapı, Vakıflar,

---

<sup>1</sup> Katip Çelebi, *Cihannüma*, İstanbul 1145; Abdurrahman Şeref, *Coğrafya-yı Umumi*, İstanbul 1313- 1316; Mehmed Eşref, *Mükemmel ve Mufassal Coğrafya-yı Umumi Atlası*, İstanbul 1325; Şemseddin Sami, *Kamusul-Alam*, İstanbul 1308-...?, Ahmed Rifat, *Lugat-ı Tarihiye ve Coğrafiye*, İstanbul 1299; *Kafkasya ve Asya-yı Vusta ve Türkistan Vilayetleri Buhara ve Hiyye, Coğrafi, Siyasi, Tarihi ve İstatistiki Mücmel, Malumat*, Çev. Nazmi, İstanbul 1334; Van P. Goç, *Beynelmilel Usul-i Temsil, İskan-ı Muhacirin*, Mütercim. Habil Adem, İstanbul 1334.

Şer’i Sicil, Tapu ve Kadastro, Atase, Tite, Kızılay şeklinde sıralamak mümkündür. Sosyal kaynakların başında Tapu tahrir defterleri gelir. Bu defterler Osmanlı hakimiyeti döneminde idari, iktisadi durumu tespiti için imkan verir. 1592, 1595 ve 1728 yıllarında gerçekleştirilen tahrirlerle bölgenin söz konusu tarihlerdeki nüfusu ve ekonomisi hakkında oldukça detaylı bilgi elde etmek mümkündür<sup>2</sup>. Batum ve havalisindeki yerleşmelere ait 1830 ve 1840 tarihli nüfus defterleri<sup>3</sup> mevcuttur. Bu defterlerden bölge halkının yaşını, lakabını, erkek çocukların sayısını ve isimlerini, askerlikle yükümlü olanları tespit etmek imkan dahilindedir. Bu defterlerin bir kısmı yüksek lisans tezi olarak hazırlanıp ilim dünyasının bilgisine sunulmuştur<sup>4</sup>.

Batum, Ahıska ve Tiflis bölgesinde yaşayanların bir kısmı esir tüccarları tarafından gulam ve cariye olarak, bir kısmı ticaret ve iş sebebiyle (esnaf, zanaatkar, tüccar) ve bir kısmı da Türk- Rus savaşlarını müteakip hayatını Osmanlı topraklarında idame ettirmek amacıyla iltica yoluyla Anadolu’daki yerleşmelere gelmiştir. Söz konusu nüfus hareketlerini Başbakanlık Osmanlı Arşivi’ndeki belgelerden oldukça detaylı bir şekilde takip edebilmek imkan dahilindedir.

---

<sup>2</sup> Katip Çelebi, *Cihannüma*, İstanbul 1145; Abdurrahman Şeref, *Coğrafya-yı Umumi*, İstanbul 1313- 1316; Mehmed Eşref, *Mükemmel ve Mufassal Coğrafya-yı Umumi Atlası*, İstanbul 1325; Şemseddin Sami, *Kamusul-Alam*, İstanbul 1308-...?, Ahmed Rifat, *Lugat-ı Tarihiye ve Coğrafiye*, İstanbul 1299; *Kafkasya ve Asya-yı Vusta ve Türkistan Vilayetleri Buhara ve Hiyve, Coğrafi, Siyasi, Tarihi ve İstatistiki Mücmel, Malumat*, Çev. Nazmi, İstanbul 1334; Van P. Goç, *Beynelmilel Usul-i Temsil, İskan-ı Muhacirin*, Mütercim. Habil Adem, İstanbul 1334.

<sup>3</sup> Katip Çelebi, *Cihannüma*, İstanbul 1145; Abdurrahman Şeref, *Coğrafya-yı Umumi*, İstanbul 1313- 1316; Mehmed Eşref, *Mükemmel ve Mufassal Coğrafya-yı Umumi Atlası*, İstanbul 1325; Şemseddin Sami, *Kamusul-Alam*, İstanbul 1308-...?, Ahmed Rifat, *Lugat-ı Tarihiye ve Coğrafiye*, İstanbul 1299; *Kafkasya ve Asya-yı Vusta ve Türkistan Vilayetleri Buhara ve Hiyve, Coğrafi, Siyasi, Tarihi ve İstatistiki Mücmel, Malumat*, Çev. Nazmi, İstanbul 1334; Van P. Goç, *Beynelmilel Usul-i Temsil, İskan-ı Muhacirin*, Mütercim. Habil Adem, İstanbul 1334.

<sup>4</sup> Murat Kaya, *1170 Nolu Gönve Batum Sahil Köyleri Nüfus Defterinin Değerlendirilmesi*, Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi, Rize 2013; Levan Gurgendze, *Çıldır Eyaleti Çürüksu Sancağı Nüfus Defteri*, Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi, Rize 2011.

Gürcistan ile ilgili önemli kayıtlardan birisini de divan-ı hümayunda müzakere edilen konuların kaydedildiği *mühimme defterleri* oluşturmaktadır. Bu defterlerden Osmanlı'nın Gürcistan ile ilgili konularda merkezi idarenin görüşünü ve Gürcü kralları ile yapılan yazışmaları tespit etmek imkan dahilindedir<sup>5</sup>.

Osmanlı dönemi toplumsal ve yerel tarihin önemli kaynaklarından birisi de hiç şüphesiz *kadı sicilleri*dir. Bugünkü Gürcistan sınırları dahilinde kalan yerlerle ilgili tespit edebildiğimiz kadarıyla Ahıska'ya ait kadı sicilleri mevcuttur. Bu siciller akademik boyutta çalışılmıştır<sup>6</sup>. Ancak Batum, Kars ve Erzurum'a ait siciller bugüne kadar tespit edilememiştir<sup>7</sup>. Muhtemelen işgal döneminde Rusya tarafından götürülmüşlerdir. Bununla beraber Batum, Ahıska ve Tiflis'ten çalışmak, ticaret yapmak veya kamu görevlisi olmak şeklinde Osmanlı coğrafyasına dağılmış özellikle erkek nüfus mevcuttur. Diğer sicillerde bunlarla ilgili kayıtlara tesadüf edilebilmektedir. Örneğin Nebi Gümüş bir makalesinde bu kayıtları değerlendirmiştir<sup>8</sup>.

Türkçe kaynaklardan bir kısmı da *vekayinameler*dir. Kerimüddin Mahmud Aksarayı'nın *Musameretül Ahbar* isimli eserinde Büyük ve Türkiye Selçukluları devirlerinde Gürcistan'da gerçekleşen ve diğer kaynaklarda aktarılmayan olaylar kayıtlıdır<sup>9</sup>. Mustafa Ali Efendi katip olarak katıldığı Lala Mustafa Paşa'nın 1578 tarihindeki Gürcistan ve Şirvan seferlerini *Nusretname* isimli eserinde anlatır. Eserde Atabey II. Manuçar'ın itaati, Osmanlı'nın Tiflis'i fethi, Kaheti Kralı Aleksandr'ın Lala Mustafa Paşa ile görüşmesi ve Şirvan seferi gibi konulara yer verilmiştir. Yazarın *Künhulahbarve Fursatname* isimli eserlerinde de

---

<sup>5</sup> Nebi Gümüş, *XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri*, Yayınlanmamış Doktora Tezi, İstanbul 2000, s.11.

<sup>6</sup> Esra Pamuk, *Bir Numaralı Ahıska Şer'iyye Sicilinin Transkripsiyonu ve Değerlendirilmesi*(H.1183- 1241/ 1769- 1825), Basılmamış Yüksek Lisans Tezi, Antep 2012

<sup>7</sup> Fethi Gedikli, "Şeriyye Sicillerinin Hukuk Tarihi Açısından Önemi ve Sicillere Dayalı Araştırmalar", *Dünden Bugüne Osmanlı Araştırmaları, Tespitler, Problemler, Teklifler*, İstanbul 2007, s. 80.

<sup>8</sup> Nebi Gümüş, "Osmanlıların Son Döneminde Rize ve Batum Arasında Sosyal İlişkiler", *Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi İlahiyat Fakültesi Dergisi*, 1, Rize 2012, s. 65- 71.

<sup>9</sup> Kerimüddin Mahmud-i Aksarayı, *Musameretül Ahbar*, Çev. Mürsel Öztürk, Ankara 2000.

konu ile ilgili oldukça önemli bilgiler tespit edilip aktarılmaktadır<sup>10</sup>. Aynı sefere iştirak eden ve Çıldır, Tiflis ile Şirvan'ın fethini gören Hüseyin bin Mehmed tespitlerini *Gazavat-ı Özdemiroğlu Osman paşa* isimli eserinde aktarır<sup>11</sup>. TalikizadeSubhiMehmed, 1584'de Ferhad Paşa'nın seferine sefer katibi olarak katılmış olup *Tarihçe* adlı eserinde Lori, Tomanis ve Gori kalelerinin tamirini anlatır. Aynı konularda Ebubekir b. Abdullah'ın eserinde de bilgi mevcuttur<sup>12</sup>. Osmanlı'nın Gürcistan'ı fethiyle ilgili önemli kaynak şahıslardan birisi de Rahimizade'dir. Müellif eserlerinde fetih ile ilgili önemli bilgiler aktarmaktadır<sup>13</sup>. Müneccimbaşı da eserinde Lala Mustafa Paşa'nın Gürcistan seferine ve oradaki mahalli idarecilerin Osmanlılarla mücadelelerine yer vermiştir<sup>14</sup>. Selanikive Vasıf tarihinde de bölge ile ilgili kayıtlar mevcuttur<sup>15</sup>. Şanizade, Ahmed Cevdet Paşa ve Ahmed Lütfi Efendi gibi vekayinüvis tarihlerinde de konuyla ilgili bilgi bulmak mümkündür<sup>16</sup>. Cevdet Paşa'nın bölgeyle ilgili monografik bir eseri de

---

<sup>10</sup> Nebi Gümüş, *XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri*, Yayınlanmamış Doktora Tezi, İstanbul 2000, s.14- 15.

<sup>11</sup> Hüseyin bin Mehmed, *Gazavat-ı Özdemiroğlu Osman Paşa*, İstanbul Belediye Ktp. Nr. 0.118/2. Naklen: Nebi Gümüş, *XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri*, Yayınlanmamış Doktora Tezi, İstanbul 2000, s.14- 15

<sup>12</sup> TalikizadeSubhiMehmed, *Tarihçe*, TSMK Revan köşkü Nr. 1300, Ebubekir b. Abdullah, *Şark Seferleri*, Millet Ktp. Ali Emiri : 1579- 1584 yılları arası gelişmeleri açıklar. naklen: Nebi Gümüş, *XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri*, Yayınlanmamış Doktora Tezi, İstanbul 2000, s.11.

<sup>13</sup> Rahimizade İbrahim Harimi Çavuş, *Kitab-ı Gencine-i Feth-i Gence*, TSMK, Revan köşkü, Nr. 1296; Rahimizade İbrahim Harimi Çavuş, *Zafername-i Sultan Murad Han*, İ.Ü. TY. Nr. 2372.

<sup>14</sup> Müneccimbaşı, *SahaiFu'l- Ahbar fi Vakayii-Asar* naklen Nebi Gümüş, *XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri*, Yayınlanmamış Doktora Tezi, İstanbul 2000, s.11.

<sup>15</sup> Ahmed Vasıf Efendi, *Mehasinül- asar ve Hakaikül- Ahbar*, Yayınlayan Müctebaİlgürel, İstanbul 1978; Selaniki Mustafa Efendi, *Tarih-i Selaniki*, Yayınlayan Mehmet İpşirli, İstanbul 1989; Cevdet Paşa, *Tezakir*, 1-12, Ankara 1986.

<sup>16</sup> Şanizade Mehmet Atullah Efendi, *Şanizade Tarihi*, İstanbul 1873; Ahmet Cevdet Paşa, *Tarih-i Cevdet*, İstanbul 1309; Ahmed Lütfi Efendi, *Vakanüvis Ahmed Lütfi Efendi Tarihi*, Yayına Hazırlayan . M. Aktepe, 9, İstanbul



mevcuttur<sup>17</sup>. Bölgenin nüfus yapısı ile ilgili bir diğer eser Abdürreşid İbrahim'e aittir<sup>5418</sup>.

Osmanlı bürokratlarının bölge ile ilgili raporları da tarihi geçmişe açıklık getirmektedir. Örneğin, Türk- Rus sınırını tespit ile görevli Türk murahhas heyetinin yaptığı tahkikatın neticeleri *Çürüksu Vak'ası* isimli raporda açıklanmaktadır<sup>19</sup>.

Yakın tarihe ait kaynak türlerinden birisi de sözlü kaynaktır. Sözlü kaynaklar daha çok yazılı kaynakları desteklemek ve tamamlayabilmek amacıyla kullanılır. Geleneksel toplumlarda kişilerin tanık olmadıkları ancak kuşaktan kuşağa aktarılan sözlü gelenek de tarihinin yararlandığı veriler arasında yer almaktadır. Arşivlerde yer alan kayıtlar daha ziyade bireyin devletle olan ilişkisini yansıtır. Gazeteler dönemin sıra dışı günlük ve siyasi olaylarını aktarır. Günlük olayları ise sözel kaynak, hatırat ve seyahatnamelerde yakalamak imkan dahiline girer. Batum, Ahıska, Sohumve Abhazya çevresinden Anadolu'ya göçler yaşandı. Göç edenlerin yeni iskan sahalarındaki gündelik yaşamlarını Samsun Çarşamba'da göçten yaklaşık on yıl sonra İsmetzade Mehmed Arif tespit etmiş ve yayımlamıştır<sup>20</sup>. Bu göçmelerin torunlarından bölgeye ait sözlü gelenekleri tespit etmek mümkündür. Kafkasya ile ilgili hatırat bazında Atatürk, Ali Fuat Cebesoy, Kazım Karabekir, Mustafa Butbay, Ahmed Refik'in hatıratları ilk akla gelen eserlerdir<sup>21</sup>. Ahmed Refik I. Dünya Savaşı arifesinde (1913) yüzbaşı rütbesiyle yeniden göreve alındı. Savaşın sonunda, yabancı gazeteciler heyetine başkanlık ederek Batum, Trabzon, Erzincan, Erzurum, Kars ve Artvin'i dolaştı (1918). Tespitlerini

---

1984; Mustafa Nuri Paşa, *Netayicül- Vukuat*, Yayımlayan Neşet Çağatay, 1-4, Ankara 1987, 1980.

<sup>17</sup> Ahmed Cevdet Paşa, *Kırım ve Kafkasya Tarihçesi*, İstanbul 1307.

<sup>18</sup> <sup>54</sup> Abdürreşid İbrahim, *Alem-i İslam Kafkasya Ahvaline Dair Rapor*, İstanbul 1334.

<sup>19</sup> *Çürüksu Vak'ası*, İstanbul Arkeolojik Müzesi Ktb. TY. 380, Y. 1/6

<sup>20</sup> İsmetzade Mehmed Arif, *Gürcü Köyleri*, İstanbul 1311.

<sup>21</sup> Mustafa Kemal Atatürk, *Nutuk*, 1-3, İstanbul 1972; Kazım Karabekir, *İstiklal Harbimiz*, İstanbul 1969; Feridun Cemal Erkin, *Türk- Sovyet İlişkileri ve Boğazlar Meselesi*, Ankara 1968; Ali Fuat Cebesoy, *Moskova Hatıraları*.

hatırat bazında yayımladı<sup>21</sup>. Bölgeyle ilgili seyahatname deyince ilk akla gelen şüphesiz Evliya Çelebi'dir. Evliya Çelebi Kafkasya'ya üç kez gitmiştir. Birincisinde (1640) Gürcistan ve Mingrelya üzerinden Karadeniz sahillerini takip ederek Azak kalesine gitmiş ve oradan İstanbul'a dönmüştür. İkinci seferde Revan, Azerbaycan, Derbent, Tiflis üzerinden Erzurum'a gider. 1666'da üçüncü seferinde ise Rumeli'den hareketle Karadeniz'in kuzeyinden Kafkasya'ya ulaşır. Bu sefer Kafkasya'yı kuzey- güney istikametinde gezer. Bölgeye gazeteciler de geziler düzenlemişlerdir. 1918'de Batum Osmanlı idaresine geçince burada incelemelerde bulunmak üzere Fazıl Ahmed, Ruşen Eşref ve Faliş Rıfki gibi müellifler deniz yoluyla Batum'a giderler. Söz konusu müellifler seyahatleri sırasındaki tespitlerini gazeteleri vasıtasıyla okuyucuları ile paylaşmışlardır<sup>23</sup>.

Vilayet salnameleri Osmanlı coğrafyasında yerel tarih araştırmaları açısından önemli kaynak türüdür. 1869- 1877 yılları arasında *Trabzon Vilayeti Salnamelerinde* vilayetin sancağı durumunda olan Batum'un kamu görevlileri, kamu kurumları, coğrafi özellikleri, nüfusu, kamu kurum ve kuruluşları hakkında genel bilgiler bulmak mümkündür<sup>24</sup>.

### KAYNAKÇA

Abdurrahman Şeref, *Coğrafya-yı Umumi*, İstanbul 1313- 1316.

Abdürreşid İbrahim, *Alem-i İslam Kafkasya Ahvaline Dair Rapor*, İstanbul 1334.

---

<sup>21</sup> Ahmed Refik, *Kafkas Yollarında Hatıralar ve Tahassürler*, İstanbul 1919; Mustafa Butbay, *Kafkasya Hatıraları*, Yayımlayan Ahmet Cevdet Canbulat, Ankara 1990.

<sup>23</sup> Abidin Daver, "Batum'a Doğru", "Batum'da", *Tasvir-i Efkâr*, 17, 19 Mayıs 1918; Ağaoglu Ahmed, "Bükreş'de ve Batum'da", *Tercüman-ı Hakikat*, 2 Mayıs 1918; "Kafkasya'da Doğru, Batum'un Zabtı", *Tercüman-ı Hakikat*, 16 Nisan 1918; Ahmed Rasim, "Ahmed Rasim Bey Kafkasya'da", *Tasvir-i Efkâr*, 17 Haziran 1918; Ahmed Cevad, "Kafkasya'da Bir Cevalan", *Tasvir-i Efkâr*, 28 Kasım 1336, 2, 7 Şubat 1336; Fazıl Ahmed, "Batum Yolculuğu", *Sabah*, 22 Mayıs 1918, Ruşen Eşref, "Anadolu Kıyılarında", *Vakit*, Mayıs 1918, Mustafa Sarı, *Türkiye- Kafkasya İlişkilerinde Batum (1917- 1921)*, Ankara 2014.

<sup>24</sup> H. 1286, 1287, 1288, 1290, 1291, 1292, 1293 ve 1294 Tarihli *Trabzon Vilayeti Salnameleri*.

- Ahmed Cevdet Paşa, *Kırım ve Kafkasya Tarihçesi*, İstanbul 1307.
- Ahmed Cevdet Paşa, *Tezakir*, 1-12, Yayına Hazırlayan Cavit Baysun, Ankara 1986.
- Ahmed Lütü Efendi, *Vakanüvis Ahmed Lütü Efendi Tarihi*, Yayına Hazırlayan . M. Aktepe, 9, İstanbul 1984.
- Ahmed Refik, *Kafkas Yollarında Hatıralar ve Tahassürler*, İstanbul 1919.
- AhmedRifat, *Lugat-ı Tarihiye ve Coğrafiye*, İstanbul 1299.
- Ahmed Vasıf Efendi, *Mehasinül- asar ve Hakaikül- Ahbar*, Yayınlayan Mütebağgürel, İstanbul 1978.
- ATATÜRK, Mustafa Kemal, *Nutuk*, 1-3, İstanbul 1972.
- ÇürüksuVak'ası, İstanbul Arkeolojik Müzesi Ktb. TY. 380, Y. 1/6
- BUTBAY, Mustafa, *Kafkasya Hatıraları*, Yayınlayan Ahmet Cevdet Canbulat, Ankara 1990.
- ERKİN, Feridun Cemal Erkin, *Türk- Sovyet İlişkileri ve Boğazlar Meselesi*, Ankara 1968.
- GEDİKLİ, Fethi, “Şeriyeye Sicillerinin Hukuk Tarihi Açısından Önemi ve Sicillere Dayalı Araştırmalar”, *Dünden Bugüne Osmanlı Araştırmaları, Tespitler, Problemler, Teklifler*, İstanbul 2007, s. 73- 96.
- GOC, Van P., *Beynelmilel Usul-i Temsil, İskan-ı Muhacirin*, Mütercim. Habil Adem, İstanbul 1334.
- GURGENIDZE, Levan, *Çıldır Eyaleti Çürüksu Sancağı Nüfus Defteri*, Yayınlanmamış Yüksek Lisans Tezi, Rize 2011.
- GÜMÜŞ, Nebi, *XVI. Asır Osmanlı- Gürcistan İlişkileri*, Yayınlanmamış Doktora Tezi, İstanbul 2000.
- GÜMÜŞ, Nebi, “Osmanlıların Son Döneminde Rize ve Batum Arasında Sosyal İlişkiler”, *Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi İlahiyat Fakültesi Dergisi*, 1, Rize 2012, s. 65- 71.
- Hicri 1286, 1287, 1288, 1290, 1291, 1292, 1293 ve 1294 Tarihli Trabzon Vilayeti Salmameleri.*
- İsmet zade Mehmed Arif, *Gürcü Köyleri*, İstanbul 1311.
- Kafkasya ve Asya-yı Vusta ve Türkistan Vilayetleri Buhara ve Hiyeve, Coğrafi, Siyasi, Tarihi ve İstatistiki Mücmel, Malumat*, Çev. Nazmi, İstanbul 1334.
- KARABEKİR, Kazım, *İstiklal Harbimiz*, İstanbul 1969
- KAYA, Murat , *1170Nolu Gönve Batum Sahil Köyleri Nüfus Defterinin Değerlendirilmesi*, Yayınlanmamış Yüksek Lisans Tezi, Rize 2013

Mehmed Eşref, *Mükemmel ve Mufasssal Coğrafya-yı Umumi Atlası*, İstanbul 1325.

Mustafa Nuri Paşa, *Netayicül- Vukuat*, Yayınlayan Neşet Çağatay, 1-4, Ankara 1987, 1980.

PAMUK, Esra Pamuk, *Bir Numaralı Ahıska Şer'iyeye Sicilinin Transkripsiyonu ve Değerlendirilmesi* (H.1183- 1241/ 1769- 1825), Basılmamış Yüksek Lisans Tezi, Antep 2012.

SARI, Mustafa , *Türkiye- Kafkasya İlişkilerinde Batum (1917-1921)*, Ankara 2014.

Selaniki Mustafa Efendi, *Tarih-i Selaniki*, Yayınlayan Mehmet İpşirli, İstanbul 1989.

Şemseddin Sami, *Kamusul- Alam*, İstanbul 1308.

ოსმალეეთის დაინტერესება ქართული სამთავროებით XV საუკუნის შუა წლებიდან იწყება. ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ურთიერთობა აჭარასთანაც დამყარდა. იაეუზის პერიოდში ოსმალეეთის ბატონობის არეალი საქართველოს აღმოსავლეთ ტერიტორიებამდე გავრცელდა. 1578–1590 წლებში. ქართველი თავადების ტერიტორიები ოსმალეეთის სახელმწიფომ დაიპყრო. 1590-1614 წლებში ოსმალეეთი ბატონობის ქვეშ შესულ საქართველოში განხორციელდა ადმინისტრაციული რეფორმები. XVIII და XIX საუკუნეებში ხდებოდა ბრძოლები სეფევიდების და რუსეთის წინააღმდეგ აქ ბატონობისთვის. 1828–1929 წლების ომის შედეგად რუსეთი ბათუმს მიაღება. 1878 წელს ბათუმი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში არსებული მიწების ნაწილი 1578-1918 წლებში ოსმალეეთის შემადგენლობაში შედიოდა. ამ ეპოქის თურქული წყაროები შეიცავს აღნიშნული ტერიტორიებზე არსებული სოციალური ურთიერთობების, მოსახლეობისა და ეკონომიკის შესახებ საინტერესო ცნობებს. ჩვენს სტატიას არ გააჩნია პრეტენზია იმისა, რომ თემასთან დაკავშირებული ყველა წყარო გვაქვს მოძიებული და დადასტურებული. მოკლედ გაგაცნობთ თემისთვის საინტერესო წყაროებს ადგილისა და სახეობის მიხედვით.

კონკრეტული წყაროს მოძიებამდე, მიზანშეწონილია ენციკლოპედიებისა და გეოგრაფიის წიგნებში იმ მასალის

შესახებ ინფორმაციის მოკვლევა, სადაც საკვლევი ეპოქის შესახებ ინფორმაციაა მოცემული<sup>1</sup>. აღნიშნული ცნობები, ამავე დროს, მკითხველის მიაწვდის თურქეთში დამუშავებულ სრულ ინფორმაციას რეგიონის შესახებ,

საკვლევი საკითხისთვის საჭირო ყველა წყაროს არქივთან მივყავართ. არქივი თურქეთში შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს; ძირითადი და ადგილობრივი. ძირითადი არქივებია: ოსმალეთის პერიოდის, რესპუბლიკის პერიოდის, თოფკაფის, ფონდების, სასამართლო რეესტრების, მიწის რეესტრის და საკადასტრო, სამხედრო, ისლამის ისტორიის კვლევის და კიზილაის არქივები. სოციალური წყაროებიდან უპირველესია მიწის საკუთრების აღწერის დავთრები. ეს დავთრები ოსმალეთის მბრძანებლობის ეპოქის ადმინისტრაციული და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უტყუარ მონაცემებს იძლევა. 1592, 1595 და 1728 წლებში ჩატარებული აღწერები რეგიონის მოსახლეობის და ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის შესახებ საკმაოდ დეტალური მონაცემებს გვაწვდის<sup>2</sup>. არის ასევე 1830 და 1840 წლებში ბათუმსა და მის შემოგარენში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრები<sup>3</sup>. ამ დავთრებში მოცემულია მოსახლეობის ასაკის, მეტსახელების და ძირითადად, ბიჭებისა და სამხედრო ვალდებულების მქონეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ამ ჩანაწერების ერთი ნაწილი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომების სახით მოზადდა და სამეცნიერო საზოგადოებისთვის იქნა შეთავაზებული<sup>4</sup>.

ბათუმის, ახალციხისა და თბილისის რეგიონების მცხოვრებლების ერთი ნაწილი ტყვეებით მოვაჭრეების მიერ ტყვე ქალებად და ვაჟებად გაყიდვის შედეგად, ერთი ნაწილი ვაჭრობისა და მუშაობის მიზნით, ნაწილი კი რუსეთ-თურქეთის ომების გამო თავშესაფრის ძებნის მიზნით ანატოლიაში დასახლდა. ეს საკითხი საკამოდ დაწვრილებით არის აღწერილი პრემიერ-მინისტრის ოსმალეთის არქივში დაცულ დოკუმენტებში.

საქართველოს შესახებ კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია სულთნის სათათბიროს მიერ გამოქვეყნებულ საგანგებო დავთრებში. ამ დავთრებში ჩანს ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია საქართ-

ველოს საკითხების მიმართ და დასტურდება ოსმალეთის ხელისუფლების მიმოწერა ქართველ მეფეებთან<sup>5</sup>.

ეჭვგარეშეა, რომ ე. წ. „ყადის რეესტრები“ ნამდვილად გვევლინება ოსმალეთის საზოგადოებისა და ტერიტორიების ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში მოქცეული ტერიტორიების შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით ამ წყაროებს შორის არის ე. წ. „ყადის რეესტრები“ ახალციხის მხარის შესახებ. აღნიშნული რეესტრები დამუშავებულია მეცნიერულად<sup>6</sup>. დღემდე ვერ მოიძებნა მსგავსი რეესტრები ბათუმის, ყარსისა და ერზრუმის მხარეების შესახებ<sup>7</sup>. სავარაუდოა, რომ ოკუპაციის პერიოდში რუსეთში იქნა გატანილი. ამ რეესტრებში ასევე ბათუმიდან, ახალციხესა და თბილისიდან ოსმალეთის მთელს ტერიტორიაზე სამუშაოდ, სავაჭროდ წასული ან სახელმწიფო სამსახურში მივლენილი მამრობითი სქესის მოსახლეობის შესახებ ინფორმაციაა მოცემული. სხვა რეესტრებში აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგჯერ გვხვდება გარკვეული ჩანაწერი. ჩანაწერები შესაძლებელია შემთხვევითაც შეგვხვდეს, რასაც კვლევებით ადასტურებს ბატონი ნები გუშუში თავის ერთ-ერთ სტატიაში<sup>8</sup>.

თურქული წყაროების ერთ ნაწილში გვხვდება ინფორმაცია მხატვრული შემოქმედების შესახებაც. ქერიმუდდინ მაჰმუდ აქსარაის ცნობილ ნაწარმოებში „მუსამერეთულ აჰბარ“ აღწერილია სეფიუკების დროის საქართველოში მომხდარი ისეთი მოვლენები, რომლებიც სხვა წყაროებში არ არის ასახული<sup>9</sup>. ალი ეფენდის წიგნი „ნუსრეთნამე“ მოგვითხრობს საქართველოსა და შირვანზე ლალა მუსტაფა ფაშას 1578 წლის ლაშქრობის შესახებ. ნაწარმოებში მოთხრობილია ათაბეგ მანუჩარ II-ის მორჩილების შესახებ, ოსმალთა ლაშქრობა თბილისზე, კახეთის მეფის ალექსანდრეს შეხვედრა ლალა მუსტაფა ფაშასთან, საუბარია, აგრეთვე, შირვანზე გალაშქრობის შესახებ. იმავე მწერლის თხზულებაში „ნუსრეთთინნამე და ფურსათნამე“, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული<sup>10</sup>. ამავე ლაშქრობაში მონაწილე ჰუსეინ ბინ მეჰმედი ჩილდირის, თბილისისა და შირვანის აღებას

თავის თხზულებაში „გაზავათი ოზდემიროღლუ ოსმანფაშა“ აღწერს<sup>11</sup>. თალქიზადე სუჰი მეჰმედი, რომელიც თვითონ იყო ფერჰად ფაშას 1584 წლის ლაშქრობის ჟამთააღმწერელი, თავის თხზულებაში „ისტორია“ აღწერს ლორის, დმანისის და გორის ციხეების შეკეთების პროცესს. იმავე თემას მოიცავს ებუბეკირ აბდულლაჰის ნაწარმოებიც<sup>12</sup>. საქართველოზე ოსმალების ლაშქრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმწერია რაჰიმზადე. იგი თავის თხზულებებში დამპყრობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის<sup>13</sup>. მუნეჯიმბაშიც თავის თხზულებებშიც აღწერს ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობას საქართველოზე და იქაური მოსახლეობის წინააღმდეგობებს<sup>14</sup>. ასეთივე ცნობებს გვაწვდიან სელანიქი და ვასიფი<sup>15</sup>. ამ თემასთან დაკავშირებული ცნობები მოიპოვება შანიზადეს<sup>16</sup>, აჰმეთ ჯევედეთ ფაშასა, აჰმედ ლუტფი ფაშას თხზულებებში<sup>17</sup>. აბდულრეშიდ იბრაჰიმს ეკუთვნის ნაშრომი რეგიონის მოსახლეობის შესახებ<sup>18</sup>.

ოსმალეთის ბიუროკრატიული ოქმები რეგიონის ისტორიას ნათელს ჰფენს. მაგალითისთვის, რუსეთ-თურქეთის საზღვრების დასადგენად წარგზავნილი თურქეთის უფლებამოსილი დელეგაციის მიერ შედგენილი ოქმები, რომლებიც ცნობილია „ჩურუქსუ ვაქასის (ქობულეთის შემთხვევა)“ სახელით<sup>19</sup>.

ახლო წარსულის ისტორიის კვლევისთვის საჭირო წაყროს წარმოადგენს ზეპირსიტყვიერი მასალა. ზეპირსიტყვიერი წყაროები წერილობით წყაროებში მოცემული ფაქტების უფრო მეტად გასაანალიზებლად და დასასაბუთებლად გამოიყენება. საზოგადოება, რომელიც მომსწრე იყო ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა, თაობიდან თაობას სიტყვიერად გადასცემდა და ქმნიდა ისტორიას. არქივებში დაცული წაყროები უფრო მეტად ირეკლავს ცალკეული ინდივიდებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს. პრესას ეპოქის საზღვრებს მიღმა გადააქვს ყოველდღიური და სოციალური ამბები. ყოველდღიური ამბები შესაძლებელია შეგხვდეს ზეპირსიტყვიერ წყაროებში, მემუარებსა თუ მოგზაურთა ჩანაწერებში. ბათუმის, ახალციხის, სოხუმის და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან ადამიანები გადასახლდნენ ანატოლიაში. სამსუნის რაიონის ჩარშამბის მხარეში ახალ ჩასახლებულთა ყოველდღიური ყოფა ისმეთ ზადე მეჰმეთ არიფმა 10 წლის შემდეგ

ადწერა და გამოაქვეყნა<sup>20</sup>. გადასახლებულების შთამომავლების გამოკითხვის შედეგად შესაძლებელია რეგიონში არსებული ტრადიციების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოძიება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ბაზაში არის ათათურქის, ალი ფუათ ჯებესოს, ქაზიმ ქარაბეჩირის მუსტაფა ბუთბაისა და აჰმეთ რეფიქის მემუარები კავკასიის შესახებ<sup>21</sup>. აჰმეთ რეფიქი პირველ მსოფლიო ომამდე (1913) კვლავ დაინიშნა ასეულის მეთაურად. ომის დასასრულს მან უცხოელ ჟურნალი-სტებთან ერთად მოიარა ბათუმი, ტრაპიზონი, ერზიჯანი, არზრუმი, ყარსი და ართვინი (1918). შემდეგ მისი კვლევები მემუარების სახით გამოიცა<sup>22</sup>. რეგიონების შესახებ მოგზაურების ჩანაწერების ხსენებისას უპირველეს ყოვლისა გვახსენდება ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნი“. ევლია ჩელები სამჯერ მოიარა კავკასია. თავის პირველი მოგზაურობისას (1640) იგი საქართველოს, სამეგრელოს და შავი ზღვის სანაპიროების გავლით აზოვის ციხემდე მივიდა. ხოლო იქიდან სტამბოლში დაბრუნდა. მეორედ იმოგზაურა ერევანში, აზერბაიჯანში, დარუბანდსა და თბილისში. აქედან ჩავიდა არზრუმიში (1666). მესამედ, თავისი მოგზაურობა დაიწყო რუმელიდან და შავი ზღვის ჩრდილოეთიდან ჩავიდა კავკასიაში. ამ მოგზაურობისას მან მოიარა მთელი კავკასია ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ამ რეგიონში იმოგზაურეს აგრეთვე ჟურნალისტებმაც.

1918 წელს, როდესაც ბათუმი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ გადავიდა, აქაურობის გამოსაკვლევად და შესასწავლად ფაზილ ამედი, რუშენ ეშრეფი და ფალიჰ რაფიქი ზღვისპირეთის გავლით ბათუმში ჩავიდნენ. მათ თავიანთი მოგზაურობის შესახებ შთაბეჭდილებები მკითხველს პრესის საშუალებით გააცნეს<sup>23</sup>.

ოფიციალური ინფორმაციები ვილაიეთის შესახებ (ე. წ. სალნამეები) უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ოსმალეთის რეგიონების ისტორიის ასახვის კუთხით. 1869-1877 წლებში – „ტრაპიზონის ვილაიეთის სალნამეებში“ დაცულია სანჯაყის სტატუსში აყვანილი ბათუმში მოღვაწე სახელმწიფო მოხელეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, გეოგრაფიის თავისებურებების, მოსახლეობის, სახელმწიფო და საზოგადო სტრუქტურების შესახებ ინფორმაცია<sup>24</sup>.



**ქართლ-კახეთ-ოსმალეთის დიპლომატიური  
ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის 70-იან  
წლებში**

პროფესორი რომან გობოლაშვილი

**მოკლე შინაარსი**

XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში მდგომარეობა გართულდა. ირან-ოსმალეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. 1776 წელს 13 თვის ალყის შემდეგ, ირანის ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის ქალაქი ბასრა და საფრთხე შეუქმნეს ბაღდადს. რუსეთთან ომში დამარცხებული ოსმალეთი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. მოშლილი მეურნეობა რუსეთის სასარგებლო კონტრიბუციის დაფარვას ვერ აუდიოდა. ყირიმის საკითხის გამო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული იყო. ოსმალეთთან ომის წინ ქერიმ-ხანისთვის მეტად ძვირფასი უნდა ყოფილიყო ერეკლეს პოზიცია. ირანის ვეჰილმა ერეკლეს დიდი საჩუქრები გამოუგზავნა და „წყალობა-სიყვარულის“ სიტყვა შემოუთვალა 1777 წლის 24 ივლისს. ამაზე ცოტა ადრე, მარტში ქართლ-კახეთის მეფეს ძვირფასი საჩუქრები, წაყლობა და სიყვარულის სიტყვები ხონთქრისგანაც მოუვიდა. ერეკლემ საქმის ვითარება აწონ-დაწონა და ოსმალეთისათვის მხარის დაჭერა გადაწყვიტა.

1778 წლის 23 მაისს ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ხელშეკრულების ტექსტიც ცნობილი არაა. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ხელშეკრულებით ოსმალეთი ერეკლე II-ს უთმობდა იმერეთს, რაც საკამათოდ გვეჩვენება. მკვლევრები რატომღაც გვერდს უვლიან ახალციხის ფაშის, სულეიმან ჯაყელის ურთიერთობას ერეკლე II-თან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადების საწყის სტადიაზე სულეიმან ჯაყელი ამ მოლაპარაკებაში შუამავალი იყო, ახლა კი ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ერეკლესა და სულეიმანს შორის ურთიერთობა გაცივდა. რაც იმაში გამოიხატა, რომ სულეიმანმა თავშესაფარი მისცა ირა-

ნიდან დაბრუნებულ ალექსანდრე ბატონიშვილს და თანა-  
უგრძობდა სოლომონთან ერთად ერეკლეს წინააღმდეგ  
ბრძოლაში. ბუნებრივად ისმის კითხვა: რამ უბიძგა სულეი-  
მანს ამგვარი განწყობა ერეკლეს წინააღმდეგ, ის ხომ  
თურქეთის ხელდებულად ითვლებოდა და ამგვარი დამო-  
კიდებულება თავისი მფლობელის წინააღმდეგ ამბოხებას  
ხომ არ ნიშნავდა?

ვფიქრობთ, რომ, თუ სოლომონი ინსტინქტურად ხვდე-  
ბოდა ხელშეკრულების შინაარსს, მაშინ სულეიმან ჯაყელს  
დაწერილებით უნდა გაეგო ხელშეკრულების არსი. სწორედ  
ამას უნდა გამოეწვია მისი დაპირისპირება ერეკლესთან.  
ჩანს, სულეიმანმა თავისი აგენტების საშუალებით კარგად  
გაიგო ქართლ-კახეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების შინაარსი,  
რაც, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ სულთანი  
ერეკლეს უთმობდა ახალციხის საფაშოს. ერეკლეს ამ  
ტერიტორიის მიმართ პრეტენზია ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმა-  
ლეთის 1768-1774 წლების ომის დროს გამოჩნდა. გარდა  
ამისა, ახალციხის ფაშა ნომინალურად ცნობდა სულთნის  
უზენესობას. ძირითადად იგი დამოუკიდებლობას ინარჩუ-  
ნებდა. ამგვარ პრეცედენტს ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის  
დროს ჰქონდა ადგილი, როდესაც სულთანი ვახტანგს ირა-  
ნის წინააღმდეგ ბრძოლის სანაცვლოდ მთელი საქართვე-  
ლოს ტერიტორიების ჩაბარებას ჰპირდებოდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ოსმალეთი  
სასტიკად დამარცხდა. მას დაეკისრა 4,5 მლნ მანეთის კონ-  
ტრიბუციის გადახდა რუსეთის სასარგებლოდ. ამასთანავე  
დაკარგა კონტროლი ყირიმზე, რომელიც ნეიტრალურ ზონად  
გამოცხადდა. ოსმალეთს სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა  
ქართლ-კახეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რა-  
თა მომავალშიც არ მომხდარიყო რუსის ჯარის შემოყვანა  
საქართველოში, რაც ოსმალეთის ინტერესებში არ შედიოდა.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ოსმალეთს იძულებულს  
ხდიდა, ქართლ-კახეთისთვის დაეთმო ახალციხის  
საფაშო და პარიტეტულ საწყისებზე დაედო მასთან ხელ-  
შეკრულება, რუსეთ-ირანის ტანდემის საწინააღმდეგოდ.

*საკვანძო სიტყვები:* ქართლ-კახეთი, ოსმალეთი, რუსეთი, სულეიმან ჯაყელი, ერეკლე მეორე.

## **XVIII. ASRIN 70'Lİ YILLARINDA KARTL-KAKHETİ VE OSMANLI DEVLETİ ARASINDAKİ DİPLOMATİK İLİŞKİLERİ ÜZERİNE BİR DEĞERLENDİRME**

Prof. Dr. Roman GOGOLAUŘI

### **ÖZ**

XVIII. asrın 70'li yıllarında bölgedeki durum gerginleşti ve İran - Osmanlı arasındaki ilişki bozulmaya başladı. 1776 yılında 13 ay süren kuşatma sonucunda İran Ordusu ekonomik açıdan çok önemli şehir olan Basra'yı ele geçirdi ve Bağdat'ı tehdit etti. Osmanlı-Rus savaşıdan mağlup çıkan Osmanlı Devleti mali sıkıntılar içindeydi. Bozuk olan ekonomisinden dolayı Rusya'ya ödenecek olan savaş tazminatına zorlanıyordu. Kırım meselesinden dolayı Osmanlı-Rus ilişkileri bozuldu. Osmanlı ile yapılacak savaş öncesinde Kerim Han için II. Erekle'nin tutumu fazlasıyla önemliydi. 24 Temmuz 1777 tarihinde İran Vekili II. Erekle'ye hediyeler gönderdi ve "Merhamet-Sevgi" vaatlerinde bulundu. Daha önce Kartl-Kakheti Kralı'na değerli hediyeler ile aynı vaatler Osmanlı Sultanın'dan da gelmişti. II. Erekle durumu değerlendirip kararını Osmanlı lehine verdi.

23 Mayıs 1778 tarihinde Kartl-Kakheti Krallığı ile Osmanlı Devleti arasında bir sözleşme imzalandı. Gürcistan tarihinde bu sözleşmenin maddeleri bilinmiyor. Araştırmacıların bir kısmı, bu sözleşmeye göre Osmanlı tarafından II. Erekle'ye İmereti Krallığı'nın bırakıldığını tahmin ediyor. Fakat, ileri sürülen bu düşünceleri biz tartışmalı buluyoruz. Araştırmacılar Akhaltsikhe Paşa'sı olan Süleyman Cakeli'nin II. Erekle ile ilişkilerinden nedense hiç bahsetmiyorlar. Buda belirtmeli ki, Süleyman Cakeli, Osmanlı ve Kartl-Kakheti arasında yapılacak antlaşmanın ön aşamalarındaki görüşmelerde taraflara aracılık yapıyordu, ancak sözleşme imzalandıktan sonra Erekle ile Süleyman arasındaki ilişkiler bozuldu. Durumun bu şekle gelmesi Süleyman Paşa tarafından İran'dan geri dönen Prens Aleksandre'ye barınak vermesinden

ve onun İmereti Kralı Solomon'la birlikte II. Erekle'ye karşı mücadelelerini desteklemesinden kaynaklanmıştı. Burada bir soru ortaya çıkıyor: Süleyman'ın Erekle'ye karşı bu tür düşüncelerinin nedeni neler olabilirdi? Çünkü Süleyman Osmanlı'nın bir paşasıydı ve onun bu tür davranışları sultanına karşı bir isyan mıydı?

Bize göre, Eğer İmereti Kralı Solomon, bahsedilen sözleşmenin içeriğini tahmin ediyordu ise, demek olur ki, Süleyman Cakeli bu sözleşmenin içeriğini biliyordu ve bu da Erekle İle Süleyman arasındaki durumun bozulmasına neden oldu. Anlaşılan, Süleyman kendi ajanları aracılığıyla Kartl-Kakheti ve Osmanlı arasında imzalanan sözleşme maddelerinin içeriğini öğrenmişti. Tahminlerimize göre, bu sözleşme gereğince Osmanlı Sultan'ı Akhaltsikhe Paşalığı'nı Erekle'ye bırakıyordu. Erekle'nin bu topraklar üzerindeki iddiaları 1768-1774 Osmanlı-Rus Savaşı döneminde belli olmuştu. Ayrıca, bu dönemlerde Akhaltsikhe Paşa'sı Sultan'ın üstünlüğüne fazlasıyla itibar etmiyordu ve genel olarak ondan bağımsız davranıyordu. Bu durum VI Vahtang döneminde de meydana gelmişti. O zaman Osmanlı Sultan'ı VI. Vakhtang'a İran'a karşı savaşta, Osmanlı lehine savaştığı müddetçe Gürcistan'ın bütün topraklarını teslim etmeyi vaadediyordu.

1768-1774 Osmanlı-Rus savaşında Osmanlı Devleti mağlub oldu ve 4,5 milyon ruble tazminat ödeme zorunda kaldı. Ayrıca Osmanlı Devleti Kırım üzerindeki hakimiyetini kaybetti. Kırım, tarafsız bir bölge olarak ilan edildi. Osmanlı kendi menfaatlerinden kaynaklı olarak gelecek zamanlarda Rus Ordusu'nun Gürcistan'a girmesini önlemek için Kartl-Kakheti Krallığı ile dostluk ilişkilerinin kurulmasını hayati bir mesele olarak görüyordu.

Yukarıda bahsedilen durumdan dolayı Osmanlı Devleti Kartl-Kakheti Krallığı'na Akhaltsikhe Paşalığı'nı bırakmak ve Rusya-İran müttefikliğine karşı, bu krallıkla öncelikli şartlara dayalı bir sözleşme imzalamak zorunda kalıyordu.

**Anahtar Kelimeleri:** Kartl-Kakheti, Osmanlı, Rusya, Süleyman Cakeli, II. Erekle.

## **KARTL-KAKHETI-TURKISH DIPLOMATIC RELATIONS IN THE 1770 S**

Prof. Roman GOGOLARI

### **ABSTRACT**

The situation became complicated in the second half of the 1770s. Iranian-Turkish relations became tense. In 1776 after the 13-month siege, Iranian forces occupied Basra, a city of huge economic importance and endangered Baghdad. The war with the defeated Ottoman Empire caused financial difficulties. It ruined the agricultural sector, which prevented the Ottoman Empire from paying its debts to Russia. The Crimean factor exacerbated the tensions between Russia and Turkey.

The Georgian king Erekle's position should have been acceptable and valuable for Ottoman Empire before the war with Kerim Khan. Iran sent gifts and "words of great love" to Erekle. A bit earlier, on the March 24, 1777 The king of Kartli-Kakheti received valuable presents and "words of great love" from Sultan. Erekle reviewed the existing situation and decided to support the Ottoman side.

On May 23, 1778 Kartli-Kakheti and Turkey signed an agreement. Unfortunately for our historiography, the text of the agreement is unknown. One group of researchers believe that according to this agreement, the Ottomans gave Erekle II the Imereti region; We, however, reject this historical reading. The researchers, somehow, avoid speaking about existing relations between Akhaltsikhe's Pasha, Suleiman Jakeli, and Erekle II. It is interesting that Suleiman Jakeli was a mediator at an early stage of the negotiations between Kartli-Kakheti and the Ottoman Empire, but just after the signing the agreement, their relations broke.

Suleiman gave shelter to Alexandre Batonishvili, who had returned from Iran and supported him in the war against Erekle II. Here the pertinent question arises—why did Suleiman change his position against Erekle? Maybe his action is to be understood as an indicator that he was starting the rebellion against the king.

We think that while Solomon instinctively understood the content of the contract, Suleiman Jakeli must have ascertained the details. Perhaps this fact caused his confrontation with Erekle. Apparently Suleiman,

with the help of his agents, was well aware of the content of Kartli-Kakheti-Ottoman agreement, according to which, in our opinion, the Sultan gave to Erekle the palace of the Akhaltsikhe Pasha. Erekle's petition to return Akhaltsikhe territory was already obvious in the Russian-Ottoman war (1768-1774). Besides, the Akhaltsikhe Pasha nominally knew the Sultan, who maintained independence. This precedent still had a place during the period of Vakhtang VI, when the Sultan promised Vakhtang VI all the territories of Georgia in exchange for his support in the fight against Iran.

During the Russian-Ottoman war (1768-1774), the Ottomans were severely defeated. They were charged to pay a compensation of 4.5 million rubles to Russia. At the same time, the Ottoman Empire lost control of the Crimea, which was identified as the neutral zone. It was crucial for the Ottoman Empire to maintain friendly relations with Kartli-Kakheti in order to avoid a situation in which Russian troops were deployed in Georgia.

The above-mentioned circumstances forced The Ottoman Empire to give the Akhaltsikhe Pasha's Palace to the Kartli-Kakheti kingdom and to sign an agreement against both Russia and Iran.

**Key words:** Kartli-Kakheti, The Ottoman Empire, Russia, Suleman Jakeli, Erekle II.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის ურთიერთობის საკითხს საისტორიო ლიტერატურაში რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ქართულ და რუსულ ენებზე. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ო. ხერხეულიძე, ნ. ბერძენიშვილი, ვ. მაჭარაძე, ი. ბარათაშვილი, გ. ქიქოძე, ს. კაკაბაძე, მ. სამსონაძე, ო. გიგინეიშვილი, ნ. ქორთუა, პ. ბუტკოვი, ო. მარკოვა და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ ავტორთა დამსახურებისა, მათ ნაშრომებში ბევრია სადავო დებულებები და მოსაზრებები. თუმცა ჩვენ ჩვენ მიერ განსახილველად გამოტანილი კონკრეტული საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ, გამოქვეყნებული ქართული და რუსული წყაროებისა თუ საარქივო მასალების საფუძველზე აგვეხსნა საკითხის ირგვლივ არსებული

ხარვეზები და მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა მის ახლებურად გააზრებაში.

ვინაიდან „ხელშეკრულების“ ტექსტი მკვლევართათვის უცნობია, ამიტომ მის შესახებ ზუსტი საუბარი შეუძლებელია. საკითხის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდებით, მეორადი წყაროებით და მოვლენების შემდგომი განვითარებით.

როგორც ცნობილია, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. მისი მიზანი ამ ომში იყო ისტორიული სამცხე-საათაბაგოს შემოერთება. მიუხედავად ერეკლეს ენერგიული მოქმედებისა, მან წარმატებას ვერ მიაღწია. პირიქით, ამ ომში ჩაბმამ მას მეზობელი მაჰმადიანი სახანოები და პოლიტიკური ერთეულები დაუპირისპირა.

საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ (1772 წ.) ქართლ-კახეთი მარტო დარჩა ოსმალეთთან პირისპირ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისა და ქუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების (1774 წ.) შემდეგ, საქართველოსა და რუსეთის მმართველ წრეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა: „ერეკლე დღესაც იმას ცდილობს, რომ აქაური დახმარებით საკუთარი ძალაუფლებისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს, რაც, ნაწილობრივ, ჯერ კიდევ ჩვენი ჯარების საქართველოში ყოფნის დროს გამოქვდავდა და უკვე არავითარ ყურადღებას აღარ იმსახურებს“, – წერდა იმ დროისათვის რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II.

მართალია, ქუჩუკ-კაინარჯის ზავი ერეკლეს ამნისტიას უცხადებდა, მაგრამ მაინც ერეკლემ საჭიროდ ჩათვალია თურქეთთან ურთიერთობის მოგვარება. ამ საქმეში შუამავლობა ახალციხის ფაშამ იკისრა.

1776 წლის ზაფხულში ერეკლეს ელჩები სტამბოლში ჩადიან. ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „.....გარნა დიდად მხიარულ იქმნა ვეზირი მისვლისათვის ირაკლის ელჩისა, ვინაიდგან ცნობილ იყო მეფე ირაკლი ფრიად წინააღმდეგომ ყოველსა ხვანთქარისა საბრძანებელთა შორის და ამის გამო ესევეითართა პატივითა შეიწყნარეს, რომელ უმეტესისა წადილი არღარა აქვნდა ელჩს მეფის ირაკლისასა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ხელშეკრულების ტექსტი ცნობილი არაა. ამიტომ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ელჩობის შედეგად ერეკლემ სულთნის უზენაესობა აღიარა.

მკვლევარი მ. სამსონაძე ამის საფუძვლად ზემოთ მოყვანილ ციტატას იმოწმებს, სადაც ომან ხერხეულიძე ქართლ-კახეთს ხონთქრის საბრძანებელში შემავალ რეგიონად ასახელებს. ამასვე აცხადებდნენ ოფიციალურად რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელები ა. ი. ოსტერმანი და ა. ა. ბეზბოროდკო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო 1776 წელს პორტას მფარველობაში შევიდა.

ცხადია, ამგვარ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ტექსტში ნათქვამია: „ცნობილ იყო მეფე ირაკლი ფრიად წინააღმდეგომ ყოველსა ხვანთქრისა საბრძანებელთა შორის“, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ქართლ-კახეთი ხონთქრის საბრძანებელში შედიოდა. ასეთი შეცდომა შეუძლებელია ერეკლეს ისტორიკოსს მოსვლოდა, რადგან 1639 წლის ზოჰაბის ზავით ქართლ-კახეთი ირანის გავლენის სფეროდ იყო მიჩნეული. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ რუსეთთან დამარცხებული, დასუსტებული და ირანთან მეტოქეობაში მყოფი თურქეთი ამგვარ „ხელშეკრულებას“ არ დასთანხმდებოდა. ამდენად, ზემოთ მოყვანილი ციტატის ჩვენეული ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, მისაღებია. ამას ომან ხერხეულიძეც მოწმობს: „ვეზირმა მეფის ერეკლეს სიტყვას დიას პატივ სცა... უმეტნავესად ამისათვის, რომ ოსმალთ მეფეს ირაკლი დიდ გამრემზომად და ძლიერს კაცთაც მიაჩნდათ და სახელოვნად და ყოველს ხონთქრის საბრძანებელში იმის სახელი (მეფის ერეკლესი-რ.გ.) იყო განფენილი-თვითონ ხონთქარსაც დიდად მოეწონა, მრავალი იმედი და წყალობა უბრძანა და დააბარა მეფე ერეკლესთან“. მასასადაამე, ერეკლე II-ის სახელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს თურქეთის იმპერიაში და მასთან ურთიერთობის მოგვარება სულთნის ინტერესებშიც აშკარად შედიოდა.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა. ირან-ოსმალეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა (1776 წ.). ორივე მხარე საომრად ემზადე-



ბოდა. ირანის ბატონობისაგან ერეკლე ქართლ-კახეთის ფორმალურ განთავისუფლებას დიდი ხანია, დაჟინებით ცდილობდა, მაგრამ საამისო შემთხვევა მას აქამდე არ ეძლეოდა. მეფე განსაკუთრებით უნდობლად უყურებდა ქერიმხანს. საამისოდ საკმარისი მიზეზიც ჰქონდა - ირანის ვეჟილი თავისთან დიდი პატივით ინახავდა ქართლის ტახტის მაძიებელს, რუსეთიდან „გამოპარულ“ ალექსანდრე ბაქარის ძეს. ჯერ კიდევ 1765 წ., პაატა ბატონიშვილის შეთქმულების დროს, რუსეთში მყოფი ალექსანდრე ბაქარის ძე განსაკუთრებით აქტიურობდა, მომხრეებს აგროვებდა და ქართლისაკენ მოიწვევდა. ეკატერინე II-ის მთავრობა ოფიციალურად თითქოს „აკავებდა“ მას, მაგრამ ცოტა საეჭვოდ გამოიყურება ეკატერინე II-ის 1764 წლის 13 თებერვლის ბრძანებულება, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი, ალექსანდრე, „охотно соизволяем отпустить... искать там (ქართლში - რ. გ.) счастье своего“.

რესკრიპტში მითითებული იყო, რომ ალექსანდრეს ცოლი აუცილებლად დარჩენილიყო რუსეთში, რაც ერთობ დამაფიქრებელია.

ოსმალეთთან ომის წინ ქერიმ-ხანისათვის მეტად ძვირფასი უნდა ყოფილიყო ერეკლეს პოზიცია. ირანის ვეჟილმა ერეკლეს დიდი საჩუქრები გამოუგზავნა და „წყალობასიყვარულის სიტყვა“ შემოუთვალა 1777 წლის 24 ივლისს. ამაზე ცოტა ადრე, მარტში, ქართლ-კახეთის მეფეს ძვირფასი საჩუქრები, წყალობა და სიყვარულის სიტყვები ხონთქრისგანაც მოუვიდა. ერეკლემ საქმის ვითარება აწონ-დაწონა და ოსმალეთისთვის მხარის დაჭერა გადაწყვიტა. აკად. ნ. ბერძენიშვილი ამას შემდეგით ხსნის: „ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთი ირანს დაამარცხებდა. ირან-ოსმალეთს შორის მომავალ საზავო ხელშეკრულებაში შეტანილი იქნებოდა ცალკე მუხლი, რომელშიც ირანი სამუდამოდ უარს იტყოდა ქართლ-კახეთზე“, რაც ცოტა არ იყოს, საეჭვოდ გვეჩვენება.

ასევე საკამათოა ის აზრიც, რომ ერეკლე შეეცადა, ოსმალეთის დახმარებით მოეპოვებინა ის, რის მოპოვებასაც რუსეთის შემწეობით არაერთგზის უნაყოფოდ ცდილობდა.

1778 წლის 23 მაისს ერეკლეს ოსმალეთის ხონთქრისაგან ძვირფასი საჩუქრები და ელჩი მოუვიდა. შეთანხმება მოხდა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ოსმალეთის მოკავშირედ ითვლებოდა.

გასაზიარებელია თანამედროვე თურქი ისტორიკოსის ჯგვედეთ ფაშას მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით: „ხელშეკრულების თანახმად, ერეკლე კისრულობდა „ხელი შეუშალოს აზერბაიჯანის ხანების კავშირს ირანის შაჰთან-ქერიმ ხანთან“. იქვე განაგრძობს, რომ „მისი დიდებულება ფადიშაჰისაგან მას (ერეკლეს – რისმაგ გორდუზიანი) მიეცემა ერთგვარი შესაძლებლობა თავისი ძალისა და ძლიერების უზრუნველსაყოფად.“

მკვლევარი მ. სამსონაძე ამ ფრაზაში თურქეთის მხრიდან ერეკლეს მიერ იმერეთის შეერთების დასტურს გულისხმობს. როგორც ჩანს, აღნიშნულ შეთანხმებაში იმერეთის მეფემ თავის საწინააღმდეგო აქცია განჭვრიტა. იგი სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლისათვის განეწყო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოლომონ მეფის შიში უსაფუძვლო როდი იყო. თურქებმა 1778 წლის ბოლოს ანატოლიაში თავმოყრილი ჯარები, მართლაც, დაძრეს დასავლეთ კავკასიისა და ყირიმის მიმართულებით.

როგორც მ. სამსონაძე აღნიშნავს: „მართალია, ხელშეკრულება საიდუმლო იყო, მაგრამ ეტყობა, ჩქარა მისი შინაარსი სოლომონისთვისაც ცნობილი შეიქნა. ეს შინაარსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლ-კახეთი უარს ამბობდა ირანის ქვეშევრდომობაზე, აღიარებდა სულთნის უზენაესობას, კისრულობდა, არ დაეშვა თავის სამეფოში რუსეთის ფეხის მოკიდება. სამაგიეროდ, სულთნის კარი მას „უთმობდა“ უფლებებს დასავლეთ საქართველოზე, პირველ რიგში, იმერეთის სამეფოზე, ე. ი. დასტურს აძლევდა ქართლ-კახეთის მეთაურობით საქართველოს გაერთიანებას.

მიუხედავად იმისა, რომ მ. სამსონაძის ზემოაღნიშნული მოსაზრება XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ქართლ-კახეთ-იმერეთის ურთიერთობათა შესახებ ჩვენთვის მიუღებელია, ვფიქრობ, მაინც მისასაღმებელია, რომ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთაგან მან პირველმა სცადა ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის, როგორც ოსმალეთთან, ისე

ირანთან ურთიერთმიმართებაში და ამ მოვლენების ირგვლივ არსებულ საისტორიო წყაროთა მონაცემებს შორის კავშირი მოეხაზა. ამასთან, ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეთა ურთიერთმიმართ გამართლებული თუ გაუმართლებელი მოქმედებანი გვიანფეოდალური საქართველოს ამ ნაკლებად შესწავლილი მონაკვეთის (საკითხის) პოლიტიკური ისტორიის გასამართავად გამოყენებინა.

1920 წლის 23 ოქტომბერს დაარსებული ახალი თურქული სახელმწიფოს პირველი საგარეო წარმომადგენლობა ბაქოს შემდეგ თბილისში გაიხსნა. თურქული მხარის წარმომადგენელი პოლკოვნიკი კაზიმ (დირიქი) ქართულ მენშევიკურ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის თბილისში თურქული მხარის ოფიციალურ წარმომადგენლად დაინიშნა<sup>1</sup>. თურქეთის მთავრობის ინიციატივით, სომხური მხარის სამხედრო მოქმედებების დროს, აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოების გარანტიისათვის, ქართული მხარის ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად და მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით, სრულყოფილებიან დიპლომატიურ წარმომადგენლებთან - შტაბის ასმეთაურ თაღათ ბეისთან, არტილერიის ასმეთაურ ჯგვზათ ბეისთან, ლეიტენანტებთან ბატონ ჰალითთან და ედიპთან, ექიმ ნუსრეთთან და პრესის წარმომადგენელ ბატონ ფერიითთან ერთად ბატონი კაზიმი 1920 წლის 13 ნოემბერს თბილისში ჩავიდა<sup>2</sup> და რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს მთავრობას.

კაზიმ ბეიმ დაკისრებული მისიის დროს დამყარებული გულწრფელი, მეგობრული ურთიერთობა საქართველოს

<sup>31</sup> [www.mfa.gov.tr/turkiye-gurcistan-siyasi-ilişkileri.tr.mfa](http://www.mfa.gov.tr/turkiye-gurcistan-siyasi-ilişkileri.tr.mfa)

მთავრობასთან 1921 წლის მარტის ბოლომდე შეძლო. მაგრამ ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპირების და ხელი-სუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ, იმ მოსახრებით, რომ იგი მენშევიკებთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ თანამშრომლობდა, ახალმა მთავრობამ ურთიერთობა აღარ ისურვა. ამის გამო, აქამდე არსებული ურთიერთობები შეწყდა<sup>3</sup>. ამ გარემოების გათვალისწინებით ქაზიმ ბეი ბათუმის გავლით ტრაპიზონში დაბრუნდა\*. დროებით წარმომადგენლად დაინიშნა თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის წარმომადგენელი და შტაბის მაიორი ჰუსამეთინ (თულან) ბეი, რომელიც იყო საკონტაქტო ჯგუფის მეთაური თბილისში დისლოცირებულ მე-11 არმიასთან<sup>4</sup>. იგი 1921 წლის 15 მარტს შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და 1921 წლის 9 ივნისს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ანგარიში, სადაც აღნიშნავდა, რომ იგი ვერ შეძლებდა, ყოფილიყო ერთდროულად წარმომადგენელიც და საკონტაქტო ოფიცერიც, ამიტომ მოითხოვდა ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენლის დანიშვნას თბილისში<sup>5</sup>.

სწორედ ამ პერიოდში ხელი მოეწერა ყარსის ხელშეკრულებას, რითაც დაიწყო ურთიერთობების ახალი ეტაპი. ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მიზნით თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობამ გადაწყვიტა, დაენიშნა თავისი ახალი წარმომადგენელი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე. ამ თანამდებობისთვის შეირჩა იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი დიპლომატი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და დიდი ეროვნული კრების დეპუტატი სტამბოლიდან აჰმეთ მუჰთარ (მოლლაოღლუ) ბეი. აღმასრულებელი საბჭოს მიერ მისი კანდიდატურის წარდგენა მოხდა 1921 წლის 27 ოქტომბერს, რომელიც დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის პირველ ნოემბერს. ამ გადაწყვეტილებით მას მიენიჭა შესაბამისი უფლებამოსილებანი<sup>6</sup>. აჰმეთ მუჰთარ ბეი, რომელმაც ხელი მოაწერა ყარსის ხელშეკრულებას, ხელმოწერიდან ერთი თვის შემდეგ 1921 წლის 14 ნოემბერს თბილისში გაემგზავრა. მასთან ერთად, დელეგაციის წევრები იყვნენ: მდივანი სირრი ბეი და კანცელარიის გამგე არიფ ბეი<sup>7</sup>. აჰმეთ მუჰთარ ბეის, წარმოადგენდა რა ის მუსტაფა ქემალ ფაშას,

ბოლშევიკურ საქართველოში შეხვდნენ ზარბაზნების ქუხილით, ისე, როგორც ქვეყნის მეთაურებს ხვდებიან. მან 1921 წლის 20 ნოემბერს ბათუმიდან საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოაგზავნა პირველი დეპეშა, სადაც ადგილობრივი მთავრობის მხრიდან მის გულთბილ მიღებაზე საუბრობდა. აქვე აღნიშნავდა, რომ იგი ორი დღის შემდეგ იქნებოდა თბილისში. 1921 წლის 5 დეკემბერს მან საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოაგზავნა დაშიფრული დეპეშა, სადაც საუბრობდა იმ დახვედრების შესახებ, რომელიც მას მოუწყვეს ჯერ ბათუმში და შემდეგ დანარჩენ საქართველოში:

„მიმდინარე თვის პირველ დღეს ჩავედით საქართველოში. აღვნიშნავ, რომ კეთილგანწყობით მიგვიღეს როგორც ბათუმში, ასევე თბილისში. როდესაც ჩვენი გემი პორტში მივიდა, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის წარმომადგენლებს ზარბაზნის ოცი გასროლით დაგვხვდნენ. ჩვენთან, გემზე, ამოვიდა ბათუმში ჩამოსული დელეგაცია სამხედრო მინისტრის ელიავას (შალვა ელიავა) ხელმძღვანელობით. დელეგაცია შედგებოდა როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირებისგან. ხმელეთზე გადასვლისას მოგვიწყვეს ოფიციალური მიღება წითელი არმიის ერთი ოცეულის თანხლებით. თბილისში წასასვლელად გამოგვიყვეს კუპეიანი ვაგონი. ხოლო თანმხლებ პირებად გვახლდნენ ბათუმში საგანგებოდ გამოგზავნილი ერთი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა სამინისტროდან და ორი სამხედრო პიროვნება. რკინიგზის სადგურზე ჩვენ გულთბილად დაგვხვდა კომისრების და წარმომადგენლების ერთი ჯგუფი, ასევე რუსეთის საელჩოს მიერ გამოყოფილი საგანგებო დელეგაცია. სადგურზე ჩვენს ჩამოსვლას ასევე ელოდებოდა ადამიანების დიდი ჯგუფი. ოფიციალური მიღებისთვის სადგურის წინ გველოდებოდა სამხედრო ნაწილი. ოფიციალური მისაღმების შემდეგ, გავემგზავრეთ საელჩოში... მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ თურქეთის საელჩოს წარმომადგენლობა ყველა წესის და კონვენციის შესაბამისად მიგვიღეს“<sup>8</sup>.

აშშ-მ მუჰთარ ბეიმ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, 1921 წლის 7 ნოემბერს რწმუნების სიგელი გადასცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ მთავრობას და აღნიშნა, რომ იგი დაინიშნა სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართ-

ველოსა და თურქეთს შორის არსებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაძლიერების და კიდევ უფრო გაღმავების მიზნით. ასევე აღნიშნავდა, რომ ყარსის ხელშეკრულება გახდა ახალი მეგობრული ურთიერთობის დასაბამი თურქ და ქართველ ხალხებს შორის<sup>9</sup>.

ამასთანავე, ამათ მუჰთარ ბეი დეტალურად საუბრობდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ აღმისავლეთში გატარებული იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც თვითონ ასრულებდა. იგი ხაზს უსვამდა თურქეთის აღმოსავლეთის პოლიტიკას, რომლის დასაწყისადაც თვლიდა მოსკოვის ხელშეკრულებას და აღნიშნავდა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება მოიცავდა კავკასიის მთავრობებს, რის საფუძველზეც ყარსში ჩატარდა კონფერენცია, რუსეთთან დადებული მეგობრობის ხელშეკრულების საფუძველზე აზერბაიჯანელებთან, ქართველებთან და სომხებთან ცალ-ცალკე მოეწერა ხელი შესაბამის ხელშეკრულებას. თუმცა, აქვე მიუთითებდა, რომ ამ ხელშეკრულებების საფუძველზე აუცილებელი იყო დეტალური ხელშეკრულებების გაფორმება ტრანსპორტის, გადაზიდვების, საკონსულოების და სხვა საკითხების შესახებ და მისი მისიის მთავარი მიზანი ამგვარი ხელშეკრულებების ზედამხედველობა იყო<sup>10</sup>.

ამედ მუჰთარ ბეის სარეკომენდაციო წერილიდან, ასევე მისი ახსნა-განმარტებიდან ცხადი ხდება ის, რომ ყარსის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტურ ტრანსკავკასიურ მთავრობებსა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობას შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი შემობრუნების წერტილი იყო. ამ ხელშეკრულებისადმი ყურადღების მისაპყრობად, მისი მნიშვნელობის ხაზგასასმელად გაზი მუსტაფა ქემალ ფაშამ ისაუბრა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მესამე მოწვევის სესიაზე თავის შესავალ სიტყვაში, 1922 წლის პირველი მარტის გამოსვლაში. სადაც ნათქვამი იყო, რომ 13 ოქტომბერს ყარსში მის რეზიდენციაში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ხელმოწერილ იქნა მოსკოვის ხელშეკრულების ძირითადი დებულებები. ამ ხელშეკრულებით თურქეთი უარს ამბობდა სევრის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. მეორეს მხრივ, ორ მხარეს შორის

სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად და საკონსულო დებულებების შესადგენად თბილისში დელეგაცია უნდა გაგზავნილიყო. ამ დელეგაციას საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დელეგაციებთან მოლაპარაკებებში უნდა მიეღწია შესაბამისი გადაწყვეტილებების და წარმატებებისათვის, რომელიც ორივე მხარის ინტერესების შესაბამისი და ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნებოდა<sup>11</sup>.

დელეგაციას, რომელზეც მუსტაფა ქემალ ათათურქი საუბრობდა, ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი – ბატონი სუათი (დავაზ)<sup>12</sup>. დელეგაციას თურქეთის დიდი ეროვნული კრების 1921 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების და ყარსის ხელშეკრულების მე-6, მე-14, მე-15, მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად დავალებული ჰქონდა, მოეგვარებინა და გაეფორმებინა წერილობითი ხელშეკრულებები შემდეგ საკითხებზე: ბათუმის პორტით სარგებლობის პირობები, სატრანზიტო და სავაჭრო საკითხები, აგრეთვე საკონსულო საქმეები. დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო საბჭოს გენერალური დირექტორი მუვაფაკ ბეი, სამდივნო-საკანცელარიო საქმის სპეციალისტები ნაჯიბეი და ჰიქმეთ ბეი<sup>13</sup>. 1921 წლის ნოემბრის დასაწყისში თურქული დელეგაცია თბილისში გაემგზავრა. კონფერენცია 1922 წელს დაიწყო და მოლაპარაკებებში, ერთის მხრივ, ტრანსკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან შემდგარი ტრანსკავკასიური მთავრობა, ხოლო, მეორეს მხრივ, ზემოთ აღნიშნული თურქული დელეგაცია მონაწილეობდა<sup>14</sup>.

თბილისის კონფერენცია ექვსი თვის მანძილზე გრძელდებოდა და მომზადდა ხელშეკრულებები სხვადასხვა საკითხზე. კერძოდ, საქართველოსა და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საზღვრისპირა რეგიონში ორივე მხარის მოსახლეობისათვის საძოვრებით სარგებლობის შესახებ. გადაწყდა, რომ საძოვრებით ორივე მხარე ისარგებლებდა. ხელშეკრულებას თურქეთის მხრიდან ხელი მოაწერა სუათ ბეიმ, შეფიქ ბეიმ და მუვაფაკ ბეიმ. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამ-

ხედრო და საზღვაო სახალხო კომისარმა შადვა ელიავამ. 1922 წლის 9 ივლისს რუსეთის ფედერაციასა და ტრანსკავკასიურ მთავრობას შორის მომზადდა სარკინიგზო ხელშეკრულება. მას თურქეთის მხრიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის სახელით ხელს აწერდნენ: სუათ ბეი, შეფიკ ბეი და მუვაფაკ ბეი, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელით ბორის მიხაილოვი, სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით, საქართველოში მყოფი ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულუფლებიანი წარმომადგენელი მიშელ ათაბეკიანი, სოციალისტური აზერბაიჯანის მხრიდანსახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი ბებუთ შახტახტინსკი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანაშემწე ანდრე ანდრეევი. საბჭოთა სოციალისტური საქართველოს სახელით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მამია ორახელაშვილი<sup>15</sup>. ტრანსკავკასიის რკინიგზის ეს ნაწილი 1883 წლიდან წარმოადგენდა რუსეთის სარკინიგზო სისტემის ნაწილს. ხელშეკრულებით დგინდებოდა, რომ ის ქალაქ ყარსიდან სომხეთის ტერიტორიას – ქალაქ გიუმრს გაივლიდა, შემდეგ გამოემართებოდა თბილისისაკენ და ბაქოს გავლით მოსკოვში ჩავიდოდა. ამ რკინიგზით აღნიშნულ მარშრუტზე მოხდებოდა როგორც მგზავრების გადაყვანა, ისე ტვირთის გადაზიდვაც<sup>16</sup>. თურქეთის აღმოსავლეთ ვილაეთებს და ბათუმს შორის ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანა უნდა განხორციელებულიყო კვირაში ერთხელ სარიყამიში-ბათუმის გზით, ხოლო იმავე პრინციპით თბილისსა და სარიყამიშს შორის. ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებს სარიყამიშსა და თბილისს შორის ტვირთბრუნვა თანაბარი რაოდენობის ვაგონებით უნდა განხორციელებინათ. ხოლო, სარიყამიშსა და ბათუმს შორის ტვირთზიდვისას სარკინიგზო შემადგენლობის მართვა უნდა გადასცემოდა თურქეთის რკინიგზას<sup>17</sup>.

თბილისის კონფერენციაზე ასევე ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს ფოსტა-ტელეგრაფის, სავაჭრო, იურიდიული და საკონსულო საკითხების შესახებ<sup>18</sup>. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ დამყარდებოდა და განმტკიცდებოდა სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები მოძმე ხალხებს შო-

რის. თურქეთში უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველა პირობა, რომ ტრანსკავკასიის საგარეო საქმეთა პალატას იქ უპრობლემოდ ემუშავა. ამის საპასუხოდ კი ტრანსკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე საბჭოთა რესპუბლიკების ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო კომპანიას (სამმართველოს) უნდა შეექმნა ხელსაყრელი, ორივე მხარისათვის მომგებიანი პირობები სავაჭრო-კომერციული საქმიანობისათვის<sup>19</sup>.

თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1922 წლის 9 ივნისს მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება<sup>20</sup>, მაგრამ იგი ძალაში ვერ შევიდა, რადგან მისი რატიფიკაცია რუსეთის და კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან არ მოხდა<sup>21</sup>.

თურქეთის დელეგაციის მეთაური სუათ ბეი ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. გზად მიმავალმა ქალაქ გირესუნში გავლისას ჟურნალისტს შემდეგი ინტერვიუ მისცა: „მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულება, რომელზე მუშაობაც ექვსი თვის მანძილზე მიმდინარეობდა, ერთის მხრივ, ჩვენსა და, მეორეს მხრივ, კავკასიის რესპუბლიკებს შორის, იყო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ორივე მხარის ხალხების ინტერესებს და მას სარგებლობა უნდა მოეტანა მოძმე ხალხებისათვის. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შედეგების მისაღწევად მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. მაგალითად: საკონსულო, იურიდიულ-სამართლებრივი, ფოსტა-ტელეგრაფის და სარკინიგზო საკითხები. განსაკუთრებული ყურადღებით იქნა განხილული საზღვართან და საზღვრის პირას მცხოვრები ხალხების საზღვარზე მოძრაობის თემა. აგრეთვე აქ, საზღვართან არსებული მათი მიწის ნაკვეთებიდან, საზაფხულო და საზამთრო იაღალებიდან და საძოვრებიდან სარგებლის მიღების საკითხი ორივე მხარის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. თებერვლის დასაწყისში მოლაპარაკებები დაიწყო.

თავდაპირველად სხვადასხვა საერთო საკითხი განვიხილეთ. ეს პრობლემები სხვადასხვა სპეციალისტ-კონსულტანტის მუშაობისა და მათი ძალისხმევის შედეგად ჯეროვნად, სრული წესითა და რიგის დაცვით, ღირსეულად გადაწყდა. კონფერენციაზე იმყოფებოდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია ჩემი თავმჯდომარეობით და მის შემად-

გენლობაში შედიოდნენ: მთავარი ინსპექტორი მუვაფაკ ბეი, ფინანსთა მინისტრი შეფიკ ბეი, ასისტავი ნაზმი ბეი. რუსეთის მხრიდან ამხ. ლეგრანი, აზერბაიჯანის სახალხო მთავრობის მხრიდან სახალხო კომისრები ამხანაგები: ბეჰბუთ შაჰტახტინსკი და ანდრეევი, სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან ყოფილი ხელმძღვანელი კამიაზი (?) და ათაბეკიანი, საქართველოს მხრიდან სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისრები – ამხანაგები: ელიავა და ორახელაშვილი. ისინი კონფერენციას მონაცვლეობით თავმჯდომარეობდნენ.

ეს კონფერენცია თავიდან ბოლომდე თბილისში, საგარეო საქმეთა კომისარიატის შენობაში გაიმართა. კონფერენცია ხელშეკრულების მუხლების და დებულებების სიმრავლის გამო ძალიან დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ წარმატებულად, კარგი შედეგებით დასრულდა. ძირითადად კი, როგორც რუსეთის, ისე კავკასიის მთავრობებთან არსებული ურთიერთობები ძალიან გულისთად და მეგობრულ ატმოსფეროში წარიმართა. ხელშეკრულების პირობები, როგორც მოლოდინიც გვექონდა, ჩვენი ინტერესების შესაბამისად გადაწყდა“. ხოლო, კორესპოდენტის კითხვაზე: თუ როგორი გამოძახილი ჰქონდა თბილისში თურქული არმიის მიერ მოპოვებულ წარმატებებს, სუათ ბეი შემდეგნაირად პასუხობდა: „ჩვენი არმია გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, ჩვენს ტრიუმფალურ სელას თბილისში და მთელს საქართველოში დიდი სიხარულით შეხვდნენ. ანკარაში ჩემი წამოსვლა სწორად შეაფასეს. იმის გამო, რომ ჩვენმა არმიამ მტერს უმაგალითო, შეუდარებელი მარცხი აგემა, მათ სახეზე აშკარა სიხარული ჩანდა. ყველგან, განსაკუთრებით კი ფოთში, მთავრობის მეთაურს ამხანაგ ჰამბარდოვს და ბათუმში საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ მარიანის უაღრესად მეგობრული პოზიცია ეკავათ და დემონსტრაციაც კი გაიმართეს. მეზობელი ქვეყნების მთავრობებს შორის ჩვენი არმიის გამარჯვებებმა აღტაცება გამოეწვია. ჩემი თანხლები პირებითურთ სანაპირომდე მუსიკის თანხლებით მიგვაცილეს და გვთხოვეს, რომ ჩვენი ხალხისათვის გადაგვეცა, მონაწილეობა მიეღოთ მთელი ქართველი ხალხის სიხარულში. ამ მთავრობებთან ჩვენი ურთიერთობა უაღრესად გულისთად და თბილ გარემოში მიმდინარეობდა. მოლაპარაკების პროცესში



ხელმოწერილი მუხლები და დებულებები, ჩვენ შორის არსებული ურთიერთობები უნდა განახლებულიყო და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის მიერ მიღწეული ამ წარმატებების შესახებ კი გვმართებს განსაკუთრებული მადლიერებით ვისაუბროთ.

შეკითხვაზე, ვის ხელშია დღეს ბათუმში ადმინისტრაცია, სუათ ბეის პასუხი შემდეგნაირი იყო: „ბათუმში მთავრობა მუსლიმებითაა დაკომპლექტებული, რომელიც აჭარელი მაჰმადიანების წარმომადგენლები არიან. მთავრობის ხელმძღვანელი, ფინანსური კეთილმოწყობის, განათლების, კულტურის მინისტრები მუსლიმანები არიან. აქედან გამომდინარე მაჰმადიანები თავს კომფორტულად გრძნობენ“<sup>22</sup>.

1921 წლის 13 ოქტომბრიდან მოყოლებული თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის მეგობრული ურთიერთობები როგორც რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკას, ისე ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის, ორმხრივი ხელშეკრულებების ხელშეწყობით სწრაფად ვითარდებოდა. ამასობაში ეს ყველაფერი ახლადშექმნილი თურქეთის რესპუბლიკის მიერ იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერთობ მგრძობიარე წერტილად იქცა. ანატოლიისთვის გაღებულ ბრძოლას ისინი ახლოდან ადევნებდნენ თვალს და მხარს უჭერდნენ.

ურთიერთობებში გამოვლენილი გულითადობა იმ პერიოდის სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზეც აშკარად და ნათლად აისახა. ამათგან ერთ-ერთ მაგალითს თურქეთის დიდი ეროვნული კრების შეკრების მესამე წლისთავის აღსანიშნავად მარტის თვის დასაწყისში თბილისში თურქეთის წარმომადგენლობაში საქართველოს მთავრობის მოსალოცად მისვლა წარმოადგენს. საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარი სვანიძე, სამხედრო და საზღვაო კომისარი ელიავა თავად ეწვივნენ წარმომადგენლობას, რომლებმაც მილოცვები და გულითადი სურვილები გადასცეს თურქეთის წარმომადგენლობას. აჰმეთ მუჰთარ ბეიმ იმავე გულითადობით მათ გულწრფელი მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება და თურქეთი დაიცავენ კავკასიის რესპუბლიკებს და იზრუნებენ მოსახლეობის უფლებებზე.

ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ თურქეთის ჭეშმარიტ მეგობრობაში. თბილისში მყოფმა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც აჰმეთ მუჰთარ ბეის მილოცვა და კეთილი სურვილები პირადად გადასცეს. თბილისში რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლეგრანმა კი მილოცვის წერილი აჰმეთ მუჰთარ ბეის რუსეთის დაზვერვის სამსახურის დირექტორის მეშვეობით გამოუგზავნა. წერილში მილოცვასთან ერთად საუბარი იყო მეჯლისთან შეკრებილი იმ ანატოლიელი გლეხების შესახებ, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის თავგანწირულ, გამანადგურებელ ბრძოლას აგრძელებდნენ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, ანატოლიის არსებობის დასამტკიცებლად და თურქეთი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ის პირველი ქვეყანა, რომელიც დესპოტიზმის ჯაჭვს არღვევდა, რის შედეგადაც სულ მალე თურქეთის იმედები და ეროვნული მიზნები სისრულეში იქნებოდა მოყვანილი. იმედი იყო გამოთქმული, რომ ამ გამარჯვების აღსანიშნავად იზმირის თავზე საპატიო დროშა მალე აფრიალდებოდა“<sup>23</sup>.

თურქეთის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ წითელი არმიის მთავარსარდლობიდან, უშუალოდ მთავარ-სარდალისგან, გაზი მუსტაფა ქემალ ფაშას სახელზე მილოცვის დეპეშა მივიდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ისინი აღფრთოვანებით ადევნებენ თვალს თურქეთის არმიის ბრწყინვალე ბრძოლებს – კაპიტალისტური გაერთიანების (ანტატა) ქვეშევრდომი ქვეყნის, საბერძნეთის არმიის წინააღმდეგ მოპოვებულ გამარჯვებას; აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი ხალხისა და წითელი არმიის სახელით ახალი თურქეთის მთავრობას კვლავ და კვლავ წარმატებებს უსურვებენ. გამოთქვამენ რწმენას, რომ კაპიტალისტური ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის ანატოლიიდან განდევნის შემდგომ აღსრულებული და განხორციელებული იქნება ეროვნული პაქტი და თურქი ხალხი ბედნიერებას მოიპოვებს<sup>24</sup>.

თბილისში გამართული კონფერენციის ფარგლებში თბილისში მყოფმა თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ სუათ ბეიმ გაზეთ „გირესუნის“ შემდეგ გაზეთ „ახიქსოზის“

კორესპონდენტს ესაუბრა. კითხვაზე, თუ რა გავლენა იქონია თურქეთის გამარჯვებამ კავკასიაზე, სუათ ბეიმ ასე უპასუხა: „თურქი ხალხის ისტორიაში მათ მიმართ გამოვლენილ არნახულ სისასტიკესა და დესპოტიზმს, რაც მსოფლიოსთვისაც უპრეცედენტო იყო, თურქეთის არმიამ შესაფერისი პასუხი გასცა. თურქეთის არმიის მიერ მოპოვებულმა ამ გამარჯვებამ კავკასიაზე ძალიან ღრმა და შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა. გნებავთ, ცალკეული პიროვნებების, გნებავთ, მთლიანად ხალხის მიერ ჩვენ მიმართ გამოვლენილი გულითადი დამოკიდებულება და კეთილგანწყობა სწორედ ისეთ ხარისხში იყო, როგორც შეეფერება რეალურად მეგობრულად განწყობილ ერს. ეს კეთილგანწყობა იგრძნობოდა და გამოიხატებოდა როგორც თბილისში ჩემი გადაადგილებისას, ასევე ბათუმსა და ფოთში მაღალი თანამდებებობის პირების მიერ გამართულ წვეულებაზე წარმოთქმულ მხურვალე და გულითად გამოსვლებში, სადაც ჩვენ მიერ მოპოვებული გამარჯვება აღქმული იყო, როგორც საერთო მტერზე გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში დამით ჩავედი, საგარეო საქმეთა წარმომადგენლობის თანამშრომლები და სხვა მაღალი რანგის მოხელეები გემიდან ჩამოსვლისას სანაპიროზე დაგვხვდნენ. მეორე დღეს ჩვენი საყვარელი იზმირის დედასამშობლოსთან დაბრუნება იქ მყოფ ჩვენს მოქალაქეებს და ადგილობრივ მოხელეებს ვამცნეთ. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში მრავლად არიან ჩვენი თანამემამულეები. ჩვენმა თანამემამულეებმა და იქაურმა მუსლიმმა მოსახლეობამ გრანდიოზული მიტინგი გამართეს. ჩვენი საკონსულოს წინ ჩვენი სახელოვანი მთავარსარდალი და ძღვევამოსილი ჩვენი არმია განსაკუთრებული ტაშით დააჯილდოვეს. საკონსულოს წინ ჩავლისას ხალხის ნაკადი სერიოზულად იზრდებოდა და პროსპექტზე აღარ ეტეოდა. ხალხის ნაკადმა, რომელსაც წინ სამხედრო ორკესტრი მოუძღოდა, მთელი ქალაქი მოიარა. ყველგან, იქნებოდა ეს ჩვენი საკონსულო, საგარეო საქმეთა და სამხედრო საქმეთა წარმომადგენლობა თუ მუნიციპალიტეტის შენობა, ხალხი და სახელმწიფო მოხელეები ჩვენს გამარჯვებულებს გულითადად ხვდებოდნენ და მხურვალე სიტყვებს ეუბნებოდნენ ასეთი მღელვარებისა და ხმაურისგან ბათუმში მცხოვრები

რუსები და ბერძნები ფრიად შეშინდნენ. მათ დუქნები დაკეტეს და გასაქცევი ადგილების ძებნა დაიწყეს. ასე დასრულდა ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის ხანგრძლივი პერიოდი. აჭარა და მთლიანად საქართველო გულითადი გრძნობებით დავტოვე. ვერანაირი მტერი ვერ შეძლებს, რომ ზიანი მიაყენოს ჩვენს მეზობლებთან ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს. ბედნიერი ვარ, რომ ვამბობ ამას<sup>25</sup>.

სუათ ბეის მიერ ზემოთთქმულიდან გამომდინარე, თურქეთის მოსაზღვრე, მეზობელ ქვეყანასთან, საქართველოსთან დამყარებული მეგობრული და პოლიტიკური ურთიერთობები ისევე, როგორც გუშინ, დღესაც ისტორიული მნიშვნელობისაა. ამ კუთხით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქვეყნებიდან, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მალევე, 1991 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. ამის კვალდაკვალ, 1992 წლის მაისში, ხელი მოეწერა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებას. 1992 წლის 13 ივლისს საქართველოში, თბილისში, გაიხსნა თურქეთის წარმომადგენლობა გენერალური საკონსულოს სახით<sup>26</sup>. 1992 წლის 23 ნოემბერს კი მუშაობას შეუდგა თურქეთის საელჩო. თურქეთის პირველი დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც კონსულის რანგში 1992 წლის 13 ივლისიდან 23 ნოემბრამდე ასრულებდა დიპლომატიურ მისიას, თიმოჩინ არბაქი გახლდათ<sup>27</sup>.

ორმხრივი ურთიერთობების განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელს შორის 1992 წლის 30 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებაა, რომელიც ორ ქვეყანას შორის მეგობრულ, კეთილმეზობლურ ურთიერთობებსა და საქმიან თანამშრომლობას ეხება<sup>28</sup>.

დღეს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ ორმხრივ თანამშრომლობას არ გულისხმობს. ეს თანამშრომლობა ისეთ წარმატებულ რეგიონულ მიმდინარე პროექ-

ტებს მოიცავს, როგორცაა: ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი აირის მილსადენი და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზი. ორ მეზობელ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების მაჩვენებელი მთელი რიგი ღონისძიებები არსებობს, ესენია: ამ ქვეყნების მოქალაქეების ტურისტული მიზნით 90-დღიანი ვადით უვიზო მიმოსვლა, ორი ქვეყნის მხრიდან ბათუმის აეროპორტის ორმხრივი გამოყენება, საბაჟოზე „ერთი ფანჯრის“ პრინციპით საქმისწარმოება და ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ამუშავება. 2011 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეები პასპორტის გარეშე, მხოლოდ პირადობის მოწმობის საშუალებით, მოგზაურებენ. ასევე, საგანმანათლებლო სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობა საკმაოდ კარგ დონეზეა. წარმატებით მომდინარეობს ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. 2007 წლიდან მოყოლებული, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია<sup>29</sup>. გარდა ამისა, საქართველოსა და თურქეთს შორის მაღალ დონეზეა საპარლამენტო თანამშრომლობა<sup>30</sup>.

ორ ქვეყანას შორის არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მოძრაობის საწინააღმდეგოდ, თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო ნორმებით დადგენილ ფარგლებში. თურქეთის ორიენტაცია ამ რეგიონებში პრობლემის მოგვარების გზებთან დაკავშირებით, მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკაა. რაც შეეხება აჭარის რეგიონს, თურქეთი აღიარებს 1921 წელს მოსკოვსა და ყარსს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც აჭარას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა. თურქეთი აგრეთვე სცნობს 1944 წელს ახალციხიდან გადასახლებული თურქების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით 2008 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობამ ამ საკითხთან დაკავშირებული კანონი შესაბამისობაში მოიყვანა.

თურქეთი, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს თურქიმესხების ადრინდელი უფლებების აღდგენას, მხარს უჭერს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებისთვის გაწეულ სამუშაოს<sup>31</sup>.

მთლიანობაში, წარსულსა და დღევანდლობაში გაწეული სამუშაოები და მიმდინარე ღონისძიებები, იძლევა იმედს და სურვილს იმისა, რომ ორ მეზობელ, საერთო საზღვრის მქონე ქვენებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდეს.

## რიტუალური თასი სოფელ საროლან\*

პროფესორი თინა იმედაშვილი

### მოკლე შინაარსი

XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ისარგებლეს გარკვეულმა პირებმა და გაჭირვებული მოსახლეობისაგან კაპიკების ფასად ყოველგვარი ლითონის (სპილენძი, რკინა, თუჯი, თითბერი, ბრინჯაო და ა. შ.) გამოძალვა დაიწყო. ე. წ. შემსყიდველები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ლითონებზე ნადირობდნენ. მათ მოსახლეობას ამ ხრიკებით არაერთი უძველესი ისტორიული ღირებულების მქონე ნივთი დასტყუეს და ჯართად გაზიდეს. რა თქმა უნდა, მათ არც სოფელი სარო დავიწყებიათ.

ჩვენს ოჯახში ტრადიციად იყო დამკვიდრებული ძველი ნივთების, განსაკუთრებით, საეკლესიო ნივთების შენახვა. ასეთი ნივთებისათვის დერეფანში გამოყოფილი იყო ერთი დოლაბი-თახჩა, სადაც მხოლოდ ასეთი სიძველეები ეწყო. ნივთებზე მონადირეებმა ჩვენს დაკეტილ სახლსაც მიაკითხეს (1965 წელს ჩვენი ოჯახი ნიჯგორში ჩამოვიდა საცხოვრებლად, ამიტომ საროს დარბაზული სახლი დაკეტილი იყო). მათ ყველაფერი შეაგროვეს, მაგრამ უყურადღებოდ დატოვეს პატარა ჭუჭყიანი კიდენამოტეხილი თასი, რომელსაც წარწერის მაგვარი ფიგურები ოდნავ ემჩნეოდა. ერთ ზაფხულს საროში ასულს მხოლოდ ეს დამტვერილ-დაჭუჭყიანებული თასიღა დამხვდა, რომელიც ბიცოლაჩემს ქათმის პატარა წიწილებისათვის წყლის დასალევად ეზოში დაედგა. გარეცხვა-გასუფთავების შემდეგ თასის გარე და შიდა კედლებზე უამრავი წარწერა თუ ფიგურალური გამოსახულება გამოჩნდა.

თასი ფიალის ფორმისაა. მისი სიმაღლე 4,5 სანტიმეტრია, ძირის-ქუსლის დიამეტრი – 8,0 სმ., ზედაპირის დიამეტრი – 14,5 სმ. თასის ძირი ცენტრში მრგვლად საგანგებოდ არის ამობურცული, ზედაპირის კედლები გარეთაა გადმოკეცილი. გადანაკადის სიგანე 0,8 სანტიმეტრია. გადანაკადის ზედაპირზე ორნამენტულად გადაბმით უწყვეტად მიჰყვება. თასის გარე ზედაპირზე

\* ნაშრომის ქართული ვერსია იხილეთ ჟურნალი „არაგი“, №3, ახალციხე 2016, გვ. 106-109.

განლაგებულია 13 სიმეტრიული მრგვალი მედალიონი, ხოლო შიდა ზედაპირზე 18 ელიფსური მედალიონი. მედალიონების გარშემო დარჩენილი ცარიელი სივრცე შევსებულია ფიგურალური წარწერით. თითოეული მედალიონის შიგნით სამ რიგად ჩაწერილია ასოები (ფიგურები), წარწერათა რიგები ერთმანეთისაგან სწორი ხაზებითაა გამიჯნული. ასოთა მოხაზულობით არც ერთი წარწერა ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლითონის დადგენის მიზნით რიტუალურ თასს მიკროსკოპიული და სპექტრული ანალიზი პროფესორს გ. ონაშვილმა ჩაუტარა. მისი დასკვნით, თასი თითბერისაგანაა დამზადებული. მისი ქიმიური შედგენილობა კი ასეთია: იგი შეიცავს 80,7% **Cu**, 14,4% **Zu**, 4,7% **Sn** და 0,1% **Ag**, ხოლო ზედაპირი დაფარულია ბუნებრივი პლატინით.

სპეციალისტთა აზრით, თასი შელოცვებისთვის განკუთვნილი რიტუალური ჭურჭელია. მასზე არსებული წარწერები არაბული დამწერლობით არის შესრულებული, რადგან თილისმების წარწერებით რიტუალური თასები არაბული სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. ამგვარი თილისმებით არა მარტო ოჯახის, არამედ პიროვნების კეთილდღეობასაც იცავდნენ. რა თქმა უნდა, თილისმებით დამშვენებული რიტუალური თასები (თუ ლითონის სახეობასა და ხარისხსაც გავითვალისწინებთ) ძირითადად საზოგადოების გაბატონებული ფენების წარმომადგენელთათვის იყო ხელმისაწვდომი.

თასზე არსებული წარწერები შესრულებულია არაბული დამწერლობის „ნასხის“ ნაირსახეობით. მედალიონებში მოთავსებულ წარწერებში ადვილად იკითხება სიტყვა „ალაჰი“ და ყურანიდან ცალკეული ლოცვები.

თასის წარწერების ზედა და ქვედა ნაწილში ხაზით გამოყოფილ მთელ სივრცეზე ორნამენტის მსგავსად მიუყვება არაბული ციფრები, რომლებშიც თანმიმდევრულად მეორდება „1, 2, 4, 6 და 8“. მუსლიმი სასულიერო პირების გადმოცემით ეს არის მაგიური ციფრები.

**საკვანძო სიტყვები:** რიტუალური თასი, სარო, მედალიონი, თილისმა, არაბული დამწერლობა.



# SARO KÖYÜ'NDEN RİTÜELLİK BİR TAS

Prof. Dr. Tina İVELAŞVİLİ

## ÖZ

XX. asrın 90'lı yıllarında ülkemizde ekonomik krizin başlamasının ardından belli bir grup insan tarafından ahaliden çok ucuza çeşitli madenden (bakır, demir, dökme demir, pirinç, bronz v.s.) yapılan ürünler satın alındı. Sözde tüccarlar köy-köy gezip maden ürünlerini satın aldılar. Her türlü hilelerle ahaliden çok sayıda tarihi eser kopardılar ve hurda demir olarak sattılar. Tabi ki, bu insanlar Saro köyünü de unutmadılar.

Ailemizde geleneksel olarak eski, özellikle dini merasimlere ait olan eşyalar muhafaza ediliyordu. Bunlara evimizin koridorunda bir dolap ayırmıştık. Eşya avcılarını kilitlenmiş evimize de girdiler (Ailemiz 1965 yılında Saro köyü'nden Nicgori köyü'ne yerleşti ve Saroda'ki koridorlu evimiz boş duruyordu). Eşya hırsızları evimizden her şeyi topladılar, ancak üzerinde yazılar olan tozlu, kenarları kırık ve küçük tas dikkatlerinden kaçtı. Bir yaz köyüme gittiğimde evimizde yalnız bu tasın kaldığını gördüm. Yengem bu tası tavuklara su vermek için kullanıyordu ve evin avlusuna koymuştu. Tası yıkadıktan sonra üzerindeki yazı ve figürler belli oldu.

Tas çanak şeklindedir. Böyu 4,5 cm. dibinin çapı 8,0 cm. ağız çapı ise 14,5 cm-dir. Tasın ortası dışbükeydir, kenarlar dışarıya doğru katlanmış ve katlanan parçanın eni 0,8 cm-dir. Katlanan kısmının üzeri tamamen motiflerle kaplıdır. Tasın dış yüzeyinde 13 adet simetrik olan yuvarlak madalya kabartması, iç yüzeyinde ise 18 adet eliptik madalya kabartması vardır. Madalya kabartmalar arasındaki boşluklarda mecazi yazılar bulunmaktadır. Her kabartmanın içinde üç satır olarak yazılı harfler (figürler) var. Yazılar düz çizgiler halindedir ve hiç bir harf birbirine benzemez.

Prof. Dr. G. Onaşvili tarafından hangi maddeden yapıldığını öğrenmek için, ritüel tasın mikroskopik ve spectral analizi yapıldı. Elde edilen sonuçlara göre, tasın pirinçten yapıldığı tesbit edildi. Tasın kimyasal bileşimi ise şudur: 80,7% **Cu**, 14,4% **Zu**, 4,7% **Sn** ve 0,1% **Ag**. Tasın üzeyi platin ile kaplıdır.

Uzmanlara göre bu tas dualar için kullanılan bir ritüel tası imiş. Üzerindeki yazılar Arap harflidir, çünkü üzerinde tılsım yazıları olan taslar Arap dünyası için karakteristiktir. Buna benzeri tılsımlarla hem ailenin, hemde şahısların refahını koruyorlardı. Tılsımlarla süslenen değerli madenden yapılan ritüellik taslar genellikle toplumun zengin tabakasına aitti.

Tas üzerindeki yazılar Arap harflidir ve yazı türü de Nesihtir. Madalya kabartmalarındaki yazılarda Allah kelimesi ve Kur'an-ı Kerim'den alınan çeşitli sureler çok kolay okunur.

Tasın içindeki yazıların üst ve alt kısmında bir çizgi ile ayrılan motif şeklinde olan Arapça rakamlar bulunur. Burada 1, 2, 3, 4, 5 gibi rakamlar tekrarlanıyor. Müslüman din adamlarına göre bu rakamlar sihirli rakamlardır.

**Anahtar Kelimeler:** Ritüellik tas, Saro, Madalya, Tılsım, Arapça yazı.

## **RITUAL BOWL FROM THE VILLAGE OF SARO**

Prof. Tina IVELASHVILI

### **ABSTRACT**

During the period of economical crisis in the 1990s, certain people started to earn money by deceiving the poor population of the villages. So the process of extortion started. They bought all kinds of metal (copper, iron, brass, bronze, and so on..) from penniless people for a small sum of money. So-called purchasers went from door to door and bought metals using different kinds of tricks. In this way, many valuable, historical metal pieces were taken as scraps to Turkey. Of course, the village Saro was not exception.

Keeping old things, especially religious artifacts, was tradition in our family. There was a special place in the entrance hall called the "Takhcha" where only antiques were kept. The house was closed when our family moved to Nichgori in 1965.

So-called "thing- hunters" visited our house. They collected all the antiques but didn't pay attention to the old, dirty, half broken bowl with slightly noticeable figures and inscriptions.

One summer day we went to our house and the only thing we could find there was this old, small bowl which my aunt used for giving her chickens water. Many inscriptions and figurative images appeared on the outer and inner walls of the cup after cleaning it.

The height of the bowl is 4.5 cm and the bottom diameter is 8.0 cm. The surface diameter is 14.5 cm. The center of the bottom is specially raised, and the edges of the surface are folded. The folded part of the cup has a width of 0.8 cm. There are ornaments on the folded surface — 13 symmetrical round medallions on the outer surface of the cup and 18 elliptical medallions on the inner surface. The remaining empty space around the medallions is filled with figurative inscriptions. Inside of the medallions, there are three rows of letters. They are separated from each other by straight lines. The shape of these letters does not match the label.

According to microscopic and spectral analysis done by Professor G. Onashvili, the cup is made of copper, but the surface is covered with natural platinum.

Specialists believe that the cup was a vessel used for the adjuration rituals. There are Arabic inscriptions on it. Vessels with talisman inscriptions are characteristic of Arabian world. The talismans protected not only families but also individuals. The decorated ritual vessels with talisman inscriptions (considering the value and quality of the metal) could belong to high and dominant representatives of society.

The inscriptions on the cup are in Arabic script. The word “Allah” and some prayers from the Koran are easily read from the inscriptions made in the medallions.

Arabic numbers 1, 2, 4, 6 and “g” that resemble ornaments are written along the top and bottom of the cup. According to the Muslim clerics they are magic numbers.

**Key words:** Ritual bowl, Saro, Medal, Amulet, Arabic writing.

XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, ამით ისარგებლეს გარკვეულმა პირებმა და გაჭირვებული მოსახლეობისაგან კაპიტების ფასად ყოველგვარი ლითონის (სპილენძი, რკინა, თუჯი, თითბერი, ბრინჯაო და ა. შ.) გამოძალვა დაიწყეს. ე. წ. შემსყიდველები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ლითონ-

ნებზე ნადირობდნენ. მათ მოსახლეობას ამ ხრიკებით არაერთი უძველესი ისტორიული ღირებულების მქონე ნივთი დასტყუეს და „ჯართის“ სახით უცხოეთში გაიტანეს. რა თქმა უნდა, მათ არც სოფელი სარო დავიწყებიათ.

ჩვენს ოჯახში ტრადიციად იყო დამკვიდრებული ძველი ნივთების, განსაკუთრებით, საეკლესიო ნივთების შენახვა. ასეთი ნივთებისათვის დერეფანში გამოყოფილი იყო ერთი დოლაბი-თახჩა, სადაც მხოლოდ ასეთი სიძველეები ეწყო. ნივთებზე მონადირეებმა ჩვენს დაკეტილ სახლსაც მიაკითხეს (1965 წელს ჩვენი ოჯახი ნიჯგორში ჩამოვიდა საცხოვრებლად, ამიტომ საროს დარბაზული სახლი დაკეტილი იყო). მათ ყველაფერი შეაგროვეს, მაგრამ უწყურადღებოდ დატოვეს პატარა ჭუჭყიანი კიდეჩამოტეხილი თასი, რომელსაც წარწერისმაგვარი ფიგურები ოდნავ ემჩნეოდა. ერთ ზაფხულს საროში ასულს მხოლოდ ეს დამტკვრილ-დაჭუჭყიანებული თასიდა დამხვდა, რომელიც მეზობელს ეზოში გამოეტანა და ქათმის პატარა წიწილებისათვის წყლის დასალევად დაედგა. გარეცხვა-გასუფთავების შემდეგ თასის გარე და შიდა კედლებზე უამრავი წარწერა თუ ფიგურალური გამოსახულება გამოჩნდა.

თასი ფიალის ფორმისაა. მისი სიმაღლე 4,5 სანტიმეტრია, ძირის – ქუსლის დიამეტრი – 8,0 სმ., ზედაპირის დიამეტრი – 14,5 სმ. თასის ძირი ცენტრში მრგვლად საგანგებოდ არის ამობურცული, ზედაპირის კიდეები გარეთაა გადმოკეცილი. გადანაკაცის სიგანე 0,8 სანტიმეტრია. გადანაკაცის ზედაპირზე ორნამენტთა გადამხილ უწყვეტად მიძეება. თასის გარე ზედაპირზე განლაგებულია 13 სიმეტრიული მრგვალი მედალიონი, ხოლო შიდა ზედაპირზე 18 ელიფსური მედალიონი. მედალიონების გარშემო დარჩენილი ცარიელი სივრცე შევსებულია ფიგურალური წარწერით. თითოეული მედალიონის შიგნით სამ რიგად ჩაწერილია ასოები (ფიგურები), წარწერათა რიგები ერთმანეთისაგან სწორი ხაზებითაა გამიჯნული. ასოთა მოხაზულობით არც ერთი წარწერა ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლითონის დადგენის მიზნით რიტუალურ თასს მიკროსკოპული და სპექტრული ანალიზი პროფესორმა გონაშვილმა ჩაუტარა. მისი დასკვნით, თასი თითბერისაგანაა

დამზადებული. მისი ქიმიური შედგენილობა კი ასეთია: იგი შეიცავს 80,7% Cu, 14,4% Zn, 4,7% Sn და 0,1% Ag, ხოლო ზედაპირი დაფარულია ბუნებრივი პლატინით.

პროფესორ გ. ბერაძის აზრით, თასი თილისმის მატარებელი რიტუალური ჭურჭელია. მასზე არსებული წარწერები სპარსული დამწერლობით არ არის შესრულებული, შეიძლება არაბული იყოს, რადგან თილისმების წარწერებით რიტუალური თასები არაბული სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. ამგვარი თილისმებით არა მარტო ოჯახის, არამედ პიროვნების კეთილდღეობასაც იცავდნენ. რა თქმა უნდა, თილისმებით დამშვენებული რიტუალური თასები (თუ ღითონის სახეობასა და ხარისხსაც გავითვალისწინებთ) ძირითადად საზოგადოების გაბატონებული ფენების წარმომადგენელთათვის იყო ხელმისაწვდომი.

თასზე არსებული წარწერების წასაკითხად მიემართეთ როგორც თურქული ენის, ისე ირანული ენის სპეციალისტებს.

ირანისტ ჯემშიდ გიუნაშვილის მითითებით: „თასზე ამოტვიფრული ტექსტის ფრაგმენტები იძლევა საშუალებას მოგახსენოთ:

1. თასზე არსებული წარწერები შესრულებულია არაბული დამწერლობის „ნასხის“ ნაირსახეობით.

2. თასის ზედა და ქვედა ნაწილებზე ორნამენტად გამოყენებულია არაბული ციფრები „1, 2, 4, 6, 8“.

3. მედალიონებში მოთავსებულ წარწერებში ადვილად იკითხება სიტყვა „ალაჰი“.

მართალია, რომ ტექსტი მთლიანად და სრულად ვერ იქნა წაკითხული, მაგრამ რაც გაიშიფრა ის ასეთი შინაარსისაა:

*„სახელითა ალაჰისა მოწყალისა მწყალობლისა  
ცისკარი, ხალხი, სიწრფელე (რწმენისა).*

XI

1. ალაჰი საუკეთესოდ იცავს;

2. მოთმინება ალაჰისგანაა და გამარჯვება ახლოსაა.

XII

1. თქვი: იგია ალაჰი ერთადერთი;

2. ალაჰი მარადი;
3. არც უშვია და არც შობილა;
4. და არც მოზიარედ ჰყოლია არავინ.

### XIII

1. თქვი: საშველად მივაშურებ უფალს ცისკრისას;
2. სიავისაგან იმისა, რაც მან შექმნა;
3. სიავისაგან, წყვდიადისა, როცა იგი ფარავს;
4. სიავისგან კვანძებზე მბრუნავ ჯადოქართა;
5. და სიავისგან მეშურნისა, როს იგი შურიანობს.

### XIV

1. თქვი: საშველად მივაშურებ უფალსა კაცთა;
2. მეუფესა კაცთა;
3. ღვთაებას კაცთა;
4. სიავისაგან დაფარული მაცდუნებლისა;
5. რომელიც ცთუნებას თესს გულებში კაცთა;
6. ჯინთა და კაცთა.

### **ო, მფარველო, ო, მაღალო.**

მისი ვარაუდით, ტექსტი თურქულენოვანია არაბული დამწერლობით. შეიძლება ითქვას, მსგავსი დასკვნა გააკეთა ახალგაზრდა ირანისტმა გ. ლობჯანიძემაც.

თურქოლოგები კი ფიქრობენ, რომ თასზე არსებული წარწერები შეიძლება ირანული იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თასის წარწერების ზედა და ქვედა ნაწილში ხაზით გამოყოფილი მთელი სივრცეზე ორნამენტის მსგავსად მიუყვება არაბული ციფრები, რომელშიც თანამიმდევრულად მეორდება „1, 2, 4, 6, 8.“ მუსლიმი სასულიერო პირების გადმოცემით ეს არის მაგიური ციფრები, მაგრამ თასზე მათი ზუსტი დანიშნულება ვერ ახსნეს. მხოლოდ აღნიშნეს, რომ ამისათვის უნდა ჩავიხედოთ ისლამურ ადრეულ ლექსიკონში. სამწუხაროდ, ასეთი ლექსიკონი მათ არ აღმოაჩნდათ და ჯერჯერობით ჩვენც ვერ მოვიძიეთ.

XX. asrın 90'lı yıllarında ülkemizde ekonomik krizin başlamasının ardından belli bir grup insan tarafından ahalden çok ucuza çeşitli

madenden (bakır, demir, dökme demir, pirinç, bronz v.s.) yapılan ürünler satın alındı. Sözde tüccarlar köy-köy gezip maden ürünlerini satın aldılar. Her türlü hilelerle ahaliden çok sayıda tarihi eser kopardılar ve hurda demir olarak yurt dışına sattılar. Tabi ki, bu insanlar Saro köyünü de unutmadılar.

Ailemizde geleneksel olarak eski, özellikle dini merasimlere ait olan eşyalar muhafaza ediliyordu. Bunlara evimizin koridorunda bir dolap ayırmıştık. Eşya avcılarını kilitlenmiş evimize de girdiler (Ailemiz 1965 yılında Saro köyünden Nicgori köyüne yerleşti ve Saro'daki koridorlu evimiz boş duruyordu). Eşya hırsızları evimizden her şeyi topladılar, ancak üzerinde yazılar olan tozlu, kenarları kırık ve küçük tas dikkatlerinden kaçtı. Bir yaz köyüme gittiğimde evimizde yalnız bu tasın kaldığını gördüm. Yengem bu tası tavuklara su vermek için kullanıyordu ve evin avlusuna koymuştu. Tası yıkadıktan sonra üzerindeki yazı ve figürler belli oldu.

Tas çanak şeklindedir. Boyu 4,5 cm. dibinin çapı 8,0 cm. ağız çapı ise 14,5 cm'dir. Tasın ortası dışbükeydir, kenarlar dışarıya doğru katlanmış ve katlanan parçanın eni 0,8 cm'dir. Katlanan kısmının üzeri tamamen motiflerle kaplıdır. Tasın dış yüzeyinde 13 adet simetrik olan yuvarlak madalya kabartması, iç yüzeyinde ise 18 adet eliptik madalya kabartması vardır. Madalya kabartmalar arasındaki boşluklarda mecazi yazılar bulunmaktadır. Her kabartmanın içinde üç satır olarak yazılı harfler (figürler) vardır. Yazılar düz çizgiler halindedir ve hiç bir harf birbirine benzemez.

Hangi maddeden yapıldığını öğrenmek için, ritüel tasın mikroskopik ve spectral analizi yapıldı. Elde edilen sonuçlara göre, tasın pirinçten yapıldığı tespit edildi. Tasın kimyasal bileşimi ise şudur: 80,7% **Cu**, 14,4% **Zu**, 4,7% **Sn** ve 0,1% **Ag**. Tasın yüzeyi platin ile kaplıdır.

Prof. Dr. G. Beradze'ye göre bu tas dualar için kullanılan bir ritüel taşı imiş. Üzerindeki yazılar Arap harflidir, çünkü üzerinde tılsım yazıları olan taslar Arap dünyası için karakteristiktir. Buna benzeri tılsımlarla hem ailenin, hem de şahısların refahını koruyorlardı. Tılsımlarla süslenen değerli madenden yapılan ritüellik taslar genellikle toplumun zengin tabakasına aitti.

Tas üzerindeki yazıları okumak için Türk ve Fars Dilleri uzmanlarına başvurduk.

İran üzerinde uzman olan C. Giunaşvili tas üzerindeki yazı parçalarından şunu tespit etti:

1. Tas üzerindeki yazılar Arap harflidir ve yazı türü nesihthir.

2. Tasın üst ve alt kısımlarında motif olarak Arap rakamları 1, 2, 3, 4, 5, 6 ve 8 kullanılmıştır.

3. Madalyalar içindeki yazılardan çok kolayca “Allah” kelimesi okunulabiliyor“.

Metin tamamen okunamadı. Okunan parçalar aşağıda sunulmuştur:

*Merhametli Allah Adına*

*Şafak, Halk, Samimiyet (İnanca Karşı)*

XI

En iyi Allah koruyabilir

Sabır Allah'tandır ve Zafer çok yakındır

XII

1. Söyle: Allah birdir

2. Allah ebedidir

3. Doğmamış ve Doğurmamıştır

4. Ve ortağı yoktur

XIII

1. Söyle: Allahın şafağından yardım isterim

2. O'nun yarattığı şerden

3. Karanlığın kapadığı şerden

4. Şer düğümler üzerinde dönen cadılardan

5. Kıskancın şerrinden kurtulmak için

XIV

1. Söyle: İnsanların Allah'ına yardıma giderim

2. İnsanların Allah'ına

3. İnsanların Tanrısına

4. Gizli cazibin serinden

5. İnsanların yüreğine günah sokandan kurtulmak için

6. Cadıların ve insanların.



### **Hey, koruyucu, Hey, Yüce.**

C. Giunaşvili'ye göre bu metin Arap harfleri ile yazılmış Türkçe metindir. Aynı düşünce İran üzerine genç uzman olan G. Lobjanidze tarafından da paylaşılmıştır.

Türkologlara göre ise tas üzerindeki yazıların Farsça olması gerek.

Tasın içindeki yazıların üst ve alt kısmında bir çizgi ile ayrılan motif şeklinde olan Arapça rakamlar bulunur. Burada 1, 2, 3, 4, 5 gibi rakamlar tekrarlanıyor. Müslüman din adamlarına göre bu rakamlar sihirli rakamlardır. Maalesef anılan din adamları bu harflerin önemini açıklayamadılar ve İslam Dini'nin eski sözlüğünden faydalanmamızı tavsiye ettiler. Maalesef bu sözlük şimdilik bulunamadı.

# RUS İHTİLALLERİNDEN SONRA TÜRK – GÜRCÜ İLİŞKİLERİ (1917-1918)

Prof. Dr. Enis ŞAHİN  
T.C. Sakarya Üniversitesi, Fen – Edebiyat Fakültesi, Tarih Bölümü Öğretim  
Üyesi, Sakarya.

## ÖZ

Tarih boyunca Türk – Gürcü ilişkileri genellikle iyi bir seyir takip etmiş ve bu iki millet, umumiyetle birbirleriyle barış ve iyi komşuluk ilişkileri içerisinde yaşamışlardır. Gerek Türkiye'nin ve gerekse Gürcistan'ın diğer komşularıyla olan ilişkileri incelendiğinde, birbirleriyle olan ilişkilerinin karakterinin, diğerlerine oranla üst düzeyde olduğu görülmektedir. Hatta bu durum bugün hala aynı karakterini korumaktadır. 1917 yılında Rusya'da meydana gelen ihtilaller, Çarlık bünyesindeki diğer milletler gibi Gürcülerin tarihini de yakından etkiledi. Rusya'da Çarlığın devrilmesi ve yerine kurulan Geçici Hükümet döneminde Gürcülerle Geçici Hükümet arasında iyi münasebetler kuruldu. Gürcüler genel olarak Çarlığın devrilmesini büyük bir memnuniyetle karşıladılar. Hatta ihtilalden önce Rus Duması'nda Çarlık politikalarını gerçek anlamda eleştiren önemli hatipler arasında Gürcüler hep vardı. Geçici Hükümet'in oluşturduğu (Mart 1917) ve Maveray-ı Kafkasya'ya gönderdiği OZAKOM içerisinde Gürcüler liderlik mevkiini işgal ettiler. Ancak bölgeye gönderilen ve daha önceki Kafkasya Genel Valiliği'nin görevlerini iddialı bir şekilde üstlenen OZAKOM, vaatlerinin hemen hemen hiçbirisini gerçekleştirmedi.

Bu şartlar altında Kasım 1917'de Bolşevik İhtilali patlak verdi. Bu ihtilal Kafkasya'nın geneli gibi, özeld Gürcüler arasında da kabul görmedi. Kuzeyi gibi Kafkasya'nın güneyinde de, Bolşevizm'den ziyade Menşevizm yerleşti ve bunda Gürcü Sosyal Demokratlarının çok büyük bir rolü oldu. Bolşeviklere muhalefetin bir göstergesi olarak, Gürcü Menşeviklerinin önyak olmasıyla Maveray-ı Kafkasya Komiserliği olarak bilinen ZAKAVKOM kuruldu (Kasım 1917). Gürcüler, Azerbaycan Türkleri ve Ermeniler tarafından kurulan bu federatif yapı, Çarlığı deviren Geçici Hükümeti, Rusya'nın gerçek inkılapçı hükümeti olarak kabullenerek, ona karşı yapılan her türlü düşmanca hareketi “kabul edilemez” olarak ilan etti. Dolayısıyla Kafkasya'daki muhalefetin

gerçek nedenini, Bolşevik muhalefeti oluşturdu. Bu muhalefet Kafkasya'nın Rusya'dan ayrılması sürecini başlattı. Komiserlik kısa bir zaman zarfında ciddi bir hükümete dönüştü ve Rusya Müessisler Meclisi'nin Bolşeviklerce lağvından sonra, kendi kanun yapıcı meclisi olan Seym'in hayata geçirilmesine yolaçtı (Şubat 1918). Tiflis bu gelişmelerin tamamında, Bolşeviklere muhalefetin merkezi haline getirildi.

Kafkasya'nın güneyinde 1918'in başlarından itibaren Rusya'dan ayrılma eğilimleri, Türkiye'nin de etkisiyle ciddi bir aşamaya girdi. Taraflar arasında Trabzon'da başlayan müzakerelerden (Mart-Nisan 1918) sonuç alınamamasına rağmen, bilhassa Ermeniler hususunda Türklerle Gürcüler arasında önemli yakınlaşmalar oldu. Bu konferansta heyet başkanları olan Rauf Bey ile Çenkeli arasında iyi bir dostluk ilişkisi kurulmuştu. Bu gelişmeler sonucunda Maveray-ı Kafkasya Demokratik Cumhuriyeti yine Gürcülerin öncülüğünde 22 Nisan 1918'de ilan edildi ve Türkiye bu cumhuriyeti tanıyan ilk devlet oldu. Taraflar arasında Batum'da devam eden müzakerelerde, Türkler ile Gürcüler arasında yine olumlu gelişmeler oldu. Gürcistan'ın 26 Mayıs 1918'de bağımsızlık ilanında bulunmasını müteakiben, 4 Haziran'da Gürcistan ile Türkiye arasında bir adedi barış ve dostluk antlaşması olmak üzere toplamda altı adet antlaşma imzalandı. Türkiye bu aşamada Gürcistan Cumhuriyeti'ni tanıyan ilk devlet oldu. Osmanlı devletinin Cihan Harbi'nin sonunda Kafkasya'dan çekilmesi ve Rusların Kafkasya'yı sovyetleştirmeleri nedeniyle, Türk – Gürcü ilişkileri geçici olarak donduruldu.

## **TURKISH-GEORGIAN RELATIONS AFTER RUSSIAN REVOLUTIONS (1917-1918)**

Prof. Enis ŞAHİN  
Sakarya University, Faculty of Arts and Sciences, The Department of  
History, Sakarya

### **ABSTRACT**

Turkish-Georgian relations had generally been in a good condition throughout history. These two nations generally lived together in peace and friendly neighbourhood relations. When the relations of Turkey

between the other neighbours and the ones of Georgia between its other neighbours are examined, it'll be seen that the quality of the relations between these two countries are accordingly higher. Even this situation is not different today. The revolutions of 1917 in Russia affected the history of Georgians deeply like the ones of other nations under the control of Tsarist. After the collapse of Tsarist in Russia and during the provisional Government founded instead of Tsarist, good relations were seen between Georgians and the provisional Government. The overthrow of Tsarist was typically a satisfaction for Georgians. Moreover, some Georgians were always among important orators criticizing policies of Tsarist in Russian Duma before revolution. Georgians were in leading position in OZAKOM, formed (March 1917) and sent to Transcaucasia. However, sent to the region and having taken the duties of Caucasus General Governorship assertively, OZAKOM practiced nearly none of its promises.

Bolshevik Revolution broke out in November of 1917 under these circumstances. Bolshevism settled rather than Menshevism in the southern part of Caucasus like the northern part. This revolution was not accepted not only by Caucasus people but also by Georgians. . Bolshevism rather than Menshevism settled in the southern part of Caucasus like the northern part. Georgian Social Democrats had an important role in this occasion. With the initiative of the Georgian Mensheviks ZAKAVKOM, known as the Transcaucasian Commissioner, was founded (November 1917) as an indication of opposition to the Bolsheviks. Having been founded by Georgians, Azerbaijan Turks and Armenians, this federative body accepted the provisional Government overthrowing Tsarist as the real revolutionary government of Russia and declared any hostile movement against it as "unacceptable". So the Bolshevik opposition created the real reason of the opposition in the Caucasus. This opposition began the process of separation of Caucasus from Russia. The Commissioner turned into a serious government within a short time. After the Russian Constituent Assembly was abolished by the Bolsheviks, it led to the realization of Seim, their own legislator council (February 1918). In all of these developments Tbilisi was turned into a centre of opposition to the Bolsheviks.

Trends in separation from Russia in the South of the Caucasus at the beginning of 1918 reached a serious phase under the influence of

Turkey. Despite not being able to reach a solution during negotiations started in Trabzon between the parties (March-April 1918), significant rapprochements between Georgians and Turks were in particular about Armenians. a good friendship between Chkhenkeli and Rauf Beg, heads of delegation at this Conference, was established. As a result of these improvements, the Democratic Republic of Trans Caucasus was announced on April 22, 1918 with the leadership of Georgians. Turkey was the first State to recognise this Republic. During the continuing negotiations in Batumi between the parties positive developments between Turks and Georgians were also seen. After Georgia declared independence on May 26 1918, totally six treaties, one of which was Treaty of peace and friendship, were signed on 4 June. Turkey was the first State to recognise the Republic of Georgia at this stage. As a result of the withdrawing from the Caucasus of the Ottoman State at the end of the World War and due to Soviet control of the Russian Caucasus, Turkish – Georgian relations were temporarily frozen.

## **რუსეთში მოხდარი რევოლუციების შემდეგ თურქულ-ქართული ურთიერთობები**

პროფესორი ენის შაჰინი  
საქარიას უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის განყოფილება

### **მოკლე შინაარსი**

რუსეთში სამეფო ხელისუფლების დამხობის და მის ადგილზე დროებითი მთავრობის მოსვლის შემდეგ, ამ მთავრობასა და ქართველებს შორის კარგი ურთიერთობები დამყარდა. ქართველები, ძირითადად, მეფის მთავრობის დამხობას პოზიტიურად შეხვდნენ. 1917 წლის 22 მარტს დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი და სამხრეთ კავკასიაში ხელისუფლების ორგანოდ მოვლინებული ოზაკომის (კავკასიის დროებითი მთავრობა) შემადგენლობაში ქართველებს ლიდერის პოზიციები ეკავათ. ასევე მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ ქართველ მენშევიკს აკაკი ივანეს ძე ჩხენკელს და ქართველ სოციალ-ფედერალისტს, პრინც კიტა აბაშიძეს, რომლებმაც შემდეგში საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს<sup>3</sup>. თუმცა მხარეში მოვლენილმა და შემდეგ კავკასიის სამეფისნაცვლოს ფუნქციის შემთავსებელმა ოზაკომმა<sup>4</sup> თითქმის ვერ შეასრულა ვერც ერთი დაპირება. ის უსუსური აღმოჩნდა ყოველგვარი მოვლენის წინაშე<sup>5</sup>. ოზაკომის მიერ შესასრულებელი პირობების პერიოდში იმავე წელს მოხდა ბოლშევიკური რევოლუცია.

ასეთ პირობებში, 1917 წლის ნოემბერში მოხდა ბოლშევიკური რევოლუცია. ძველი სტილით 25 ოქტომბერს, ხოლო ახალი სტილით 7 ნოემბერს მომხდარი რევოლუცია<sup>6</sup>, როგორც მთლიანად კავკასიაში, ასევე ქართველების მხრიდან არ იქნა მიღებული. ამის გამო კავკასიის სამხრეთში ბოლშევიზმზე უფრო მეტად მენშევიზმი გაბატონდა, რაშიც დიდი როლი მიუძღვით ქართველ სოციალ-დემოკრატებს<sup>7</sup>. ბოლშევიკთა საწინააღმდეგოდ ქართველი მენშევიკების წინამძღოლობით რეგიონის იმდროინდელ დედაქალაქში – თბილისში მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი. შედეგად, 1917 წლის 24-28 ნოემბერს ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე 400 მონაწილის ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი (1917 წლის 28 ნოემბერი)<sup>8</sup>. ქართვე-

ლებს, აზერბაიჯანლების და სომხების მიერ შექმნილმა ამ ფედერაციულმა ორგანომ გამოაცხადა, რომ იგი რუსეთის ხელისუფლებად ცნობდა ცარიზმის დამამხობელ დროებით მთავრობას და მისთვის „მიუღებელი“ იყო ამ მთავრობის წინააღმდეგ რაიმე მტრული მოქმედება<sup>9</sup>. აქედან გამომდინარე, კავკასიაში ოპოზიციის წარმოშობის მთავარ მიზეზად ბოლშევიზმის წინააღმდეგ წარმოებული მოძრაობა იქცა. ამ ოპოზიციამ დაიწყო კავკასიის რუსეთისგან გამოყოფის პროცესი.

ამ სისტემაში წარმოშობილი ოზაკომის საქმიანობაში ქართველი პოლიტიკოსები უფრო აქტიურები იყვნენ. შედეგად, მათ კიდევ უფრო მაღალი თანამდებობები დაიკავეს ამიერკავკასიის კომისარიატშიც. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი სიიდანაც:

ე. გეგეჭკორი კომისარიატის თავმჯდომარე, შრომის და საგარეო საქმეთა მინისტრი (ქართველი);

ა. ჩხენკელი შინაგან საქმეთა მინისტრი (ქართველი);

დ. დონსკოი სამხედრო და საზღვაო მინისტრი;

ჰ. კარჩიკიანი ფინანსთა მინისტრი;

შ.გ. ალექსიევ-მესხიევი ეროვნული განათლების და იუსტიციის მინისტრი (ქართველი);

მ. ჯაფეროვი ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრი;

ჰ. მელიქ-ასლანოვი ტრანსპორტის მინისტრი;

ა. ნერუჩევი სოფლის მეურნეობის მინისტრი;

გ. ტერ-გაზარიანი კვების მრეწველობის მინისტრი;

ა. ოხანჯანიანი სოციალური დაცვის მინისტრი;

ჰ. ბ. ჰასმაძეოვი სახელმწიფო კონტროლის მინისტრი<sup>10</sup>.

პირველი, რაც თვალშია მოსახვედრი არის ის, რომ მინისტრთა კაბინეტში სტრატეგიული თანამდებობები ქართველებს უჭირავთ. ისედაც, ქართველები იმთავითვე რეგიონის პოლიტიკაში ყველაზე გამოცდილი ერი იყო. ქართველი ევგენი გეგეჭკორი, რომელიც გახლდათ ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობის – კომისარიატის თავმჯდომარე, მასვე ეკავა, ასევე, მნიშვნელოვანი პოსტები – საგარეო და შრომის კომისრის პოსტები. მისი მეგობარი, მენშევიკი ჩხენკელი დაინიშნა შინაგან საქმეთა კომისრად. ქართველი სოციალ-ფედერალისტი ალექსიევ-მესხიევი, ასევე იკავებდა

ორ – ეროვნული განათლების და იუსტიციის კომისრის თანამდებობას. კომისარიატის ფარგლებში ორ რუსთან ერთად, აზერბაიჯანელები და სომხებიც მეორე რიგის მნიშვნელოვან თანამდებობზე იყვნენ. კომისარიატში ეროვნებების მიხედვით თანამდებობები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: 11 კომისარიატიდან 3-ს ქართველები, 3-ს აზერბაიჯანელები, 3-ს სომხები და 2-ს რუსები ედგნენ სათავეში. რაოდენობრივად თითქოს თანამდებობები თანაბრად არის გადანაწილებული, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ქართველებს უფრო მაღალი თანამდებობები ეკავათ. მინისტრთა 15 კაბინეტიდან 6 ქართველებს ეკუთვნოდათ და ესენი სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანნი გახლდათ.

ამგვარად, კავკასიის სამხრეთი, ცენტრით და მთავრობით თბილისში, ფედერაციულ წარმონაქმნს წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთის ოპოზიციის სახით ჩამოყალიბებული ამ წარმონაქმნის ცენტრი დღევანდელი საქართველოს დედაქალაქი თბილისი იყო. როგორც ოზაკომი, ასევე კომისარიატი, ამიერკავკასიის ბუნებრივ ცენტრში - თბილისში ჩამოყალიბდნენ. აქედან გამომდინარე, კავკასიის ფედერაციის და შემდეგში შექმნილი სეიმის ფორმირებაში კვლავ ქართველებს ეკავათ წამყვანი როლი. სეიმი წარმოადგენდა კავკასიის კანონმემოქმედ ორგანოს. მისი ფორმირებაც ბოლშევიკური მოძრაობის შედეგი იყო. კომისარიატის ჩამოყალიბებიდან სამი დღის შემდეგ, 1917 წლის 1 დეკემბერს რეგიონის მოსახლეობაში გავრცელებულ იქნა განცხადება, სადც განმარტებული იყო მისი ფუნქცია და დაარსების მიზნები. მასში განმარტებული იყო, რომ კომისარიატი თავის ფუნქციონირებას გააგრძელებდა რუსეთის დამფუძნებელი ყრილობის მოწვევამდე<sup>11</sup>. ანუ, ყრილობის მოწვევისთანავე აღნიშნული ფედერაციული წამონაქმნი ავტომატურად შეწყვეტდა ფუნქციონირებას. თუმცა საქმე არ წარიმართა დაგეგმილის მიხედვით, მოვლენები სრულებით სხვა მისამართით წარიმართა.

რუსეთში მცხოვრები რუსი და არარუსი ელემენტების იმედი დამფუძნებელი კრება იყო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თვითონ რუსეთის ბედი. მაგრამ რევოლუციის დასრულებისთანავე ჩატარებული ეს არჩევნები ბოლშევიკებისთვის

იმედგაცრუებად იქცა. მათ ვერ მიიღეს სასურველი ხმების რაოდენობა. ბოლშევიკებმა რევოლუციით მოპოვებული ავტორიტეტი და ზეგავლენა დამფუძნებელი კრების არჩევით დაკარგეს და სასურველი შედეგი ვერ მიიღეს. ეს მდგომარეობა ამიერკავკასიაშიც ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ იყო. მათ სამხრეთ კავკასიაში ხმების 4% – ზე ნაკლები მიიღეს<sup>12</sup>. ყოველი 60 000 ამომრჩევლის ხმით ერთი დეპუტატი ირჩეოდა, რომელსაც უნდა წარმოედგინა ამიერკავკასია დამფუძნებელ კრებაში<sup>13</sup>. არჩევითანავე ეს დეპუტატები პეტროგრადში გაემგზავრნენ, მაგრამ ბოლშევიკებმა ვერ მიიღეს რა მთელი რუსეთის მასშტაბით სათანაო ხმები, უკან არ დაიხიეს განსხვავებული მოქმედებების ჩადენისგან. შედეგად, 1918 წლის 18 იანვარს დაწყებულ<sup>14</sup> დამფუძნებელი კრების პირველსავე სხდომაზე, სადაც გამოჩნდა, რომ უმრავლესობა ბოლშევიკების მოწინააღმდეგე იყო<sup>15</sup>, ბოლშევიკურმა მთავრობამ ლენინის განკარგულებით 1918 წლის 18-19 იანვარს, გამთენიისას, 400 დეპუტატისგან შემდგარი ყრილობა ძალით დაარბიეს<sup>16</sup>. ამგვარად, რუსეთში საპარლამენტო დემოკრატიის დამყარების ყოველგვარი იმედი გაქრა.

დამფუძნებელი კრების დარბევის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. დარბევის მომენტში ამიერკავკასიაში არჩეული დუმის დეპუტატები პეტროგრადში მიემგზავრებოდნენ. მომხდარის შესახებ ინფორმაციის მირების შემდეგ ისინი თბილისში დაბრუნდნენ. მდგომარეობის შეფასების მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელობამ აღნიშნული დეპუტატები 1918 წლის 23 იანვარს სათათბიროდ დაიბარა<sup>17</sup>. საკითხის შესახებ მსჯელობამ თებერვლის პირველ კვირამდე გასტანა. თათბირის შემდეგ კომისარიატის ხელმძღვანელობამ თბილისში მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება და გამოაცხადეს, რომ აუქმებდნენ დამფუძნებელ კრებას. საბოლოოდ, მის მაგივრად 23 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სეიმის სახით ახალი პარლამენტი შეიკრიბებოდა. ამგვარად, ამიერკავკასია გაემიჯნა ცენტრალურ ხელისუფლებას და ამით განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ბოლშევიკური ხელისუფლება<sup>18</sup>. რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს დეპუ-

ტატების არჩევის მიზნით ახალი დაინიშნა. საფუძვლად აღებულ იქნა დამფუძნებელი ყრილობის საარჩევნო სისტემა. თუმცა, 60 000 ამომრჩევლისგან ასარჩევი ერთი დეპუტატის პრინციპი შეიცვალა 20 000 ამომრჩევლის მიერ ასარჩევი ერთი დეპუტატის პრინციპით და ამგვარად, დეპუტატთა რაოდენობა 36 ოლქიდან, წინანდელთან შედარებით, სამჯერ გაიზარდა<sup>19</sup>. არჩეულ იქნა დაახლოებით 120 დეპუტატისგან შემდგარი სეიმი. მიუხედავად პარტიული და ფუნქციური განსხვავებებისა, სეიმში ქართველთა რაოდენობა ჭარბობდა. მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 33 დეპუტატი ჰყავდა, მუსავატელებს 30, დაშნაკციუთუნს 27, მუსლიმ სოციალისტურ ბლოკს 7, ესერებს 5, წყალობის პარტიას 4, რუსეთის მუსლიმთა კავშირს 3, ქართველ ეროვნულ-დემოკრატებს, ქართველ სოციალ-დემოკრატებს და კადეტებს თითო-თითო<sup>20</sup>. საბოლოოდ, 1918 წლის 23 თებერვალს შედგა სეიმის პირველი სხდომა<sup>21</sup> და თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მენშევიკი ნოკოლოზ ჩხეიძე<sup>22</sup>. აქედან ჩანდა, რომ რეგიონში ქართველების დომინანტობა გრძელდებოდა. მოვლენების ამგვარი განვითარების შემდეგ თბილისი ბოლშევიკური ოპოზიციის ცენტრად იქცა.

1918 წლის დასაწყისიდან მოყოლებული კავკასიის სამხრეთში დაწყებული რუსეთისგან გამოყოფის ტენდენცია, რომელზეც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა თურქეთიც, მნიშვნელოვან ფაზაში შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის ტრაპიზონში დაწყებულმა მოლაპარაკებებმა (1918 წლის მარტი-აპრილი) ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო<sup>23</sup>, თუმცა, ტრაპიზონში, განსაკუთრებით სომხურ საკითხთან მიმართებით, ქართული და თურქული დელეგაციების მოსაზრებებს შორის მნიშვნელოვანი დაახლოება მოხდა. ტრაპიზონის დელეგაციის მეთაურის რანგში აკაკი ივანეს ძე ჩხენკელის ყოფნა ფედერაციულ წარმომადგენლობაში ქართველთა დომინანტურ როლზე მიუთითებდა. აღნიშნული მოლაპარაკებების დროს დელეგაციების მეთაურებს რაუფ ბეისა და ჩხენკელს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა რაც, გარკვეულწილად აისახა კიდევაც მოლაპარაკებების მსვლელობაზე. ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობისას ამიკავკასიისგან თურქეთის მოლოდინებთან

დაკავშირებით აკაკი ჩხენკელმა კონსტრუქციული დამოკიდებულება გამოიჩინა, მან გაითვალისწინა რეგიონის რეალობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარკვეულ დათმობებზე წავიდა<sup>24</sup>. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი არის, თბილისის გაფრთხილებების მიუხედავად, ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებზე თანხმობის განცხადება<sup>25</sup>. ერთთვისანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ტრაპიზონის კონფერენცია დასრულდა. აკაკი ჩხენკელმა და რაუფ ბეიმ გამოაცხადეს, რომ მოლაპარაკებები დროებით შეწყდა, თუმცა მხარეებმა შეინარჩუნეს ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა<sup>26</sup>. კონფერენციის მსვლელობისას ჩხენკელის პოზიტიური შუამავლობა ქართულ და თურქულ მხარეებს შორის, აისახა დელეგაციების მიმოწერებში<sup>27</sup>. საბოლოოდ, ტრაპიზონის მოლაპარაკებებში მხარეებს შორის რაიმე შესამჩნევი წინსვლა არ დაფიქსირდა.

ისტორიული და გეოგრაფიული პირობების ზეგავლენით თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების მომხრე ამიერკავკასიის მთავრობამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. აღნიშნულმა ფედერაციულმა წარმონაქმნმა, რომელმაც არ ისურვა რუსეთთან თანაცხოვრება, დამოუკიდებლობისკენ სვლა დაიწყო. საბოლოოდ, მან თურქეთის დაჟინებით და პოლიტიკის შედეგად გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი რუსეთთან და ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით დამოუკიდებლობა გამოაცხადა<sup>28</sup>. 1918 წლის 22 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ, სათანადო მიმართვები დაუგზავნა პეტროგრადს, ბერლინს, ლონდონს, სტამბოლს, პარიზს, ვენას, რომს, ვაშინგტონს, ტოკიოს, სოფიას, მადრიდს, კიევს, სტიკპოლმს, ტეირანს, ოსლოს და კოპენჰაგენს<sup>29</sup>. ოსმალეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო აღნიშნული ახლადგამოცხადებული რესპუბლიკა. მან, თავის მხრივ, ასევე, ეს ინფორმაცია აცნობა თავის მოკავშირეებსაც<sup>30</sup>. ამგვარად, რუსეთის სხვა რეგიონების მსგავსად, ამიერკავკასიამაც მოიპოვა დამოუკიდებლობა. აღნიშნული სუბიექტის ფარგლებში აზერბაიჯანელებს დიდი სურვილი ჰქონდათ გამოყოფოდნენ



რუსეთს. აღნიშნულის საპირისპიროდ, სომხები ასეთ გამოყოფას უფრო კონიუქტურულ მოვლენად აუვასებდნენ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ფედერაციის ყველაზე გავლენიანი ძალის - ქართველების ლიდერობით და ინიციატივით განხორციელდა. ამ მნიშვნელოვან მოვლენას თან მოჰყვა მთავრობის ცვლილებაც. გეგეჰკორის მთავრობის ადგილი ჩხენკელის კაბინეტმა დაიკავა. სეიმის მხრივ დამტკიცებულმა ახალმა კაბინეტმა მუშაობა 1918 წლის 26 მაისს დაიწყო. დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობა შემდეგი სამინისტროებისგან და მინისტრებისგან შედგებოდა:

აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი – პრემიერ-მინისტრი და საგაერო საქმეთა მინისტრი (ქართველი);

ნოე რამიშვილი - შინაგან საქმეთა მინისტრი (ქართველი);

ალექსანდრე ხატისიანი – ფინანსათა მინისტრი;

ხუდადად მელიქასლანოვი – ტრანსპორტის მინისტრი;

ფათალი ხან ხოსისკი – იუსტიციის მინისტრი;

გრიგოლ გიორგაძე – თავდაცვის მინისტრი (ქართველი);

ნოე ხომერიკი – სოფლის მეურნეობის მინისტრი (ქართველი);

ნესიბ იუსუფბეკოვი – განათლების მინისტრი;

მეხმედ ხასან ხაჯინსკი – ვაჭრობის და ინდუსტრიის მინისტრი;

ავეტოკ საჰაკიანი – კვების მრეწველობის მინისტრი;

ჰოვანეს რუბენ კაზაჩნუნი – საჯარო მომსახურების მინისტრი;

არამაის ერზინკიანი – შრომის მინისტრი;

იბრაჰიმ ჰაიდაროვი – სახელმწიფო კონტროლის მინისტრი<sup>31</sup>.

როგორც ვხედავთ, მინისტრთა კაბინეტში სახელმწიფო მეთაურის გარდა ქართველებს ოთხი მნიშვნელოვანი სამინისტროს პორტფელი უჭირავთ. აშკარაა ამ სამინისტროების განსაკუთრებული მნიშვნელობაც. თბილისი უნდა ყოფილიყო ამ ახალი პოლიტიკური წარმონაქმნის დედაქალაქი. იგი, ყველაფერთან ერთად, ოპოზიციური ცენტრის ფუნქციას გარდა, ახლა ამიერკავკასიის რუსეთისგან გამოყოფის საქმეში რეგიონის სიმბოლურ დედაქალაქადაც იქცა. ბაქოც და

ერევანიც, სხვანაირად რომ ვთქვათ, სომხებიც და აზერბაიჯანელებიც აღნიშნული ფედერაციის ნაწილი გახდნენ, რომლის ცენტრსაც თბილისი წარმოადგენდა.

ჩხენკელი, რომელმაც კარგი ურთიერთობა დაამყარა თურქულ დელეგაციასთან ტრაპიზონის კონფერენციაზე, აღნიშნული პირველი რესპუბლიკის მთავრობის მეთაურად იქნა დანიშნული. ჩხენკელის ამ პოსტზე დანიშვნას პოზიტიურად შეხვდა თურქული პრესა. ვინაიდან, თურქულ პრესაში ჩხენკელი ცნობილი იყო როგორც „კეთლმოსურნე ქართველი პოლიტიკოსი, რომელმაც ტრაპიზონში თურქეთის დელეგაციის მეთაურთან რაუფ ბეისთან კარგი ურთიერთობა დაამყარა“. ქედან გამომდინარე, საინტერესო უნდა იყოს ჩხენკელის შესახებ სტამბოლის გაზეთებში დაბეჭდილი ინფორმაცია. ამ პერიოდის გავლენიანი გაზეთის ტანინის 1918 წლის 25 აპრილის ნომერში ჩხენკელის ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურად დანიშვნის და მომავალში თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის კარგი ურთიერთობების დამყარების შესახებ შემდეგი სახის მინიშნებაა გაკეთებული: „ახალი მთავრობის მეთაურად დაინიშნა ჩხენკელი, რომელიც შემდეგ მრავალრიცხოვანი დელეგაციის მეთაური იყო ტრაპიზონში ჩვენთან წარმოებული მოლაპარაკებების დროს. ეს ცვლილება, ვფიქრობთ, ყურადსაღებია არსებული მდგომარეობის პირობებში, რადგან, მთვრობის ადრინდელი მეთაური გეგეჭკორი, კავკასიურ საკითხებში მოსალაპარაკებლად არ კონტაქტობდა ოსმალეთის მთავრობასთან. ჩხენკელი, პირიქით, კავკასიელებისთვის საუკეთესო პოლიტიკად განიხილავდა ოსმალეთთან შეთანხმებას. ამგვარად, გეგეჭკორის თანამდებობიდან გადადგომა კავკასიის საქმეების მისაღებ ეტაპზე გადასვლაზე მიანიშნებს<sup>32</sup>“. გაზეთი „ვაკიტ“ არსებულ მდგომარეობას უფრო კონკრეტულად მოუთხრობს თავის მკითხველს: „გეგეჭკორის მაგივრად კავკასიის მთავრობის მეთაურად ჩხენკელის დანიშვნის ამბავი მივიღეთ. ამგვარად, შეიქმნა საფუძველი კავკასიის მთავრობასთან მოლაპარაკებების დაწყებისთვის. გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ ბათუმის მოლაპარაკებები ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად დასრულდეს“<sup>33</sup>. გაზეთი „თასვირი ეკვიარ“ მიუთითებდა, რომ გეგეჭკორის ხელისუფლებიდან წასვლის და

მის ადგილზე ჩხეიძის მოსვლით, უკანა პლანზე დაიწიეს რამიშივილიძე, ჩხეიძემ და ჟორდანიამ, რომლების იმავე პოზიციაზე იდგნენ, რაზედაც გეგეჭკორი<sup>34</sup>. იმავე გაზეთში გატარებულია აზრი, რომ ასეთ პირობებში ჩხეიძის ხელისუფლებაში მოსვლა, ახლო მომავალში თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის კარგი ურთიერთობების დამყარების მიზეზი გახდებოდა<sup>35</sup>. ასეთივე ინფორმაცია არის დაბეჭდილი სტამბოლში გამომავალ გაზეთებში „იკლამ“ და „ტერჯუმანი-ჰაკიკატ“<sup>36</sup>. აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, რომ თურქული გაზეთები საკითხს პოზიტიური კუთხიდან უდგებოდნენ.

კავკასიის და სომხური საკითხებით მეტად დაინტერესებული მწერალი ალაოღლუ აჰმეთ ბეი მაშინ მუშაობდა გაზეთის „თერჯუმანი აჰვალ“ კორესპონდენტად და აქვეყნებდა მოწინავე სტატიებს. მედ ბეის უყურადღებოდ არ დარჩა მიმდინარე მოვლენები და ჩხენკელის ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურად დანიშვნის საკითხი თავის სტატიაში გააშუქა. ბათუმის კონფერენციის დაწყებამდე ალაოღლუ თავის მიმოხილვებში გეგეჭკორის შემდეგ ჩხენკელის მოსვლის გამო, ამ უკანასკნელის მიერ ქართული-თურქულ ურთიერთობებში შესატანი წვლილის შესახებ აღნიშნავდა: „თავდაპირველად კავკასიის მთავრობის მეთაურმა გეგეჭკორმა და კავკასიის პარლამენტის თავმჯდომარემ ჩხეიძემ არ აღიარეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და უპირატესად ჩვენთვის გათვალისწინებული მისი პირობები. აღნიშნულის გამო მათ დატოვეს თანამდებობები. მათ ადგილზე მოვიდა მშვიდობის მომხრე ჩხენკელი. ის გეგეჭკორის და ჩხეიძის ამხანაგია, მაგრამ ეს პიროვნება მათთან შედარებით უფრო შორსმჭვრეტელია. იგი ტრაპიზონში ხელმძღვანელობდა თავისი დელეგაციის მოლაპარაკებებს ჩვენს დელეგაციასთან. მოლაპარაკებების მსვლელობისას კმაყოფილება გამოთქვა ოსმალეთის მთავრობის კეთილგანწყობის გამო და იყო მშვიდობის მომხრე. ახლა, ამ პიროვნების ხელისუფლებაში მოსვლით, ჩნდება შესაძლებლობა, მოეწეროს ხელი სამშვიდობო ზავს ჩვენსა და კავკასიას შორის“<sup>37</sup>. ალაოღლუ აჰმეთ ბეის შეფასებები მიუთითებს იმაზეც, რომ იგი იყო კომპეტენტური კავკასიის საკითხებში. იმ პერიოდის სტამბოლის გაზეთების მიერ გაკეთებული თითქმის ერთნაირი შეფა-

სებები, ჩხენკელის ფაქტორიდან გამომდინარე, იმ პერიოდში არსებულ პოზიტიურ ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე მიუთითებდა.

ასეთ პოზიტიურ ფონზე შედგა ბათუმის კონფერენცია<sup>38</sup>, რომელიც გაიხსნა 1918 წლის 11 მაისს<sup>39</sup>. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ბათუმის ქართულ კლუბში<sup>40</sup>. მილაპარაკებებს ხელმძღვანელობდა მშვიდობიანი პოციციის მქონე პიროვნებად ცნობილი და ქართველებისგან, აზერბაიჯანლებისგან და სომხებისგან შემდგარი ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელი ჩხენკელი. ფედერაციის დელაგაციის ხელმძღვანელი წევრების უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ. კონფერენციაზე გენერალ ფონ ლოსოვის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა გერმანელთა მცირერიცხოვანი დელეგაციაც. თუმცა მათ არ გააჩნდათ იურიდიული უფლება უშუალო მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკებების მსვლელობაში და მხოლოდ „დამკვირვებლის“ სტატუსს ატარებდნენ<sup>41</sup>. რუსებმა გამოსხატეს სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციის მსვლელობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაეთანხმებოდნენ მიღებულ გადაწყვეტილებებს. თუმცა მათი მოთხოვნა ქართველების პროტესტის გამო უარყოფილ იქნა<sup>42</sup>. საბოლოოდ, იმისდა მუხედავად, რომ კონფერენციას „დამკვირვებლის“ სტატუსით დაესწრო გერმანული დელეგაცია, რუსი ბოლშევიკების დელეგაციას კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია. ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი სამი სხვადასხვა ერის განსხვავებული მოლოდინის მიუხედავად, თბილისიდან ბათუმს ჩასული ამიერკავკასიის დელეგაციის წევრები საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდნენ. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობის გამოცხადების და ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების ჩათვლით თურქული მხარის ყველა მოთხოვნაზე თანხმობა ჰქონდათ განცხადებული<sup>43</sup>. თუმცა, თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ჰალილ ბეიმ კონფერენციის ამ პირველ და უკანასკნელ ოფიციალურ სხდომაზე მოულოდნელი განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ თურქეთ-კავკასიის ურთიერთობის ხასიათი სრულიად შეიცვალა ტრაპიზონის მოლაპარაკებების შემდეგ და თურქეთის ახალი მოთხოვნები წამოაყენა. თურქთა მოთხოვნები განსაკუთრებით ეხებოდა

სომხურ რეგიონებს. სევე, ეხებოდა კავკასიის რკინიგზებს, რომლებითაც უნდა ესარგებლა თურქულ მხარეს ომის მსვლელობისას<sup>44</sup>. რკინიგზების გამოკლებით, თურქთა ახალი მოთხოვნები, ზოგადად, არ ეხებოდა ქართულ-თურქულ და თურქულ-აზერბაიჯანულ სასაზღვრო საკითხებს. ჩანს, რომ თურქები ამ ეტაპზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ სომხების გაკონტროლების პოლიტიკაზე.

მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა კავკასიის მთების სამხრეთით მხოლოდ გეოგრაფიული თანაარსებობიდან გამომდინარე იძულებით იყო შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცია. მასში შემავალ ერებში არ არსებობდა ერთობა და საერთო ხედვა. ბათუმის კონფერენციაზე ეს სინამდვილე მწარედ გამოჩნდა და თანაც პრაქტიკულად. ეს ნათლად დაინახეს ქართველებმა, აზერბაიჯანლებმა და, რა თქმა უნდა, სომხებმა... ამის გამო იყო, რომ კონფერენციის მსვლელობისას სამშვიდობო მოლაპარაკებების პერიოდში პირველ დღეს (11 მაისი) ჩატარებული საერთო სხდომის შემდეგ მსგავსი სხდომა აღარ ჩატარებულა. კონფერენციაში მონაწილე მხარეებმა - თურქებმა, ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, ჩრდილოკავკასიელებმა, სომხებმა ურთიერთშორის გადასაწყვეტი საკითხების შესახებ ერთმანეთში ნოტები გაცვალეს. ამ ეტაპზე, რეგიონში საერთო პოლიტიკური ერთობის არარსებობა პირველად ქართულმა მხარემ დაადასტურა. მათ მოლაპარაკებების მსვლელობისას გერმანიის ეგიდით დამოუკიდებლობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს. ქართველებმა 1918 წლის 23 მაისს გერმანიის წარმომადგენლობასთან გამართეს მოლაპარაკებები, რის შემდეგ გერმანელებმა მათგან ბათუმის პორტის და გადაზიდვების საკითხებში ქართველებისგან მნიშვნელოვანი დათმობები მიიღეს. დელეგაციის წევრმა ზურაბ ავალოვმა (ავალიშვილი) აღნიშნულის შესახებ ასეთი განცხადებაც კი გააკეთა: „ჩვენ გერმანიის სასიამოვნოდ სინამდვილეში არარსებულ ტონაჟსაც კი ვთავაზობდით“. 24 მაისის შეხვედრაზე გერმანელების სასარგებლოდ კიდევ გაკეთდა ახალი დათმობები<sup>45</sup>. მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს ქართველებმა ფედერაციის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს<sup>46</sup>. საქართველო,

გერმანიის მფარველობით მნიშვნელოვანი მოვლენების მოლოდინში იყო. თურქეთის „დიდი მოკავშირე“ გერმანია მიზნად ისახავდა, რომ თურქეთი არ დაეტოვებინა მარტოდ კავკასიაში და აქ პირადად ყოფნის პილიტიკას ატარებდა.

მოვლენების ასეთი განვითარებისას რეგიონის ერთობის დამადასტურებელ სეიმშიც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. ქართველების მხრიდან ფედერაციის დატოვების და დამოუკიდებლობის გამოცხადების სურვილმა სეიმზეც მოახდინა ზეგავლენა. შესაბამისად, სეიმის მენშევიკურმა ფრაქციამ კარგად უწყოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად შეუძლებელი იქნებოდა ამ ფედერაციული სტრუქტურის შენარჩუნება. მენშევიკმა ქართველებმა ისევე, როგორც ამიერკავკასიის კომისარიატის დამოუკიდებლობის საქმეში, ფედერაციის დაშლაშიც ლიდერის როლი შეასრულეს. 26 მაისს, კვირა დღეს, შუადღისით ჩხეიძის თავმჯდომარეობით ჩატარებულ საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ სხდომაზე ქართველმა ორატორმა ირაკლი ჩხეიძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა<sup>47</sup>. საბოლოოდ, ფედერაციული სტრუქტურის პარლამენტმა სეიმმა იმავე დღის 15 საათზე გააკეთა ქვემოთმოყვანილი ოფიციალური განცხადება და შეწყვიტა თავისი ისტორიული და სამართლებრივი არსებობა: „იმ ერებს შორის, რომელთაც გამოაცხადეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, არსებობს ძირეული განსხვავებები ომისა და მშვიდობის საკითხებთან მიმართებით. მართალია, სეიმმა შექმნა გავლენიანი მთავრობა, მაგრამ რადგან აღარ არსებობს საფუძველი, რომ გაკეთდეს განცხადებები მთელი ამიერკავკასიის სახლით, სეიმი ღებულობს ამიერკავკასიის დაშლის რეალობას და წყვეტს თავის უფლებამოსილებას“<sup>48</sup>. ამგვარად, სამთვიანი საქმიანობის შემდეგ, ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს შორის განსხვავებულობის გამო სეიმმა ოფიციალურად გამოაცხადა თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

ფაქტობრივად, ერთდროულად მოხდა სეიმის მიერ თავისი უფლებამოსილების შეწყვეტა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს ორივე მოვლენა, ფაქ-

ტობრივად, კოორდინირებულად განახორციელეს. რადგან ორივე შემთხვევაშიც დომინანტ ძალას მენშევიკი ქართველები წარმოადგენდნენ. ისინი პირადად ხელმძღვანელობდნენ მოვლენებს. ჩხენკელი ჯერ კიდევ 24-25 ღამეს თბილისში გაეზავნილ დეპუტატი ალნიშნავდა, რომ „მეტად არ უნდა დაგვიანდეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან ამან მომავალში გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს“<sup>49</sup>. ეს წინადადება სასწრაფოდ განიხილეს თბილისში საქართველოს ეროვნულ პარლამენტში და გადაწყდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებულიყო 26 მაისს. მიღებული გადაწყვეტილება სასწრაფოდ ეცნობა ჩხენკელს ბათუმში<sup>50</sup>. ყველაფერი გეგმის მიხედვით აეწყო. თავდაპირველად ამიერკავკასიის პარლამენტმა შეიწყვიტა უფლებამოსილება. ამ აქტის განხორციელების შემდეგ სემის ყოფილმა ქართველმა დეპუტატებმა დარბაზი არ დატოვეს, რადგან ორ საათზე ნაკლებ დროში ამ დარბაზშივე მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული პარლამენტი. აღნიშნულ მოვლენებს ორგანიზებას უკეთებდა საქართველოს ეროვნული კრების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას<sup>51</sup>. ქართველი დეპუტატებს გარდა მოწვეული იყვნენ სხვა საპატიო სტუმრებიც. ისინი იყვნენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის და გერმანიის სახელით მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად მოსული კონტ ფონ შულენბურგი და კრეს ფონ კრესენშტაინი<sup>52</sup>. ეს მოვლენა მიუთითებდა იმაზე, რომ კავკასიის სამხრეთში ფედერაციული წარმონაქმნის დაშლის შემდეგ რეგიონში იბადებოდა ახალი სახელმწიფო.

ისტორიული სხდომა ჟორდანიას გრძელი გამოსვლით დაიწყო. მან ისაუბრა დამოუკიდებელი საქართველოსთვის აუცილებელ ფუნქციებზე და მისთვის აუცილებელ პოლიტიკაზე<sup>53</sup>. მისი გამოსვლის შემდეგ, ხელი მოეწერა საქართველოს ეროვნული პარლამენტის მიერ მომზადებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“. იგი ერთსულოვნად იქნა მიღებულ სხდომაზე დამსწრე 42 წევრის და 36 კანდიდატის მიერ. შემდეგ პარლამენტის მხრიდან დანიშნულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარდგენილი დროებითი მთავ-

რობა<sup>54</sup>. დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა შემდეგი სახით გამოიყურებოდა:

ნოე ვ. რამიშვილი<sup>55</sup> – პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი;

აკაკი ი. ჩხენკელი – საგარეო საქმეთა მინისტრი;

გრიგოლ გიორგაძე – სამხედრო მინისტრი;

გიორგი ჟურული – ფინანსთა, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრი;

გიორგი ლასხიშვილი – განათლების მინისტრი;

ნოე ხომერიკი – სოფლის მეურნეობის და შრომის მინისტრი;

შალვა აღექვი – მესხიშვილი – იუსტიციის მინისტრი;

ივანე ლორთქიფანიძე – ტრანსპორტის მინისტრი<sup>56</sup>.

ცალკე ნოე ჟორდანიას არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარედ<sup>57</sup>. ამგვარად განვითარებული მოვლენების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, კვირა დღეს, 17:00 სთ-ზე საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა<sup>58</sup>. სხდომაზე დამსწრე გერმანელმა წარმომადგენლებმა აქტიური როლი ითამაშეს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცედურებში<sup>59</sup>. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში ქართული დროშის გვერდით გერმანული დროშის გამოფენას<sup>60</sup>. იმავე დღეს პრემიერ რამიშვილის ხელმოწერით დიდ ქვეყნებს გადაეგზავნა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ დეკლარაცია<sup>61</sup>. ამგვარად, საქართველომ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პროცედურების ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულება დაიწყო. ორ-ორი დღის შუალედით ჯერ აზერბაიჯანმა (28 მაისი), შემდეგ სომხეთმა (30 მაისი) გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა<sup>62</sup>. შემდეგად, სამხრეთ კავკასიაში გაჩნდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკა, რომ მათ შორის შექმნილიყო ბუფერული სახელმწიფო ან სახელმწიფოები, რეალობად იქცა. თურქეთმა, სომხეთის გამოკლებით, მასა და რუსეთს შორის აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკის სახით მეგობარი სახელმწიფოები მიიღო.



ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოლაპარაკებები ბათუმში დელეგაციებთა გაგრძელდა ცალ-ცალკე. ჩხენკელის ფონ ლოსოვთან ერთად გერმანიაში წასვლის გამო ქართული დელეგაციის შემადგენლობა ახლად იქნა შედგენილი. დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა რამიშვილი. დელეგაციის სხვა წევრები იყვნენ: გენერალი ოდიშელიძე, გრიგოლ გვაზავა და გ. რცხილაძე. ისინი შექმნილი მდგომარეობის გამო წარმოადგენდნენ არა მხოლოდ მენშევიკებს, არამედ ეროვნულ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებსაც<sup>63</sup>. ბათუმში ცალკე ქართულ-თურქული მოლაპარაკებები დაიწყო 31 მაისს. რამიშვილის თამჯდომარეობით ბათუმში ჩამოსულმა ქართულმა დელეგაციამ წინა მოლაპარაკებების მსვლელობის დროს თურქული დელეგაციის მიერ ქართული დელეგაციისადმი გადაცემული ნოტის პასუხი ჩამოიტანა და თურქულ დელეგაციას გადასცა. ამ ნოტაში რამიშვილი გამოხატავს თავის რწმენას ორ მხარეს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების შესახებ და აცხადებს: „საქართველოს რესპუბლიკას აქვს სურვილი, ოსმალეთის სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობები დაამყაროს. საქართველო, ოსმალეთის ინტერესების გათვალისწინებით, მსოფლიო ომის განმავლობაში განსაკუთრებული პირობების ფარგლებში თანახმაა საქართველოს რკინიგზით ოსმალეთის სამხდრო ნაწილების ტრანსპორტირებაზე“<sup>64</sup>. რამიშვილის ერთადერთი მტკიცე მოთხოვნა იყო, რომ გათვალისწინებულიყო საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები ახალქალაქის და ახალციხის მხარეების საზღვრების დადგენისას, რადგან ამ მხარეების მოსახლეობა ოსმალეთთან შეერთებას მოითხოვდა<sup>65</sup>. ეს საკითხი გადაწყდა ოზურგეთის საქართველოსთვის დათმობის გზით<sup>66</sup>. მხარეებს შორის პრობლემების მოგვარების შემდეგ ურთიერთობის დასარეგულირებელი ხელშეკრულების ხელმოწერის ჯერი დადგა.

ბათუმის კონფერენციაზე მხოლოდ 11 მაისს გაიმართა პლენარული სხდომა. შემდეგ მხარეებს შორის გაიცვალა ნოტები და გაგრძელდა ცალ-ცალკე სხდომები. საბოლოოდ, 4-8 ივნისს შორის რიცხვებში ხელი მოეწერა 20-მდე ხელ-

შეკრულებას<sup>67</sup>. მათგან კონფერენციის მსვლელობისას წამოჭრილი საკითხების და ქართულ-თურქულ მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმებების ოფიციალური გაფორმება ხელშეკრულების სახით მოხდა 1918 წლის 4 ივნისს. ქართულ-თურქულ მხარეებს შორის ხელი მოეწერა სულ რვა ხელშეკრულებას. საერთო და კერძო ხასიათის მიხედვით ეს ხელშეკრულებები ორად შეიძლება გაიყოს. ერთობლივი ხელშეკრულებებს მესამე მხარეც ახლავს. ასეთი ორია. ერთში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახით, სადაც ბათუმი-ბაქოს ნავთობსადენის ხელშეკრულება: მეორე, ამიერკავკასიის სარკინოგზო ხაზი, სადაც, ასევე, მესამე მხარეს წარმოადგენენ აზერბაიჯანი და სომხეთი. ბათუმში, უშუალოდ ქართულ-თურქულ მხარეებს შორის ცალკე ხასიათის ხელშეკრულება სულ ექვსია. მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამით თურქეთი პირველი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოსთან ხელმოწერილი მშიდობის და მეგობრობის ხელშეკრულება ატარებს პირველი ოფიციალური ხელშეკრულების სახეს. 13 მუხლისგან შემდგარი ხელშეკრულებით, მხარეებს შორის პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და რელიგიურ სფეროებში მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები დამყარდა. მხარეებს შორის ბათუმში ხელმოწერილ ხელშეკრულებებს თურქეთს სახელით ხელი მოაწერეს ჰალილ ბეიმ და ვეჰიბ ფაშამ; ქართველების სახელით – რამიშვილმა, გვაზავამ, ოდიშელიძემ და რიტილაძემ (შენიშვნა: უნდა იყოს რცხილაძე). ამ ხელშეკრულების პირველი დამატება ეხებოდა, საქართველოსა და თურქეთის მხრიდან, პირველ რიგში, ორივე მხარის ქვეშემდომებისთვის სავაჭრო და საზღვაო საკითხების ნებართვებს. მეორე დამატება ეხებოდა სასაზღვრო ვაჭრობის საკითხებს. მესამე – საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მუფტების სამართლებრივ მდგომარეობას და მათ მოვალეობებს. ხელშეკრულების დროებითი დამატება ეხებოდა ქართული და თურქული სამხედრო საკითხების მოგვარებას. მეექვსე და ბოლო დამატება – იყო „მშიდობის და მეგობრობის ხელშეკრულების“ დროებითი დამატების სახით ხელმოწერილი და ეხებოდა ტყვეების საკითხების

მოგვარებას<sup>68</sup>. დოგორც ვხედავთ, ბათუმის ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იყო მხარეთა მიერ განხილული მათი ყოველმხრივი ურთიერთობები, რომელთა დიდი ნაწილი კიდევაც მოგვარდა.

ამ ხელშეკრულებების ხელმოწერით ოსმალეთის სახელმწიფოს და საქართველოს რესპუბლიკას შორის კავშირი ურთიერთობები დაამყარდა და კიდევ უფრო გაფართოვდა. საქართველოს შექმლო, მისთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით, მიემართა თურქეთისთვის და აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მოეთხოვა დახმარება. ამგვარად, მხარეები კიდევ უფრო შეძლებდნენ ურთიერთობების გაფართოებას. ისედაც, საქართველო აზერბაიჯანთან ერთად კავკასიაში იყო ის სახელმწიფო, რომელსაც ყველაზე ნაკლები პრობლემები ჰქონდა ოსმალეთთან. მომავალშიც უეჭველი ჩანდა ამ ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება, მაგრამ ოსმალეთის სახელმწიფოს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამ, მდგომარეობა შეცვალა. წლის ბოლოს ოსმალეთმა მთლიანად დატოვა კავკასია და იძულებილი გახდა, 1914 წლის საზღვრებში დაბრუნებულიყო. საბჭოთა რუსეთის მიერ საშინაო პრობლემების მოგვარების და კვლავ კავკასიაში დაბრუნების შემდეგ საქართველომ დროებით, მაგრამ მაინც დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა. ამის გამო, ქართულ-თურქული ურთიერთობები დიდი ხნის განმავლობაში იძულებით შეწყდა, თუმცა 1990 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა და უახლოეს მეზობელთან, თურქეთთან კვლავ დაამყარა კეთილმეზობლური ურთიერთობა. დღეს თუ გავაანალიზებთ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს, ვნახავთ, რომ სხვა მეზობლებთან შედარებით ამ ორ ქვეყანას საუკეთესო ურთიერთობები გააჩნია, ზერბაიჯანის ჩათვლით. ამასთანავე ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობა და ისტორიკოსები ცდილობენ არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. ეს მდგომარეობა განსაზღვრავს ორივე რესპუბლიკის უსაფრთხო მომავალს.

## ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შესწავლისათვის

ასოცირებული პროფესორი მაკაა პაჭკაჭიშვილი-ბერიძე

### მოკლე შინაარსი

ქართველი მეცნიერები საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს მრავალმხრივად შეისწავლიან. კავშირი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ურთიერთობების თანამდევი მოვლენაა ენათა კონტაქტები. ენა საუკეთესოდ ინახავს ხალხთა შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციას. ამიტომ არის, რომ სრული სურათის წარმოსახენად ქართველი ენათმეცნიერები სწავლობენ ქართულ ენაში დაღეჭილ თურქიზმებს. საქართველოში თურქულოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელად ითვლება სერგი ჯიქია, რომლის არაერთი ნაშრომი ეხება თურქულიდან შემოსულ სიტყვებს. ამავე მიმართულებით მუშაობა დღესაც გრძელდება. მეცნიერთაგან აღიარებულია, რომ ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შესწავლას საფუძველი ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725 წწ.) ჩაუყარა.

საკითხის შესწავლა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. პირველი - შეისწავლება და აღიწერება თურქული ნასესხობანი ქართულში. ზუსტდება ნასესხობათა პირველწაყროები, ხასიათდება ისინი ლინგვო-გეოგრაფიული თვალსაზრისით, გამოითქმება ვარაუდები ქართულ ენაში თურქიზმების შეღწევის შესახებ. დიდი ყურადღება ეთმობა თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების არა მარტო დიაქრონიულ, არამედ სინქრონიულ შესწავლასაც. მეცნიერთა კვლევის მთავარი სამიზნე ხდება ენის ლექსიკური ფონდი. როგორც ცნობილია, უცხო ენიდან შეთვისებული ლექსიკის ადაპტაციის პროცესში იკვეთება კანონზომიერებები. მათი გამოვლენა იძლევა საშუალებას, დადგინდეს სიტყვის სესხების დრო, პირობები ან მისი გავრცელების მასშტაბი.

მეორე მიმართულება, რომელიც საკითხის შესწავლისას იკვეთება, არის თურქიზმები ქართული ენის დიალექტებში. ამ მხრივაც ჩატარებულია სერიოზული სამუშაო. მიმოხილულია გურული, აჭარული, სამცხური და ჯავახური დიალექტები.

გამოკვლეულია კონტაქტები კიდევ ერთი მხრივ – ქართველი მეცნიერები (ს. ჯიქია, ელ. გუდიაშვილი, ვ. ჯაგნიძე) სწავლობენ თურქულის დიალექტებში შესულ ქართულ ლექსემებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შესწავლას ონომასტიკური კუთხით. შესწავლილია ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში ხმარებული თურქული ფიტონიმები, ანთროპონიმებსა და გვარსახელთა ფუძეებში ჩარჩენილი თურქული ლექსემები, ტოპონიმებში შემონახული თურქული სახელები.

ოთხივე მიმართულებით წარმოებულ კვლევებში ასახულია ქართულში თურქულ ერთეულთა შემოსვლის პროცესი, სესხების შემდგომ პერიოდში მათი ფონეტიკური შემაღვენლობის, სემანტიკური ცვლილებების ხასიათი.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტი, თურქიზმი, აჭარული, სამცხური, გურული.

## GÜRCÜ-TÜRK DİL İLİŞKİLERİNE DAİR BİR İNCELEME

*Doç. Dr. Maka KAÇKAÇIŞVİLİ-BERİDZE*

### ÖZ

Gürcü bilim adamları tarafından Türk-Gürcü ilişkileri çok yönlü araştırılmaktadır. Bu ilişkiler asırlar boyunca devam ediyordu. İlişkilerin yanı sıra dil temasları da vardı. Dil, halklar arası temaslar hakkındaki bilgileri, en iyi şekilde barındırır.

Gürcü dilbilimcileri tarafından Türk-Gürcü ilişkilerindeki gelişmeleri ortaya koymak için Gürcü Diline dahil olan Türkçe kelimeler incelenmiştir. Gürcistan'da Türkoloji araştırmalarına temel atarlardan

birisi Sergi Cikia'dır. Sergi Cikia tarafından Gürcüce'deki Türkçe kelimeler hakkında birçok bilimsel makale yayımlanmıştır.

Bu çalışmalar hala devam etmektedir. Bilim adamları tarafından kabul edildiği gibi Türk-Gürcü dil ilişkilerin incelemesi daha eski dönemde, Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1725) tarafından başlatılmıştır.

İkili dil ilişkilerinin incelenmesi bir kaç dalda devam etmektedir.

Birincisi Türkçe'den Gürcüce'ye dahil edilen kelimeler incelenmektedir. Bu kelimelerin kökleri araştırılıp tespit edilmektedir. Bütün bunlar linguo-coğrafi açıdan tanımlanır ve dahil olma yolları incelenir. Ayrıca ikili dil ilişkilerinin artzamanlı ve eşzamanlı yönlerine de dikkat çekilmektedir.

Bilim adamlarının asıl amacı dilin kelime hazinesinin incelenmesidir. Her iki dilden birbirine dahil olan kelimelerin uyarlanma sürecinde gerekli değişiklikler belli olmaktadır. Bu değişiklikler belli olduğunda kelimelerin dahil olma zamanı, şartları ve kapsama alanı tespit edilmektedir.

İkincisi Gürcü ağızlarında Türkçe kelimelerin araştırılma-incelenmesidir. Bu alanda da ciddi çalışmalar yapıldı ve Guruli, Acaruli, Cavakhuri ve Samtskhuri ağızları tetkik edildi. Şunu da belirtmeli ki, Gürcü bilim adamları tarafından (S. Cikia, El. Gudiaşvili, V. Cangidze) Türkçe ağızlarına dahil olan Gürcüce kelimeler araştırılıp incelenmiştir.

Üçüncüsü - Ad bilimi tarafından Türk-Gürcü Dil ilişkilerinin incelenmesine de fazlasıyla önem verilmiştir. Gürcü Tıp Dil Hazinesine dahil olan Türkçe bitki isimleri, antroponim, isim-soyadların köklerinde olan isimler ve yer adlarında muhafaza edilen Türkçe isimler incelenmiştir.

Her üç yönde yapılan araştırmalarda Türkçe'den Gürcüce'ye kelimelerin dahil olma süreci, kelimelerin dahil sonrası durumu ve semantikselsel değişiklikler ortaya konulmuştur.

**Anahtar Kelimeler:** Türk-Gürcü Dil İlişkileri, Türkçe kelimeler, Acaruli, Samtskhuri, Guruli.

# THE STUDY OF GEORGIAN-TURCISH LINGUISTIC CONTACTS

Prof. Maka KACHKACHISHVILI -BERIDZE

## ABSTRACT

Georgian scientists still continue to study Georgian-Turkish relations, which lasted for centuries in various aspects. Language contacts are a significant element of such relations. Language maintains existing information between nations. To present an overall picture of Georgian-Turkish relations, Georgian linguists study Turkish elements that exist in Georgian Language

Sergi Jikia is the one of the founders of the Turkish Scientific School in Georgia .A number of his works deals with Georgian words that were borrowed from the Turkish language. Specialists in this field have continued this research. Scientists note that Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1725) created the basis for the study of Georgian-Turkish language contacts.

The issue is analyzed in several different ways. Firstly, scientists study and describe Turkish borrowed words in Georgian Language. The primary sources of the borrowed words are specified and characterized by the lingua geographical terms. Some assumptions about the incorporation of Turkish language into Georgian language are also important. Great attention is paid to linguistic study of the Turkish-Georgian relations not only from diachronic, but also synchronic perspectives. Lexical fund study becomes the main target of research. This term refers to the fact that when foreign language vocabulary is adapted, some rules emerge that allow one to determine the circumstances of borrowed words or the terms of geographical use.

Turkish words also exist in Georgian dialects. A serious work has been carried out to study this fact. It reviews dialects of Guria, Adjaria, Samtskhe, and Javakheti. It is worth noting that Georgian scientists (S. Jiqia, E. Gudiashvili, and F. Jagnidze) also studied Georgian lexemes in Turkish dialects.

It is also important to study Georgian-Turkish language contracts on an onomastic level. Turkish phitonims are studied in medical literature.

Turkish lexemes are maintained in the stems of Turkish surnames and Turkish names are preserved in Georgian toponyms.

The three directions of research present the process by which Turkish units were incorporated into the Georgian language and the character of semantic changes of borrowed words.

**Key words:** Georgian-Turkish relations, Turkish words, Adjaruli, Samtskhuri, Guruli.

საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობები თურქეთთან საუკუნეებს ითვლის. ჩვენი ქვეყანა ადრევე, დაახლოებით V საუკუნიდან იყო დაკავშირებული თურქული მოდგმის ტომებთან და ხალხებთან. ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული (ანუ თურქული წარმომავლობის ერთ-ერთი ენა) იყო იმ ექვს ენათაგანი, რომელიც „იზრახებოდა ქართლსა შინა“ (ქართლის ცხოვრება, 1955:16).

ორი ქვეყნის კონტაქტი აისახება მათ ეროვნულ ენებზე. ასეა ქართულ-თურქული ენების შემთხვევაშიც. ქართველ ენათმეცნიერთა ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ენობრივი კონტაქტებმა შესწავლამ. ქართულ-თურქულ ენობრივ ურთიერთობებს მიეძღვნა არაერთი სერიოზული სამეცნიერო შრომა, მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია, ამ დრომდე იქმნება საღისერტაციო ნაშრომები. შეისწავლება და აღიწერება თურქული ნასესხობანი ქართულში. ზუსტდება ნასესხობათა პირველწყაროები, ხასიათდება ისინი ლინგვო-გეოგრაფიული თვალსაზრისით, გამოითქმება ვარაუდები ქართულ ენაში თურქიზმების შეღწევის შესახებ.

ხაზგასმულია, რომ ქართულ ენაში თურქული სიტყვების შესახებ სხვადასხვა პერიოდში ხდებოდა. ყველაზე ძველი ნასესხობები XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება. ყველაზე ახალი კი XIX საუკუნის I ნახევარს. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ ქართულში თურქულიდან და ასევე თურქულის მეშვეობით შემოსული ნასესხობები თითქმის ათსაუკუნეს ითვლიან და შეცდომას დაუშვებდით თუ ნასესხობების



პირველწყაროდ თანამედროვე სალიტერატურო თურქულის მაგალითებს მივიჩნევდით (გურგენიძე, 1973).

ენობრივი კონტაქტების შესწავლის კუთხით წარმოებული კვლევის მრავალფეროვნება გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თურქიზმები შემოსული უნდა იყოს არა ერთი კონკრეტული, არამედ რამდენიმე მონათესავე ენიდან. როგორც ნ. დიმიტრიევი აღნიშნავს, თურქულ ენათა ოჯახში შედის ერთმანეთთან ახლოს მდგომი ოცდაათამდე ენა, რომელთა ლექსიკური ელემენტები სხვა ენაში შესვლისას თითქმის ერთნაირ რეფლექსებს იძლევა. ეს გარემოება აძნელებს წყარო ენის დადგენას. ამ დროს ძირითად კრიტერიუმად რჩება, პირველ რიგში, ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობა და ტერიტორიული სიახლოვე. გამოთქმული თვალსაზრისების მიხედვით თურქიზმები შემოსული უნდა იყოს თურქული, აზერბაიჯანული, ყარაჩაულ-ბალყარული და ყუმუხური ენებიდან. ქართულში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის სიტყვათა უმრავლესობა ითვლება შემოსულად ენათა თურქული ოჯახის ოლუზურ (ოსმალური, თურქული, აზერბაიჯანული) და ყივჩაღურ (ყარაჩაული, ყუმუხური) ჯგუფებში შემავალ ენათაგან (რუხაძე 1999: 18). ქართულენოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით ანატოლიურ-თურქული სიტყვები გვხვდება XII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ვრცელდება XVI საუკუნიდან მოყოლებული. XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა თავის მმართველობას დაუქვემდებარა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ტრაპიზონის იმპერია, სადაც კომპაქტურ მასებად დასახლებული იყვნენ ქართველური წარმოშობის ტომები – ჭანები, ანუ ლახები, ხოლო XVI საუკუნეში თურქეთმა დაიპყრო და გაამაჰმადიანა საქართველოს გარკვეული ნაწილები – სამცხე-საათაბაგო და აჭარა. აქედან დაწყებული რამდენიმე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა ამ ორ ხალხს შორის გარკვეული ურთიერთობა, რასაც არ შეიძლება თავისებური კვალი არ დაემჩნია მათ მეტყველებაზე. თურქული ენის გავლენა ძლიერი იყო და დღემდე დიდი როლდენობითაა შემორჩენილი თურქული წარმომავლობის სიტყვები ქართულსა და მეგრულ-ჭანურში (გუდიაშვილი 1976:113–114). აზერბაიჯანულიდან შემოსული

სიტყვები უფრო გვიანდელ პერიოდს მიეწერება. ხშირია საქართველოს მთიანეთში ყარაჩაულ-ბაღყარული და ყუმუ-ხური გზით შემოსული სიტყვები, რაც საუკუნეთა განმავლობაში კავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობის და ქართველ მთიელთა მჭიდრო და ცხოველი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია.

სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ერთი მოხსენების ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა თითოეული მეცნიერის საქმიანობის ჯეროვნად შეფასება, ამიტომ გადავწყვიტეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა არა ნაშრომებზე ცალ-ცალკე, არამედ გამოგვეყო კვლევის მთავარი მიმართულებები. თუმცა ზოგიერთ მეცნიერს, მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გვერდს ვერ ავუვლით.

თურქულ-ქართული ენობრივი პარალელებისა და ენობრივი ურთიერთობების პირველი მკვლევარია დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონის „ლექსიკონი ქართული“ ავტორი. ლექსიკონის მკვლევარი ილ. აბულაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლექსიკონი ენათა შედარებითი შესწავლისათვის (განსაკუთრებით ისტორიული ფონეტიკისა და ისტორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით) სანდო და აღიარებული წყაროა.

ლექსიკონში ავტორი რიგ ლექსიკურ ერთეულებს „თათართა ენად“ მოიხსენიებს: ბედაური, დაღალი ან კიდევ უჩვენებს მათ „თათრულ“ ან „თურქულ“ ეკვივალენტებს. ესენია: თამაშა, მავთული, მეჰარი, რუბი და სხვა. ლექსიკონში წყარო ენის აღმნიშვნელად ს. ს. ორბელიანს უწერია „თურქთა ენა“, „თათართ ენა“. საინტერესოა, თუ რა ნიშნით განასხვავებს მათ ავტორი: „თუ ამოვალთ „თათარის“ საბასეული განმარტებიდან, ხელნაწერებში აღნიშნული ლექსიკური ერთეული სხვადასხვაგვარადა აწარმოდგენილი „თათარი-მოჰმადიანი ZAB, მოჰმადიანი CB, განუმარტავია Caq, აგარიანი E აღნიშნული“ (იმედაძე, 2014:56). სახელწოდების ქვეშ თურქულთან ერთად ივარაუდება არაბულიცა და სპარსულიც. ნამდვილად კი, „თათარი“ კრებითი სახელია მონღოლური და თურქული წარმოშობის ხალხებისა და უფრო ისტორიული, ვიდრე ეთნიკური. ქართულ წყაროებში

თათრებად იწოდებიან მონღოლები - „ენითა, მათითა უწოდინ თავთა მათ მონღოლ, ხოლო ქართველნი თათრად“ (აბულაძე, 1962: 62). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე თურქულში ეთნონიმი **tatar** ნიშნავს თურქ ხალხს, თათარს (ლორთქიფანიძე, 1975: 121). თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილს არაბულ-სპარსული სიტყვები წარმოადგენს, გასაგები გახდება სულხან-საბას მიერ მათი თურქული წარმომავლობისად მიჩნევა. დავასახელებთ ერთ მაგალითს: **ბუხარი – „ეს(ე) თურქთა ენით არის. ყოველსა აორთქლებას სტომაქისა ანუ ქვეყნისა ბუხარად უწოდენ, კედელთა სახლისათა დატანებულსა საცეცხლეთა ბუხარსავე უკმობენ, ქართული არ არის“** (საბა, 1991: 124).

ქართულ-თურქული ენობრივი და არა მხოლოდ ენობრივი ურთიერთობების კვლევისას დიდია აკადემიკოს სერგი ჯიქიას როლი. იგი 1936 წლიდან ჩაუდგა სათავეში თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრას და იყო ყველა თურქოლოგიური დისციპლინის საუნივერსიტეტო კურსის პირველი ლექტორი, 1945-1953 წწ. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი დეკანი, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების გამგე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროებია: თურქული ფილოლოგია, თურქული ენების დიალექტოლოგია, თურქული ენის ისტორია, თურქულ-ქართული ენობრივი კონტაქტები, თურქული დოკუმენტებისა და ისტორიული წყაროების პუბლიკაცია. იგი არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ფუნდამენტური ნაშრომია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის პუბლიკაცია. დიდი ამაგი დასდო ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების შედგენა-რედაქტირებას, აზერბაიჯანული სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენას. იგი თურქული ქრესტომათიების ავტორია. სერგი ჯიქიამ, ფაქტობრივად, შექმნა საქართველოში თურქოლოგიური სკოლა, რომლის მიმდევრებიც დღესაც აგრძელებენ მოღვაწეობას. შეიძლება დავასახელოთ ე. გუდიაშვილი, ვ. ჯანგიძე, ნ. ბაღათურია, მომდევნო თაობის

თურქოლოგთაგან – ც. აბულაძე, გ. შაყულაშვილი, შ. გაბეს-  
კირია, მ. ბელთაძე, ნ. გურგენიძე, გ. თუშმალიშვილი, ე.  
მამულია, მ. ჯიქია, ქ. ლორთქიფანიძე.

კვლევების ერთ-ერთი სერიოზული მიმართულებაა სალი-  
ტერატურო ენაში არსებული ნასესხობების გამოვლენა. ცნო-  
ბილია, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ გვაქვს  
ქართულ ენაში თურქულ ნასესხობათა ისეთი ეტიმოლო-  
გიური ლექსიკონი, როგორც აქვთ მაგალითად ესპანელებს  
(არაბული ნასესხობები ესპანურში (Nenvenen, 1911), ან აღმო-  
საველური ნასესხობები ფრანგულ (Devie, 1876), და გერმანულ  
(Llokotskh, 1927) ენებში. ამ მხრივ არც კ. ლოკაჩის ლექ-  
სიკონია დამაკმაყოფილებელი და მიუხედავად იმისა, რომ  
საქართველოში არ გვაქვს ქართულში შესული თურქიზმების  
ეტიმოლოგიური ლექსიკონი, გვაქვს ქართველ თურქოლოგთა  
ცალკეული ეტიმოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც, მეც-  
ნიერთა აზრით, ამ ლექსიკონების თანაფარდია და რომელთა  
გათვალისწინებაც აუცილებელია ნასესხობათა ეტიმოლო-  
გიური ლექსიკონის შესადგენად.

ქართულში თურქული სიტყვები სხვადასხვა პერიოდშია  
შესული, მკვლევრების მოსაზრებით, ყველაზე ძველი ნასეს-  
ხობები XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება, ყველაზე ახალი კი  
XIX საუკუნის I ნახევარს, უახლესი კი თანამედროვე  
პერიოდს, ე. ი. თურქული ნასესხობების შემოსვლა ქართულ-  
ში თითქმის ათი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა და სწო-  
რად რომ ჩავატაროთ ქართულში დამკვიდრებული თურქული  
ნასესხობების ეტიმოლოგიზაცია, უნდა გავითვალისწინოთ  
ის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ხდებოდა თურ-  
ქულ ენაში XII-დან XIX-XX საუკუნემდე, რაც შეუძლებელია,  
გაკეთდეს როგორც ქართული, ასევე თურქული დიალექ-  
ტების მონაცემების გათვალისწინების გარეშე. ეს კვლევა  
ხანგრძლივ მუშაობას საჭიროებს, რაც შესაძლოა ეტაპობ-  
რივად შესრულდეს. დავასახელებთ ქართულ სინამდვილეში  
დამკვიდრებულ რამდენიმე სიტყვას, რომელთაც, მეცნიერთა  
განმარტებით, დაეძებნა თურქული წარმომავლობის ლექსემა:  
აზმანი, ამაგი, არხი, ბათმანი, ბაღთა, ბაყაყი, ბელი, ბურ-  
ღული, ბუქნა, ბუღა, დოლი, დუდუკი, იარა, იარაღი, იერიში,  
ომახიანი, უთო, ურო, ჯვალო და ა.შ. (რუხაძე, 2013).

მეორე მიმართულებებზე, რომელიც საკითხის შესწავლისას იკვეთება, არის თურქიზმები ქართული ენის დიალექტებში. ამ მხრივაც ჩატარებულია სერიოზული სამუშაო. მიმოხილულია გურული, აჭარული, სამცხური და ჯავახური დიალექტები. ქართულ დიალექტებში ნასესხები თურქიზმები საჭიროებენ მათ გეოგრაფიულ, ისტორიულ და სხვა ქართველურ ენებთან თუ ქართული ენის დიალექტებთან შესადარებელი მასალის მოზიდვასა და შესწავლას. ამიტომაც ქართულ დიალექტებში დადასტურებული თურქიზმების კვლევისას მეცნიერები ითვალისწინებენ ორ ასპექტს: ქართველოლოგიურს და თურქოლოგიურს: **ქართველოლოგიური თვალსაზრისით** იკვლევენ: ა) ისტორიული რეალობა: ქართულ ენაში თურქულ ნასესხობათა ქრონოლოგია, რომლის გარეშე ჩვენ ვერაფერს ვიტყვით ქართულ თურქიზმთა ისტორიის შესახებ; ბ) თურქიზმების გეოგრაფიული გავრცელება თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში; გ) შედარებას სხვა ქართველურ ენებთან;

**თურქოლოგიური თვალსაზრისით:** ა) ისტორიული მონაცემების შერჩევა ქართული თურქიზმებისთვის, რათა დავადგინოთ თუ როგორი იყო თურქული სიტყვის ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ფორმა ქართულის მიერ მისი სესხების პერიოდში; გ) ქართული თურქიზმების ფორმის განსაზღვრა თანამედროვე თურქულ დიალექტებში, უპირველესად მეზობელ სამხრეთ-აღმოსავლეთ დიალექტებში (რიზე, ტრაბზონი, ორდუ, გირესუნი).

ზემოთხსენებული კვლევისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია სამი ძირითადი პუნქტის დაცვა (ა. სესხების ქრონოლოგია, ბ. არ შეიძლება სესხების წყაროდ საკუთრივ თურქულის მიჩნევა თურქულ ენათა ოჯახში შემავალი ენების მონაცემების გაუთვალისწინებლად, გ. ასევე სესხების წყაროდ თურქული სალიტერატურო ენის მიჩნევა დიალექტური მონაცემების გაუთვალისწინებლად). (გურგენიძე, 1994: 18). საინტერესო იქნება მაგალითი დიალექტებიდან: **ლაგლაგი**/(**მესხ.**) – ფრინველია; ლაკლაკი, წერო (ქართული დიალექტოლოგია, 1961: 651), ლეჩხუმში: ლაგლაგი ნიშნავს ლაქლაქს, ყბედობას – ლაქლაქებს, ლაყობს (დლონტი, 321), იმერხევიში „ლეგლეგი“-თეთრი ყარყატი – „ლეგლეგსა ერთი

2000	“Eskiçağ Dünyasının En Büyük Madenci Krallığı: Urartular”, (ed. O. Belli), <i>Türkiye Arkeolojisi ve İstanbul Üniversitesi (1932-1999)</i> , Ankara, 371-379.
2007	“Erken Demir Çağı’nda Ani”, <i>KARS 2. Kent Kurultayı Kafkasya’da Ortak Geleceğimiz</i> , (Ed. O. Belli), 76-90.
Bingöl A. 2003	<i>En Eski Çağlardan Urartu’nun Yıkılışına Kadar Kars ve Çevresi</i> , (Yayımlanmamış Doktora Tezi), Erzurum: Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü.
Brosset M. F.- A. Kunik 1863	“Notice sur deux inscriptions cunéiformes, découvertes par M. Kästner dans l’ Armenie Russe”, <i>Bulletin de l’ Academie imperiale des science de St. Petersbourg</i> 3/7, 428-435.
Burney C. A. 1958	“Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age”, <i>Anatolian Studies</i> VIII, London, 157-209.
1966	“First Season of Excavation of the Urartian Citadel of

	Kayalıdere”, <i>Anatolian Studies</i> 16, London, 55-111.
1972	“Urartian Irrigation Works”, <i>Anatolian Studies</i> XXII, 179-186.
Burney C. A. - D. M. Lang 1971	<i>The Peoples of the Hills</i> , London.
Ceylan, A. 1994	<i>Eski Anadolu’da Devletlerarası İlişkiler, Antlaşmalar (II. ve I. Binde)</i> , (Yayımlanmamış Doktora Tezi). Erzurum: Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü.
2001	“Erzurum Ovasında Önemli Bir Merkez: Cinis Höyük”, <i>Atatürk Üniversitesi Fen-Edebiyat Fakültesi Edebiyat Bilimleri Araştırma Dergisi</i> 26, Erzurum, 29-42.
2001	<i>Sarıkamış Tarihi ve Arkeolojik Araştırmalar</i> , Erzurum.
2002	“Yazılıtaş Horasan”, <i>Çağlayan Aras-I</i> , Erzurum, 14-15.
2005	“The Erzincan, Erzurum and Kars Region in The Iron Age”, <i>Anatolian Iron Ages V</i> , London, 21-29.
2015	<i>Doğu Anadolu Araştırmaları II Erzurum-Erzincan-Kars-Iğdır (2008-2014)</i> , Erzurum.
2017 (Baskıda)	“Yeni Bulgular Işığında Kuzeydoğu Anadolu’da Diauehi Krallığı ve Urartular - Diauehi Kingdom and Urartian’s in the Light of New Findings”, <i>Doğu Anadolu’da Bir Uygarlık: Urartular Sempozyumu</i> , İstanbul.
Ceylan A. - Y. Günaşdı 2013	“Balkanlarda İskitler”, <i>Uluslararası Balkanlar Dil, Kültür ve Medeniyet Sempozyumu Bildirileri</i> , Edirne, 113-139.
Ceylan, N. 2015	<i>Kuzeybatı İran’da Urartu Yerleşmeleri</i> , (Yayımlanmamış Doktora Tezi), Kars: Kafkas Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü.
Çilingiroğlu, A. 1994	<i>Urartu Tarihi</i> , İzmir.

1997	<i>Urartu Krallığı, Tarihi ve Sanatı</i> , İzmir.
Diakonoff, I. M. 1994	“Kimmerijcy i skify na drevnem vostokeye. The Cimmerians and the Scythians in the ancient Near East”, <i>Rossijskaja Archeologija</i> 1, 108-116.
Diakonoff I. M. - S. M. Kaskhai 1981	<i>Geographical Names According to Urartian Textes</i> , Wiesbaden.
Dinçol A. M. - B. Dinçol 1992	“Die Urartaische Inschrift aus Hanak (Kars)”, <i>Festschrift Sedat Alp</i> , Ankara, 109-117.
Durmuş İ. 1993	<i>İskitler (Sakalar)</i> , Ankara.
1997	“Anadolu’da Kimmerler ve İskitler”. <i>Belleten (LXI)</i> , Ankara, 273-286.
Dyson R. H. 1968	“The Archaeological Evidence of the Second Millenium B.C. on the Persian Plateau”, <i>CAH II</i> , 14-16.
Dzhaparidze O. M. 1964	“The Culture of Early Agrucultural Tribes in the Territory of Georgia”, VII. <i>International Congress of Anthropological and Ethnological Sciences</i> , Moscow, 2-9.
Erzen, A. 1992	<i>Doğu Anadolu ve Urartular</i> , Ankara.
Friedrich J. 1933	“Einführung ins Urartaische”, <i>MVAeG XXXVII/3</i> , 37 vd.
Guyard S. 1883	Inscriptions de Van. Les estampages de M. Deyrolle”, <i>JA VIII/2</i> , 517-523.
Günaşdı, Y. 2016	“Geçitler Ülkesinde Önemli Bir Urartu Kalesi: Avnik”, <i>TÜBA-AR</i> 19, Ankara, 113-136.
Japaridze, O. 2006	Kartveli eris etnogenezis sataveebtan (in Georgian)/ Georgia at its Pre-historic Origins (Summary) Tbilisi.
Kelly-	<i>The Early Trans-Caucasian Culture: Geographical</i>

Buccellatti M. 1974	<i>and Chronological Interaction,</i> (YayımlanmamışDoktoraTezi), Chicago.
Kleiss W.-H. Hauptman 1976	<i>Topographische Karte von Urartu,</i> Berlin.
Koşay H. Z. - K. Turfan 1959	“Erzurum-Karaz Kazısı Raporu”, <i>Bulleten</i> XXIII/91, Ankara, 349-413.
König F. W. 1955-57	<i>Handbuch Der Chaldischen Inschriften, Archiv Für Orientforschung Herausgegeben Von Ernst Weidner,</i> Beiheft 8, Graz.
Lehmann - Haupt, C. F. 1928-1935	<i>Corpus Inscriptionum Chaldicarum</i> I-II, Leipzig.
Luckenbill D. D. 1968	<i>Ancient Records of Assyria and Babylonia</i> I-II, New York.
Mansel A. M. 1945	“Urartu Tarihi ve Medeniyeti”, <i>Beşinci Üniversite Van Haftası</i> , 113-139.
Marr N. A. 1917	“Oblomki Delibabinskoy haldskoy Nadpisi”, <i>ZVO</i> 24, 125-132.
1919	“Nadpis Sarduri II, sina Arğiştiya v Das-Kerpi na haldirskom ozere”, <i>Zapiski kavkasskago muzeya</i> B (I).
Marr N. A.-A. Orbeli 1922	<i>Arheologiçeskaya ekspeditsiya 1916 goda v Van, raskopki dvuh niş na Vanskoi Skale i nadpisi Sardura vtorogo iz ramskopok zapadnoi nişi,</i> St. Petersburg.
Melikişvili G. A. 1960	<i>Urartskie Klinoobraznye Nadpisi,</i> Moskova.
Memiş, E. 2007	<i>Eskiçağ Türkiye Tarihi,</i> Konya.
Meşcaninov I. I. 1927	<i>Haldovedniye: Istoria Drevnego Vana, Vekliçaya Drevneişiye Svedniya Zakavkaziye Sistema Pisma i Çteniye Klinopisnich Tekstov Haldov-upartov (Trudy Obşçest ve Obledovaniya i Izudçeniya Azerbaydjana X),</i> Bakü.

1931	“Nadpis Menui iz seL. Zivina”, <i>DAN</i> , 69-73.
1933	“Haldskaya nadpis iz sel. Zivin”, <i>IAN</i> 8(5), 407-412.
Meyer E. 1954	<i>Geschichte des Altertums</i> , Stuttgart.
Mordtmann de A. A. D. 1872	“Entzifferung und Erklaerung der Armenischen Keilinschriften von Van und Umgegend”, <i>ZDMG</i> 26, 465-496 (no. 1-46).
Nikolskii M. V. 1893	“Klinoobrazniya nadpis Rusi I v Kelani Kirlani (Aluçalu) na Beregu Gokçi v Erivanskoy guberniyi”, <i>Archaeologičeskiye izvestiya i zametki</i> 1.
1896	<i>Klinoobrazniye nadpisi Zkavkazya (Materialı po Archeologii Kavkaza5)</i> , Moskova.
Oganesjan, K. L. 1960	“Raskopi urartskogo goroda Erebuni”, <i>Sovetskaya Arheologiya</i> 3, 289-295.
1961	<i>Arin-berd I. Arhitektura Erebuni. Archeologiceskie raskopki v Armenii</i> , Erivan.
Özgül, O. 2011	<i>Eskiçağ'da (Yukarı) Aras Vadisi</i> , (Yayımlanmamış Doktora Tezi), Erzurum: Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü.
2015	“Çoruh ve Kür Vadisinde Kimmer-İskit Yer Adları”, <i>BELGÜ</i> 2, 159-179.
Palumbi G. 2003	“Red-Black Pottery: Eastern Anatolian and Transcaucasian Relationships around the Mid-Fourth Millennium BC.”, <i>AncientNearEasternStudies</i> 40, 80-134.
Payne M. R. 2006	<i>Urartu Çivi Yazılı Belgeler Kataloğu</i> , İstanbul.
Pehlivan M. 1984	<i>En Eski Çağlardan Urartu'nun Yıkılışına Kadar Erzurum ve Çevresi</i> , (Yayımlanmamış Doktora Tezi), Erzurum: Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü.



1990	“Karaz ve Hurriler”, <i>100. Yıl Üniversitesi Sosyal Bilgiler Dergisi</i> I, Van, 168-176.
1991	<i>Daya (e) ni /Diau (e) hi</i> ,Erzurum.
Piotrovskii B. B. 1959	<i>Urartu</i> , Moskova.
1962	“The Aeneolithic Culture of Trans-Caucasian in the Third Millennium B.C.”, VI. <i>International Congress of Prehistorical and Proto-historical Sciences</i> , Moscow, 7.
1967	<i>Urartu: The Kingdom of Van and its Art</i> , 38.
1969	<i>Urartu</i> , Geneva.
1969	Ancient Civilizations Londra
Piotrovskii, B. B.-K. Oganesjan 1962	“Die Ausgrabungen in Arin-Berd und Karmir-Blur, Armenien”, <i>Trudy dvadzat’ pjatogo mezhdunarodnogo kongressa vostokovedov</i> , Moskova, 291-297.
Robert L. 1876	<i>Etude philologique sur les inscriptions cuneiformes de l’Armenie</i> ,Paris.
Ryan C. W. 1960	<i>A Guide to the Known Minerals of Turkey</i> , Ankara.
Sagona . A. 2006	“Ortaçağ’dan Önce Kars”, Beyaz Uykusuz Uzakta <i>Yapı Kredi Yayınları</i> (Çev; Şeyda Öztürk)
Sagona A. - P. Zimansky 2015	<i>Arkeolojik veriler Işığında Türkiyenin En Eski Kültürleri (M.Ö. 1.000.000-550)</i> , İstanbul.
Salvini M. 1967	<i>Nairi e Ur(u)atri: Contributa alla Storia della Formazione del regno di Urartu</i> , Roma.
2006	<i>Urartu Tarihi ve Kültürü</i> , İstanbul.
2011	“Urartu Tarihine Genel Bir Bakış”, K. Köroğlu, E. Konyar (Ed.), <i>Urartu Doğuda Değişim</i> , İstanbul, 74-101.
Sandalgian J. 1900	<i>Les inscriptions cuneiformes Urartiques: transcrites avec une triple traduction interlinguistique en Armenien classique, en Latin et en Française, suivies d’un glossaire et d’une grammaire</i> , Venedik.
Saulcy F. J. C.	<i>De, Voyage autour de la Mer Morte et dans les terres</i>

1853	<i>bibliques</i> , Paris.
Sayce A. H. 1882	“The Cuneiform Inscriptions of Van”, <i>JRAS</i> 14, 377-732, (no. 1-57).
1888	“The Cuneiform Inscriptions of Van Part III”, <i>Journal of Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland</i> , London, 1-48.
1890	“The Great Inscription of Argistis on the Rock of Van”, <i>Records of the Past</i> IV, 117-133.
1893	“The Cuneiform Inscriptions of Lake Van”, <i>JRAS</i> 1/25, London, 1-39.
1894	“The Cuneiform Inscriptions of Van, part 5”, <i>JRAS</i> XXVI, 691-732, (no. 80-85).
1929	“Some New Vannic Inscriptions”, <i>JRAS</i> , 297-336, (no. 93-100).
Schulz F. E. 1840	“Memoire sur le lac de Van et ses environs par”, <i>Journal Asiatique</i> 3/9, 257-323.
Sembastians M. V. 1910	<i>Ararat</i> .
Shanshashvili N.-G. Narimanishvili 2014	“Environment and Dwelling in the Early and Middle Bronze Ages South Caucasus”, <i>Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia</i> , Tbilisi, 2014, 245-264.
Tarhan, M. T. 1972	<i>Eski Çağ'da Kimmerler Problemi</i> , (Yayımlanmamış Doktora Tezi), İstanbul: İ.Ü. Ed. Fakültesi.
1978	<i>M.Ö. XIII. Yüzyılda Uruatri ve Nairi Konfederasyonları</i> , (Yayımlanmamış Doçentlik Tezi), İstanbul: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi.
1984	“ <i>Van Kalesi'nin ve Eski Van Şehrinin Tarihi-Millî Park Projesi Üzerinde Ön Çalışmalar</i> ” <i>AST</i> Ankara 1984, 2, 179-205.
Tseretheli G. B. 1939	<i>The Urartean Monuments in the Georgian Museum Tbilissi</i> .
Tseretheli M. de 1928	<i>Die neuen haldischen Inschriften König Sardurs von Urartu (um. 750 v.Chr.) Ein Beitrag zur Entzifferung des Haldischen</i> , ( <i>Sitzungsberichte der (Königlich)</i>

	<i>Preussischen Akademie der Wissenschaft</i> 18/5, Heidelberg.
Van Loon M. N. 1966	<i>Urartian Art Its Distinctive Traits in the Light of New Excavations</i> , İstanbul.
Waterman L. 1930-1936	<i>Royal Correspondance of the Assyrian Empire I-IV</i> , Ann Arbor.

მთელი ისტორიის განმავლობაში მტკვრისა და არაქსს შორის ტერიტორიაზე იქმნებოდა მრავალფეროვანი ბუნებრივი წარმონაქმნები, ზოგი ნახევარუდაბნოს, ზოგი სტეპის, ზოგიერთი ვაკეს და მთების სახით. ამ ტერიტორიას კავკასიის სამხრეთი კალთები ჰქვია<sup>1</sup>. თურქეთის ტერიტორიაზე მისი გაგრძელების ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს არდაჰანის მხარეს, ტოპოგრაფიულად მოიცავს ზღვის დონიდან 1800-2000 მ. სიმაღლის პლატოს და ვაკეს, ზღვის დონიდან 3200 მ. სიმაღლემდე მთებს და მათ შორის ჩამდინარე მდინარეებს. ამ მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით თურქეთის ტერიტორიაზე გადის თურქეთ-საქართველოს საზღვარი.

ბუნებრივი სიმდიდრეების მიხედვით, სამხრეთი კავკასია მდიდარი იყო კლიმატური, გარემო და განსაკუთრებით ჰიდრო რესურსებით, რამაც ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ამ რეგიონში ადამიანების გამრავლებას შეუწყო ხელი. სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული გარემო და ბიოსფერო განსაზღვრავს ადამიანის საცხოვრებელ პირობებს და მის გარემოსთან ადაპტაციას.

ადრეული ხანის ადამიანის ცხოვრებაში ბუნებრივი ფაქტორები მათი ცხოვრების წესს განსაზღვრავდნენ. მათ ხელი შეუწყვეს როგორც მომთაბარე, ასევე მიწათმოქმედი მოსახლეობის წარმოშობას. მიწათმოქმედნი, ძირითადად, ცხოვრობდნენ საცხოვრებლის მშენებლობისთვის, სათესად გამოსადეგ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიის იქით არსებული სამყარო მათთვის უცხო და უცნობი იყო. განსხვავებული იყო მომთაბარეთა ცხოვრება. მათთვის ტერიტორიებს საზღვარი არ ჰქონდათ. ისინი იპყრობდნენ, ანადგურებდნენ და კვლავ ახალი დაპყრობებისთვის ემზადებოდნენ.

ჩვენს მოხსენებაში განხილული სამხრეთ კავკასიის ადრეული კულტურა, რომელიც მოქცეული არდაჰანი-ყარსი ჩილდირის ტერიტორიის ფარგლებში, მეტად მრავალფეროვანია. ჩვ.წ.-მდე მე-7 ათასწლეულში სამხრეთ კავკასიაში მარნეულის, მილის, ყარაბაღის და მუღანის ხეობებში გავრცელებული ე.წ. შულავერი-შომუს კულტურა, ყველაზე ადრეული სოფლის ტიპის ნასახლარს წარმოადგენს<sup>2</sup>. აქაური სახლის ტიპი ერთგვაროვანია და ძირითადად ტოტებით, ჯოხებით არის ნაშენი და ალიზით დახურული. მაშინდელი სოფლები სწორედ ასეთი გეგმის მიხედვით შენდებოდა. მრგვალი დაგეგმარების ტიპის სოფელი ბორცვზე შენდებოდა და სახლები სოფელს დამატებით თანამიმდევრულობას სძენდა. თითქმის ყველა სახლს შიგნით იატაკზე, მიწაში ამოთხრილი ოვალური სახის კერია ჰქონდა.

გვიანი ენეოლითური (ჩვ. წ.-მდე 3500/3300-300) და ადრეული ბრინჯაოს (ჩვ. წ.-მდე 3250-1750) ხანის ერზურუმ-არდაჰანი-ყარსის პლატოსა და აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა, ზღვის დონიდან მაღალ ტერიტორიებზე, ტრანსკავკასიური წარმოშობის ნახევრად მომთაბარე ხალხი ცხოვრობდა. გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ხალხები ადრეული ბრინჯაოს მეორე ნახევრის ბოლოსთვის აღმოსავლეთ ანატოლიაში მეცხოველეობის განვითარებისთვის არსებული მწირი პოტენციალის გამო, ევფრატის დინებას გაჰყვნენ ამიკის პლატოს გავლით ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინამდე გავრცელდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მრავალი მოსაზრება<sup>3</sup>. აღსანიშნავია კელი-ბუკელატის მოსაზრება<sup>4</sup>. მისი თქმით, ადრეული კავკასიური კულტურა, კერძო-კული კულტურის თავისებურებების გამო, მხოლოდ სირია-პალესტინის გარშემო არსებობდა, თუმცა ამგვარი კერამიკული კულტურის თავისებურებები აღმოსავლეთ ანატოლიაშიც არის მრავლად გავრცელებული<sup>5</sup>. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ გარე კედლები შავი, ხოლო შიდა კედლები წითელი ფერისაა.

ერზურუმის ახლოს სოფელ ქარაზ ჰუიუქში აღმოჩენილი კულტურა ხურიტების კულტურასთან დგას ახლოს და მეტად მნიშვნელოვანია. ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჩვ.წ.-მდე მე-3 ათასწლეულის მეორე ნახე-

ვარში ასპარეზზე გამოსული ხურიტები აღმოსავლეთ ანატოლიის ნეოლითური და ენეოლითური კულტურის პატრონები არიან. სამეცნიერო სამყაროში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჩვ.წ.-მდე მე-2 ათასწლეულში წინა აზიის სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ხურიტების სამშობლო არის ტრანსკავკასია. შემდეგ, უკვე ჩვ.წ.-მდე მე-3 ათასწლეულში სამხრეთისკენ გადასახლდნენ<sup>6</sup>.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მთაგორიანმა რელიეფმა და კავკასიასთან ერთიანობამ ამ რეგიონებში მცხოვრებ ნახევრად მომთაბარე ხალხებს საშუალება მისცა, რომ ჩვ.წ.-მდე მე-2 ათასწლეულიდან მოყოლებული შიდა და გარე პირობების გავლენით ახალი პოლიტიკური ერთეულები ჩამოეყალიბებინათ.

ჩვ.წ.-მდე XVIII ს-ის შემდეგ, „ჩვ. წ.-მდე XIII საუკუნეში ვანის ტბის გარშემო ჩამოყალიბებული „ურარტუს კონფედერაციაში“ ასახულია სამხრეთელ ასურელთა საშიშროების წინააღმდეგ გაერთიანებული ხურიტული-ურარტული ხალხების „ფეოდალური სამთავროების“ პოლიტიკურ-ეთნიკური და კულტურული ორგანიზაცია. აღნიშნული გაერთიანება, ასეთივე ეთნიკური საფუძვლის მქონე „ნაირის კონფედერაციასთან“ ერთად შემდეგში საფუძველს უყრის „ურარტუს სახელმწიფოს“<sup>7</sup>. ძლიერი ასურეთის წინააღმდეგ გამოსულ ამ ფეოდალურ ერთობას ასურეთის მეფის თუქულთი ნინურთა I-ის (ჩვ.წ.-მდე 1244-1208) დროს ეწოდებოდა “ნაირის ქვეყნები”. ურელი მეფე ტიგლათ ფილესერი I (ჩვ. წ.-ამდე 1115-1077) მეფობის პირველ წლებში საუბრობს ამ სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლასა და 23 მეფის დატყვევებაზე. ბრძოლა გაიმართა შუშის მხარეში, ბულანიკის ველზე, იონჯალისთან. აქ არის ასურეთის მეფის გამარჯვების აღსანიშნავად შესრულებული წარწერა. მასში საუბარია: „**თუმედან დიანამდე დაპყრობილი ტერიტორიების და დიდ ზღვამდე მისვლის**” შესახებ<sup>8</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მინიშნებული, შედიოდა თუ არა არდაჰანის მხარე ნაირის ქვეყნის საზღვრებში. ეს არ ჩანს არც ასურულ ძეგლებში. ამ მხრეში ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა ტერიტორიის ზედაპირის კვლევები, რის საფუძველზეც დავადგინეთ ადრეული რკინის

ხანის ნამოსახლარი. ჩილდირის რაიონში, სოფელ ადჯაყა-  
ლადან 5 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთი არის თოფიოლუს ნეკ-  
როპოლის ადრეული რკინის ხანის ნამოსახლარის ცენტრი<sup>9</sup>.

მას გარდა, ყარსის მხარეში მდებარე ანისის ნაქალაქარსა  
და ციხეში აღმოჩნდა ადრეული რკინის ხანის პერიოდის  
ნაშთები<sup>10</sup>. ეჭვი არ არის, რომ რეგიონში ჩასატარებელი  
ახალი არქეოლოგიური ექსპედიციების დროს აღმოჩნდება  
ადრეული რკინის ხანის პერიოდის ნამოსახლარები.

ურარტუს მეფის არგიშტ პირველი მენუას ძის დროის  
წარწერებში დიაუხად წოდებული ქვეყანა, ასურულ წაყ-  
როებში ნახსენებ დიაენს ჰგავს. ორივე წყაროში მსგავსი  
სახელებით მოხსენიებული ქვეყნის საზღვარი ევფრატის  
სათავეებთან (დუმლუს მთები და მისი შემოგარენი) და  
ჭოროხი-კელკიტის აუზებს შორის მდებარეობდა. მეცნიე-  
რების აზრით, ერზინჯან-თერჯანს და თერჯან-ერზრუმს  
შორის მდებარე ტერიტორიაც ამ სახელმწიფოს საზღე-  
რებშია განთავსებული<sup>11</sup>. მ. ფეჰლივანი, რომელიც განსხვავე-  
ბულად მსჯელობს ერზინჯანის დიაენ-დიაუხის საზღვრებში  
მდებარეობის შესახებ, თვლის, რომ დიაუხის საზღვრები  
სარიყამიშსა და აშკალემდე მოდიოდა. იგი მიიჩნევს, რომ ამ  
ქვეყნის ყველაზე დიდი ტერიტორიის საზღვრები  
ჩრდილოეთში ჭოროხის აუზი, სამხრეთში ერზინჯან-ვარტოს  
შორის მდებარე ტერიტორია იყო<sup>12</sup>. ჩვენ ვეთანხმებით ამ  
მოსაზრებას და ვთვლით, რომ დიაოხის საზღვრები ვრცელ-  
დებოდა თერჯან-სარიყამიშს შორის ტერიტორიაზე<sup>13</sup>. თუ  
გავითვალისწინებთ სარიყამიშისა და არდაჰანის გეოგრა-  
ფიულ სიახლოვეს, ფაქტია, რომ ეს მხარეც დიაოხის შემა-  
ღენელი ნაწილი იყო.

შუა რკინის ხანის პერიოდში აღმოსავლეთ ანატოლიაში  
ძლიერი მტრის, ასურეთის წინააღმდეგ გამოიკვეთა ძალთა  
ძლიერი ერთობა. ცნობილია, რომ ურარტუ-ნაირის სამთავ-  
როების მცხოვრებნი წარმოადგენენ აღმოსავლეთი ანატო-  
ლიის ადრეული რკინის ხანის მოსახლეობას<sup>14</sup>. ეჭვს არ  
იწვევს ის, რომ ასურეთის წინააღმდეგ შექმნილი ერთობა  
სწორედ ამ სამთავროების ერთობას წარმოადგენს. ძლიერი  
სახელმწიფოს წინააღმდეგ ფეოდალური სისტემის უსუსუ-  
რობა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ურარტუს

სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. სახელი ურარტუ დაარქვეს ასურელებმა. ეს სახელი და ბიბლიაში არსებული სახელი არარატი ერთი და იგივეა. იმის გამო, რომ წერისას ებრაულ ენაში ხმოვნები არ გამოიყენებოდა და მოგვიანებით „რტ“-ს დაემატა ხმოვნები, მისი ამოკითხვის სწორი ფორმა, ფაქტობრივად, დაუდგენელია. დღეისათვის გამოიყენება ასურელების მიერ დარქმეული სახელი „ურარტუ“. ურარტუელები თავიანთ თავს „**ბიანილის**“ უწოდებდნენ<sup>15</sup>.

ურარტუს სახელმწიფო ჩვენი რეგიონით დაინტერესდა მეფე **მენუას** (ჩვ.წ.-მდე 810-786) დროს. ურარტუს სამეფომ **იშფუინი-მენუას** ერთობლივი მეფობის დროს გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება. ჩვენს რეგიონში შემორჩა მეფე მენუას დროის წარწერები: ერზრუმის მხარეში ფასინლერის რაიონში **ჰასანქალეს** წარწერა<sup>16</sup>, ჰორასანის რაიონში **დელიბაბას**<sup>17</sup> და **იაზილტაშის**<sup>18</sup> წარწერები, სარიყამიშის მხარეში **სუნგუტაშის (ზივინის)**<sup>19</sup> წარწერები.

მეფე მენუას ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლით და კავკასიით დაინტერესება გამოწვეული იყო მხარის წიაღისეულით და მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის სიმრავლით. წიაღისეულიდან მიმზიდველი იყო ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და ქვამარილი<sup>20</sup>.

ურარტუს სამეფოს ჩრდილოეთით ლაშქრობებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მას ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას პოლიტიკური გაერთიანება დიაუხი უწევდა. ურარტუს მეფე **მენუამ** (ჩვ. წ.-მდე 810-786) ამ მხარეში თავდასხმები მოაწყო. ერზრუმის მხარის სოფელ იაზილითაშის წარწერაში მოთხრობილია მენუას ლაშქრობების შესახებ ამ მხარეში. მასში ნათქვამია<sup>21</sup>:

*“ღვთაება ხალდიმ თავისი იარაღით გაილაშქრა ძლიერი სახელმწიფოს, დიაუხის წინააღმდეგ და დაახოჯა ის. ღვთაება ხალდი ძლიერია, ღვთაება ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძალით იშფუინის ძე მენუა სალაშქროდ წავიდა. მას წინ მიუძღოდა ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: ხელში ჩავიგდე დიაუხის ქვეყანა. სამეფო ქალაქი შაშილუ ბრძოლით ხელში ჩავიგდე, ქვეყანა დავაქციე, ციხეები გავანადგურე. შეშეტინელეს ქვეყანამდე, ქალაქ ზუამდე მივადწიე. ქალაქი უტუპა...მენუა ამბობს: ჩემს შესახვედრად*

გამოვიდა დიაუხის მეფე უტუფურსინი, შემომეხვია ფეხებზე, თაყვანი მცა. მე ის შევიწყალე. ხარკის გადახდის პირობით სიცოცხლე შევეუნარჩუნე. ოქრო და ვერცხლი მომცა. უკან დაბრუნებისას ტყვეები გავათავისუფლე. მენუა ამბობს: ... მათგან წამოვიყვანე ორი მეფე. ერთი ბალტულხის ქვეყნის და მეორე პალდირიულხის ქალაქის. იმ ქვეყნის გამაგრებული ციხეები ხელში ჩავიგდე. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას გაანადგურებს, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, ვინც სხვას გააკეთებინებს, ვინც განსხვავებულს იტყვის, მე გავაკეთეო – ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თიეშებამ, ღვთაება შივინიმ და ყველა ღვთაებამ მოუსწრაფოს მზის სინათლე”.

წარწერაში ჩანს, რომ დაპყრობილ იქნა დიაუხი, მისი დედაქალაქი შაშილუ, მეფე უტუფურსინი ხარკის საფასურად იქნა გაათავისუფლებული. დიაუხი ვასალ სამეფოდ იქნა გადაქცეული<sup>22</sup>.

ურარტუს მეფე მენუა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარე თავის კიდევ ერთ წარწერაში საუბრობს დიაუხის დედაქალაქის შაშილუს ხელში ჩაგდების შესახებ. ყარსის მხარის სარიყამიშის რაიონში სოფ სუნგუთაშის წარწერაში ნათქვამია<sup>23</sup>: „მენუა ამბობს: ხელში ჩავიგდე ქალაქი შაშილუ. ეს სტელა ჩემს მბრძანებელს ხალდის აღუმართე. ხალდის უდიდებულესობით მეფე მენუა, იშუეინის შვილი, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, არის ქალაქ თუშვას გპირი.

მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას გაანადგურებს, ვინც ჩაიდენს დანაშაულს ან ვინც დაფარავს, ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თიეშებამ (და ყველა) ღვთაებებმა მოუსწრაფონ მას მზის სინათლე... “

მენუას ჩრდილოური ლაშქრობას ასახავს კიდევ ერთი დედიბაბას (ველიბაბას) წარწერა<sup>24</sup>:

„ღვთაება ხალდის ძალით მენუამ, იშუეინის შვილმა ეს ციხე უნაკლოდ ააშენა. ღვთაება ხალდის უდიდებულესობით, მენუა, იშუეინის შვილი, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, არის ბიანინილის ქვეყნის მეფე და ქალაქ თუშვას გპირი“.

ურარტუს მეფე აღნიშნავს, რომ მან ააშენა ციხე იქ, სადაც წარწერაა განთავსებული<sup>25</sup>. ეს ციხე აშენებულ იქნა



თაჰირის უღელტეხილზე, იმ უღელტეხილებიდან ერთ-ერთზე, სადაც გაიარა მენუამ ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს. ციხემ დაიცვა ურარტუს ჯარები თავდასხმებისგან, როდესაც მოძრაობდნენ ჩრდილოეთით, იგივე ფუნქცია შეასრულა მან ლაშქრის უკან დაბრუნებისას. დელიბაბას ციხე აჩვენებს ურარტუს მეფის სტრატეგიულ სიბრძნეს. ჰასანკალეს წარწერიდან ვგებულობთ, რომ მენუამ მსგავსი ციხე გააშენა პასინლერში (ჰასანქალემში)<sup>26</sup>. ციხეები შენდებოდა სატრანზიტო ანუ (KURKA-SIE)-დ წოდებულ ქვეყნებში, რაც უფრო აძლიერებდა ურარტუს ქვეყანას<sup>27</sup>.

არგიშტის მეფობის პერიოდი ურარტუსთვის ითვლება ოქროს ხანად. ქვეყნის საზღვრები სამხრეთით ერზინჯანს, ევფრატს და თოროსის მთებს, აღმოსავლეთით კასპიის ზღვის სიახლოვეს, სამხრეთ-აღმოსავლეთით ურმიის ტბას, ჩრდილოეთით სომხეთს და საქართველოს სწვდებოდა<sup>28</sup>.

არგიშტის ინტერესების სფეროში შედიოდა მდინარე არაქსის ხეობა. მან ამ მხარის დასაქვემდებარებლად არაქსის ხეობა და სევანის ტბის რაიონები დალაშქრა. ურარტუს მეფემ არაქსის ხეობის ჩრდილოეთით, ილდირის და ადრის ზეგნების ეკონომიკური სიმდიდრეებით სარგებლობის მიზნით ამ ტერიტორიებზე ქალაქები დააარსა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანნი არიან ერებუნი (არინ-ბერთი)<sup>29</sup> და არგიშტიჰინილი (არმავირი)<sup>30</sup>. ჩანს, რომ ერებუნი დაარსებულ იქნა, როგორც ურარტუს ქვეყნის კავკასიის გადაღმა სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრი. რეგიონის წყლით მომარაგების მიზნით არაქსიდან გამოყვანილ იქნა არხები. სარწყავ მიწებზე გაშენდა ბაღები და ბოსტნები. მოუსავლიანი მიწები მოსავლიანად, საძოვრები სახნავ-სათესად იქცა<sup>31</sup>.

ჩვენი მოხსენების თემა, რომელიც ეხება ჰანაკის რაიონის სოფელ ორთაქენტის წარწერას, ამ რეგიონში ურარტუს მეფის საქმიანობას უფრო თვალნათლივს ხდის. **დინჩოლის** მიერ გამოქვეყნებული ეს წარწერა ესე უღერს<sup>32</sup>:

*„ღვთაება ხალდი თავისი იარაღით გამარჯვებების მოსაპოვებლად დაიძრა. მტრის ქვეყანა თარიუ ხელში ჩაიგდო და... და ხელში ჩაიგდო. (ისინი) არგიშტის წინაშე მიწაზე დაემხნენ. ღვთაება ხალდი ძლიერია. ... მინუას ძე არგიშტი*

საბრძოლველად გაემართა. ღვთაება ხალდი წინ გაუძღვა. არგიშტი ამბობს: თარიუს ქვეყანა ხელში ჩავიგდე, ... მივად-წიე ჰუსას ქვეყანას და ბიას ქვეყანას და წავედი აშქალას ქვეყანაში. ღვთაება ხალდის ბრძანებით არგიშტი ამბობს: დიაუხის მეფე ჩემს წინაშე გამოჩნდა და (ხარკი) მომცა (?). ქალაქი აპურია ... გარეთ გავავდე ... ქალაქი ქუ [ ] უნი ... იქ 72.000 ნასუქი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 7.000 ... 11... ზოგი დავხოცე და ზოგიც ცოცხლად თან წამოვიყვანე. 6 ციხე მიწასთან გავასწორე და 50 ქალაქი დავანგრე. არგიშტი მენუას ძე, მეფე ძლიერი, ბიანინილის ქვეყნის მეფე, არის ქალაქ თუშვას გმირი. ვინც ამ სტელას გაანადგურებს, ღვთაება ხალდიმ და ღვთაება ქუერამ მოუსწრაფონ (მას) მზის სინათლე“.

ჰანაკის წარწერაში მეფე არგიშტი აღნიშნავს მის მიერ თარიუს ქვეყნის დაპყრობის შესახებ. შეგვიძლია მივუ-თითოთ, რომ არგიშტის ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი თარიუს დაპყრობა იყო. თარიუს გარდა წარწერაში საუ-ბარია ჰუმას ქვეყნის, ბიას ქვეყნის და აშქალას ქვეყნის შესახებ. ურარტუელებს, დიაუხის ქვეყნის ფარგლებში შემე-ვალი აპურია და ... ქუ [ ] უნიც დაუპყრიათ. ამ ლაშქრობისას 72.000 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და სხვა ნადავლი, ჩაუგდიათ ხელში. ამ სხვა ნადავლის რაოდენობის ამოკითხვა ციფრებში შესაძლებელია, თუმცა ასოების ამოშლის გამო შეუძლებელია დასახელების დად-გენა. არგიშტიმ, ჰანაკის წარწერის მიხედვით, ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს 6 ციხე და 50 ქალაქი ჩაიგდო ხელში, რომლებიც მიწასთან გაასწორა.

არსებობს მოსაზრება, რომ არგიშტის მიერ განხორ-ციელებული ორი ჩრდილოური ლაშქრობის შემდეგ, მისი მეფობის მეცხრამეტე წელს მან კიდევ ერთხელ ილაშქრა დიაოხის წინააღმდეგ<sup>33</sup>. სამწუხაროდ, ურარტუს მეფის ამ ლაშქრობის შესახებ არავითარი მონაცემები არ არსებობს.

რეგიონის ისტორიის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ასევე საინტერესოა სარიყამიშის წარწერა. იგი შეიცავს ინფორმაციას მეფე არგიშტის ლაშქრობების შესახებ, ინ-ფორმაციას ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიასა და ტრანს-კავკასიაში. ამ მეტად დაზიანებული წარწერიდან ვგებუ-

ლობთ, რომ არგიშტიმ ქალაქი ქა[ ] აიღო. მისი გადაწვის და დანგრევის შემდეგ წამოიყვანა ტყვეები. სარიყამიშის წარწერაში წერია<sup>34</sup>:

*„...ხელში ჩავიგდე ქალაქი ასურიანი და ქალაქ აშტუს (?) მიდამოები. ... ქერის საწყოები (?) მთელი (?) ქალაქ აშტუსინისთვის ... ეტიუნის ქვეყანა (?) სრულიად ჩავიგდე ხელში. ძლიერი ჯარები მოვიდნენ ...არგიშტი ამბობს: ღვთაება ხალდის, ღვთაება ტეიშებას, ღვთაება შივინის (და ყველა) ღვთაებებს შევევედრე. ღვთაებებმა ყური მიდგეს...შაუვაგდე. ქალაქ ქალ [ ] მდე ვდიე... იქ...ასი...20...ასი დაეწვი. X ასი 50... ქალი. ღვთაება ხალდის სიდიადით არგიშტი მენუას შვილი არის ძლიერი მეფე, ბიანილის ქვეყნის მეფე და ქალაქ თუშვას გპირი. არგიშტი ამბობს: ვინც ამ სტელას გაანადგურებს, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, ღვთაება ხალდიმ და ღვთაება ტეიშებამ და ღვთაება შივინიმ მოუსწრაფონ (მას) მზის სინათლე“.*

მეფე არგიშტის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი სარდურ II (ჩვ.წ-მდე 764-735). სარდურის დროს წინა აზიის ძლიერი სახელმწიფო ასურეთი დასუსტდა. დაიწყო შიდა არეულობები და ბრძოლა ტახტისთვის. ასე თავის სასარგებლოდ გამოიყენა სარდურიმ და ურარტუს ძლიერება ზენიტში აიყვანა. სარდურიმ ურარტუს საზღვრები გააფართოვა ჩრდილოეთით აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის მთების სამხრეთ კალთებამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს სამხრეთ საზღვრებამდე და სომხეთში გოქჩეს (სევანი) ტბამდე, აღმოსავლეთში კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიებსა და ურმიის ტბამდე, სამხრეთში ალეპოსა და მოსულამდე, დასავლეთში კი მალათიამდე<sup>35</sup>.

დასავლეთისკენ მიმავალი სარდურმა არ დაივიწყა თავის ჩრდილოური მიწებიც. თავისი მამის დროს ურარტუს შემოერთებული დიაუხის წინააღმდეგ გამოლაშქრებული კულხას (კულხა) დასასჯელად სალაშქროდ გაემართა<sup>36</sup>. სარდური ასე აღწერს თავის ლაშქრობას<sup>37</sup>:

*„...კულხას ქვეყნის წინააღმდეგ სალაშქროდ გავემართე. ღვთაება ხალდის დიდებულებით იქ ტყვედ ავიყვანე ჰუმას ქვეყნის მეფე ჰაპანი და მისი ხალხი, (ისინი) გადავასახლე და ჩავასახლე ჩემს ქვეყანაში...“.*

წარწერიდან ჩანს, რომ კულხამ, ლოკალიზებით კლასიკური პერიოდის კოლხეთმა, განიცადა ურარტუს თავდასხმა. სავარაუდოა, რომ ჰუმას ქვეყანა დაისაჯა წინააღმდეგობის გაწევის გამო და მეფის ჩათვლით მთელი მისი მოსახლეობა ურარტუში გადაასახლეს<sup>38</sup>. სარდური, ამ ლაშქრობის შემდეგ აგრძელებდა თავდასხმებს ტრანსკავკასიელი ხალხების და ქვეყნების წინააღმდეგ. მან ილაშქრა აბლიანის<sup>39</sup>, ერიახის<sup>40</sup> და ეტიუს ქვეყნების წინააღმდეგ და დაიპყრო ისინი. ამ ქვეყნებიდან წამოიღო დიდი რაოდენობის ნადავლი<sup>41</sup>.

სარდურის ჩრდილოურ ლაშქრობებთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაძლევს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში არსებული ორი წარწერა. ერთია არის თაშქოფურუს, ხოლო მეორე გუზეღლისარის (აგნიქის) წაწერა. სარდური, ჩილდირის ტბიდან 2 კმ. დასავლეთით მდებარე თაშქოფურუს წარწერაში გვამცნობს<sup>42</sup>:

*„ღვთაება ხალდის სიდიადით, არგიშტის ძე სარდური ამბობს: „მიტოვებული (?) უპიმეს ქვეყნის ხელში ჩაგდებისას, ამ ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას, ასევე, ხელში ჩავიგდე ქალაქი მაქალთუ. ბიაინილის ქვეყანაში გადმოვასახლე მამაკაცები და ქალები“.*

ურარტუს სამეფოს ადრეული პერიოდიდან მოყოლებული ჩრდილოეთიდან წამოსული მომთაბარე ტომები არგიშტის პერიოდშიც დიდი თავსატეხი იყო ქვეყნისთვის. ჩვ. წ.-მდე 774 წ. არგიშტის მიერ გოქჩის ტბის მიდამოებში ჩატარებული სამხედრო ექსპედიციის დროს პირველად ვგებულობთ ინფორმაციას სკვითების შესახებ. არგიშტი, კლდოვანი სასაფლაოს წაწერაში ამ ლაშქრობას ასე აღწერს<sup>43</sup>:

*„... ღმერთებმა ყური მიღვეს. ეთიუნის ქვეყნის წინააღმდეგ ქათარზას ქვეყანა ხელში ჩავიგდე და იშქიქელუს ქვეყნამდე მივაღწიე. აქედან ბიაინილის ქვეყანაში მამაკაცები და ქალები წავიყვანე...“.*

ამ რეგიონში სკვითების არსებობის შესახებ ინფორმაცია სხვა წარწერაში არის. მდინარე არფაჩაის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქანლიჯას წარწერაში აღწერილია არგიშტის მიერ სკვითების ქვეყნამდე დაპყრობილი ადგილები<sup>44</sup>.

რუსას შემდეგ ურარტუს ტახტზე ასულ არგიშტი II-სთვის (ჩვ.წ.-მდე 714-685) ყველაზე დიდი პრობლემა გახდა კიმერიელთა გადმოსახლებები. არგიშტი იმისათვის, რომ შეეჩერებინა კიმერიელთა შემოსევები, რომელთაც ხელში ჩაიგდეს მისი ქვეყნის ჩრდილოეთის მიწები, იძულებული გახდა, ჩრდილოეთის მიმართულებით დაშქრობები მოეწყო. ურარტუს მეფე ჩვ.წ.-მდე 707 წელს დამარცხდა კიმერიელთა წინააღმდეგ მოწყობილ დაშქრობაში. ეს ინფორმაცია არსებობს ასურეთის მეფის შვილის პრინც სანჰერების (ჩვ.წ.-მდე 704-661) მამისადმი გაგზავნილ წერილში<sup>45</sup>. თავის წერილში სანჰერიბი, თავისი მამის რუსას მსგავსად, არგიშტის კიმერიელებთან დამარცხების შესახებ წერს. ამ დამარცხების მიუხედავად, არგიშტი ურარტუს სამეფო ტახტზე კიდევ 22 წელი დარჩა. რუსას სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასული მეფეები სარდურ III და რუსა III არ იყვნენ აქტიურები.

ურარტუელთა შესახებ ბოლო ინფორმაცია შემონახულია „ბაბილონის ქრონიკაში“. ამ ქრონიკაში, რომელიც თაროდდება ჩვ.წ.-მდე 609 წლით, ნახსენებია ფრაზა „ურარტუს საზღვრებამდე მივიდა“. ამ წყაროს გარდა ძველ აღთქმაშიც არის მოკლე ინფორმაცია. ურარტუელთა ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა უნდა მომხდარიყო მიდიელთა და ლიდიელთა შორის ქიზილირმაქის ხელშეკრულებამდე ძალიან ახლო პერიოდში (ჩვ.წ.-მდე 585). უცნობია, თუ ვინ გაანადგურა ურარტუ და რომელ წელს. მეცნიერებს ამ საკითხთან დაკავშირებით ორი ძირითადი მოსაზრება აქვთ. ერთი, რომ ურარტუს ტერიტორიასა და ურარტუელთა ციხეებში აღმოჩენილი სკვითების საბრძოლო იარაღები მიუთითებენ სკვითების მიერ ურარტუს დაქცევაში სკვითების როლზე. ხოლო მეორე ვერსია, ასურეთის სახელმწიფოს გამანადგურებელი მიდიელების მიერ ურარტუს განადგურება<sup>46</sup>.

უეჭველია, რომ ურარტუელების ძალაუფლება ვრცელდებოდა არდაჰანსა და ჩილდირის მხარეზეც. ჩვენ მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების დროს ნანახი ციხეები და ნამოსახლარები ამ მოსაზრებას ადასტურებენ. როგორც ციხეები, ასევე წარწერები ნათელს ჰფენენ რეგიონის ისტო-

რიას. ჩანს, რომ სენგერის ციხე, დარბოდაზის კაშხალი და თაშქოფრუს ციხე სარდურ II-ის გაკეთებულია<sup>47</sup>. თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული საველე და არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები იქითკენ იხრება, რომ შესაძლოა, ეს ციხეები უფრო ადრეც იყოს აგებული. ციხეები ურარტუს დროს ხელახლაა გაკეთებული და გამოყენებული.

კიმერიელების და სკვითების ძალაუფლების გავრცელება ჩვენს რეგიონზე ცნობილია ჩვენ მიერ ზემოთ მოკლედ მითითებული ისტორიული წყაროებიდან. ცნობილია, რომ კიმერიელები და სკვითები კავკასიიდან გადმოვიდნენ ანატოლიაში<sup>48</sup>. დღემდე არის შემორჩენილი სკვითურ-კიმერიული ტოპონიმები ჩვენს რეგიონში. ეს ტოპონიმები დააფიქსირა ჩვენი სამუშაო ჯგუფის წევრმა ო. ოზგულმა<sup>49</sup>. მაგალითისთვის: ქემერე/გემერე, სათქაბელ/სუთოლუქ, გოგიე, საკორა, საქაბულ/ქურთბაში, საქაჰაზარ და საქა-საქალარ.



საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, არდაჰან-ყარსის და ერზრუმის მხარეები ძველი ისტორიის პერიოდში წარმოადგენდა ადამიანთა საცხოვრებელ ადგილს და ამ ტერიტორიებზე მრავალჯერ განიცადეს ხალხთა მიგრაცია. ნაყოფიერმა მიწებმა, საძოვრებმა და მნიშვნელოვანმა უღელტეხილებმა ეს მხარე ანატოლიის და კავკასიისთვის ღირებულ ტერიტორიებად აქციეს. აქედან გამომდინარე, ეს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული არეალი ჩვ.წ.-მდე IV ათასწლეულიდან მოყოლებული ქარაზი-ჰურიტი-ტრანსკავკასიელი ხალხების, ადგილობრივი სამთავრობების, ურიადრი-ნაირის კონფედერაციის და ურარტუსთვის მნიშვნელოვან რეგიონად იქცა. ეს მხარე მნიშვნელოვანი იყო ურარტუელებისთვის ჩრდილოეთისკენ უფრო მეტად გაფართოებისა და საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დღემდე უკვე ჩვ.წ.-მდე მე-8-7 საუკუნეებში იქცა გადმოსასვლელად შუა აზიიდან წამოსული ევრაზიელი ხალხებისთვის. ურარტუს დაცემის შემდეგ ადგილობრივმა დომინანტმა, მაგრამ სუსტმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა კიმერიელთა და სკვითთა თავდასხმებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და რეგიონში მშვიდობა დამკვიდრდა. ამ მხრივ რეგიონში აღარ არსებობდა პოლიტიკური ავტორიტეტული გაერთიანება და ადგილობრივი მოსახლეობა ალექსანდრე

მაკედონელის მიერ რეგიონის დაპყრობამდე დაქსაქსულ მდგომარეობაში ცხოვრობდა.



სამხრეთ კავკასიის მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ამ რეგიონში მრავლად ცხოვრობდნენ. შემდეგი საველე სამუშაოების და არქეოლოგიური გათხრები საშუალებას მოგვცემენ, გავარკვიოთ მათი საცხოვრისის ტიპები, ცხოვრების წესები და კულტურული ურთიერთობების დეტალები.

## EKLER

### დანართები



Hasankale Yazıtı  
ჰასანქალეს წარწერა




Delibaba Yazıtı  
დელიბაბას წარწერა



4  
5  
10  
15  
20  
25  
30  
35

Handwritten Georgian text in a narrow column, likely a transcription of the inscription shown in the image to the left. The text is arranged in approximately 35 lines, with some lines starting with a small number (4, 5, 10, 15, 20, 25, 30, 35) on the left margin.




## Yazılıtaş Yazıtı იხვილიათის წარწერა





Söğüttaş (Zivin) Yazıtı  
სუგუტაშის (ზივინი) წაწერა



Ortakent (Hanak) Yazıtı  
ორთაქენტის (ჰანაკი) წარწერა




1  
 5  
 10  
 14  
 20  
 25  
 30  
 35  
 40

Handwritten text in an ancient script, likely Georgian, arranged in horizontal lines. The text is partially obscured by a vertical, irregular scribble or shadow running down the center of the page. The lines are numbered on the left side.



Sarikamış Yazıtı  
 სარკამიშის წარწერა





Güzelhisar (Avnik) Yazıtı  
გუზელჰისარის (ავნიქი) წარწერა

## კავთისხევის ციხიანობას ანაბეჭდები თიხაზე\*

ასოცირებული პროფესორი თამარ მათიაშვილი

### მოკლე შინაარსი

მოსხენებაში ზოგადად განხილულია ციხიანობის სატაძრო კომპლექსის გათხრისა და შესწავლის ისტორია, ძეგლის კონსტრუქცია და თარიღი. სატაძრო კომპლექსში და მასთან დაკავშირებულ „დაჭრილებს“ სამაროვანის ბრინჯაოს სახელურიანი საბეჭდავების და მრავალრიცხოვანი თიხის ფრაგმენტების (ბულების) აღმოჩენის ვითარება (მოსხენებას თან ახლავს ფოტო მასალა).

ციხიანობას სატაძრო კომპლექსი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 40-45 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფელ კავთისხევის ჩრდილოეთით. სატაძრო კომპლექსი შემოსაზღვრულია ალიზით ნაგები კონტრფორსებიანი და კოშკებიანი გალავნით. კომპლექსის შემადგენლობაში შედის საკუთრივ ტაძარი, ბეღელი, მარანი, წისქვილი, პურის საცხობი, სატრაპეზო და საცხოვრებელი ნაგებობები.

ციხიანობის ტაძარი აშენებულია ძვ.წ. III საუკუნეში და ხანძრისაგან დანგრეულია ძვ. წ. II ს-ში, სავარაუდოდ, აქ აღმოჩენილი ოთხმოცდაათი ბულა ციხიანობის კომპლექსის დანგრევის წინა დღეს, ან დანგრევამდე რამდენიმე დღით ადრე იქნა ბეჭედდასმული.

ციხიანობის ბულებზე აღბეჭდილი საბეჭდავების სავარაუდო ფორმებია: ლითონის ოთხკუთხა და სამკუთხა სახელურიანი საბეჭდავები, სკარაბეოიდი, თითზე სატარებელი ლითონის ბეჭდები, ჯვრის ფორმის საბეჭდავები (სამშკლავა, ოთხშკლავა), შვერილიანი საბეჭდავები (ოთხკუთხა, წრიული) წრიული და ვარდულის ფორმის საბეჭდავი.

ციხიანობის სატაძრო კომპლექსის თიხის ანაბეჭდებზე ძირითადად სხვადასხვა ცხოველია გამოსახული. არის

---

\* ნაშრომის ქართული ვერსია იხილეთ ჟურნალი „გულანი“, №20, ახალციხე 2016, გვ. 220-234.

ლომი, ირემი, თხა, მორიელი, ცხენი, ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან, გრიფონი, სინკრეტული ცხოველი, ფრინველი, ხარის თავი, არის ადამიანის, მხედრის, მნათობების და ჯვრის გამოსახულებებიც.

ანაბეჭდებზე გამოსახული ფიგურები სტილისტურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გამოსახულებების ნაწილი მოცულობითია, პლასტიკური, არის სქემატური გამოსახვაც.

ციხიაგორის ანაბეჭდებისთვის გამოყენებული საბეჭდავების ძირითადი ნიშანია ზედაპირის მთლიანად შევსება, რაც სხვადასხვა ხერხით არის მიღწეული. ანაბეჭდის თავისუფალი არე შევსებულია მნათობებით, ფრინველებით, ცხოველთა წაგრძელებული, უკან მოხრილი, მასიური კუდით, რქებით, და ა.შ. გამოსახულებათა განლაგების მანერა და მხატვრული სტილი არქაულობით ხასიათდება.

ციხიაგორის ანაბეჭდთა განსხვავებული კვეთის მანერა და მათი სხვადასხვა სტილისტური გამოსახვა, ცალკეულ ადგილობრივ ოსტატთა ინდივიდუალობის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომლებიც კარგად იცნობდნენ როგორც აქემენიდურ, ასევე ბერძნულ ხელოვნებას.

ციხიაგორის ბრინჯაოს სახელურიან საბეჭდავებთან მიახლოებული ფორმის ქვიშაქვის საბეჭდავები დაცულია შენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში. ამ საბეჭდავებს კვეთის და ფორმის მიხედვით მიაკუთვნებენ ჰოგარტის მიერ შესწავლილ ჩრდ. სირიაში და ანატოლიაში აღმოჩენილ საბეჭდავთა ჯგუფს, რომელთაც ზოგადად ათარიღებენ II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულით.

ამდენად, ჩვენთვის საინტერესოა ანატოლიაში აღმოჩენილი მსგავსი ფორმის საბეჭდავების შესწავლა.

**საკვანძო სიტყვები:** ციხიაგორა, კავთისხევი, საბეჭდავი, ბუღა, ტაძარი.



# KAVTİSKHEVİ KÖYÜ TSİKHIAGORA YERLEŞKESİNDE KEŞFEDİLEN KİL ÜZERİNDEKİ DAMGALAR

Doç. Dr. Tamar MATİAŞVİLİ

## ÖZ

Bildiride Tsikhiagora İbadethane Yerleşkesi'nde yapılan kazıların tarihi, anıtın inşaat planı ve yapılış tarihi, "yaralılar" adlı mezarlardan çıkan bronz saplı damgaların ve bull olarak isimlendirilen kil eşyaların parçaları incelenmiştir. (bildiri metnine bu malzemelerin fotoğrafları ek olarak sunulmuştur)

Tsikhiagora İbadethane'si Tiflis'ten Kuzey-Batı istigametinde, 4-50 km. uzaklıkta, Kür Nehri'nin sağ tarafında, Kavtiskhevi köyünün Kuzey semtinde bulunmaktadır. İbadethane Külliyesi'nin duvar ve savunma amaçlı yapılan köşklere tuğla ile inşa edilmiştir. Bütün külliye ibadethaneden, zahire ambarından, şarap mahzeninden, değirmenden, fırından, yemekhaneden ve konutlardan teşkil edilmiştir.

Tsikhiagora İbadethane Külliyesi M.Ö. III. asırda inşa edilmiştir. M.Ö. II. asırda ise yangın nedeniyle yıkılmıştır. Burada keşfedilen 50 adet bulla'nın yıkılış öncesi veya bir kaç gün öncesinde yapıldığı tahmin edilmektedir.

Tsikhiagora'da keşfedilen bulla'lar üzerindeki izler demirden yapılan dörtgen veya üçgen saplı damgalar, skarabeoid, parmak üzerinde taşınan mühür, üçdallı ve dördü dala haç şeklindeki mühür, çıkıntılı dörtgen, daire ve rozet biçimli mühürlerin şekilleridir.

Tsikhiagora'nın İbadethane Külliyesi'nde keşfedilen kil bullalar üzerinde genellikle aslan, geyik, keçi, akrep, at, kedigil ailesinden bir hayvan, kanatlı at, syncretik hayvan, kuşlar ve öküz başı gibi çeşitli hayvan ile insan, şovalye, gezegenler ve haç figürleri mevcuttur.

Damgalar üzerindeki figürler biçim olarak birbirinden çok farklıdır. Bir kısmı tamamen tasvir edilmiş, bir kısmı plastik tarzda, bir kısmı ise şematik halindedir.

Tsikhiagora'da kullanılan mühürler basıldığı zaman bulanın üzerini tamamen kaplamıştır. Kaplama metotları farklıdır. Basıldıktan sonra kalan boş alanlar gezegen, kanatlı, uzamış veya büyük kuyruklu hayvan, boynuz v.s. şekiller ile doldurulmuştur. Figürlerin dağıtım şekli ve sanatsal tarzı arkaiktir.

Tsikhiagora damgalarının farklı oyma şekilleri ve üslup tasvirleri ustaların özen gösterdiğinin belirtir ve bunlar tarafından eski Ahamenit ve Yunan sanatının yakından tanıdığını gösterir.

Tsikhiagora'nın bronz saplı mühürlerine benzer kumtaş mühürler Cenevre Sanat ve Tarih Müzesinde muhafaza edilmektedir. Bu mühürler, oyma üslubuna göre Hogart tarafından Kuzey Suriye ile Anadolu'da keşfedilen ve incelenen mühürler kategorisine geçer ve aynı dönem, yani II. Binyılın sonu ile I. Binyılın başlangıcının eserleri olarak kabul edilir.

BBu açıdan, bizler için Anadolu'da keşfedilen benzeri mühürlerin incelenmesi önem taşımaktadır.

**Anahtar kelimeler:** Tsikhiagora, Kavtiskhevi, mühür, bulla, ibadethane.

## CLAY IMPRINTS OF TSIKHIAGORA

*Asoc. Prof. Tamar MATIASHVILI*

### ABSTRACT

The research is dedicated to clay pieces with seal imprints found in the Thikhiagora Temple. The Thikhiagora Temple complex is located 40-45 km. northwest of Tbilisi on the right bank of the River Mtkvari near the village of Kavtiskhevi (Eastern Georgia) Excavations carried out in the area revealed that Thikhiagora is a burial mould-like hill with the following characteristics: height – 12 m, space-40mX100m.

The large temple complex surrounded by a wall with towers and outposts was built On the hill at the end of the IV and the beginning of the II century B.C. It consists of a temple, a granary, a wine cellar, a bakery, a refectory and dwelling buildings.

The variety of forms and subjects of the clay imprints of Tsikiagora, and the style and manner of expression reflect the influence of the cultures of Achaemenid Iran and the Middle East as well as that of Greece. In many cases peculiarity of pictures and the manner and style of their performance having no analogues among the known fine art pieces suggest the possibility of their local origin.

In the account of 1986 Tsikiagora fieldwork archaeologist Giorgi Tskitishvili considers the fragments of clay imprint as a part of The wall plastering. In the same year excavations were carried out in the

northeast corner of the burnt down Auxiliary room No 10, in which thick ruined debris of approx. 3 meters completely covered the stone layer of the wall. Considering the fact that clay imprints had been previously found in this area the ruined mass was cleaned with extreme care. Crockery fragments of different size were found at approximately 3 meters above the floor level. This made the professionals involved in the excavation think that the earthenware had been brought down from the second floor by the collapsed roofing between the storeys. And as most of the fragments represent parts of special vessels for keeping cheese it is supposed that the upper space must have once been a store-room. A big piece of plastering with an imprint of four girders on the reverse was found almost stuck to the eastern wall of the auxiliary room No 10. We say “stuck” because the space between the piece and the wall with its obverse side the imprint was considered to have fallen from the ceiling. The main pieces found on the floor along the wall plinths are considered to have been part of the decoration of the wall and the ceiling plastering, which according to Mr. Tskitishvili must have rimed the ceiling. Each group clay fragments found in the ruined matter has imprints of the same seal differing from those of the others. Fragments of clay imprints found in the wine cellar covered lips of large wine vessels, which allows us to define them as a bullas. The clay fragments with imprints found in the auxiliary room 21 are also considered to be door-locking bullas.

No proof of clay imprints has been recorded in chronologically synchronous monuments of Georgia (Samadlo, Nastakisi). However lots of clay imprints have been found in the Dedoflis Gora materials, chronologically belonging to the after Tsikhiagora period and are considered bullas by those having excavated the place.

Our presumption is that some of the Tsikhiagora clay imprints represent bullas, whereas others belong to part of the ceiling plastering. The great majority of bullas was found in the auxiliary room 10, the upper floor of which is thought to have been a store-room because of the amount of fragments of clay earthenware found there. It is also obvious that a large number of bullas there has been preserved by the fire at the time.

According to the cultural layer the clay imprints of Tsikhiagora were dated by the II century B.C.

**Key words:** Tsikhiagora, Kavtiskhevi, imprints, temple, temple complex.

ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 40-45 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფელ კავთისხევის ჩრდილოეთით (აღმოსავლეთ საქართველო). ტაძარი აშენებულია ძვ.წ. III საუკუნეში, ხოლო ხანძრისაგან დანგრეულია ძვ.წ. II საუკუნეში და, სავარაუდოდ, აქ აღმოჩენილი ოთხმოცდაათი ბუღა ციხიაგორის კომპლექსის დანგრევის წინა დღეს, ან დანგრევამდე რამდენიმე დღით ადრე იქნა ბეჭედდასმული.

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსი შემოსაზღვრულია ალიზით ნაგები კონტრფორსებიანი და კოშკებიანი გალავნით. კომპლექსის შემადგენლობაში შედის საკუთრივ ტაძარი, ბეღელი, მარანი, წისქვილი, პურის საცხობი, სატრაპეზო და საცხოვრებელი ნაგებობები. ცენტრალური ადგილი ამ კომპლექსში უკავია ტაძარს (№1 სათავსო), რომელიც თითქმის ოთხკუთხა ფორმისაა (8X7,5 მ). ტაძარი ნაგებია ქვით და ალიზით. პირველი სართულის კედლები ქვით არის აშენებული, ხოლო მეორე სართული – ალიზის აგურით. ტაძარს სამი მხრიდან (აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან) აკრავს შიდა ეზო, სადაც მრავლად აღმოჩნდა თიხის ფრაგმენტები, რომლებზეც სხვადასხვა ფორმის საბეჭდავთა ანაბეჭდებია გამოსახული. ანაბეჭდიანი თიხის ფრაგმენტების უმეტესობა აღმოჩნდა შიდა ეზოს აღმოსავლეთ დერეფანში, მცირე ნაწილი კი შიდა ეზოს სხვა მონაკვეთებში. გარდა ამ მასალისა, აქ აღმოჩნდა ჩაღისფრად გამომწვარი სარქველები, კოჭობი, წითლად შეღებილი ჯამები, ქვევრის ორიოდე ფრაგმენტი, რომელიც წითელი საღებავითაა მოხატული და ამფორის მსგავსი ჭუჭლის ფრაგმენტი.

ტაძრის დასავლეთ კედელსა და შიდა ეზოს გალავანს შორის ალიზით ნაგები ტიხარია და ამით იქმნება ერთი პატარა სათავსო №2. ამ სათავსოში აღმოსავლეთ კედლის ძირში იატაკზე აღმოჩნდა თიხისაგან ნაძერწი სამი დისკო, რომელთა ცალ მხარეს რელიეფური ჯვრებია გამოსახული. აქვეა ნაპოვნი თიხის ფრაგმენტები საბეჭდავთა ოთხკუთხა და მრგვალი ფორმის ანაბეჭდებით. №2 სათავსოში გადახურვის ნანგრევის ქვეშ და უშუალოდ იატაკზე აღმოჩნდა ვარდისფრად გამომწვარი დოქები, ჩაღისფერი სარქველები,

რომელიც წითელი საღებავითაა მოხატული, ღერვის, ამფორის ფრაგმენტები.

ტაძრის ჩრდილოეთით მიშენებულია №10 სათავსო, რომელსაც აქვს საერთო კედელი ტაძართან და №2 სათავსოსთან. იგი მართკუთხა ფორმისაა (18 X 4,5 მ), კარები დასავლეთ კედელთან არის გაჭრილი. ნაგებობა ორსართულიანი იყო, პირველი სართული ნაგებია ფლეთილი ქვით (სიმაღლე-3,5მ.), მეორე სართული კი ალიზის აგურით (კედლის შენარჩუნებული სიმაღლე 1,5 მ). სართულთშორისო გადახურვის ფრაგმენტები აღმოჩენილია ქვის კედელთან. შენობის შესასვლელ კარებთან სამხრეთის კედლის გაყოლებაზე აღმოჩნდა ორი ქვევრი, ჩრდილოეთ კედელთან – ალიზის აგურით ერთ რიგად შედგენილი სამი დანაყოფი - პირველ მათგანში მოთავსებული იყო დანახშირებული ქერის მარცვლები, ხოლო დანარჩენ ორში იდგა მცირე ზომის ორი ქვევრი. ამ სათავსოში 1,5 მ-ის სიმაღლეზე ალიზის კედლის ნანგრევებთან აღმოჩენილია აქემენიდური სტილის კაპიტელი. ნაგებობის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებთან (იატაკის დონიდან 1,5 მ-ის სიმაღლეზე) კი თიხის ბულები საბეჭდავთა ანაბეჭდებით.

აქ ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე თიხის ფრაგმენტის აღწერილობას:

1. (საველე №463, 1986 წელი) – თიხის ფრაგმენტი (ბულა), მონაცრისფრო-შავი ფერის, გამომწვარი, უფორმო. ბულის ზედაპირზე სამი ერთი და იმავე საბეჭდავის ანაბეჭდია ფრაგმენტულად აღბეჭდილი.

ანაბეჭდზე აღბეჭდილია ჯვარი, სამი მომრგვალებული რელიეფური მკლავით. სამკლავიანი ჯვრის ფორმის საბეჭდავი აღმოჩენილია სირიაში, რომელსაც ზოგადად ათარილებენ ძვ.წ. II ათასწლეულით. საბეჭდავი ინახება ქენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში (M.L. Vollenweider). მსგავსი ფორმის სტეატიტის, ხეთური საბეჭდავია დაცული ლუერის მუზეუმის კოლექციაში (L.Delaporte).

საქართველოს ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, სამკლავიანი ჯვრის ფორმის პური ცხვებოდა სვანეთში, უხენაეს ღვთაება ხომა ღერმეთისათვის. ამ ღვთაებას, უკანასკნელ დრომდე სწირავდნენ თავისებური ფორმის

პურს, რომლის ჭამა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ. ამ პურის ერთ-ერთ სახეობას „ჯუარ“ ეწოდებოდა და წარმოადგენდა სამქიმიან ფიგურას, რომლის ქიმებს კონუსის ფორმა ჰქონდათ (ბარდაველიძე).

2. (ინგ. №1506, საველე №462, 1986 წელი) – თიხის ფრაგმენტის (ბულა), მოწითალო-ყავისფრად გამომწვარი უფორმო. ბულის ზედაპირზე აღბეჭდილია სწორკუთხა ფორმის ხუთი ანაბეჭდი, რომელებიც ერთი და იგივე საბეჭდავს უნდა ეკუთვნოდეს. (ანაბეჭდის ზომაა 33×33 მმ, ბულის 200×157 მმ).

ანაბეჭდზე აღბეჭდილია მხედარი, გადმოცემულია პროფილში და მიმართულია მარცხნივ; ცხენი რეალისტურია, თავი დაბლა აქვს დახრილი, კიდურები სახსარში მოხრილი. მიუხედავად დაბალი რელიეფისა, ცხენის ფიგურაში შეიგრძნობა მოცულობა. კარგად არის დამუშავებული ცხოველის თითოეული ნაკვთი – ცხენის გავა, მოხრილი კიდურები, გამოყვანილი ჩლიქები, დაბლა ჩაშვებული, ნასკვით შეკრული კუდი. მხედრის პოზა სტატიკურია, იგი გამართული ზის ცხენზე პროფილში. მისი გამოსახულება ბუნდოვანია.

ანაბეჭდის ზედაპირი მთლიანად არის შევსებული ადამიანის და ცხენის გამოსახულებით. მთლიანად გამოსახულება წაგრძელებული ფორმებით ხასიათდება, რითაც ალბათ, ემსგავსება სამადლოს ქვევრებზე და კრატერებზე აღბეჭდილ მხედრებს.

№10 სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ნანგრევი ფენის სისქე სამ მეტრს აღწევდა. იგი მთლიანად ფარავდა კედლის ქვის წყობას. ნანგრევი მასის ფრთხილად გაწმენდის შედეგად იატაკის დონის ზევით აღმოჩნდა დიდი ზომის დერგების და რამდენიმე დოქის ფრაგმენტი. ამ სიმაღლეზე (იატაკის დონიდან 3 მეტრზე) ჭურჭლის ნატეხების აღმოჩენა ძველის გამთხრელებს აფიქრებინებს, რომ ეს ჭურჭელი მეორე სართულიდან ჩამოუყვა ჩამოქცეულ სართულთაშორისო გადახურვას და რადგან უმეტესობა ფრაგმენტებისა დიდ დერგებს მიეკუთვნება, ვარაუდობენ ნაგებობის მეორე სართულზე საკუჭნაოს მსგავსი სათავსოს არსებობას.

№10 სათავსოსა და კომპლექსის გალავნის ჩრდილოეთ კედელს შორის გაითხარა მცირე ზომის ერთმანეთთან

გასასვლელი კარით დაკავშირებული №21 და №22 სათავსო. №21 სათავსოს პირობითად მუდმივი ცეცხლის ოთახი ეწოდა. ამ სათავსოს დასავლეთი კედელი წნულით იყო ნაგები და ორივე მხრიდან თიხით შედგენილი. სათავსოში შესასვლელი ამ კედელთან არის გაჭრილი. სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ორი დიდი კალიბრებისაგან შემდგარი თონე, რომელშიც ნაცრის სქელი ფენა იყო. კარებთან, კარის ჩარჩოს ნაშთთან ეგდო თიხის ფრაგმენტი, რომელზეც სამკუთხა ფორმის ერთი და იგივე საბეჭდავის რამდენიმე ანაბეჭდი იყო აღბეჭდილი. ანაბეჭდზე გამოსახულია სტილიზებული ხარის თავი, ხოლო გვერდებში დარჩენილი სივრცე შევსებულია სამი ნახევარმთვარით. ანაბეჭდის მიხედვით ვფიქრობთ, ბრტყელპირიანი, სახელურიანი საბეჭდავია გამოყენებული. სავარაუდოდ ამ საბეჭდავით იბეჭდებოდა სათავსოს კარი.

ბულაზე აღბეჭდილი ხარის თავის ანალოგიური გამოსახულებები გვხვდება საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალებში, კერძოდ, სვანეთში დღეობა ლიფანალის რიტუალში.

ლიფანალში მიცვალებულთა სახელზე ცხოველური სახის პურებს აცხობდნენ, ასეთი იყო “ბალს ქვემოური ჯუარი” – ხარის თავის მოყვენილობის კვერი.

ამ სათავსოში მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე ღია ფრად გამომწვარი დოქები, ჯამები, ქოთნები, დერგები, რომელთაგან ზოგიერთი წითელი საღებავითაა მოხატული ან შეღებილი.

ტაძრის მარანი მოთავსებულია წისკვილსა და სამოთახიან შენობას შორის, მიშენებულია კომპლექსის გალაფნის კედელზე. იგი ალიზითაა ნაგები, რიყის ქვის ერთი რიგის საძირკველზე. მისი იატაკი კარის წინა დონესთან შედარებით 0,5 მ-ით დაბალია. მარანში ჩასვლა ორსაფეხურიანი ხის კობით არის შესაძლებელი. აქ გაითხარა ხუთ რიგად იატაკში ჩადგმული ორმოცდაშვიდი ქვევრი. რვა შემთხვევაში ქვევრების გვერდით დადასტურდა ბრტყელი კრამიტი (სოლენი). კრამიტები სარქველად იყო გამოყენებული. ორ მათგანზე შერჩენილია თიხის გადაღესილობა, რომელზეც გარკვევით ეტყობა მრგვალი ფორმის ანაბეჭდი ლომის გამოსახულებით. თიხის ფრაგმენტი (ბულა), მოწი-

თალი-ყავისფერი თიხის ფრაგმენტი სუსტად არის გამომწვარი, უკანა მხრიდან ეტყობა ქვევრის პირის ანაბეჭდი, ხოლო ზედაპირზე ოვალური ფორმის ორი, ერთი და იგივე საბეჭდავის ანაბეჭდი (ანაბეჭდის ზომაა 46×32 მმ, ბულის 128×101). ანაბეჭდზე ლომის გამოსახულება მიმართულია მარცხნივ, გადმოცემულია პროფილში. ერთი წინა ფეხი წინ აქვს გადადგმული, მეორეს კი ეყრდნობა. ფიგურა მოუქნელი და უმოძრაოა. გამოირჩევა დაბალი პროპორციებით, აქვს სქელი კისერი, შევიწროებული წელი, განიერ კიდურებზე კარგად ეტყობა თათები: კუდი მაღლა აქვს აწეული. ტანთან შედარებით ლომის თავი უფრო რეალისტურია და კარგად არის დამუშავებული. ღია პირი, ღონიერი, მძიმე თათები და მასიური ფიგურა ცხოველის სიძლიერეს გამოხატავს. ანაბეჭდს ჩარჩოდ შემოუყვება სფეროსებური, რელიეფური ბურცობები რომლებიც მცირე ჯგუფებად არის დაყოფილი. ლომის ფაფარიც მსგავსი რელიეფური სფეროსებური ბურცობებით არის გადმოცემული, რაც ერთგვარ დეკორატიულობას ქმნის. ზუსტი ანალოგი ლომის გამოსახულებას ანტიკურ მასალებში ვერ ეძებნება. სტილისტურად იგი განსხვავებულია აგრეთვე, ციხიაგორის ანაბეჭდებზე აღბეჭდილ ცხოველთა გამოსახულებებისაგან. ციხიაგორის ანაბეჭდებზე გამოსახული არც ერთი გამოსახულება არ არის ჩარჩოთი შემოსაზღვრული და მათზე აღბეჭდილ ცხოველებზე ასეთი მძიმე პროპორციები არ შეიმჩნევა. ერთადერთი, რაც აერთიანებს ლომის გამოსახულებიან ანაბეჭდს სხვა ანაბეჭდებთან, არის ანაბეჭდის ზედაპირის მთლიანი შევსება გამოსახულებით.

ლომის მოტივი საბერძნეთში ძვ.წ. VIII ს-ის შემდეგ ვრცელდება აღმოსავლეთიდან ხოლო ძვ.წ. VII-VI ს-ში მათი გამოსახვის უამრავი მაგალითია ბერძნულ გლიპტიკაში. ჯ. ბორდმანს თავის ნაშრომში ცალკე თავად აქვს გამოყოფილი არქაული ხანის საბეჭდავები, ძირითადად სკარაბეები ლომის გამოსახულებებით. თითქმის ყველა მათგანი შემოსაზღვრულია ჩარჩოთი, რაც არქაული ეპოქის საბეჭდავების დამახასიათებელი ნიშანია. ამ საბეჭდავებიდან გამოყოფთ რამოდენიმეს, რომლებსაც ციხიაგორის ანაბეჭდის დედანი ემსგავსება. ამ საბეჭდავებზე გამოსახული ცხოველის დგომის



მანერა, აწეული კუდი, დაძაბული სილუეტი, ფაფრის დეკორატიული გადმოცემა ისეთივეა, როგორც ციხიაგორის ანაბეჭდზე. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამოსახული ღომის ფაფარი რელიეფური სფეროებით, დანარჩენი ფიგურების ფაფარი სწორხაზოვანი შტრიხებით არის აღნიშნული. ორივე შემთხვევაში მათი ზედაპირი მაინც ერთნაირად იკითხება (ბორდმანი, 1968, ტაბ. XXVII-377, 373, ტაბ. XXXI – 446).

ფაფარის რელიეფური წერტილებით გადმოცემის მანერა დამახასიათებელია არქაული ხანის დასავლურ-ბერძნული სახელოსნოების ნიმუშებისათვის. მსგავსი მანერით არის შესრულებული ღომის ფაფარი აგრეთვე, დაბლაგომში აღმოჩენილ №12 ქვევრსამარხის რკალგახსნილ ბრინჯაოს ბეჭედზე, რომელიც ძვ.წ. III ს-ით არის დათარიღებული (ლორთქიფანიძე, 1975: 61-63).

ჩვენი ვარაუდით, ციხიაგორის ღომის გამოსახულებიანი ანაბეჭდი სკარაბეოიდით უნდა იყოს აღბეჭდილი.

მარნის იატაკიდან აიკრიფა აგრეთვე 94 ნივთი, მათ შორის 17 დოქის, 18 დერგის, 8 ჯამის, 11 ქოთნის, 37 სხვადასხვა ჭურჭლის. აქვე აღმოჩნდა ფართოყელიანი დოქის თიხის საცობი-ბუღა, სამკუთხა ფორმის საბეჭდავის ანაბეჭდებით, რომლებზეც თხა არის გამოსახული.

ერთ-ერთ სათავსოში (№16), რომელსაც პირობითად წისქვილი ეწოდა, კედლების გასწვრივ აღმოჩნდა ალიზით ნაგები მერხი, რომელზეც იდო ხელსაფქვავის ოცდათორმეტი ქვედა ქვა, ხელსაფქვავის ზედა ქვები, რომლებიც იატაკზე იყო მიმოფანტული და ალიზის ერთი მთლიანი ფქვილის ჩასაყრელი.

ამ სათავსოში აღმოჩნდა, ბრინჯაოს სამკუთხა სახელურიანი საბეჭდავი.

საბეჭდავი დამზადებულია ბრინჯაოს სქელი ფირფიტისაგან, რომელიც ყალიბში უნდა იყოს ჩამოსხმული. კუთხეები საბეჭდავს მომრგვალებული აქვს, ზურგზე მირჩილული აქვს მრგვალგანივკვეთიანი მასიური სახელური (64X64X64 მმ). საბეჭდავის პირზე აღბეჭდილია ფანტასტიკური ცხოველი და ორი ფრინველი. გამოსახულება ღრმაა, მკაფიო, მოცულობითი და პლასტიკური. ნახატი ძალიან თავისებურად არის გააზრებული, ცენტრალურ ფიგურას წარმოად-

გენს ფანსტატიკური ცხოველი, რომელიც ვფიქრობთ, ძაღლის, ლომისა და არწივის სინთეზია (თავი აშკარად ძაღლისაა, კუდი ლომის, ხოლო წინა კიდურები მთავრდება არწივისებური ბრჭყალებით.) ცხოველი გამოსახულია ნახტომში. მისი თავი და წინა ორი კიდური საკმაოდ ძლიერია და გამოსახულია მოძრაობაში, ხოლო ტორსი და უკანა კიდურები თითქმის უმოძრაოა და სრულებით არ შეეფარდება იმ დინამიურ განწყობას, რაც თავისა და წინა კიდურების გადმოცემისას არის აღბეჭდილი. ასევე მშვიდად და თითქმის უმოძრაოაა გადმოცემული ფრინველები, რომლებიც ცხოველის მაღლა არსებულ სივრცეს ავსებენ.

ციხიაგორის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, სახნავ მიწებზე, გათხრების შედეგად გამოვლინდა დიდი ნასოფლარი, აქ დადასტურებულია ძვ. წ. VI-IV, III-II და I სს-ის კულტურული ფენები.

ნასოფლარის ჩრდილოეთით აღმოჩნდა სამაროვანი, რომელიც მოიცავს ორ უბანს: „საყარაულო სერს“ და „დაჭრილებს“.

„საყარაულო სერზე“ გაითხარა ძვ.წ. XIIIს – ახ.წ. პირველი საუკუნეების ორმოსამარხები, რომაული ხანის ქვევრსამარხები და ძვ.წ. I – ახ.წ. IV ს-ის ქვაყუთები, ხოლო „დაჭრილების“ სამაროვანზე ძვ.წ. IV–III საუკუნეებით დატარილებული ქვესამარხები.

1977 წელს კავთისხევის „დაჭრილების“ სამაროვნის №25 ქვევრსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სახელურიანი ოთხკუთხა ფორმის საბეჭდავი. ქვევრსამარხში საბეჭდავთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რკინის ფიბულა, ბრინჯაოს რგოლი და თიხის ჭურჭელი. თვითონ ქვევრი პატარა ზომისაა, ვარდისფრად გამომწვარი და წითლად მოხატული. გამოთხრებები სამარხს ძვ.წ. IV-III ს-ით ათარიღებენ.

ქვევრსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბეჭდავი წარმოადგენს მართკუთხა მოყვანილობის სქელ ფირფიტას მომრგვალებული კუთხეებით. ზურგის მხრიდან მასიური დეროსაგან დამზადებული ოვალური სახელური აქვს მირჩილული (2,5X3 მმ). საბეჭდავის ბრტყელ პირზე გამოსახულია ხელებგაშლილი, მიმავალი ადამიანი. საბეჭდავის პირს გარ-

შემო ირიბი ნაჭდევეების ჩარჩო შემოუყვება. ადამიანის ფიგურა ძალიან სქემატურია, გადმოცემულია ტლანქად, მხოლოდ ზოგადი მონახაზებით. კვეთა არათანაბარია და თითქოს ერთ სიბრტყეშია მოცემული, მაგრამ აშკარად არის რაკურსის გადმოცემის ცდა: წინ გადმოდგმული ფეხი დიდია და უკანა ფეხთან შედარებით მაღალი რელიეფით ხასიათდება. საბეჭდავის პირზე დაბალი და მაღალი რელიეფების ცვალებადობით მიღწეულია გადაადილებისა და რაკურსის შეგრძნება. გამოსახულება მთლიანად აესებს საბეჭდავის პირს.

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი თიხის ფრაგმენტები, საბეჭდავთა ანაბეჭდებით, ბულებს წარმოადგენდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბულები თავისი დანიშნულების მიხედვით ორ კატეგორიად არის დაყოფილი: პირველი, რომელიც თიხის გუნდას წარმოადგენსა, სიგრძივი ნახვრეტით და ზონრის კვალთ, მეორე - უხეში თიხის სქელი, უფორმო ფირფიტები სიგრძივი ნახვრეტისა და ზონრის კვალის გარეშე. უფორმო ბულებით ძირითადად იბეჭდებოდა ყუთები, კარები, ისეთი ნივთები, რომლებსაც კანაფი არ სჭირდებოდათ. ასეთი უფორმო, დიდი ზომის, სქელი ბულები არის აღმოჩენილი ციხიაგორის იმ სათავსოს კედლებთან, რომელიც ჭურჭლის მოზღვავებული ფრაგმენტების გამო საწყობ სათავსოდ არის გააზრებული და ბუნებრივია, საწყობ სათავსოში იყო დიდი რაოდენობა ბულებისა, რომელიც იმ დროინდელმა ხანძარმა შემოგვინახა.

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის თიხის ბულების ანაბეჭდებზე ძირითადად სხვადასხვა ცხოველია გამოსახული. არის ლომი, ირემი, თხა, მორიელი, ცხენი, ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან, გრიფონი, სინკრეტული ცხოველი, ფრინველი, ხარის თავი, არის ადამიანის, მხედრის, მნათობების და ჯვრის გამოსახულებებიც.

ანაბეჭდებზე გამოსახული ფიგურები სტილისტურად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გამოსახულებების ნაწილი მოცულობითია, პლასტიკური, არის სქემატური გამოსახვაც.

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი ბუღე-ბის ანაბეჭდების მოხაზულობის, ზომის და აგრეთვე გამოსახულების მიხედვით, იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თანადროული გლიპტიკური მასალის გათვალისწინებით და სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მაგალითებით შესაძლებელია, გამოვთქვათ ვარაუდი სატაძრო კომპლექსში გამოყენებული საბეჭდავთა ფორმების შესახებ.

ციხიაგორის ბუღებზე აღბეჭდილი საბეჭდავების სავარაუდო ფორმებია: ლითონის ოთხკუთხა და სამკუთხა სახელურიანი საბეჭდავი, სკარაბეოდი, თითზე სატარებელი ლითონის ბეჭდები, ჯვრის ფორმის საბეჭდავები (სამკლავა, ოთხმკლავა), შვერილიანი საბეჭდავები (ოთხკუთხა, წრიული), ვარდულის მოყვანილობის წრიული საბეჭდავი. აგრეთვე შესაძლებელია სატაძრო კომპლექსში ანაბეჭდებისათვის გამოყენებული ყოფილიყო ქვის სახელურიანი საბეჭდავი და დისკოიდიც. საბეჭდავთა ამ სავარაუდო ფორმებიდან გვინდა გამოვყოთ ბრინჯაოს სამკუთხა და ოთხკუთხა სახელურიანი საბეჭდავები. ეს საბეჭდავები უკავშირდება ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ბრინჯაოს სახელურიან საბეჭდავთა მცირე ჯგუფს, რომლებიც ძვ.წ. III-I სს-ს ფარგლებში არის მოქცეული. რაც შეეხება ბრინჯაოს სახელურიანი საბეჭდავების ფორმას, ქრონოლოგიურად მათ წინ უნდა უსწრებდეს ქვისაგან დამზადებული სახელურიანი საბეჭდავები.

ქვის სახელურიანი საბეჭდავები **ანატოლიის** და ირანის გლიპტიკისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ბრინჯაოს სახელურიანი საბეჭდავები, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს გარდა არსად არის მოპოვებული. აქედან გამომდინარე, ციხიაგორის საბეჭდავები არის ადგილობრივი.

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი თიხის ბუღებზე აღბეჭდილი ანაბეჭდების მიხედვით საბეჭდავების გამოსახულების სტილზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა მაინც შესაძლებელია.

ციხიაგორას ანაბეჭდთა განსხვავებული კვეთის მანერა და მათი სხვადასხვა სტილისტური გამოსახვა ცალკეულ ადგილობრივ ოსტატთა ინდივიდუალობის მაჩვენებელია,

რომლებიც ძალიან კარგად იცნობდნენ, როგორც აქემენიდურ, ასევე ბერძნულ გლიპტიკურ ხელოვნებას.

Tsikhiagora İbadethane'si Tiflis'ten kuzey-batı istikametinde, 40-45 km. uzaklıkta, Kür Nehri'nin sağ tarafında, Kavtiskhevi köyünün kuzey semtinde (Doğu Gürcistan) bulunmaktadır. Tsikhiagora İbadethane külliyesi M.Ö. III. asırda inşa edilmiştir. M.Ö. II. asırda ise yangın nedeniyle yıkılmıştır. Burada keşfedilen 90 adet bullanın yıkılış öncesi veya bir kaç gün öncesinde yapıldığı tahmin edilmektedir.

İbadethane külliyesinin duvar ve savunma amaçlı yapılan köşkeri tuğla ile inşa edilmiştir. Bütün külliye ibadethaneden, zahire ambarından, şarap mahzeninden, değirmenden, fırından, yemekhaneden ve konutlardan teşkil edilmiştir. Buradaki ibadethane merkezi konumda bulunmaktadır (N1depo). Bu depo neredeyse dörtgen şeklindedir (8X7,8 m). İbadet hane taş ve kil tuğlalarıyla inşa edilmiştir. Birinci kat taşla inşa edilmiş, ikinci ise kil tuğlalarıyla. İbadethane her üç taraftan (doğu, güney ve batı) iç duvarla çevrilidir. Avlusunda yapılan kazılar sonucu çok sayıda damgalar izleri keşfedildi. Bu damgaların izleri olan kil parçaların çoğu iç avlunun Doğu koridorunda, az kısmı ise bu avlunun çeşitli yerlerinden çıkmıştır. Bu malzemedен dışı, avlunun içinde bej renkli tavlı kapaklar, pot, kırmızı renkli kaplar, kırmızı boyanmış fiçı parçaları ve anfora benzer kabın parçası bulunmuştur.

İbadethanenin Batı duvar ile iç duvar avlusu arasında kilden inşa edilen bir bölme var. Bu bölme ile burada küçük bir depo oluşmaktadır(N2). Bu deponun doğu duvarının dibinde kilden yapılan üç adet daire bulunmuştur. Daireler üzerinde, tek bir tarafında, haç motifleri tasvir edilmiştir. Ayrıca, burada dörtgen ve yuvarlak damgalardan kalan kil üzerindeki izlerin parçaları bulunmuştur. 2 numaralı depoda yıkılan çatı kalıntılarında ve döşeme üzerinde pembe renkli sürahiler, kırmızı boyanmış bej renkli kapaklar, süt kabı, anfor parçaları bulunmuştur.

İbadethanenin Kuzey duvarına bitişik olarak N10 depo inşa edilmiştir. Bu depo dikgendir (18X4,5 m). Kapısı Batı duvarındadır. Bu bina iki katlı imiş. Birinci kat kayrak taşı ile (uzunluğu 3,5 m), ikinci kat ise kil tuğlaları ile inşa edilmiştir (günümüzde bu duvardan 1,5 m. kalmıştır). Katlar arası kaplamanın parçaları taş duvarının yakınlarından çıkmıştır. Binanın giriş kapısının yakınında, Güney duvarı boyunca iki tane fiçı çıkmıştır. Kuzey duvarının yanında ard arda kil tuğlaları ile inşa edilen üç adet bölme bulunmaktadır. Birincisinden kömürleşmiş arpa

taneleri çıkmıştır. Diğer ikisinde ise iki adet küçük fiçi bulunmuştur. Bu depodan kil duvarlarının yanından 1,5 m. boyunda Ahemenit üslubuna ait bir sütün başlığı çıkmıştır. Binanın doğu ve batı duvarlarının yakınında (döşmeden 1,5 m. üstte) üzerinde damga izleri olan kil bullaları çıkmıştır. Aşağıda iki adet bullanın tanımı yapılmıştır:

1. (Saha Araştırma #463, Yıl 1986) - Kil parçası (Bulla), grimsiyah, tavlı, şekilsiz. Bulla'nın üzerinde üç adet aynı tarz damga izlerinin parçaları mevcuttur.

İzlerde yuvarlak tarzda olan insan kolu kabartması haç şeklinde tasvir edilmiştir. Üzerinde üç kollu haç olan damgalar Suriy'de bulunmuştur. Bu damgalara tarih olarak Eski Çağın II. binyılı koyulmuştur. Anılandamga Cenevre Güzel Sanat ve Tarih Müzesi'nde muhafaza edilmektedir (M.L. Vollenweider). Benzeri Steatit, Hitit damgası Luvr Müzesi koleksiyonunda yer almaktadır (L.Delaporte).

Gürcistan'ın etnografik verilerine göre, üç kollu haç tarzdaki ekmek Svaneti bölgesinde yapılıyordu ve Yüce Tanrı Olan Khoşa Ğermet'e kurban ediliyordu. Bu Tanrıya, son zamanlara kadar bir nevi ekmek kurban ediliyordu ve bu ekmek yalnız erkekler tarafında yenilirdi. Bu ekmeğin bir tarzına "Cuar" denilirdi ve üç genli bir figürü tasvir ediyordu. Figür uçları ise koni şeklindeydi (B.Бардавелидзе.).

2. (Invois #1506, Saha Araştırma # 462, Yıl 1986) - Kil parçası (Bulla), kırmızımsı-kahverenk, tavlı, şekilsiz. Bullanın üzerinde dikdörtgen biçiminde beş adet damga izi bulunur. Bu izlerin aynı damgaya ait olduğu düşünülmektedir (damga boyutu 33X33 mm, Bulla'nın boyutu 200X157 mm).

Damga üzerinde bir atlı tasvir edilmiştir. Atlı yandan görünüşlüdür ve sola doğru bakıyor. Atın kabartması tamdır, başı eğik, ayakları eğimlidir. Düşük boyuna rağmen at figürü kabadır. Hayvanın bütün özellikleri örn: atın terkisi, eğimli ayakları, biçilmiş tırnakları, asık ve bağlanmış kuyuruğu iyice işlenmiştir. Atlı dik duruş halindedir. Görüntüsü net değildir.

İzlerin üyüzü tamamen insan ve at kabartmalarıyla doldurulmuştur. Kabartmalar uzamış halindedir. Bu şekiller sanki Samadlo fiçilerin ve fiçi ağızlarındaki figirlere benzeşiyor.

N10 deponun kuzey-doğu köşesinde yıkıntı parçalarının kalınlığı üç metre kadardı. Bu kalıntılar taş duvarını tamamen kaplıyordu. Kalıntılar dikkatle temizledikten sonra döşeme seviyesinde daha üstte büyük süt kablalarının ve sürahiyelerinin parçaları çıktı. Arkeologlar döşmeden üç

metre üstte kapkaçak parçalarının çıkması nedeniyle yıkılış zamanında bu kapkaçığın ikinci kattan önce katlar arası kaplamaya, daha sonra ise döşemeye doğru düşmesi fikrini ileri sürmüşlerdir. Çünkü parçaların çoğu büyük süt kablarna aittir. Bundan dolayı ikinci katta kilerin olduđu düşünölmektedir.

N10 depo ve külliye duvarının kuzey semtinin arasında bulunan tek bir kapı ile birbirine bađlı N21 ve N22 küçük depoların kazısı yapıldı. N21 depoya takma ad olarak daimi ateş odası denildi. Bu deponun batı duvarı dokuma tarzı ile inşa edilmiştir ve her iki tarafı da kille sıvanmıştır. Deponun giriş kısmı bu duvardan yapılmıştır. Deponun kuzey-batı köşesinde iki büyük klipten oluşarı tandır çıkmıştır, tandırların içinde kalın kül tabakası vardı. Kapı parçasının yanında kil parçası vardı ve bu parçanın üzerinde üçgen şekilli aynı gamgadan kalan izler mevcuttu. İzler üzerinde şekillendirmiş okuz kafatası tasvir edilmiş ve kafatanın yanlarındaki boş yerler üç adet hilal ile doldurulmuştur. Bu izleri düz ve kollu bir damga izlerinin olması düşünölmektedir. Muhtemelel bu damga ile deponun kapısı mühürleniyordu.

Bulla üzerinde tasvir edilen öküz başı Gürcistan etnografyasında fazlasıyla bulunmaktadır. Örneđin: Svaneti’de Lipanalı bayramı ritüyelinde. Lipanal’da merhumlar adına hayvan yüzlü ekmek pişiriyorlardı. Bunlardan birisi öküz başlı ekmek olan “BalıYe Kadar Bölgesi Haçı”dır.

İbadethanenin şarap mahzeni değirmen ile uç odalı bina arasında bulunmaktadır. Bu bina küllüatın duvarına bitişik şeklinde inşa edilmiştir. Mahzen kil tuğlalarıyla inşa edilmiştir. Temeli kaldırım taşı ile yapılmıştır. Döşemesi kapının eşik seviyesinden 0,5 m. düşüktür. Mahzene iki basamaklı merdivenle inilir. Burada ard arda beş sıra tarzında olan 47 adet şarap fıçısı kazındı. Sekiz fıçının yanında düz kiremit (solen) çıktı. Kiremitler kapak olarak kullanılmıştır. İki tanenin üzerinde kil sıvası mevcuttur. Sıvalar üzerinde aslan tasvirli damga izleri bulunmaktadır. Kırmızımsı-kahve renk kil parçası (bula) az tavlıdır. Arka tarafından fıçı ağzının izleri belli olmaktadır. Üzerinde ise oval şekilli iki adet, aynı damgadan kalan izler (46X32 mm, bula – 128X101) belli olmaktadır. İzlerdeki aslan tasviri sola bakıyor ve yandan görünüşüdür.

Aslanın bir ön ayađı ileriye doğru atılmıştır, ikincisine yaslanmıştır, figürü esnek deđil hareketsizdir, çizgi olarak düşük, boynu kalın, beli ince, geniş bacaklar üzerindeki pençeleri iyice görünür, kuyruđu diktir.

Vucuduna göre aslanın baş daha gerçeğe uygun olarak tasvir edilip işlenmiştir. Ağzı açık, güçlü bir tarzda, pençeleri büyük ve ağır figürü hayvanı güçlü göstermektedir. İzlerin etrafında çerçeve tarzlı küre ve kabartma şekilli sırtçıklar bulunur. Bunlar küçük küçük gruplara ayrılmıştır. Aslanın yelesi de aynı tarz bir grup tarzda ayrılmış sırtçıklarla kaplıdır. Bütün bunlar bir nevi motif üslubünü oluşturmaktadır. Antik malzemelerinde buna benzeri aslan figürleri bulunmamaktadır. Üslup olarak bu aslan Tsikhiagora'da bulunan damga izlerindeki hayvan figürlerinden de farklıdır. Tsikhiagora'dan çıkan damga izlerinde hiç birinde daire tarzlı çizgiler yok ve üzerindeki hayvan tasvirleri de bu kadar biçimsiz değildir. Aslan tasviri ile diğer tasvirleri birleştiren tek şey damga izlerinin tamamen bir çeşit figürleriyle doldurulmasıdır. Bu depodan açık renk boyanmış sürahiler, kaplar, testiler, süt kapları çıkmıştır. Bunlardan birkaçı kırmızı boya ile boyanmıştır.

Yunanistan'a aslan motifi Eski Çağın VIII. yüzyılından beri doğu medeniyeti etkisinden dolayı yayılmıştır. Eski Çağın VII-VI. yüzyıllarında Yunan oymacılığında aslan kabartmasının çok sayıda örneği mevcuttur. C. Bordman kendi kitabında arkaik dönemi damgalara bir bölüm ayırmıştır. Bu bölümde, ağırlıklı olarak aslan kabartmalı skarabeler üzerine durulmuştur. Kitaba göre bütün skrabeler çerçeve ile çevrilmiştir. Bu tarz damgalar arkaik dönemde yapılırdı. Tsikhiagora'nın damga izlerine benzeri skarabelerden bahsederek; anılan damgalarda hayvanın duruşu, dik kuyruğu, gergin silueti, yelenin süslemeleri Tsikhiagora damga izlerindeki gibidir. Bir damganın izinde aslan yelesi küre kabartmalarıyla süslenmiştir. Diğer figürlerde aslan yelelerinde tamamen düz süsleme tarzı kullanılmıştır. Her iki durumda da damga izleri aynen çözülmektedir (J. Boardman, 1968, EEK. XXVII-377,373, Ek. XXXI – 446).

Yeledeki nokta kabartmalı tarz arkaik dönemi Batı-Yunanistan sanat tarzıdır. Aynı üslup Dablagomi'de #12 fiçi mezarından çıkan yayı açık olan bronz yüzükteki aslanın yelesinde kullanılmıştır. Bu yüzüğün Eski Çağın III. yüzyılda yapıldığı düşünülmüştür (M. Lortkipanidze, 1975:61-63).

Bize göre, Tsikhiagora'nın aslan figürlü damga izi de Skarabeod izidir.

Mahzen döşemesi üzerinden 94 adet eşya parçası çıktı. Bunlar arasında 17 sürahi, 18 süt kabı, 8 normal kap, 11 testi vardı. Aynı yerde



geniş ağızlı sürahinin bulla-tıkacı bulundu. Bu bulla üzerindeki damga izlerinde keçi figürü tasvir edilmiştir.

Sözde "değirmen" denilen depolardan birisinde (#16), duvar boyunca kil tuğlalarından yapılan sıra çıktı. Bunun üzerinde el değirmenine ait 32 taş vardı. El değirmenin üst taşları ise döşeme üzerinde bulunuyordu. Ayrıca bu depodan kilden yapılan un ambarı çıktı. Bu depodan bronzdan yapılan üçgen şekilli saplı damga da çıktı.

Bu damga kalıplı kalın bronz tenekesinden yapılmıştır. Damganın kenarları yuvarlak tarzdadır, arka tarafında ağır yuvarlak tarzlı sap vardır (boyutları 64X64X64 mm). Damganın kenarlarında hayali bir hayvan ve iki kanatlı tasvir edilmiştir. Bu tasvirler derin oyulmuş, açık, hacimli ve plastiktir. Bütün resim orijinal bir tarzda düşünülmüştür. Merkezi figür hayali hayvandır. Anlaşılan bu figür köpek, aslan ve kartal parçalarını tasviridir (başı köpek başıdır, kuyruğu aslanındır, öndeki kolları ise kartal tırnaklarıyla sonuçlanmıştır). Hayvan sıçrama yapıyor. Başı ve ön iki ayağı güç görüntülü ve hareket tarzını göstermektedir. Vücudu ve arka ayakları neredeyse hareketsizdir ve baş ile ön ayaklarıyla gösterilen hareketlere uymamaktadır. Kanatlılar sakin ve neredeyse hareketsizdir ve hayvanın üzerindeki boşluğu doldurmuşlardır.

Tsikhiagora'nın etrafında, batı ve doğusunda olan tarlalarda yapılan kazılar sonucunda büyük bir köy harabesi çıktı. Buranın kültürü Eski çağın VI-IV., III-II. ve I. yüzyılına aittir.

Köy harabelerinin Kuzey semtinde iki mezarlık çıktı. Bu mezarlıklara "Sakaraulo Seri" ve "Daçrilebi" gibi ad verildi.

"Sakaraulo Seri" de Eski Çağın XIII. yüzyıl-Yeni Çağın birinci yüzyıllarının çukur tarzlı mezarlar, Roma dönemi fıçı mezarlar ve Eski Çağın I. – Yeni Çağın IV. Yüzyıllarına ait kutu tarzlı taş mezarlar kazındı. "Daçrilebi" mezarlığında ise Eski Çağın IV-III. yüzyıllarına ait fıçı mezar denilen mezarlıklar kazındı.

1977 yılında Kavtiskhevi'nin "Daçrilebi" adlı mezarlığın #25 fıçı mezarlığından bronz saplı dörtgen damgalar çıktı. Fıçı mezarlığında damgalar ile birlikte bronz kalkanlı yüzük, demir fibulalar, bronz dairesi ve kil kap kaçağı çıktı. Fıçı küçüktür, pembe renkli ve tavlıdır, kırmızı renklerle süslenmiştir. Arkeologlar bu mezarı Eski çağın IV-III. Asırlara ait olduğu fikrini ileri sürmüşlerdir.

Fıçı mezarlığından çıkan bronz damgası yuvarlak kenarlı dörtgen biçimindeki kalın levhadır. Arka tarafında oval tarzlı büyük bir sapı var. Damganın düz yüzünde elleri açık, yürüyen insanın figürü bulunur.

Damganın kenarlarının etrafı dolaylı dövmelerden çevrilmiştir. İnsan figürü çizgi ve kaba tarzındadır. Çizgiler eşitsizdir ve sanki tek düzlemde tasvir edilmiştir. Ayrıca, bu figürde açılı çalışması teşebbüsü de belli olmaktadır. Yani: ileri atılan ayak daha sonra gelen ayak kabartmasından dışbükeydir. Damganın kenarlarında içbükey ve dışbükey kabartmaların değişmesiyle hareket ve açının var olduğu hissedilmektedir. Figür damganın yüzünü tamamen kaplamaktadır.

Tsikhiagora ibadethanesinde keşfedilen kil parçaları, damga izleri ile birlikte bullaları oluşturmaktadır. Bilindiği kadarıyla, bullar iki kategoriye ayrılır: birincisi kil bezesidir, açık delikli ve üzerinde keten izi olan; diğeri işlenmemiş kilden yapılan şekilsiz plaka, açık delikli ve üzerinde keten izi olmaksızın yapılmıştır. Şekilsiz bullar genellikle kutular, kapılar ve ketenle mühürlenmesi gerekmeyen şeylerde kullanılıyordu. Buna benzeri şekilsiz ve büyük bullar Tsikhiagora'nın depo denilen bölümünden çıkmıştır. Tabiatıyla depoda bulunan bullar yangından sonra olduğu gibi kaldı ve günümüze kadar muhafaza edildi.

Tsikhiagora ibadethanesi kazılarında çıkan kil bullar üzerindeki damga izleri çeşitli hayvanların figürlerinden oluşmuştur. Bunlar arasında aslan, geyik, keçi, akrep, at, kedigil ailesinden bir hayvan, grifon, syncretik hayvan, kanatlı, boğa kafatası, insan, atlı, gezegen ve haç kanbartmaları mevcuttur.

Damga izlerindeki figürler uslub olarak birbirinden çok farklıdır. Figürlerin bir kısmı büyük, plastiktir. Ayrıca şematik tasvirler de bulunmaktadır.

Tsikhiagora ibadethanesinde çıkan bullar üzerindeki şekilleri, boyutları ve tasvirleri, İberia topraklarında bulunan eşzamanlı oymacılık malzemesini ve buna özel literatürdeki örnekleri göz önünde bulundurmuş olursak, ibadethanedeki damga şekillerine dair belli bir fikir ortaya konulabiliriz.

Tsikhiagora Bullar üzerinde bulunan damga izlerinden damgaların muhtemel şekilleri tespit edilebilir. Bunlar madenden yapılan dörgen ve üçgen şekilli saplı damga, Skarabeod, parmak üzerinde taşınabilir maden damgaları, haç şekilli damgalar (üç kollu ve dört kollu), çıkıntılı damgalar (dörtgen ve daire şeklinde), rozet tarzlı daire şekilli damgadır. İbadethanede taş saplı damgaların ve diskoidin kullanmış olduğu da muhtemeldir. Anılan muhtemel şekillerden hareketle bronzdan yapılan üçgen ve dörtgen saplı damgalardan bahsedilmesi gerek. Bu damgalar Kartli Krallığı topraklarında yaygın olan bronz damgaların grubuna dahil

edilebilir. Bu damgalar Eski Çağın III.-I. yüzyıllarında kullanılıyordu. Bronz saplı damgalara gelince, bu damgalardan önce taştan imal edilen saplı damgalar kullanılıyordu.

Taş saplı damgalar Anadolu ve İran oymacılığında işleniyordu. Bronz saplı damgalar ise, günümüze kadar elde edindiğimiz bilgilere göre, Gürcistan'dan başka hiç bir yerde kullanılmamış ve bulunmamıştır. Buradan hareketle denilebilir ki, Tsikhiagora'nın damgaları yerli üründür.

Tsikhiagora'nı ibadethanesinden çıkan kil bulların üzerinde olan damga izlerine göre damga şekillerinin yapılış uslubu hakkında kesin tespitlerin yapılamaz. Ancak, belli bir düşüncelerin ortaya konulması mümkündür.

Tsikhiagora damgalarının farklı oyma şekilleri ve üslup tasvirleri ustaların özen gösterdiğinin belirtisiz ve bunlar tarafından eski Ahamenit ve Yunan sanatının yakından tanıdığını gösterir.

## ბაგრატ IV-ისა და ალფ-არსლანის დიპლომატიური ურთიერთობის საკითხი „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით

ასოცირებული პროფესორი ვასილ მოსიაშვილი

### მოკლე შინაარსი

XI ს-ის 60-იან წლებში სელჩუკების საქართველოში ორგზის ლაშქრობას თვითონ სულთანი ალფ-არსლანი ედგა სათავეში. ამ ლაშქრობების აღწერის დროს XI საუკუნის ქართული საისტორიო წყარო „მატიანე ქართლისაჲს“ ალფ-არსლანისა და ბაგრატ IV-ის დიპლომატიური ურთიერთობების რამდენიმე ეპიზოდზე ამახვილებს ყურადღებას.

„მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ახალქალაქის აოხრების შემდეგ (1064 წ.) ალფ-არსლანმა ბაგრატ IV-ს ელჩი გაუგზავნა, მშვიდობა შესთავაზა და დისშივილი სთხოვა ცოლად. სულთანი მოერიდა ქვეყნის სიღრმისკენ ლაშქრობას. ამ საქმეში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ბაგრატის თანხმობას და შემდგომ აქტიურ მოქმედებას თავისი დისშივილის სულთანზე გათხოვებასთან დაკავშირებით. ბაგრატი ცდილობდა, სულთანთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდა, მასთან დამოყვრებით იგი ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას ცდილობდა.

თურქ-სელჩუკთა მეორე ლაშქრობის (1068 წ.) შემდეგ, ქართული წყაროს მიხედვით, ბაგრატ IV-მ განძის ამირა ალფ-არსლანის შუამდგომლობით გაათავისუფლა, სამაგიეროდ კი გაგის ციხე ჩაიბარა. სულთნის ასეთი დიპლომატიური ქმედება ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავებით უნდა იყოს გამოწვეული. მას არ სურს ასეთ ვითარებაში ბაგრატთან ურთიერთობის გაუუჭება და ყველანაირად ცდილობს ბიზანტიისგან მის იზოლირებას.

ბაგრატ IV-სა და ალფ-არსლანს შორის დიპლიმატიური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს ქართველი მემატიანის სიტყვები, რომ „არონიებდა სულტანი მოციქულთა და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოდთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა. ხოლო არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯად,

არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყუარული“. (ამოდ აგზავნიდა სულთანნი მოციქულებს ბაგრატთან, ამოდ უგზავნიდა საჩუქრებს და სთხოვდა ხარკს. ბაგრატ მეოთხემ ხარკი არ იკისრა, ისიც უგზავნიდა სულთანს მოციქულებს ძღვნით და მათ შორის იყო სიტყვით სიყვარული).

„მატიანე ქართლისად“ საერთოდ დუმს მანასკერტის ბრძოლასთან დაკავშირებით. რაც გვაფიქრებინებს, რომ ალფ-არსლანისა და ბაგრატ IV-ის დიპლომატიური ურთიერთობის წყალობით ქართველები, მით უმეტეს სამეფო კარი, ამ ბრძოლაში არ მონაწილეობდა.

ფიქრობთ, ამ დიპლომატიური ქმედებით ბაგრატმა ქვეყანა იხსნა ალფ-არსლანის საქართველოში შესაძლო კიდევ ერთი ლაშქრობისაგან. მაშინ, როდესაც მანასკერტის ბრძოლის შემდეგ სელჩუკებმა დაიკავეს მთელი სომხეთი, შირვანი და ანატოლიის დიდი ნაწილი, საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

**საკვანძო სიტყვები:** ბაგრატ IV, ალფ-არსლანი, მატიანე ქართლისად, მანასკერტი, ახალქალაქი.

## **“MATIANE KARTLİSAİS”E GÖRE IV. BAGRAT VE ALP ARSLAN’IN DİPLOMATİK İLİŞKİLERİ ÜZERİNE BİR DEĞERLENDİRME**

Doç. Dr. Vasili MOSİAŞVİLİ

### **ÖZ**

XI. asrın 60’lı yıllarında Selçukluların Gürcistan’a yapılan iki seferi bizzat Sultan Alp Arslan komutasında gerçekleştirilmiştir. XI. asrın Gürcü Kroniği “Matiane Kartlisai” de bu seferler anlatılırken Sultan Alp Arslan ve IV. Bagrat arasındaki diplomatik ilişkileri konusuna da değinilmiştir.

“Matiane Kartlisai”se göre Akhalkalaki’yi yağmaladıktan sonra (1064) Alp Arslan IV. Bagrat’a elçiler gönderip barış ve onun yeğeni ile evlenmeyi teklif etmiştir. O zaman sultan Gürcistan’ın iç bölgelerine sefer açmaktan vazgeçmiştir. Vazgeçmesinin sebeplerinden birisi Bagrat

tarafından teklifin kabul edilmesi ve yeğenin sultanla evlendirmesi olabilirdi. Bagrat sultanla ilişkilerinin iyi olmasına gayret etmiş ve onunla akrabalık bağları kurarak ülkesinde barışın sağlanması için çaba göstermiştir.

Gürcü kaynağına göre Selçukluların ikinci seferinden (1068) sonra IV. Bagrat Sultan Alp Arslan'ın talebi üzerine Gence Emiri'ni serbest bırakmış ve yerine Gagi Kalesi'ni teslim almıştır. Sultan'ın bu tür davranışları Bizans'la ilişkilerinin gerginliğe girdiğinden dolayı kaynaklanabilirdi. Anlaşıldığı kadarıyla sultan Bagratla ilişkilerinin bozulmamasına gayret göstermiş ve Bagrat'ı Bizans'tan uzaklaştırmak için harekete geçmiştir.

IV. Bagrat ve Sultan Alp Arslan arasında diplomatik ilişkilerin kurulduğunu Gürcü vakainüvistin aşağıdaki ifadeleri göstermektedir: “Sultan Bagrat'a elçilerini ve hediyelerini gönderip haraca bağlanmasını talep ediyordu. Bagrat haracı üstlenmedi ve Sultan'a aynen elçilerini ve hediyelerini gönderdi ve aralarında sözde sevgi kuruldu”.

“Matiane Kartlisai” de Malazgirt savaşından söz edilmemiştir. Buradan Sultan Alp Arslan ve IV. Bagrat arasında kurulan diplomatik ilişkiler sayesinde Gürcülerin, özellikle Kral Ailesi temsilcilerinin bu savaşta yer almadıkları anlaşılmaktadır.

Anlaşıldığı üzere, yaptığı diplomatik davranışlar sayesinde IV. Bagrat ülkesini Alp Arslan'ın yapılabilecek bir seferinden daha kurtarabilmiştir. Malazgirt Savaşı'ndan sonra Selçuklular tarafından bütün Ermenistan, Şirvan ve Anadolu'nun büyük kısmı fethedilmesine rağmen Gürcistan bağımsızlığını koruyabilmiştir.

***Anahtar Kelimeler:*** IV. Bagrat, Sultan Alp Arslan, Matiane Kartlisai, Malazgirt, Akhalkalaki.

# THE QUESTION OF BAGRAT IV AND ALF-ARSLAN'S DIPLOMATIC RELATIONS ACCORDING TO THE “CHRONICLES OF KARTLI”

Asoc. Prof. VASIL MOSIASHVILI

## ABSTRACT

The invasion of the Seljuk army into the territory of Georgia was led by Sultan Alp-Arslan in the 1060s. The historical source “Chronicles of Kartli” outlines the diplomatic relations between Bagrat IV and Alp-Arslan.

According to the “Chronicles of Kartli,” after devastating Akhalkalake in 1064, Alp-Arslan sent the ambassador to Bagrat IV to negotiate peace and to ask him for permission to marry his niece. The Sultan avoided penetrating deep into the country. Bagrat IV agreed to these terms, and his subsequent actions were very significant. Bagrat IV tried to maintain normal relations with Sultan. The marriage could bring peace to Georgia.

After the Turk-Seljuk's second invasion in 1068, according to Georgian sources, Bagrat IV freed the treasure Emir (protector) by the help of Alp-Arslan's petition. However, he took the Gagi castle in return. Tense relations with Byzantium can explain this diplomatic position. Under such tumultuous circumstances, he did not want to worsen his relations with Bagrat IV. He did his best to isolate Georgia from Byzantium. Nothing is written about the Manaskerti Battle in the “Chronicles of Kartli” to substantiate this idea. Thanks to the diplomatic relations of Bagrat IV and Alp-Arslan, Georgians, and especially the royal court, were not involved in this battle.

We think that through this diplomatic direction, Bagrat IV saved Georgia from Alp-Arslan's additional invasion. While after the Manaskerti Battle, Seljuks occupied all of Armenia, Shirvan, and a large part of Anatolia.

**Key words:** Bagrat IV, Alp-Arslan, Matiane Kartlisai, Manaskerti, Akhalkalaki.

XI საუკუნის 60-იან წლებში სელჩუკების საქართველოში ორგზის ლაშქრობას თვითონ სულთანი ალფ-არსლანი ედგა სათავეში. ამ ლაშქრობების აღწერის დროს XI საუკუნის ქართული საისტორიო წყარო „მატიანე ქართლისაჲ“ ალფ-არსლანისა და ბაგრატ IV-ის დიპლომატიური ურთიერთობების რამდენიმე ეპიზოდზე ამახვილებს ყურადღებას. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის თხრობის სტილი მშვიდი და მიუდგომელია, იტორიულ მოვლენებს ობიექტურად აფასებს, ემოციებს არსად არ გამოხატავს. იგი თავისი დროის ერთ-ერთი ერუდირებული და საქმისმცოდნე ქართველი ისტორიკოსია.

ადმოსავლური წყაროების (სადრ ად-დინ ჰუსეინი; იბნ ალ-ასირი) მიხედვით, ალფ-არსლანი საქართველოში პირველი ლაშქრობისათვის (1064) საგანგებოდ მოემზადა. „მატიანე ქართლისაჲს“ გადმოცემით კი, სელჩუკთა ეს შემოსევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დედასა და დასთან ერთად ტაოდან მომავალი საქართველოს მეფე ძლივს გადაურჩა თურქ-სელჩუკებს და ქართლში გადმოვიდა. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ალფ-არსლანის მიერ სამხრეთ საქართველოს კუთხეების (კანგარი, თრიალეთი, ყუეღისყური, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო) დარბევის შემდეგ ახალქალაქის აოხრებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს და ჰბრძოდეს სამ დღე. რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი, ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლითა ძლიერითა. აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახვლისაჲთა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყვე ყვნეს ურიცხვნი სულნი ქრისტიანეთანი, აღიდეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისაჲ სისხლითა“ („მატიანე ქართლისაჲ“ 2008: 289). ახალქალაქის აოხრების შემდეგ (1064 წ.) ქართული წყაროს ცნობით ალფ-არსლანი დიპლომატიურად მოქმედებს მან ბაგრატ IV-ს ელჩი გაუგზავნა, მშვიდობა შესთავაზა და დისშვილი სთხოვა ცოლად. ბაგრატ IV აქტიურად მოქმედებს ალფ-არსლანის სურვილის



შესასრულებლად. იგი ცდილობს, სულთანთან დამოყვრებით ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს. ბაგრატის დისწული, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, იყო სომეხთა მეფის კვირიკეს ძმისწული. კვირიკემ ქართველთა მეფეს უარი განუცხადა ამ ქალის გადაცემასთან დაკავშირებით. ბაგრატ IV-მ შეიპყრო სომეხთა მეფე, ჩამოართვა სამშვილდე და შემდეგ სომეხი ერისმთავრების თხოვნით, მორჩილების აღიარების საფუძველზე გაათავისუფლა. ამ ამბების შემდეგ ბაგრატმა თავისი ასული მართა ბერძენთა მეფეზე გაათხოვა, დისშვილი კი სელჩუკთა სულთან ალფ-არსლანზე.

„მატიანე ქართლისაჲს“ მხედვით, ბაგრატის დისშვილისა და ალფ-არსლანის ქორწინება შეიძლება 1065 წლით დავითარილოთ. მართალია, ქართველი მემატიანე პირდაპირ არ მიუთითებს ამ თარიღს, მაგრამ იგი ალფ-არსლანის საქართველოში მეორე ლაშქრობის თარიღად 1068 წელს ასახელებს. ამავე დროს მიუთითებს, რომ ეს ლაშქრობა მოხდა ბაგრატის დისწულის ალფ-არსლანზე გათხოვებიდან „შემდგომად სამისა წლისა“ („მატიანე ქართლისაჲს“ 2008: 290-291). ამავე თარიღს ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილიც (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 150). ბაგრატის აქტიური მოქმედებიდან გამომდინარეც, ლოგიკურად, ეს ქორწინება ახალქალაქის აოხრების შემდგომ ახლო პერიოდში, ყოველ შემთხვევაში 1065 წელზე გვიან არ უნდა მომხდარიყო.

ალფ-არსლანისა და ბაგრატის დისშვილის ქორწინება დასტურდება მათე ურჰაეცის, ვარდან დიდისა და ყაზვინის ცნობებითაც, მაგრამ ეს ავტორები არაფერს ამბობენ ამ საქმეში ბაგრატ IV-ის მონაწილეობაზე.

ფიქრობთ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში ქართველების დიდ წინააღმდეგობასთან ერთად გარკვეული როლი ითამაშა ბაგრატ IV-ის დისშვილის გათხოვებამ ალფ-არსლანზე. ახალქალაქის აღების შემდეგ, ქართული წყაროს მიხედვით, სელჩუკებმა საქართველო დატოვეს და ანისის მიმართულებით გაილაშქრეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატის დამოყვრებამ სულთანთან ვერ იხსნა საქართველო სელჩუკთა შემდგომი (მეორე) ლაშქრობისაგან. ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნო-

ბით, სულთანის მალე გაეყარა ბაგრატის დისშვილს და ნი-  
ზამ აღ-მუღლქს შეართვევინა (ჰამდალლაჰ ყაზვინი 1937: 27).

საქართველოში მეორე ლაშქრობის დროს (1068 წ.)  
სელჩუკთა ლაშქარი არანის გავლით შემოვიდა კახეთ-  
ჰერეთში. აღფ-არსლანი კახეთიდან ქართლში სამი კვირის  
შემდეგ 1068 წლის 10 დეკემბერს გადმოვიდა და ექვსი  
კვირის განმავლობაში დაარბია როგორც აღმოსავლეთი,  
ასევე დასავლეთ საქართველო სვერის ციხემდე. კახეთიდან  
ქართლში ლაშქრობის დროს მას, „მატიანე ქართლისაჲს“  
მიხედვით, თან ახლდნენ კახეთის მეფე აღსართანი (იგი  
აღფ-არსლანს კახეთში ლაშქრობის დროს ეახლა, მუსლი-  
მობა მიიღო და მორჩილება გამოუცხადა), სომხეთის მეფე  
კვირიკე და თბილისის ამირა („მატიანე ქართლისაჲს“, 2008:  
291). ვფიქრობთ, აღფ-არსლანს უნდა ხლებოდა აგრეთვე  
განძის ამირა ფადლონი, როგორც მისი ყველაზე ერთგული  
მოკავშირე.

სულთანის საქართველოდან წასვლისთანავე ბაგრატ IV  
აქტიურად მოქმედებს, 1069 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე მან  
შეიპყრო განძის ამირა, ადადგინა კონტროლი თბილისზე და  
უკან დაიბრუნა სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ციხე-სიმაგ-  
რეები. სავარაუდოა, რომ ამ დროს მან მოახერხა სელჩუკთა  
განდევნა ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან. საისტორიო წყა-  
როების მიხედვით, სელჩუკთა მასობრივი არსებობა საქართ-  
ველოს ტერიტორიაზე ბაგრატ IV-ის დროს არ შეინიშნება.

ბაგრატ IV-მ განძის ამირა აღფ-არსლანის შუამდგომ-  
ლობით გაათავისუფლა, სამაგიეროდ კი გაგის ციხე ჩაიბარა:  
„და მოგზავნა სულტანმან სარანგი აღხაზი და მისითა  
შუამდგომლობითა და სიტყვთა სულტანისაჲთა დაეზავა ბა-  
გრატ და განუტევა ფადლონი და გაგზავნა საჯელმწიფოსა  
თვსსა განძას. და წარჰყვა სარანგი თანა. და მოართუნეს  
გაგით კლიტენი. და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი“  
(„მატიანე ქართლისაჲს“ 2008: 294-295). კონკრეტული მიზეზი,  
თუ რით უნდა ყოფილიყო აღფ-არსლანის ეს დიპ-  
ლომატიური ქმედება განპირობებული, ჩვენთვის უცნობია.  
აღბათ, მან ანგარიში გაუწია ბაგრატისა და ქართველი  
ხალხის მისთვის უკვე კარგად ცნობილ წინააღმდეგობის

ძალას. გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ასევე ურთიერთობის გამწვავებას ბიზანტიასთან. მას არ სურს ბგრატთან ურთიერთობის გაფუჭება და მასთან მშვიდობიან მოლაპარაკებას აწარმოებს (ძალის გამოყენებით ბაგრატის დამორჩილების უპერსპექტიობაში იგი საქართველოში ორგზის დაშქრობით უნდა დარწმუნებულიყო). ბიზანტია-სელჩუკების გამწვავებული კონფლიქტი უნდა იყოს, თავის მხრივ, ბაგრატის რადიკალური მოქმედების ერთ-ერთი მიზეზი, აღფ-არსლანის საქართველოდან წასვლის შემდეგ.

განძის ამირა ფადლონმა ბაგრატის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ საქართველოს ისევ გამოსტაცა ქავაზნი და აგარანი. ბაგრატ მეფე დასავლეთ საქართველოდან გადმოვიდა და აგარანი ფადლონს ისევ წაართვა. ბაგრატისა და განძის ამირა ფადლონის კონფლიქტი საბოლოოდ ოვსთა მეფის დახმარებით ბაგრატის გამარჯვებით დამთავრდა: „და გამოიყვანა დორდოლედი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა და წარუძღუნა წინა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოჭრა განძა და აღიღო ტყუე და ნატყუენი ურიცხვ და გაგზავნა თავის სამეფოდ“ (მატიანე ქართლისად, 2008: 295).

სანტერესოა, რომ ამჯერად აღფ-არსლანი არავითარ ღონისძიებას არ იღებს განძის ამირას დასახმარებლად. ეს შეიძლება ორი ძირითადი მიზეზით აიხსნას. პირველი, რომ ფადლონმა „გატეხა ფიცი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისანი“ და მეორე, რომ აღფ-არსლანს არ სურდა ბიზანტიასთან გამწვავებული ვითარების ფონზე ბაგრატთან ურთიერთობის გაფუჭება.

იგი ყველანაირად შეეცდებოდა, ბიზანტია-სელჩუკების დაპირისპირებაში შეენარჩუნებინა საქართველოს მეფის ნეიტრალური მდგომარეობა. ბაგრატიც თავის მხრივ დიპლომატიურად იყენებდა ამ მდგომარეობას და ქვეყანაში სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ბაგრატ IV-სა და აღფ-არსლანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს ქართველი მემატანის სიტყვები, რომ „შემდგომად ამისსა არონიებდა სულტანი მოციქულთა და უკრებდა ძრუენთა ბაგრატ მეფესა, ამოდთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა. ხოლო არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯად, არამედ

ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვთ სიყუარული“ (მატიანე ქართლისად, 2008: 295-296).

საისტორიო წყაროების მონაცემებით XI საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს სამეფო კარის მონაწილეობა ბიზანტიელთა მხარეზე სელჩუკებთან ბრძოლაში არ შეინიშნება, რაც გარკვეულწილად ალფ-არსლანისა და ბაგრატ IV-ის დიპლომატიური ურთიერთობის შედეგიცაა.

მართალია, მანასკერტთან ბრძოლის (1071 წ.) წინ დიოგენის ლაშქარში ქართველებიც სახელდებიან, მაგრამ უშუალოდ ბრძოლაში ქართველების როლი, მათი აქტიურობა გამოკვეთილი არ არის. ქართველი მემატიანე, რომელიც დაწვრილებით აღგვიწერს XI ს-ის 40-იანი წლების დასასრულს ბიზანტიელთა შემადგენლობაში ქართველთა ბრძოლას სელჩუკების წინააღმდეგ, საერთოდ დუმს მანასკერტის ბრძოლასთან დაკავშირებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ქართველები, მით უმეტეს სამეფო კარი, ამ ბრძოლაში არ მონაწილეობდა. როგორც ჩანს, ბაგრატ IV-მ კარგად შეაფასა ბიზანტიის იმპერიის სისუსტე და სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში არ ჩაება. ვფიქრობთ, ამ დიპლომატიური ქმედებით ბაგრატმა ქვეყანა იხსნა ალფ-არსლანის საქართველოში შესაძლო კიდევ ერთი ლაშქრობისაგან. მაშინ, როდესაც მანასკერტის ბრძოლის შემდეგ სელჩუკებმა დაიკავეს მთელი სომხეთი, შირვანი და ანატოლიის დიდი ნაწილი, საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

„მატიანე ქართლისადს“ მიხედვით, ალფ-არსლანი და ბაგრატ IV ისე გარდაიცვალნენ, რომ „ვერღარა ცნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანეთისა სიყუდილი“ (მატიანე ქართლისად 2008: 296). ქართველი მემატიანის ამ ფრაზაში სიმბოლურად ჩანს ალფ-არსლანისა და ბაგრატ IV-ის მეტოქეობა, დიპლომატიური ურთიერთობა და თანაბარი პიროვნული ძლიერება. შეიძლება ითქვას, რომ ალფ-არსლანის წარმატებული პოლიტიკის ფონზე ბაგრატ IV ერთადერთი გამონაკლისია, რომლის წინააღმდეგობის დაძლევაც ვერ შეძლო და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გზას დაადგა.

სელჩუკთა ლაშქრობების მძიმე შედეგების მიუხედავად, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ დიდი ბრძოლის, მტკიცე ხასიათის, დიპლომატიისა და ქართველების ბრძოლის-უნარიანობის წყალობით სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

ვახუშტი ბატონიშვილი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

მატიანე ქართლისაჲ, 2008: მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2008.

შენგელია, 1968 – შენგელია ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.

ყაზვინი, 1937 – ჰამდალლაჰ მუსთოფუი ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლეთურთ ვ. ფუთურაძისა, თბ., 1937.

აღ-ჰუსაინი, Ал-Хусайни Садр-Ад-Дин, Сообщения о сельджукском государстве, [www.vostlit.info](http://www.vostlit.info), Восточная литература, Авторы и источники на букву 'X'.

Вардан Великий, Всеобщая история, [www.vostlit.info](http://www.vostlit.info), восточная литература, Авторы и источники на букву 'B'.

Ибн-ал-асир, Полный свод всеобщей Истории, [www.vostlit.info](http://www.vostlit.info) восточная литература, Авторы и источники на букву 'И'.

XI. Asrın 60'lı yıllarında Selçukluların Gürcistan'a yaptığı iki sefer bizzat Sultan Alp Arslan'nın komutasında icra edildi. XI. Asrın Gürcü vakainamesi olan "Matiane Kartlisai" de bu seferler anlatırken, Gürcü Kralı IV. Bagrat ile Sultan Alp-Arslan arasındaki diplomatik ilişkilerden bahsedilmiştir. "Matiane Kartlisais'in" yazarı olayları tarafsız ve akıcı bir tarzda anlatmaktadır. Kendisi tarihi olayları nesnel bir tarzda değerlendirirken konuya duygusal yaklaşmamaktadır. Kaynaktan anlaşıldığı kadarıyla, yazar dönemin olup bitenlerini iyi bilen ve bilgili bir Gürcü tarihçisidir.

Sadr Ad Din Hüseyin ve İbn Al Asır gibi Doğulu vakainüvistlere göre, 1064 yılında Alp-Arslan Gürcistan'a yapacağı ilk seferi için özellikle hazırlanmıştır. “Matiane Kartlisais'a” göre Selçukluların bu seferi o kadar ansızın oldu idi ki, Tao'dan gelen Kral IV. Bagrat Selçuklulardan zor kurtuldu. Kendisi annesi ve kız kardeşi ile birlikte Kartli'ye geçti. “Matiane Kartlisai” Sultan Alp-Arslan tarafından dönemin Gürcistan'ın Güney-Batı bölgelerini (Kangari, Trialeti, Kueliskuri, Şavşeti, Klarjeti, Tao) baskın ettikten sonra, Akhalkalaki'nin yıktığını şöyle anlatmaktadır: “Cavakheti'ye doğru gittiler ve Akhalkalaki'yi kuşattılar. Meskheti asilzadeleri ve bütün üst bölgelerin asilzadeleri (ona karşı) üç gün savaştılar. O zaman Akhalkalaki Kalesi'nin inşaatları daha tamamlanmamıştı ve şiddetli mücadelelere rağmen (Akhalkalakililer) dayanamadılar. Şehir içindekiler silahlandılar, kapıları açtılar ve savaşa giriştiler. Şehre Türkler girdiler, bir çok Hıristiyan'ı esir aldılar, bol hazine ve esir ele geçirdiler. Akhalkalaki çayı akan kandan kıp kırmızı oldu”. (Matiane Kartlisai 2008:289). Gürcü kaynağına göre Alp-Arslan Akhalkalaki'yi yıktıktan sonra (1064) diplomatik girişimlere başvurdu. IV. Bagrat'a elçi gönderdi, barış teklif etti ve onun yeğeni ile evlenmeyi istedi. IV. Bagrat Alp-Arslan'ın isteğini yerine getirmek için harekete geçti. Kendisi Sultanla akrabalık bağlar kurmakla ülkesine barış getirmek istedi. “Matiane Kartlisais'e” göre Bagrat'ın kız kardeşinden olan yeğeni Ermeni Kralı Kvirike'nin erkek kardeşinin kızı idi. Kral Kvirike Gürcü kralına bu kızı vermek için karşı çıktı. IV. Bagrat Ermeni kralını yakaladı ve Samsvilde bölgesini elinden aldı. Ancak, daha sonra Ermeni asilzadelerin talebi ve itaat olacaklarına dair söz verdikleri üzerine Bagrat onu serbest bıraktı. Bu olaylardan sonra, Bagrat Marta adlı kızını Yunan kralı ile, yeğenini ise Alp-Arslan'la evlendirdi.

“Matiane Kartlisais'te” verilen bilgilere göre, Bağrat'ın yeğeni ile Sultan Alp Arslan'ın evlenme tarihi 1065'tir. Gerci, Gürcü vakainüvisti bu tarihten doğrudan bahsetmemektedir, ancak Sultan Alp Arslan'ın Gürcistan'a yaptığı ikinci sefere tarih olarak 1068 koymuştur. Vakainüvistin ifadelerine göre Sultan'ın ikinci seferi Bagrat'ın yeğeninin Sultan Alp Arslan ile evlenmesinden “üç yıl geçtikten sonra olmuştur” (“Matiane Kartlisai” 2008: 290-291). Tarihçi Vahuşti Batonişvili de aynı tarihten bahsetmektedir (Vahuşti Batonişvili 1973:150). Bagrat'ın aktif hareketlerinden dolayı, bu evlenme Akhalkalaki baskısından sonra en yakın zamanda ve en geç 1065 yılında gerçekleşecekti.

Sultan Alp Arslan'ın Kral Bagrat'ın yeğeni ile evlendiği haber Urfalı Mateos, Büyük Vardan ve Kazvin-i gibi vakanüvistlerin eserlerinde de yer almaktadır. Ancak, bu eserlerde söz konusu evlenme işinde Kral Bagrat'ın katıldığından bahsedilmemiştir.

Denilebilir ki, IV. Bagrat'ın yeğeninın Sultan Alp Arslan'la evlendirilmesi, yapılan mücadelelerle birlikte Gürcistan'ın bağımsızlığını korumak işinde belli bir rol oynamıştır. Vakayinameye göre, Akhalkalaki'yi aldıktan sonra Selçuklular Gürcistan'ı terk edip Ani'yi saldırdılar. Ancak şunu da belirtmeli ki, Bagratla Sultan arasındaki akrabalık Gürcistan'ı Selçukluların ikinci seferinden kurtaramadı. Hamdallah Kazvin-i'ye göre Sultan, Bagrat'ın yeğenini çok çabuk boşadı ve Nizamülmülk ile evlendirdi (Hamdallah Kazvin-i 1937:27).

